

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ზოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის  
ისტორიის ინსტიტუტი

ნ ა რ კ ვ ე ვ ე ბ ი  
XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის  
ისტორიიდან

(II)



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1978

8 7 1  
899. 902. 1. 09  
6 2 95

„ნარკვევი“ გაერთიანებული ნაშრომები XIX საუკუნის ქართული მწერლობის ნაკლებდამუშავებულ, საყურადღებო საკითხთა განხილვას ეძღვნება.

კრებულში გაშუქებულია ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის ცალკეული საკითხები, რომელთა შესწავლას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ახალი ქართული ლიტერატურის განვითარების თავისებურებათა შესახებ მართებული წარმოდგენის შესამუშავებლად.

„ნარკვევები“ გათვალისწინებულია როგორც ლიტერატურის სპეციალისტებისათვის, ასევე ქართული მწერლობის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორები: გ. აბაშიძე, გ. ასათიანი.

6  $\frac{70202}{M 607 (06)—78}$  103—78

© გამომცემლობა „მცნიერება“, 1978

ქართული რომანტიზმის საფუძვლები ალორძინების  
პერიოდის მწერლობაში

(ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი)

ქართული რომანტიზმის საფუძვლების ძიებისას ყურადღებას იპყრობს ახალი ქართული ლიტერატურის, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის მიმართება ძველ ქართულ მწერლობასთან, მის ხანგრძლივ და დიდ ტრადიციებთან. ახალი ქართული ლიტერატურა, რომელიც ძველი მწერლობისაგან მთელ რიგ საკითხებში პრინციპულად იმიჯნება, ამავე დროს იმ ძველისაგან მემკვიდრეობადღეულობს მეტად დიდ ლიტერატურულ ტრადიციებს.

ძველ ქართულ მწერლობას საუკუნეების მანძილზე შემუშავებული საკუთარი მორალურ-ეთიკური და ესთეტიკური ნორმები ჰქონდა. ბევრი საკითხი, რომელიც ახალ ქართულ ლიტერატურაში და კერძოდ, ქართულ რომანტიზმში წამოიჭრება, საფუძველს იღებს მისი ეროვნული ლიტერატურიდან, ძველი ქართული საერო და სასულიერო მწერლობიდან.

ძველ მწერლობაში ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლების არსებობის შესახებ აღნიშნავდნენ ჯერ კიდევ გასული საუკუნის მოღვაწენი. ამ საკითხებზე ყურადღების შეჩერებამ უფრო სისტემატური ხასიათი მიიღო ჩვენი საუკუნის 30—50-იანი წლებიდან.

მრავალი საკითხი, რომელიც ქართული რომანტიზმისათვის მნიშვნელოვან მომენტად იქცა, ალორძინების პერიოდის ქართველ ლირიკოსთა საყვარელ თემას წარმოადგენს. თეიმურაზ პირველი, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი არიან ის პოეტები, რომელთა შე-

მოქმედება ქართველ რომანტიკოსთათვის ერთ-ერთ ეროვნულ საფუძველს შეადგენს.

აღორძინების ხანის მწერლობის მნიშვნელობას ქართული რომანტიზმისათვის აღნიშნავენ თავიანთ ნაშრომებში ცნობილი ქართველი მკვლევარები: კ. კეკელიძე<sup>1</sup>, ალ. ბარამიძე<sup>2</sup> გ. ქიქოძე<sup>3</sup>, პ. ინგოროყვა<sup>4</sup>, გ. ჯიბლაძე<sup>5</sup>, ა. გაწერელია<sup>6</sup>, გ. ასათიანი<sup>7</sup>, დ. გამეზარდაშვილი<sup>8</sup>, გ. ნადირაძე<sup>9</sup>, მ. ზანდუკელი<sup>10</sup>, ს. ჩიქოვანი<sup>11</sup>, ე. მალრაძე<sup>12</sup>, აბ. მახარაძე<sup>13</sup>, შ. რადიანი<sup>14</sup>, კ. მეძველია<sup>15</sup>, ლ. მენაბდე<sup>16</sup>, დ. ლაშქარაძე<sup>17</sup>.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის სევედა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, თბ., 1963, № 3.

<sup>2</sup> ალ. ბარამიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ძველი ქართული პოეზია, ლიტერატურული ძიებანი, III, თბ., 1946, მისივე, თეიმურაზ პირველი, თეიმურაზ პირველის თხზ. სრული კრებ., ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედ., ტფ., 1934. მისივე, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვახტანგ VI, საიუბილეო კრებ., ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ., 1968.

<sup>3</sup> გ. ქიქოძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ნ. ბარათაშვილის თხზულებათა სრული კრებული, 1922, თბილისი.

<sup>4</sup> პ. ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებათა კრებული, ტ. III, თბ., 1965.

<sup>5</sup> გ. ჯიბლაძე, ბარათაშვილის პოეტური გენია, თბ., 1968.

<sup>6</sup> ა. გაწერელია, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ჩხეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1962.

<sup>7</sup> გ. ასათიანი, ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე, თბ., 1974.

<sup>8</sup> დ. გამეზარდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, თბ., 1948.

<sup>9</sup> გ. ნადირაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და ესთეტიკური სამყარო, თბ., 1961.

<sup>10</sup> მ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, I, თბ., 1941.

<sup>11</sup> ს. ჩიქოვანი, ჩხეული წერილები, თბ., 1963.

<sup>12</sup> ე. მალრაძე, ცხოვრება და ვით გურამიშვილისა, თბ., 1974.

<sup>13</sup> აბ. მახარაძე, ქართული რომანტიზმი, თბ., 1948.

<sup>14</sup> შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, 1, თბ., 1954.

<sup>15</sup> კ. მეძველია, რომანტიზმის მოტივები აღორძინების პერიოდის ქართულ ლიტერატურაში, ა. შულუკიძის სახ. ქსპი შრომები, VII, ქუთაისი, 1947.

<sup>16</sup> ლ. მენაბდე, XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1973

<sup>17</sup> დ. ლაშქარაძე, ევროპეიზმის პრობლემა „აღორძინების პერიოდის“ ქართულ მწერლობაში, მაცნე, ქართული ენისა და ლიტ. სერია, თბ., 1973, № 4.

თეიმურაზ პირველის შემოქმედების როლს ქართული რომანტიზმისათვის ჩვენ შევეხებით გამოკვლევაში „ქართული რომანტიზმის საკითხები და ალორძინების პერიოდის მწერლობა (თეიმურაზ პირველი). წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას შევაჩერებთ ვახტანგ VI-ისა და დავით გურამიშვილის პოეზიის იმ საკითხთა ანალიზზე, რომელთაც ქართული რომანტიზმის ჩამოყალიბებაზე აშკარა და გარკვეული ზემოქმედება იქონიეს.



თეიმურაზ პირველის ბედს, დევნილ მეფობას და მწარე უიღბლობას დრო თითქოს მემკვიდრეობით გადასცემს საქართველოს მომავალ მეფე-პოეტებს არჩილს და ვახტანგ მეექვსეს. მაგრამ თუ თეიმურაზ პირველი მრავალგზის ტანჯვათა და დევნათა მიუხედავად ბოლომდე რჩება საქართველოს ბედისათვის მდგარ მებრძოლად, — იგი არ ყრის იარაღს, არ ეპუება არავითარ განსაცდელს. შვილები-სა და დედის წამებით სიკვდილსაც კი, — მისი მომდევნო მეფენი, აგრეთვე მემკვიდრენი მისი პოეზიისა, მსგავს ბრძოლის უნარს ვეღარ იჩენენ. ძლიერი მტრის მიერ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულები, ისინი სახლობითურთ უცხო მზარეს გადაიხვეწებიან და ბედის ანაბარად მიტოვებულ სამშობლოს მოწინააღმდეგის სათარეშო ასპარეზად ტოვებენ... უცხოობაში, სხვის მიწა-წყალზე და სხვის კარზე, ამ ხელმწიფეთა ცხოვრება მძიმეა და დამამცირებელი, სამშობლოს გამო ნაღველი მათ არ ტოვებს არასოდეს. ფიზიკური გადარჩენით ისინი სიცოცხლეს შეუნარჩუნებენ საკუთარ შვილებს (მაშინ როდესაც თეიმურაზის ოთხი შვილი ტრაგიკულად დაიღუპა მტრის ხელში), მაგრამ ამგვარი გადარჩენა დროებითია, ვახტანგ VI-ისა და არჩილის შვილების მომავალი განწირულია, რადგან დაკარგულია მათთვის სამემკვიდრეო ტახტი და სამშობლო მიწა...

ვახტანგ VI, ისევე, როგორც არჩილი, გადაიხვეწა რუსეთში, რომ ამ გზით გადაერჩინა სიცოცხლე და ოჯახის კეთილდღეობა. თუმცა ეს კეთილდღეობა მხოლოდ ფიზიკურ გადარჩენაშიღა მდგომარეობდა, მეტად მცირე იმედი რჩებოდა იმისა, რომ ამ გაქცევით საქართველოს ტახტი კვლავ ვახტანგის მემკვიდრეთა ხელში

ოდესმე აღმოჩნდებოდა. საამისო რეალური პირობები არ არსებობდა, ხოლო თვალწინ იყო შესანიშნავი მაგალითი არჩილისა და მისი ოჯახისა.

ეს გადადგმული ნაბიჯი შემდეგში მრავალჯერ გამოიტირა მეფემ. ცნობილია, რომ სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობამ და მეცადინეობამ ვერ შეცვალა საქართველოს ბედ-იღბალი, იმ რთული ისტორიული სიტუაციის გამო, რაც იმ პერიოდში საქართველოს გარშემო სუფევდა<sup>18</sup>. ცნობილია აგრეთვე, რომ ვახტანგ VI, რომელიც არაერთხელ იხსნა თავისი აღმზრდელის რჩევამ და პოლიტიკურმა გამჭირაობამ, საქართველოსათვის საბედისწერო, გადამწყვეტ მომენტში შედრკება საბას გაბედული მოქმედების გამო და უკან დაიხევს, აღარ მიჰყვება მის რჩევას. მაგრამ ვახტანგის, როგორც პიროვნებისა და როგორც ლიტერატორის ჩამოყალიბებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა მისმა აღმზრდელმა, სულხან-საბა ორბელიანმა<sup>19</sup>. ვახტანგ მეფის პოეზია, მისი ლიტერატურული გემოვნება, შემოქმედების მიმართულება და თვალსაზრისი დავალებულია ერთის მხრივ თეიმურაზის პოეზიითა და სულხან-საბას შემოქმედებითი თავისებურებით, ხოლო მეორეს მხრივ — გამოწვეულია ეპოქითა და მეფის პირადი ცხოვრებით. ვახტანგის, როგორც პოეტისა და პიროვნების ტრაგედია განპირობებულია მისი სამეფოს ტრაგედიით. ვახტანგმა შექმნა გარკვეული ლიტერატურული სკოლა, სადაც მის მიერ მწერლობაში დაინერგა ახლებური სტილი. შემუშავდა რამდენაღმე ახალი თვალსაზრისი პოეზიის ხელოვნების შესახებ. მოსკოვში, ვახტანგის ხელმძღვანელობით იქმნება პოე-

<sup>18</sup> საბას მოღვაწეობისა და ვახტანგის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ იხ.: 1. ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, თბ., 1972; 2. დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ვახტანგ VI, ნარკვევი მის წიგნში, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. III, თბ., 1968; 3. დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, საქართველოს მეფე ვახტანგ მეექვსე, ტფ., 1880.

<sup>19</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: 1. ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანი (ცხოვრება და შემოქმედება), თბ., 1959; 2. გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანი, ნარკვევი წიგნში, სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიციურისა ტფ., 1930; 3. ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI-ის ლიტერატურული ურთიერთობიდან, ლიტერატურული ძიებანი, XI, 1958; 4. ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI ლექსიკოგრაფიული ურთიერთობისათვის, სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებ., თბ., 1959.

ტიკის სახელმძღვანელო, მამუკა ბარათაშვილის „კაშნიკი“, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მე-18 საუკუნის ქართულ მწერლობაზე და კერძოდ, დავით გურამიშვილის შემოქმედებაზე<sup>20</sup>. ჯერ საქართველოში, ხოლო შემდეგ რუსეთში ვახტანგის კარზე შეიქმნა ლიტერატურულ-მეცნიერული ატმოსფერო, წარმოიშვა ეპოქის თვალსაზრისის თანადროული დამოკიდებულება ისტორიისადმი, გეოგრაფიისადმი, სამართლისა<sup>21</sup> და თეოლოგიური წიგნებისადმი, დადგა საკითხი ქართული წიგნების პუბლიკაციის შესახებ. შეიქმნა სტამბა<sup>22</sup>, სადაც დაიბეჭდა პირველად ქართული ბიბლია და ვეფხისტყაოსანი, და სხვ. ამ სკოლის შესანიშნავი წარმომადგენელია ვახუშტი ბატონიშვილი, ავტორი საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიისა. შორს წაგვიყვანდა იმ ცნობილი ფაქტების გახსენება, რასაც ადგილი ჰქონდა ლიტერატურულ ცხოვრებაში ვახტანგის კარზე, ჯერ თბილისში და შემდეგ მოსკოვში. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ ლიტერატურულ წრეში, მოსკოვში აღიზარდა დავით გურამიშვილი, რომელიც თავისი ლექსის ფორმით, პოეზიის ხასიათითა და მიმართულებით დიდადაა დავალებული ვახტანგისაგან<sup>23</sup>.

ვახტანგ მეფე, სევდიანი და უიღბლო მეფე, თავის გულის ნაღველს მწარე ლექსთა გამოთქმაში განაქარებდა. მისი პოეზია სევდისა და უიღბლობის პოეზიაა, ამავე დროს მაღალი მორალის მატარებელი და ქრისტიანიზმის პოეტური სახეებითა და სულით გაყვლილი პოეზიაა.

---

<sup>20</sup> ალ. ბარამიძე, დავით გურამიშვილი, ბიოგრაფიულ-კრიტიკული ეტუდი, ტფ., 1931, გვ. 77—78.

<sup>21</sup> ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის რედაქციით, გამოკვლევითა და შენიშვნებით, თბ., 1955; 2. ბერძნული სამართალი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებიდან, გამოკლევა, საძიებელი, შენიშვნები დაურთო თ. ბრეგაძემ, თბ., 1964, 3. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, ტფ., 1928.

<sup>22</sup> ვახტანგისეული სტამბის შესახებ იხ., 1. ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), თბ., 1955, გვ. 143—148; 2. ლ. შენაბდე, ვახტანგ VI, თბ., 1966, გვ. 150—154.

<sup>23</sup> ალ. ბარამიძე, დავით გურამიშვილი, თბ., 1931, გვ. 79—80; 2. გ. ლეონიძე, ვახტანგ მეექვსე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1959, გვ. 219

ვახტანგის შემოქმედებაში ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მისი ლექსი და მისი პროზა განიცდის ტენდენციას მოძველებული ფორმებისაგან განთავისუფლებისა და მხატვრული სიტყვის ხმარების გამარტივებისაკენ. ცნობილია, რომ ვახტანგმა შემოიტანა და დაამკვიდრა მთელი რიგი ახალი სალექსო ზომები და ფორმები<sup>24</sup>. გადაახალისა ტრადიციული შაირის ფორმა, შემოიტანა და დაამკვიდრა ქართულ ლირიკაში ახალი ყანრი, ელეგია და სხვ.

ვახტანგის პროზაში იგრძნობა სულხან-საბა ორბელიანის მოწაფე. მისი პროზა განირჩევა საბასეული სისადავითა და დახვეწილობით. საბას პროზას აქვს ტენდენცია განთავისუფლდეს აზრის გამოთქმის ტრადიციული, აღმოსავლური, ჩუქურთმული სტილისაგან. იმ ხანად ქართულ სამწერლობო მეტყველებას ახასიათებდა სათქმელის ხატოვნად გამოთქმისას შედარება-მეტაფორების სიჭარბე, რომელიც ტექსტს, პროზაულსა თუ პოეტურს სპეციფიკურ ელფერს ანიჭებს. ამგვარი მანერა სპარსული პოეზიის მხატვრული ფორმის გავლენის ანარეკლია. ვახტანგის მასწავლებელი, საბა, ემიჯნება ამ აღმოსავლურ ტრადიციას და ევროპელი მწერლის მსგავსად, ქმნის სრულიად ახალ სამწერლობო ენას, რომელსაც ვახტანგ მეფე და მისი სკოლა იზიარებს და პოეზიაშიაც მსგავსი სიახლის დანერგვას ცდილობს.

ვახტანგ მეფე თეიმურაზ პირველისაგან იღებს სოფლის სამდურავის ვრცელ და მძლავრ თემას, რომელიც მისი სულიერი წინასწორობისა და პოეტური განწყობილებისათვის მეტად ზედგამოჭრილი აღმოჩნდა. სოფლისადმი მდურვისა და გოდების თემასთან ერთად ვახტანგის პოეზიაში ისადგურებს ინდივიდუალისტური ტენდენციები და განწყობილებები, რომლებიც აგრეთვე თეიმურაზ პირველმა დაამკვიდრა ქართულ საერო მწერლობაში. ამ მხრივ ვახტანგი გადადგამს კიდევ ახალ ნაბიჯებს. მას აღარ აკმაყოფილებს ტრადიციულ სალექსო ზომებში მომწყვდეული ლექსის ინტიმური განწყობილებები და იგი ქმნის ახალ სალექსო ფორმასა და ზომას. ასეთია მის მიერ შემოღებული

---

<sup>24</sup> ალ. ბარამიძე, ვახტანგ მეექვსე, გამოკვლევა წიგნში, ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1947, გვ. 15—17.



16 და 20 მარცვლოვანი ლექსები, მის მიერვე დამკვიდრებული ელეგიის ფორმა და სხვ.<sup>25</sup>

ვახტანგის მიერ ქართული პოეზიის რეფორმაციაში ევროპული პოეტური სამყაროს საინტერესო გავლენაც იგრძნობა. განმანათლებელთა იდეები და თემატიკა უთუოდ გარკვეულ კვალს აჩენენ ვახტანგის, სულხან-საბასა და არჩილის შემოქმედებას<sup>26</sup>. ევროპული პოეზიის სიახლოვე ერთგვარად განაპირობებს ვახტანგის პოეზიაში ელეგიის ფორმის წარმოშობას.

ვახტანგის პოეტური შედეგების მეტი ნაწილი დაწერილია მის მიერვე შემოღებული ახალი სალექსო ფორმებით.

„სოფლის სამღურავის“ მწუხარე თემა ვახტანგის ლირიკის ძირითად ღერძად შეიძლება ჩაითვალოს. ვახტანგს არა აქვს თეიმურაზივით, ბრწყინვალე ლექსით შესრულებული დახვეწილი პოემები, — ნათარგმნი და ორიგინალური, რაც თეიმურაზის პოეზიის სიამაყეს შეადგენს. ვახტანგის პოეზიის ძალაა მისი ლირიკა, მისი სევდიანი ხმით გამოთქმული ლექსები, რომლებიც უშუალოდითა და სიწრფელით, ინტიმური სისადავით განირჩევა.

რანი და, მოვაცანი და, სახლი და, კარი, ბანი, და,  
გათუდა ყოელი წერილი, ანი, ბანი და განი, და...  
ვიარე ყოელი ქვეყანა, სიგრძე და სიერცე, გინი, და,  
ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე მად და დანი, და...  
ხორცსა მრავალი დავაქლე, სულს მრეცე იქნ რჯანი, და,  
ვაი-ვაი, მსაქეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი, დ<sup>27</sup>,

ვახტანგის პოეზიის მარგალიტი, ეს რამდენიმე სტრიქონიანი ლექსი, ყურადღებას იპყრობს იმიტაც, რომ მისი ფორმა სრულიად ახლებურია და არ იმეორებს ტრადიციულ შაირს.

ვახტანგ მეფის ლექსიდან გამოსჰვივის საშინელი სევდა, უიმედო და უსასოო, მკმუნვარება დევნილი მეფის, რომელმაც თითქმის

<sup>25</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხ., ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. XV—XVI.

<sup>26</sup> განმანათლებელთა პრინციპების გავლენის შესახებ მე-18 საუკ. ქართულ მწელობაზე, იხ.: 1. დ. ლ ა შ ქ ა რ ა ძ ე, ევროპეიზმის პრობლემა „აღორძინების პერიოდის“ ქართულ მწერლობაში, მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, 1973, № 4, გვ. 31—39; 2. ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ანტონ ბაგრატიონი და ქართული კლასიციზმი, ცისკარი, 1972, № 2, გვ. 143.

<sup>27</sup> ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, ლექსები და პოემები, თბ., 1947, გვ. 2.

ფეხით გადასერა უშველებელი დედამიწის კონტინენტი, უცხო და უცნობი მხარეები ხეტიალით მოვლო თავისი ქვეყნისათვის დახმარების ძიებაში, მაგრამ მიიღო მხოლოდ იმედების გაცრუება და სინანული. ვახტანგის მთელ შემოქმედებას გასდევს შეუწყნარებელი სინანული გადადგმული ნაბიჯის გამო, მოურჩენელი ტკივილი იმ აღუდგენელი დანაკარგისა, რაც ასე ძვირფასია ყველა ადამიანისათვის. ესაა თვისტომის დაკარგვა, სამშობლოს სამუდამო განშორება, მეფობის სამუდამო დამშვიდობება, — ეს იყო, რაც წილად ხვდა ვახტანგ მეფეს და საფუძვლად დაედო მის გაუთავებელ და უსასოო კმუნვა-ნალველს. სევდა დამსხვრეული ბედნიერებისა, დაკარგული მეფობისა და დაკარგული სამშობლო-სამოთხისა, სხვა ლექსებშიაც აღბეჭდა ვახტანგის პოეტურმა გრძნობამ. ერთი ასეთი რჩეული ლექსთაგანია „ლექს-ამბავი“, სადაც მეტყველი და ხატოვანი გამოთქმებით აღწერილია ამბავი სამშობლო-სამოთხის დაკარგვისა. ეს ლექსი თავისი ფორმითაც დიდად საინტერესო და ახლებურია<sup>28</sup>.

სამშობლოს ბალი რა ჰქონდა, სცან, ალექსანდრეს, მეფეო,  
 იდგა ყვეილი მრავალი, სახელის სუნი, მეფეო,  
 მის ფშვას აღევსო ქვეყანა სხვადასხვა რიგთა, მეფეო,  
 შვება ვარდისა მრავალფრად გაშლილი შიგან, მეფეო,  
 სხვანი ლხინისა შროშანი ჰვიან ფერადნი, მეფეო,  
 ზამბახის მგავსად განელო სიუხვის პირი, მეფეო,  
 სიმდიდრის იასამანსა სუნით აღევსო, მეფეო,  
 ქარ-მრავლობისა ყაყაჩო, ლალა, ხაშხაში, მეფეო,  
 მიხაკის სუნის ფერისებრ შინაყმა ბევრი, მეფეო,  
 მღვიძრობის ფერის ნარგიზის სიხშირე იყო, მეფეო,  
 სიფერადენი ზარდახშის ინის ყვეილებრ, მეფეო,  
 სვე-სვიანობის სასახლე შიგ იდგა ცამდის, მეფეო,  
 დოვლათის შადრევანები მალა ისროდნენ, მეფეო,  
 თაე-მალლობისა აღევანი ღრუბლაშდე იდგნენ, მეფეო,  
 სიხარულისა არღევანს მრავლად ჰპოვებდი, მეფეო,  
 მტერთ გულის ფერსა სუმბულსა სიმრავლე ჰქონდა, მეფეო,  
 კარგთ გულ ფერისა შაბუნი იდგა მრავალი, მეფეო,  
 გოვარის თასთა ამბარ-ბუ შიგ გაშლილ იყო, მეფეო,  
 ეს ასე შეჰქმნა სოფელმან, ახლა რომ ვიტყვი, მეფეო<sup>29</sup>.

<sup>28</sup> ამ ლექსის სიახლისა და თავისებურებათა შესახებ იხ. ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. X.

<sup>29</sup> ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „ლექს-ამბავი“, თხზ., გვ. 6, დასახ. გამოც.

ამ შესანიშნავი, სამოთხის დარი წალკოტის, ამ საოცარი სამე-  
ფუფოს ზემომოყვანილი აღწერის შემდეგ დ გ ე ბ ა ს ა კ ი თ ხ ი ს ა მ-  
ყ ა რ ო ს კ ა ნ ო ნ თ ა ა მ ა ო ე ბ ი ს და უ ხ ა ნ ო ბ ი ს შ ე ს ა-  
ხ ე ბ, რომლის მსხვერპლი შექმნილა ვახტანგის მეფობაც და მისი  
სამშობლოს კეთილდღეობაც.

ამ საკითხის დაყენებით ვახტანგი უახლოვდება რომანტიკოსთა  
მხატვრულ ხედვას, მათ თვალსაზრისის სამყაროს ბედუქულმართო-  
ბის შესახებ. ამავე ტიპის განწყობილება არაერთხელ გამოხატეს  
შემდგომში ალ. ჭავჭავაძემ, გრ. ორბელიანმა, ნ. ბარათაშვილმა. ამ  
რომანტიკოსთა გამომსახველობითი ფორმები იყო ახალი, მაგრამ  
ეროვნული ლიტერატურის ტრადიციების გავლენა ყოველთვის დიდ  
როლს ასრულებდა მათ შემოქმედებაში.

ვახტანგის პოეზიაში წარმავლობის ტკივილს მოუცავს ყვე-  
ლაფერი. იგი იჭერს ადგილს, სადაც ოდესმე სუფევდა ბედნიერება.  
„ლექს-ამბავიც“ სწორედ ასეთ განწყობილებას ეძღვნება. — მეფის  
აყვავებული წალკოტი გახმა, დაზრა, აღიგავა პირისაგან მიწისა, მი-  
სი მშვენიერება იქცა უნაყოფო უდაბნოდ, — როგორც იქცა ვახ-  
ტანგის ცხოვრება, გავერანებულ ბაღად. ასეთია „სოფლის“ კანო-  
ნი, —

ანასღად ცამან მოპლრუბლა, ნეფხერა, გამოსჩნდა, მეფეო,  
დააზრო, ზოგი გაახმო, დასცივიდა სრულად, მეფეო,  
სახლთ წვიმა-სეტყვით მიეცა ნოტიო დიდი, მეფეო,  
გრივალმან ქარმან იქროლა, შეკმუსრა სრულად, მეფეო,  
შადრევენები ნამსხვრევით აღივსო, დასქდა, მეფეო,  
ალვა ძირითურთ აღმოჰფხვრა ქარის სიმძაფრემ, მეფეო,  
სჩანს უნაყოფოს მიწოდრად, აწ ახლა იგი, მეფეო,  
სოფლის სიმუხთლე ასეა, რად ვინ სდევს, მიკვირს, მეფეო!  
აწ შენ ამისთვის რად სწუხარ, უცხოდ მჩანს, ვახტანგ მეფეო<sup>30</sup>!

ვახტანგის ლექსის ფილოსოფიური განზოგადება, ზეაწეული  
კილო და ალევორიული ფორმა, დახვეწილი სტილი, მაღალმხატვ-  
რული სინატიფით გამოთქმული სევდა-ნაღველი, სამშობლოსა და  
გვირგვინის დამკარგავი მეფისა, — ვახტანგის უბედობას მისი პოე-  
ზიის ბედნიერებად აქცევს.

<sup>30</sup> ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „ლექს-ამბავი“, თხზ., გვ. 6.

აღ. ჭავჭავაძის ლექსი „ეპა, ჩემო ოცნება“, გარკვეული ხაზით ეპასუხება ვახტანგ VI-ის მწვავე ელეგიას „ლექს-ამბავი“.

ეპა, ჩემო ოცნება, კვლავ რად წარმომედგინე  
და დასი მცნობთ ჩვენებათ უბრალოდ რად მომფინე?  
რად მიჩვენებ სახესა წარსულთა მათ ნუგეშთა. —  
ერთხელ ჩემის სიცოცხლის ნაზად დამატკობელთა,  
რომელნიცა მე ბედმან უწყალოდ დამითრგუნა  
და გლახ მე მარად მტირალს მცირედიც არ მარგუნა.

ნუ მიტყვებ, ოცნება, მომეც ძველნი ხილვანი,  
მომეც მე ძველნი ცრემლნი და ძველნიცა ოხვრანი;  
წარსულისა სიცოცხლის ნიაფი კვლავ დამჭროლე  
და დამამწვრალს სულსა ჩემს სიტკბო მით განუახლე.  
გვედრებ, ნულა მშორდები, განმიგრძე სიხარული,  
რომე ხსოვნითა ოდენ დაეიტკბო წყლული გული<sup>31</sup>.

აღ. ჭავჭავაძის ლექსი ახალია, მას ფორმაც თავისი აქვს, მაგრამ ვახტანგის გოდებას და ჭმუნვას უერთდება თავისი წარმავალობის სევდით. მწუხარე ოცნებებში წასული ხილვებით, რომელიც აგრეთვე სამშობლოს ბედ-იღბალს უკავშირდება. ვახტანგის „ლექს-ამბავის“ თემატიკას ენათესავება აღ. ჭავჭავაძის მეორე ლექსიც, „ბავლე პირველის სასახლისადმი“.

სამშობლოს მოშორებული ვახტანგ მეფე მუდმივ ოცნებებშია იმ გარდასულ, სევბედნიერ დღეთა გამო, როცა მეფობით ძლევა-მოსილი მშობლიურ მხარეში იზიარებდა თავისი ქვეყნის ჭირსა და ღბინს, მისი ცხოვრების წესის მომხიბვლელობას და სილამაზეს, მისი მზის სითბოს. ემიგრაციაში მყოფი პოეტი ჭმუნვასა და კაემანს უერთებს მოგონებათა ამ რომანტიკულ მზერას. მსგავს განწყობილებათა გამოხატულებაა ვახტანგის შესანიშნავი ლექსი, — გაზსენება თბილისისა მაისის თვეში.

რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა,  
მწვანედ ლელავდეს გარემო, ცის ცვარი მასზე ესხასა<sup>32</sup>.

სამშობლოს დაკარგვის გამო სევდა და რომანტიკული მზერა უერთდება ვახტანგის პოეზიაში ზოგადი ხასიათის გოდებას წუ-

<sup>31</sup> აღ. ჭავჭავაძე, „ეპა, ჩემო ოცნება“, ლექსები, თბ., 1949, გვ. 81.

<sup>32</sup> ვახტანგ VI, „მაჟამა“, 11, თბზ., გვ. 44.

თისოფლის კანონთა ამოებებზე. ამ თემისადმი ლირიკული ლექსების მთელი წყება მიუძღვნია პოეტს, —

დავემონე კაეშანსა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად,  
მელნად ნაღველს მოვიხმარებ, აღმოვაწებ გულსა კალმად;  
ლხინის ბალის მოსარწყავად ცრემლი მიმდის გასალამად,  
და ეელი სამე გამომიჩნდეს გამოძყვანი დასამალად<sup>33</sup>.

წუთისოფლის გამო ტირილი და გოდება, დამკვიდრებული აღორძინების ხანის ქართულ პოეზიაში თეიმურაზის მიერ, ვახტანგის შემოქმედებაში ფართოდ გასაქანს პოეზებს. თითქმის ყველა მისი ლექსი, სატრფიალო, დიდაქტიკური თუ ელეგიური ხასიათისა, გამსჭვალულია სოფლის სამღურავის თემით. ვახტანგის ყველა ნაწარმოებში შეხვედებით ლირიკულ წიაღსვლებს, რომლებიც სავსეა ოხვრით და გოდებით წუთისოფლის უხანობის, მისი დაუნდობლობისა და ვერაგობის გამო. ეს თემა, რომელიც თეიმურაზ პირველიდან გადმოვიდა ემიგრანტ პოეტთა შემოქმედებაში, მე-18 — 19 საუკუნის ქართულ პოეზიაში ფართოდ იშლება. სოფლის ამ აოების თემა, რომანტიკოსთა პოეზიისათვის ასეთი ნიშანდობლივი და ქართულ რომანტიზმში ასე კარგად გამოხატული, ემიგრანტულ პოეზიაში ვახტანგ VI-ისა და გურამიშვილის შემოქმედებით განსაკუთრებულ ძლერადობას აღწევს.

წუთისოფლისა და მისი ამ აოების შესახებ მოთქმა ვახტანგის პოეზიაში უერთდება პოეტის პირადი უბედურების გამო ტირილს, რომელიც გადადის ზოგად, სიკვდილ-სიცოცხლის კანონთა შესახებ გარჩევა-მსჯელობაში.

მიავას ჩვენი სიცოცხლე რუსთა წალკოტის წესებასა,  
რა გამოჩნდება ნაყოფი, ჳია სჳამს ბევრ ათასებასა,  
სისრულეშია სიცივე დაჟრის და დააკენესება.  
და დანაშწიფარსა ყინული ფოლადებრ დააკევისებასა.

მიხედე, ჟამმა რა მიყო ცრუმა და ანასდეულმა,  
დასწყნარდი, ბოლო მოუღე სიჩქარით ანასდეულმა,

ცუდ უბედობით ვაწრომებ დღესა, დროსა და ჟამებასა,  
რუსთა ზაფხულებრ გაივლის მოსოფლიოსა წამებასა,

<sup>33</sup> მისივე, „კაეშანი“, 1, თხზ., გვ. 8.

რა გამჯევეს, ანუ რა დამრჩეს, ვით რამე დამიამებსა?  
და უნაყოფოსა ვემსგავსე ხისა რისაჲმ გვაშეგებსა.

წყალმან არა ქნას სისველე, რითლა ეწოდოს წყალია?  
ცეცხლმან არ დასწვას ნივთები, სად გამოჩნდება ალია?  
აგრევე სოფელმან ცქათობა, მითხარ, რა მოსაკრძალია?  
და ბუნების საქმეს იქმონენ უცვლელად, დაუშალია<sup>34</sup>.

ლირიზმი და გულის სევდა-ნაღველი, პიროვნების წუხილი და პირადი უბედურება, პიროვნული განცდა პოეტისა, რომელიც არ გვევლინება არც უებრო გმირად და გამარჯვებულ მონარქად, არც უებრო მიჯნურად, — ასეთია ლირიკული გმირი ვახტანგისეული პოეზიისა. ამ გმირს აქვს თავისი მძლავრი ტკივილები ცხოვრების კანონთა შეუსაბამობის გამო და იმ დიდი დანაკარგის გამო, რომელსაც ანაზღაურება არ უწერია. ვახტანგის პოეზიის ლირიკული გმირი მწუხარე და უბედურია, იგი გადახვეწილია უცხო მხარეს და მოხეტიალე, მიუსაფარ პიროვნებად გვევლინება.

ეს ლირიკული გმირი, ეს მიუსაფარი, მოხეტიალე მეფე-მგოსანი, მკაცრი სინამდვილით უწყალოდ დასჯილი, რომ ანტიკულ გმირთა სახეების წინამორბედი ა.

გამოუვალი მდგომარეობის სიმძიმე და პიროვნების უსასოობა მიმოფანტული სტრიქონებად ვახტანგის ლექსებში, სოფლის სამღურავთან ერთად ქმნის ვახტანგის პოეზიის ძირითად ტონს და ელენთავს მთელ მის ლირიკას. ამ მხრივ საინტერესოა ვახტანგის ვრცელი ლირიკული ლექსები, „სალბუნად გულისა“ და „მაჯამა“, სადაც კაემნით მოცული მოხეტიალე გმირის სოფლისადმი მღურვა და საყვედური მიმობნეულია სატრფიალო და გულის გასართველ სტროფებს შორის, —

გამსაჯა მიწყვი სოფელმან, უფრო ყველასგან აჯამა,  
არ შემიწყალა არათი, არ გამომართვა აჯამა,  
ამავსებინა ცრემლითა კალთა, ფილა, ა ჟამა,  
და მწვე მომაწყინა სოფლისა ასე უბრალოდ გარჯამა<sup>35</sup>.

აქვეა მოხეტიალე გმირის მწარე ბედისწერის ამსახველი სტრიქონები, —

<sup>34</sup> ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „კაემანი“, 3, 4, 7, 9. გვ. 8—9.

<sup>35</sup> ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „სალბუნად გულისა“, 2, თხზ., გვ. 10.

დაუტევე სახლ-სამყოფი, თვისნი ტომნი, მონა'ები,  
დავკარგულვარ უცხოს თემსა, ვარ არვისჯან მონაძეები<sup>36</sup>.

ეს გადახვეწილი გმირი სოფლისადმი მღურვით და სევდიანი  
ლექსთა მოთქმით იოხებს გულს, —

დამწვა სოფლისა საცდურმა, ველარა სცემოს მაჭამა,<sup>37</sup>

აცხადებს იგი. ან კიდევ, —

თავი დავაბი ჭირსა და ვზივარ უხსნელსა კარებსა,  
წამ-და-წამ ვისმენ ამბავსა სამსალის უფრო მწარებსა;  
აეს შექადიან სიკვდილსა, მტერთაცა შესახარებსა<sup>38</sup>.

აქვე ყურადღებას იპყრობს საყვედური პოეტისა მახლობლებ-  
ზე და ქვეშევრდომებზე, რომლებმაც ვერ გაიტანეს და არ უთანა-  
გრძნეს უბედურებაში ჩავეარდნილ მეფეს, —

ყმაზე წამიხდა წყალობა, ცუდ რაცა სამსახურები,  
ამხანაგთხედა სიკეთე, სხვათაგან შესაშურები,  
ძმათა და თვისთა მოყურობა, რა ჩემგან მოსახურები  
და განმაძეს ასე უბრალოდ თვალთ ცრემლთა მონაწურები<sup>39</sup>.

ნიშნეულია კვლავ წუთისოფლისადმი მღურვა და შემდეგ სა-  
კუთარ შეცდომათა გამო მწარე სინანული და აღიარება, —

ცრუვმან სოფელმან სიმუხლით, მწვე მიკვირს, ჩემთვის აგო რა!  
მან კაეშანი უხსნელი შეყრით შეჰყარა, აგორა.

რას ვაბრალებ საწუთოსა, ვამბობ, მიყო ამან ესო,  
რაც მე შეევცი შესასმელი, ესე ხელსა ვისცა ესო?  
ვარდი მელგა ბალსა ჩემსა, ან თუ სამე ნარი ესო,  
და მე აღმოვფხვერ, სხვას ვის ეძლო მისთვის რამე ძირსა ესო<sup>40</sup>?

ვახტანგის პოეზიაში ყურადღებას იპყრობს სოფლის სიმუხთ-  
ლის გამო ზოგადი ხასიათის მსჯელობა, სადაც ყოფიერების კანონ-  
თა სიმკაცრეზე და სივერაგეზეა ლაპარაკი, —

<sup>36</sup> იქვე, 3.

<sup>37</sup> იქვე, 5.

<sup>38</sup> იქვე, 74.

<sup>39</sup> იქვე, 77.

<sup>40</sup> ვ ა ხ ტ ა ნ გ VI. „სალბ უნად გულსა“, 79, 80, თხზ., გვ. 20.

სოფლის ხლათის დაფაცვრითა ჳირს დავები გაუგებსა,  
უცხო რამ სჳირს, ზოგს ლხინს მისცემს, ზოგს ლახვარსა გაუგებსა;  
ზოგს ავორებს ეკალზედა, ზოგსა ვარდსა გაუგებსა  
და ზოგს ძირამდის სახლს დაუქცევს, ზოგს ჳორედად გაუგებსა<sup>41</sup>.

ამიტომ, წუთისოფლის ამ თვისებათა გამო პოეტუი აფრთხილებს  
აღამიანებს, —

ნუ მიენდობი უნდოსა, ბოლოს არ გიყოსთ ძალია<sup>42</sup>!

სოფლის სამღურავის და ლირიკული მოხე-  
ტიალე გმირის გოდების თემას უკავშირდება ვანტანგთან  
სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, მის გამო გამოთქმუ-  
ლი უქმაყოფილება. ამ თემისადმი მიძღვნილია ვანტანგის ელეგიუ-  
რი ხასიათის ლექსი „ვაი სიკვდილო“..

ამ ლექსის მწვავე პესიმიზმი და გოდების ტონი კიდევ უფრო  
გაძლიერებულია რეფრენით, — „ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვ-  
დილო“!

რა დაეზადე, სოფლით ვიზადე. ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!

მეგონა რამე, სოფლისა რა მე, ვაი...

მოვპყევე სოფელსა, ავის მყოფელსა, ვაი...

განცხებრ, ვიშვებდი, ვერ გავიშვებდი, ვაი...

მატებო, მაგემა არად სარგემა, ვაი...

შენ ვერ გიცნობდი, თუმცა მიხმობდი, ვაი...

მოხველ ანასდად, მტრად, და არ ჩემ დად, ვაი...

მომკალ, მომკვეთე სოფლის მოკეთე, ვაი...

სხვგან გამზხაენე, დამხვდა მე შვენე, ვაი...

მუნ გამიკითხეს, დამცეს, დამწნიხეს, ვაი...

რად ენდევე სოფელს, ანასდის მყოფელს? ვაი...

თუ იქ იხარე, აქ კი იხარე, ვაი...

დამხდენენ მტარვალნი, მწარედ მტანჯველნი, ვაი...

ულხენი მიმევა, მოთხრეს ეს სიტყვა, ვაი<sup>43</sup>.

სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა, სიკვდილისა და იმიერ სოფ-  
ლის მწარე საზღაური და მის კანონთა სისასტიკე დაკავშირებულია

<sup>41</sup> იქვე, 91, გვ. 21.

<sup>42</sup> იქვე, 98, გვ. 22.

<sup>43</sup> იქვე, „ვაი სიკვდილო“, გვ. 3.



ამ ლექსში პოეტი-მეფის ამქვეყნიურ უბედურებასთან. ადამიანის დაბადება, რომელიც ბედნიერებად ითვლება, თანდათან მიდის სიმწარისაკენ და ბოლოს სიკვდილისაკენ. ასეთია ამ ლექსის მთავარი აზრი. იმედებით სავსე ახალგაზრდობას, ჰაბუკუერ გართობასა და სიტკბო-სიხარულს მალე მოელება ბოლო, მოვა გამოუცნობი ბედისწერა, ერთბაშად თავს დაატყდება კაცს, მოიტანს ტანჯვას, წამებას, დაგვაშორებს საყვარელ ადამიანებს და ჩვენს სამშობლოს. როცა ერთხელ დაიწყება ბედის ეს დევნა, მას ხომ არა აქვს დასასრული, — ერთ უბედურებას მოსდევს მეორე, და ბოლოს, სასომხდილი და მუდმივ უიმედობაში მყოფი ადამიანი ტანჯვით უნდა მოკვდეს. მაგრამ განა ამით მთავრდება ყოფიერების სიმწარე? იმ სოფელში კვლავ ახალი სატანჯველები ელოდება ადამიანს, — პასუხისგება ამქვეყნიურ შეცდომათა გამო. მარადიული სამსჯავროსა და მისი მკაცრი კანონების შესახებ ფიქრი კიდევ უფრო სატანჯველს ხდის კაცის უსასოო ყოფიერებას... ასეთია ამ სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემათა, არსებობისა და არარსებობის საკითხთა შესახებ გამოთქმული ელეგიის განწყობილება და აზრი. ვახტანგის ელეგია სიკვდილ-სიცოცხლის საკითხზე, გამოხატავს უაღრესად პესიმისტურ, უარყოფით დამოკიდებულებას ყოფიერებისა და წუთისოფლის კანონთა შესახებ, რაც ვახტანგ მეფის პოეზიის საერთო ხასიათს სრულიად შეესაბამება.

ვახტანგის ლექსის „ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!“ — თემისა და ძირითადი საკითხის ახლებურ გადაწყვეტას ვხედავთ ალ. ჭავჭავაძის ლექსში „სხვადასხვა დროისათვის კაცისა“. ალ. ჭავჭავაძის ლექსი რომანტიკული ხასიათის ნაწარმოებია, რომელიც ეძღვნება აგრეთვე სიკვდილ-სიცოცხლისა და ამაოების პრობლემას. ლექსში გადმოცემულია კაცის ამაო ცდა, რომელიც ადამიანურ არსებობის კანონს ვერასოდეს შეცვლის. ეს კანონია — ბედის სიმუხთლე, ტანჯვა, დაუქმყოფილებელი სურვილების არსებობა და ბოლოს გარდაუვალი სიკვდილი, ადამიანის მწარე ცხოვრების მწარე დასასრული. მორალი ამ რომანტიკული ნაწარმოებისა არის პროტესტი ადამიანური არსებობის კანონებისადმი, ხოლო ცხოვრება გამოხატულია მისი ერთი კუთხიდან — უარყოფითი მხრიდან. ალ. ჭავჭავაძის ლექსი ასეთია:

ეს სოფელი, სამყო ძნელი, მჩვენებელი კმუნვის აღთა  
რა ემშვებით, მყისვე ესტირით, ვით წინად მგრძნი მომავალთა,  
მოვიზრდებით წიგნის კითხვით, არ გაგვიშრობს მწვრთნელი თვალთა,  
ჟამი ჰვიროკს, იგი გვიძახს: შეუღეჟით სიბრძნის კვალთა.  
რა პასაკსა შევალთ, ახლად ჰირი უფროს გვემრავლებს!  
თვალი გულს ჰსცვლის, გული გრძნობას, გრძნობა ტრფობას ემსჰვალბებს;

ოდეს შვევალთ ხანსა სრულსა, მაშინ კელაგუა სხვა გეაქვს წუხვა;  
არა ეკმაობთ საკმაოთა, ნდომა ჩვენი უზომ, უხვა,  
გვსურს დიდება, გვსურს პატივი, გვსურს სახელის განთქმა, ქუხვა;  
რა ვერ ვპოვებთ საწადელსა, მეგვექმნების შურით კმუხვა.

„ეკლესიასტეს“ ამაოების განწყობილებიდან მომდინარეობს ცხოვრების მსგავსი გაგება, რომელიც ქართულ ლიტერატურაში საკმაო გავრცელებას ჰპოვებს. აღ. ჰავჰავაძის მხატვრული გააზრება სიკვდილის დასასრულისა მეტად ახლოა ვახტანგ მეფისეულ გაგებასთან.

აღ. ჰავჰავაძე წერს:

სიკვდილისა წინამძღვარად მოვლენ სენნი მახვილთ ღებით,  
მათგან ერთი გვეუმს და გვეტყვის „ახით ნაშენო, მოკვლით ვებით“<sup>41</sup>!

ვახტანგ მეფის მიერ მსგავსი საკითხების დაყენება თავის შემოქმედებაში, მნიშვნელოვანი წინარე მომენტი ქართველი რომანტიკოსებისათვის. აღ. ჰავჰავაძეს ამ მხრივ აქვს შესანიშნავი ნიადაგი ეროვნულ მწერლობაში, საიდანაც იგი თავისუფლად საზრდობს და თავის მხრივ ახალ სიცოცხლესა და ახალ ჟღერადობას ანიჭებს მშობლიურ ლიტერატურაში უკვე არაერთხელ დამუშავებულ სიკვდილ-სიცოცხლის თემატიკას. ამ თემის გააზრება ვახტანგის მიერ განსაკუთრებით ახლოა სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემის აღ. ჰავჰავაძისეულ გადაწყვეტასთან.

წუთისოფლის სევდას და მის გამო წარმოშობილ პესიმისტურ განწყობილებას უკავშირდება ვახტანგის პოეზიის მისტიკური მხარე. რელიგია, იმჰვეყნიური არსებობა, იმიერ სამყაროს სამართალი და მარადიული ცხოვრების პოეზია ვახტანგის შემოქმედებაში საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. ამ მხრივ ვახტანგის შემოქმე-

<sup>41</sup> აღ. ჰავჰავაძე. „სხვადასხვა დროისათვის კაცისა“, ლექსები, თბ., 1949, გვ. 32.

დებაში ორი მომენტია საინტერესო. ერთია — ლექსები, მიძღვნილი მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ტანჯული, ამქვეყნიური ცხოვრებისადმი, — ესენია, „ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლები მარიამისა“ და „ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა“. მეორე რიგის მისტიკური ხასიათის ლექსებია ღვთაებისადმი მიძღვნილი ალეგორიული სატრფიალო-სამიჯნურო ფორმით დაწერილი შესხმანი.

კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ალეგორია, რომელსაც მიმართავენ აღორძინების პერიოდის მწერლები, გამოწვეულია იმდროინდელი სინამდვილით, როცა ისინი იძულებული იყვნენ დაემალათ თავიანთი გრძნობები.<sup>45</sup> აქვე გავიხსენოთ ვახტანგის განმარტება ვეფხისტყაოსნისა, ღვთაების სატრფიალოდ და საქებრად დაწერა შოთამ ის ლექსებით, — „მიჯნურობას სამლთოს მიჯნურობისათვის ამბობს“<sup>46</sup>.

ვახტანგ მეფის ღვთაებისადმი ალეგორიულ-სამიჯნურო თემატიკას როცა შეეცხებით, აქვე აღნიშნავთ, რომ მსგავსი ხასიათის ალეგორიული სამიჯნურო-ქებითი შესხმანი, უფრო მრავალფეროვანი, მაღალი პოეტური ღირსებებით შემკული შექმნა გურამიშვილმა. გურამიშვილი ამ მხრივ დავალებულია თავისი მასწავლებლისაგან, ვახტანგ მეფისაგან. რაც შეეხება ამ თემის თავდაპირველ შემოტანას აღორძინების პერიოდის ქართულ პოეზიაში, აქ თავისი წვლილი მიუძღვის თეიმურაზს. მის პოეზიაში მსგავსი ხასიათის შექმნა-მიძღვნები ღვთაების მიმართ შეინიშნება. ალეგორიულ-სამიჯნურო თემატიკის დამწყებად აღორძინების პერიოდში თეიმურაზ პირველი გვევლინება. თეიმურაზთანაც და ვახტანგთანაც, საერთოდ, აღორძინების პერიოდის ქართულ პოეზიაში, ღვთაების ამ სახით შესხმა ქრისტიანული პოეზიის გარდა, მოდის სპარსული მის-

<sup>45</sup> კ. კეკელიძე, ზოგიერთი საკითხი დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიიდან, ლიტერატურული ძიებანი, X, 1956, გვ. 164.

<sup>46</sup> ვახტანგ VI. „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა, თქმული ბატონის შვილის გამგებლის პატრონის ვახტანგისა“, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, აღდგენილი ა. შანიძის მიერ 1937 წ. თბ., 1975, გვ. სეპ. ვახტანგ VI-ის ვეფხისტყაოსნის განმარტებების შესახებ იხ. სპეციალური გამოკვლევები, 1. ს. ცაიშვილი, რუსთველოლოგიური მიჯნურობის განმარტება ვახტანგ VI-სთან, კრებ., ძველი ქართული მწერლობის საკითხები, 2, 1964; 2. შ. ონიანი, ვახტანგ VI-ის რუსთველოლოგიური ნააზრევო, მაცნე, ენისა და ლიტ. სერია 1973 № 4.

ტიკური პოეზიიდან, სუფისტური ლიტერატურიდან, სადაც ღვთაების მიმართ სატრფიალო საგალობლების სახით გამოთქმული ალევორიული მიჯნურობა შერწყმული მაღალ მისტიკასთან მეტად დამკვიდრდა<sup>47</sup>.

ვახტანგ VI-ის პოეზიის ძირითადი ხაზები და მიმართულება შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს, — მისი პოეზია დავალებულია ყველაზე მეტად თეიმურაზის პოეზიით, როგორც ლიტერატურული წყაროთი და სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული და მორალურ-ეთიკური სამყაროთი. ვახტანგის პოეზიის მიმართულებისა და მისი ლიტერატურული თვალსაზრისის შემუშავებაში დიდ როლს თამაშობს მისი პირადი ცხოვრება, ამ ცხოვრების თავისებურება, უიღბლო მეფობა, აგრეთვე მის თვალწინ გათამაშებული ეპოქალური მოვლენები, ეპოქის სული და მაჯისცემა. თავისი მხრივ, ვახტანგის პოეზია, მისი სევდიანი კილო და ნაზი ლირიზმი, ახდენს გავლენას მის თანადროულსა და მომავალი ხანის ქართულ პოეზიაზე. ვახტანგის ლირიკის ელევგიური ტონი, მისი პესიმიზმი და ადამიანური თბილი ინტიმი, მის მიერ შემუშავებული ახლებური სალექსო ფორმები, ტრადიციული პოეტური ხერხებისაგან განთავისუფლება დიდად უწყობს ხელს ქართულ პოეზიაში ახლის დამკვიდრებას. ვახტანგის შემოქმედების ეს თვისებები ქმნის ერთ-ერთ შორეულ საფუძველს მომავალი, ახალი ლიტერატურის წარმოშობისათვის, სადაც პესიმისტური ტონი, ლირიზმი, გოდების კილო და დევნილი ლირიკული გმირის განცდები მიიღებენ ახალ სიცოცხლეს, სრულიად ახლებური თვალსაზრისით აღიქმებიან და წარმოშობენ მძლავრ ლიტერატურულ მიმართულებას, რომანტიზმს. ქართულ ლიტერატურაში ეს მიმართულება ეზიარა ზოგადსაკაცობრიო ტიპივლებს და შექმნა ეპოქასთან დაკავშირებული დიდი პოეტური სახეები.

სრულყოფილი ხორცშესხმა ქართული პოეზიის ბედისაგან დევნილ ლირიკულ გმირს დაუდგება მაშინ, როცა მსოფლიო ლიტერატურული ტენდენციები ამისათვის მომზადებული აღმოჩნდება. შექმნის გარკვეული საფუძველებით განპირობებულ მიმართულებას.

<sup>47</sup> ამ საკითხთან დაკავშირ., იხ., 1, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. Отражение восточного суфизма в древне-грузинской поэзии, ეტიუდები, ტ. II, 1945; 2. ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, რუსთველოლოგიური მიჯნურობის განმარტება ვახტანგ VI-თან;

საქართველოში მსგავსი გმირის სულიერი სიცოცხლის წარმოქმნი-  
შათვის ამ ახალ მიმართულებას და მის ახალ გმირს საკმაო საფუ-  
ძველი დახვდება. ეს საფუძველი მომზადებული იქნება მისი ეროვ-  
ნული ლიტერატურული ტრადიციებით, მისი მორალურ-ეთიკური  
და სარწმუნოებრივი ნორმებით და ბოლოს, მისი ისტორიული ცხო-  
ვრებით.

\* \* \*

ვახტანგ მეექვსის კარზე, ემიგრაციაში ყოფნისას, რუსეთში,  
აღიზარდა და განვითარდა დავით გურამიშვილის პოეტური ტალან-  
ტი. ვახტანგის წრეში, მოსკოვში, მის ლიტერატურულ სამყაროში  
და ამ სამყაროს გემოვნებასა და თავლასაზრისის ატმოსფეროში  
ჩამოყალიბდა გურამიშვილი, როგორც პოეტი, როგორც მოაზროვ-  
ნე და იმდროინდელი ქართული ლექსის ნოვატორი. დავით გურამი-  
შვილის მსოფლმხედველობისა, ლიტერატურული გემოვნებისა და  
სტილის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა თვით  
ვახტანგ VI<sup>48</sup>.

ვახტანგ მეფე სიბრძნესა და მეცნიერებას დაწაფებული პირო-  
ვნება იყო. იგი ცდილობდა არ ჩამორჩენოდა — რამდენადაც მო-  
სახერხებელი იყო მისი მდგომარეობისათვის — იმდროინდელ მსო-  
ფლიოში მიღწეულ მეცნიერულ და კულტურულ განვითარების  
დონეს. ვახტანგის შემოქმედებაში თავი იჩინა აშკარად გამოხა-  
ტულმა დიდაქტიკურმა მოტივებმა. ეს მოტივი ქართულ ლიტერა-  
ტურაში, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით განავრცო და მაღალ  
პოეტურ დონეზე აიყვანა დავით გურამიშვილმა. დიდაქტიკური მო-  
ტივის გარდა დავით გურამიშვილი ვახტანგისაგან დავალებულია თა-  
ვისი შემოქმედების სხვა მხარეებითაც. ასეთებია დავით გურამი-  
შვილის რელიგიური ხასიათის საგალობლები, შესხმები ღვთაება  
მზეთა-მზე მაცხოვრისადმი და სხვ. მაგრამ აქაც, ისევე, როგორც  
თავისი პოეზიის დიდაქტიკურ მოტივში, გურამიშვილს შეაქვს თა-

<sup>48</sup> ამ საკითხებთან დაკავშ. იხ. 1. ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დავით გურამიშვილი, თბ.,  
1931, გვ. 77—80; 2. გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, ტრაგიკული პოეტი (დავით გურამიშვილი),  
კრიტიკული ეტიუდები IV, თბ., 1963, გვ. 56; 3. გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ცხოვრება და-  
ვით გურამიშვილისა, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958, გვ. 243.

ვისი საკუთარი დამოკიდებულება თემისადმი, საინტერესო და მრავალფეროვანი სიახლენი, რის გამო გურამიშვილის პოეზია სრულიად ახალ საფეხურზე აღის და განსაკუთრებულ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ელფერს იძენს. რაც შეეხება სიკვდილ-სიცოცხლისა და სოფლის სამღურავის თემებს, რომლებიც დავით გურამიშვილის პოეზიას ესოდენ მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის, აგრეთვე ტრადიციულად, უშუალოდ ვახტანგისაგან გადმოდის მის შემოქმედებაში, გურამიშვილი სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემატიკის ვახტანგისეულ გაგებას მსოფლმხედველობრივადაც იზიარებს, ხოლო? პოეტურ სამოსსა და ინტერპრეტაციას აძლევს თავისებურს, ახლებურს. ცხობილია, რომ დავით გურამიშვილმა შემოიტანა სრულიად ანლებური თემები ქართულ პოეზიაში, ასეთია საკუთარი თავგადასავლის გაღეჭვა, რომელიც შეადგენს „დავითიანის“ უმეტეს ნაწილს. ამ თემის ირგვლივ და მის ქარგაზე აგებულია გურამიშვილის მთელი პოეზია, — „სოფლის სამღურავი“, „საწუთროს გამო ტირილი“, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემის დაყენება და ამ პრობლემის თავისებური გადაწყვეტა. ამავე ქარგაზეა აგებული დავით გურამიშვილის შესხმები ღვთაებისადმი<sup>49</sup>. რომელსაც უძველეს ხალხურ პოეტურ მზეთა-მზის სახით წარმოსახავს ავტორი, მსგავსი გაგება ამ პოეტური სახისა წარმოადგენს ძველი რელიგიის მზის კულტის საგალობელთა ნაშთებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გურამიშვილის „დავითიანი“ მთლიანად დაწერილია საგალობლების პრეტენზიით და განწყობილებით. პოეტს, როგორც მისივე განცხადებიდან ჩანს, მონხად ჰქონია დავით წინასწარმეტყველის საგალობელთა ტიპის თხზულება შეექმნა.

გურამიშვილის საგალობლები, ანუ სიმღერები, ბიბლიური დავითის ფსალმუნებისა და გალობების ხასიათს ენათესავენა თემატიკით და მიზანდასახულობით, რის შესახებ ავტორი კიდევ გვამც-

<sup>49</sup> გურამიშვილის პოეზიაში რელიგიურ მოტივთა თავისებურებების შესახებ იხ.; 1. კ. კ ე ე ლ ი ძ ე, ზოგიერთი საკითხი დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიიდან, ლიტ. ძიებანი, 1956, X, გვ. 159—170; 2. მ ი ს ი ვ ე, Отражение восточного суфизма в древне-грузинской поэзии, ეტიუდები, II, 1945, გვ. 181—285. 3. ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, დავით გურამიშვილი, ნარკვევები ძველი ქართული ლატერატურის ისტორიიდან, თბ., 1974; 4. ა. გ ა შ ე რ ე ლ ი ა, დავით გურამიშვილი, რჩეული ნაწერები, I, თბ., 1962; გვ. 58—65; 5. ე. მ ა ლ რ ა ძ ე, ცხოვრება დავით გურამიშვილისა, თბ., 1974, გვ. 388—291.

ნობს<sup>50</sup>. მაგრამ გურამიშვილი არ ბაძავს „ფსალმუნს“ ლექსიკით, არც სალექსო ზომებითა და ხასიათით. გურამიშვილის ეს „სიმღერები“ და „შესხმები“ თუმცა რელიგიური ხასიათისაა, მაგრამ სტილისტურად და თავისი პოეტიკით სრულიად განსხვავდება ზემოხსენებულ „ფსალმუნთაგან“, რომლებსაც პოეტი საკმაოდ ხშირად ახსენებს და შინაარსეულადაც იმეორებს.

გურამიშვილის სიმღერები მეტად ხალხურია<sup>51</sup> და თავისუფალი, ისინი დაწერილი არიან სრულიად ახლებური, არატრადიციული ლექსით, ხშირად სხვადასხვა ზომით და ინტერესს იწვევენ აგრეთვე თავისი მუსიკალობით, რეფრენებით და სხვ., ისინი ხომ სასიმღეროდ, გალობისათვის არიან დაწერილი.

საგალობლებისა და ღვთაებისადმი შესხმა-ვედრების თემატიკა თუმცა დიდად იტაცებს პოეტს, იგი მაინც არაა ძირითადი თემა გურამიშვილის შემოქმედებაში. მისი პოეტური მემკვიდრეობის ფასეულობას ყველაზე მეტად განსაზღვრავს ერთი მხრივ „ქართლის ჭირის“ თემატიკა, ხოლო მეორე მხრივ, მის ლირიკაში გამოვლენილი ინდივიდუალისტური ტენდენციები.

გურამიშვილის პოეზიის ნოვატორული ხასიათის შესახებ თავის დროზე აზრი გამოთქმევს ნ. ნიკოლაძემ და ი. ჭავჭავაძემ. გ. ქიქოძე წერს, რომ ქართულ ლექსს შოთა რუსთაველის შემდეგ ასეთი ნოვატორი არ ჰყოლია. ქიქოძის აზრით, გურამიშვილი კარგად იცნობდა თავისი დროის მოწინავე იდეებს, განმანათლებლობასა და ენციკლოპედისტებს, რომ ეპოქის სული და სიახლე მის პოეზიაში გამოვლინდა<sup>52</sup>. გურამიშვილის ენის ნოვატორულ ბუნებაზე მიუთითებს შ. ძიძიგური<sup>53</sup>. ა. გაწერელიას აზრით, გურამიშვილის ლირიკა უაღრესად სუბიექტურ ელფერს ატარებს<sup>54</sup>. გურამიშვილის ავტო-

<sup>50</sup> დ. გურამიშვილი, „დავითიანი“, „დავითის შესხმა პირველი“, თბ., 1955, გვ. 122.

<sup>51</sup> გურამიშვილის პოეზიის ფოლკლორულ ძირებთან ღრმა სიახლოვეს დაწვრილებით განიხილავს მ. ჩიქოვანი ნაშრომში, დავით გურამიშვილი და ხალხური პოეზია, თბ., 1955. აღნიშნულ ნაშრომში შესწავლილია გურამიშვილის პოეზიის მიმართება როგორც ქართულ ფოლკლორთან, ასევე რუსულ და უკრაინულ ხალხურ პოეზიასთან.

<sup>52</sup> გ. ქიქოძე, დავით გურამიშვილი, რჩეული თხზულებანი, 1, გვ. 57.

<sup>53</sup> შ. ძიძიგური, გურამიშვილის ენა, ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 1974, გვ. 53.

<sup>54</sup> ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, I, გვ. 60.

ბიოგრაფიული პოემის სუბიექტურ მხარეზე ჩერდება გ. ნატრო-შვილი<sup>55</sup>. ს. ჩიქოვანს გურამიშვილის „ქართლის ჳირი“ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ და ი. ჳავჳავაძის პოემა „აჩრდილის“ წინამორბედად მიაჩნია<sup>56</sup>.

გურამიშვილის ლექსთა დიდი ნაწილი დაწერილია სიმღერით წარმოსათქმელად. ამ გარემოებასთან დაკავშირებით ყურადღებას შევაჩერებთ შემდეგზე. აღორძინების პერიოდის მწერლობაში, თეიმურაზ პირველის, არჩილ მეფის და ვახტანგ მეექვსის შემოქმედებაში ლირიკული ნაწარმოებები არა სასიმღეროდაა განკუთვნილი, არამედ ლექსად სათქმელად. განსხვავებული გარემოება გვაქვს ბესიკთან და მის სკოლასთან, ე. წ. გარდამავალი პერიოდის პოეტებთან, ხოლო ახალ ქართულ ლიტერატურაში<sup>57</sup> აღექსნადრე ჳავჳავაძესთან. აღ. ჳავჳავაძისა და ბესიკის ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილი დაწერილია სიმღერისათვის. ისევე, როგორც ქართული ფოლკლორული ლექსების ნაწილი სიმღერებად წარმოითქმებოდა.

საკითხის ასე დაყენება გვაფიქრებინებს შემდეგს: გურამიშვილი და ბესიკი ერთურობის პოეზიას არ იცნობდნენ, ამ მხრივ რაიმეგვარ გავლენაზე ლაპარაკი ზედმეტია. საფიქრებელია, რომ არც აღ. ჳავჳავაძე იცნობს უშუალოდ გურამიშვილს, თუმცა მათ პოეზიაში საკმაოდ დიდი შემოქმედებითი ნათესაობა არსებობს. მაგრამ, დ. გურამიშვილი, ბესიკი და აღ. ჳავჳავაძე, სამივე ეს დიდად თავისთავადი, საკუთარი ხმისა და საეტაპო მნიშვნელობის პოეტი წერენ ლექსებს სიმღერად წარმოსათქმელად. ქრონოლოგიურად მათ შორის პირველობა გურამიშვილს ეკუთვნის, ხოლო აღ. ჳავჳავაძის შემოქმედებაზე ამ თვალსაზრისით ბესიკისა და მისი სკოლის ტენდენცია გარკვეულ როლს თამაშობს. გურამიშვილი და ბესიკი, ორივე ეს პოეტი მე-18 საუკუნეს განეკუთვნება და ერთმანეთთან დამოუკიდებლად პოეზიაში მიმართავენ ახალ ჟანრულ თავისებურებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ საქმე გვაქვს არა კონგენიალურ დამთხვევასთან, არამედ სხვა ფაქტთან. მე-18 საუკ. საქართველოში უკვე ისახება ტენდენცია ლიტერატურის ხალხურ, პოეტურ ფორმებთან მკიდროდ დაკავშირებისა. დემოკრატიული ტენდენციები და

<sup>55</sup> გ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, ვითა დავლამდი, ისე გავთენდი, თბ., 1960, გვ. 33.

<sup>56</sup> ს. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, რჩეული წერილები, თბ., 1963, გვ. 70.



მხატვრული შემოქმედების ხალხური ფორმები ნაციონალურ პოეზიაში გარკვეულ თავისებურებას წარმოქმნიან.

გურამიშვილი ოცი წლის ასაკში ტოვებს საქართველოს, მაგრამ მას თავისი ეროვნული ფოლკლორის სისხლძარღვეულ. ცოდნასთან და სიყვარულთან ერთად თან მიჰყვება ქართული პოეზიის დემოკრატიული ფენებიდან ჩასახული ტენდენცია ლექსის სიმღერად გამოთქმისა, რაც აღორძინების ხანის პოეტებისათვის ნიშნეული არაა.

გურამიშვილის პოეზიის ეს მხარე ნოვატორული მხარეა, იმდენად, რამდენადაც ქართულ ლიტერატურაში, სრულყოფილსა და მნიშვნელოვან, დასრულებულ ფორმას პირველად იგი აძლევს აღნიშნულ ტენდენციას.

გურამიშვილის პოეზიისათვის მეტად ნიშნეულია საგალობლებით გატაცება. მაგრამ იგი უარყოფს ტრადიციულ კლასიკურ ფორმას და ამ მხრივ დიდ ნოვატორულ თვისებებს ამჟღავნებს. საგალობლების თემით გატაცება საინტერესოა ლექსის ფორმისა და სტილის თვალსაზრისითაც, იმ უშუალობითა და ხალხურობით, რაც გურამიშვილის პოეზიას ახასიათებს ტრადიციული სალექსო ზომისაგან განსხვავებით.

პოეტი ქმნის ახალ ზომებს, რომლებსაც იგი იღებს უშუალოდ ხალხური პოეზიისაგან და ამით ტრადიციულ, კლასიკურ პოეტიკას ემიჯნება, სადაც ბატონობს 16 მარცვლოვანი შაირი. ამ ლექსთა ციკლისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ აქ შედარებები, მეტაფორები და სხვა მხატვრულ-სტილური კომპონენტები არ არის ყოველთვის ტრადიციული და კლასიკური, არამედ ქართული ხალხური პოეზიის რომანტიკისაგან მომდინარე, სავსეა სიტბოთი და უშუალობით.

ახალმა თემებმა და განწყობილებებმა მოითხოვა გამოხატვის თავისებური ფორმა, უშუალო და ახალი, ახლო მდგომარე ხალხურ მეტყველებასთან, ხალხური ენის პოეზიასთან, ხალხური პოეზიის გულწრფელ რომანტიკასთან...

საკუთარი თავგადასავლის გალექსვა, ძირითადი თემა „დავითიანისა“, თავისებური და სრულიად ახლებური მე-18 საუკუნის ქართული პოეზიისათვის. გურამიშვილის მთელ შემოქმედებას ჰყავს ერთი მთავარი გმირი, ეს არის თვით დავით

გურამიშვილი, რომლის ცხოვრების სულიერი წონასწორობისა და განცდების ასახვა მიზნად დაუსახავს პოეტს. გურამიშვილი წერს დიდტანიან ნაწარმოებს, სადაც მთავარი გმირი თვითონაა, არა მარტო განცდებითა და სულიერი ცხოვრებით სხვა გმირში განპიროვნებული, არამედ უშუალოდ, როგორც გმირი-პიროვნება, თავისი ცხოვრების ბიოგრაფიული მომენტებითურთ. პოეტი გამოდის საკუთარი „მეთი“, არა მხოლოდ როგორც ლექსთა ლირიკული გმირი, არამედ საკუთარი სახელით. ეს გმირი, რომელიც დაეხეტება უსიერ კლდე-ღრეებში თავის გადასარჩენად, განიცდის მრავალგვარ გასაჭირს და თავის დახსნის იმედს მიაღწობს ღვთაებასა და საკუთარ. დაულალავ მეცადინეობას. ამ გმირს არ სურს დანებდეს ბედისწერას და მიეცეს ჯოჯოხეთურ მონობას სამუდამოდ დასაღუბავად. ეს რომანტიკულად განწყობილი გმირი, კეთილშობილი და კეთილმორწმუნე, მუდმივ გასაჭირშია, მაგრამ ფილოსოფიურად განწყობილი, იგი ხან სულის ხსნისათვის ევედრება ღმერთს, ხან კი მოთქვამს საბრალო ლექსებს წუთისოფლის ამაოებაზე და უხანობაზე, ხანაც სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებით დაფიქრებული, ადამიანთა წარმოშობისა, კეთილისა და ბოროტის ქვეყნად არსებობის საიდუმლოების შეცნობას ცდილობს. „დავითიანის“ ეს გმირი გაპოეტურებული და გაიდეალებული მწუხარე რაინდია, რომელიც თავისი ხასიათითა და მისწრაფებებით ეხმაურება იმ ხანად ევროპაში ახლად ჩასახულ ლიტერატურულ ტენდენციებს, რომლებიც ამოატივტივებენ მწერლობაში ახალი გმირის ხასიათს.

ეს გმირი თავისი ცხოვრებით სრულიად ემიჯნება პარიკებიან და დაქანონებული გრძნობებითა და მკაცრად შემუშავებული გამოთქმებითა და ეთიკეტით შეიარაღებულ კლასიციზმის გმირს, და თავისუფალ, ბუნებრივ უშუალობასა და სისადავეს ქადაგებს. ეს ახალი ლიტერატურულ-ესთეტიკური ტენდენცია საზოგადოების სიმპათიებს; თანდათან განაწყობს აკრძალული თვისებებით აღჭურვილ გმირისადმი, რომელიც თავისი ბუნებით მართალია, უშუალო, როგორც თვითონ დედა-ბუნება, კეთილშობილი, მაგრამ მწუხარე და უბედური საზოგადოებისა და ყოფიერების კანონებთან შეჯახების გამო...

„დავითიანის“ გმირი შესანიშნავად ეპასუხება ეპოქალურ ესთეტიკურ-მორალურ და ლიტერატურულ ტენდენციებს.

როგორც აღვნიშნეთ, გურამიშვილის პოეზიის ერთ-ერთი მთავარი საკვები არტერია არის ნაციონალური ხალხური პოეზია, მაგრამ ამავე დროს მის პოეზიას და მის საგალობელთა პანგებს გარკვეული კვალი ატყვია რუსული და უკრაინული ხალხური პოეზიისა და მელოდირი პანგებით გატაცებისა. მაგრამ ამის გამო გურამიშვილის პოეზია არასოდეს კარგავს ნაციონალურ ელფერს და ქართული ლექსთწყობისათვის ხელოვნურ ფორმებს არ ქმნის. გურამიშვილის პოეზია ყოველთვის ღრმად ნაციონალურია და ქართულ ხალხურ ნეტყველებასა და ხალხურ ლექსთწყობასთან შესანიშნავად შესადაგებული.

„დავითიანის“ გმირის სულიერი შეება შესხმა-ლაღადისი მაცხოვრის სახით განსხეულებული მზეთა-მზე ღვთაებისადმი, რომელსაც თან ერთვის გოდება და მოთქმა ამქვეყნიური ცხოვრების სასტიკი კანონებისა და ბედის ტრიალის გამო.

ს. ცაიშვილი წერს: „გურამიშვილის მსოფლშეგრძნება მთლიანად გამსჭვალულია ქრისტიანული სულით და რაც აღსანიშნავია, იგი კვლავ იყურება ბიბლიური სამყაროსაკენ“<sup>57</sup>. ამავე დროს, მისი აზრით, — გურამიშვილი ერთგვარ მოდერნიზაციას ახდენს ჰიმნოგრაფიის სფეროში თემატიკის, ენობრივი და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისითაც<sup>58</sup>.

დავით გურამიშვილისათვის, ისევე, როგორც მის წინამორბედ პოეტებისათვის, ვახტანგისა და თეიმურაზისათვის, საწუთრო არის უნდო, უპირო, მაცდური, უხანო, მტყუანი, წარმავალი, ცბიერი და მეტად ცვალებადი. ეს ტერმინები საწუთროს მიმართ ტრადიციულია დავით გურამიშვილისათვის, იგი უშუალოდ მომდინარეობს თეიმურაზ პირველისა და ვახტანგ მეექვსის პოეზიიდან, ამისდა მიუხედავად, გურამიშვილის ლექსს, მის მღურვა-სიმძიმელს საწუთროსადმი აქვს სრულიად თავისებური პოეტური სახე და განსხვავებული სურნელი.

<sup>57</sup> ს. ცაიშვილი, დავით გურამიშვილი, ნარკვევები ძვ. ქართული ლიტ. ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 221.

<sup>58</sup> იქვე, გვ. 212.

წუთისოფლისადმი მდურვა, მის ცვალებათა ტრაგიკული განცდა, უკმაყოფილო ტონი, რომელსაც ქართულ პოეზიაში ამ პერიოდისათვის საკმაოდ დიდი ტრადიციები აქვს, გურამიშვილმა კიდევ უფრო გაამდიდრა, ახლებური ელფერიით შემოსა და მომავალ, მე-19 საუკუნის მწერლობას კიდევ უფრო საინტერესო კუთხით დაახვედრა საფუძვლად.

გურამიშვილის შემოქმედებას უშუალოდ არ იცნობდნენ რომანტიკოსები, იგი მხოლოდ 60-იანი წლებიდან განდა ხელმისაწვდომი ქართველი მკითხველისათვის, მაგრამ რამდენი საერთო აქვთ ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანს თავიანთი პოეზიის მოტივებით მე-18 საუკუნის ამ წინაპარ მგოსანთან. ამ საერთოს განაპირობებს ეპოქა, ეპოქის ტკივილები, სულიერი სწრაფვა და ის ინდივიდუალისტური ტენდენციები, რომელიც აშკარად დაინერგა მე-18 საუკ. ქართულ პოეზიაში და ასე მომძღვრდა გურამიშვილის შემოქმედებაში.

ნუ მიენდობი, საწუთრო მტყუევანი არს და უპირო!  
არ დაიჭირვის ხელშია, რაგინდ რომ ბქალი უქირო;  
დღეს რომე ლხინი მოგაგოს, ხვალ ვერ მოურჩე უქირო,  
და ამაღ სჯობს, ხორცი უვარკყო, სულსა ულოცო, უწირო<sup>59</sup>.

დ. გურამიშვილის ეს სტროფი ერთი მხრივ ეხმიანება ვეფხისტყაოსნის უკვდავ სტრიქონებს, —

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო ვერცა კლდოვანი,...

ხოლო მეორე მხრივ, გურამიშვილის განწყობილებასა და პოეტური გამოხატვის ფორმას ენათესავება რომანტიკოსთა დამოკიდებულება საწუთროსადმი.

გურამიშვილის მოყვანილი ლექსის განწყობილებებს შესანიშნავად ეხმიანება გრ. ორბელიანის სტრიქონები ლექსიდან „გზაფხული“.

ამა ურწმუნო სოფლისა  
ადრე ვისწავე მუხთლობა:  
მისსა ყოველსა კეთილსა  
აქვს მხოლოდ წამი მყოფობა,

<sup>59</sup> დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, „დავით გურამიშვილისაგან საწუთრო სოფლის სამდურავი“, „დავითიანი“, 548, თბ., 1955, გვ. 103.

მის ეამით არღა მახარებს  
არც გაზაფხული მოსვლითა.  
ღა არცა გულსა მიწუხებს  
მე იგი თვისით წასვლითა<sup>60</sup>.

ამქვეყნიური ცხოვრების გამობისა და მის გამო მიყენებულ ტკი-  
ვრღთა მქადაგებელ ლექსებით გვევლინება „ღავეითიანის“ ავეტო-  
რი, — ბ ე ღ ის მ ო მ დ უ რ ა ვ ი გ მ ი რ ი. ბეღისა და ცხოვრების  
ცვალეზადღობა, მის მიერ მინიჭებულ სიკვეთეღა უხანღობა, მწარე ღა-  
სასრული ღა აუციღებელი ღალატი, — აი, ის, რასაც უნღა მოე-  
ლოღე ცხოვრებისაგანი ღა სხვას არაღფერს, არ უნღა ღაიჭეროს კაც-  
მა ცხოვრების სიტკბოეზათა ხანგრძღიეზობა, ბეღის წყაღობის მუღ-  
მიეზობა ღა ხანიერება, რაღგან ბეღისწერის კანონი უმკაცრესიღა ღა  
იგი შეიცავს თავის თავში აუციღებელ წინააღმღეგობას, ღროეზით  
მინიჭებული სიკვეთისა ღა ბეღნიერების უბეღურებითა ღა სიმწა-  
რით შეცვღას. წუთისოფღის ამ თვისეზათა ღახასიღათეზას ღა ცხოვ-  
რებაში მათი განხორციეღების მაგაღითეზს, ჰოეტი ღაიმოწმებს  
როგორც საკუთარი გამოცღიღებიღან, აგრეთვე საქართვეღოს ბეღ-  
უკუღმართი აწმყოღან.

გურამიშვიღი მშვენიერი, შთამბეჭღავე გამოთქმებით აღწერს  
წუთისოფღის უხანღობასა ღა ცვალეზადღობას:

ნათობს ღა ბინღობს საწუთრო, ქევეღი მოზრუნავიღა  
წამს მყუღრო ქარი აქროღის, წუთზე ღამღსრის ნავიღა,  
ყოვეღი ღზინი მუხთღისა კვღავ ისევე საქმუნავიღა,  
ღა ერთი ღრო გრძღად არ შეგრჩების, კარგი სთქვა, გინა ავიღა.

ვიცნობ, მეღ ვიყავ სოფელსა განცხრომასა ღა შეეზასა;  
მიყვარღა, კარგად მიმარნღა, ვეღიღობღი არ გავეზებასა.  
ახღა თქვენც ხეღავთ ამ ჩემსა მის გამო ჰირქუშეზებასა,  
ღა გული ღაუწეავს სახმიღით სულთქენასა ღა უშეზებასა.

მოკღეღა ესე სოფელი, კაცს არ შერჩების წამ ერთო,  
რაც მომეზობღა თავიღგან, ბოლოემ ისევე წამერთო!<sup>61</sup>

<sup>60</sup> გრ. ო რ ბ ე ღ ი ა ნ ი, თხზ., სრული კრებ., თბ., 1959, გვ. 19.

<sup>61</sup> ღ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ღ ი, „ღავეითი გურამიშვიღისაგან საწუთრო სოფღის  
სამღურავი“, 249, 250, 251, „ღავეითიანი“, გვ. 103—104.

სოფლის უხანობისა და სიმუხთლის ერთ-ერთ გამოხატულებად მიაჩნია „დავითიანის“ გმირს თავისი უშვილობაც.

საწუთროს ორპირობასა და სიმუხთლეს ვინც გაექცევა, ბედნიერია. საწუთროს უკუღმართობისა და ტირილის დასასრული სიკვდილია, რომელიც ხელში ცელს ატრიალებს და ბედის ტრიალთან ერთად, ანადგურებს ადამიანთა ისედაც ტანჯულ სიცოცხლეს.

ორგვამგე არს საწუთრო: ხან ნოტიობს, ხან კი გვაღავს,  
დღეს რომ კარგი წინ გომძღვაროს, უკან მოგადვენებს ზვალ ავს.  
ნუ ენდობი, მოგატყუებს, ისარს ისერის, მშვილდს კი შალავს.  
და მას დავნატრი, ვინცა სწორედ სვლად საწუთროს გზას გაქველავს.

მიდის-მოდის ეს სოფელი, ქართველთა ზღვისებრ ღელავს!  
უკან დასდევს დრო და ეამი, მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს.  
ის მკლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთრბავს, რასა სცელავს?  
და ამად ვსწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია, რასაც ელავს!<sup>62</sup>

ბედისწერის უხანობისა და უკუღმართობის გამოვლინებად მიაჩნია პოეტს ვახტანგ მეფის სიკვდილი, —

აქ ნახეთ წუთის სოფლისა, ცრუ, მატყუარა, ფლიდისა,  
მისგან სიბნელე ნათლისა, ზედან გარდაკერა ბინდისა!<sup>63</sup>

სოფლის უხანობის, ცვალებადობისა და მუხანათობის გამო მდურვას თანდათან მოჰყვება „დავითიანის“ გმირის მწარე გოდება წუთისოფლის ამოებით მიყენებულ ტკივილთა გამო. დავითისეული ეს გოდება ბრწყინვალე ლიტერატურული ძეგლია და გოდების ეანრის თხზულებათა დამამშვენებელ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ქართულ ლიტერატურაში. დავით გურამიშვილის გოდება გადადის ფილოსოფიურ განცდაში ყოფიერებისა და მისი კანონების შესახებ. გურამიშვილის „გოდების“ შედეგია მისი პირველი სტროფი:

გული ღონდება, ვიწყო გოდება  
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!  
ბორჯნა-გოდება, რაც მაგონდება  
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!

<sup>62</sup> დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. „სოფლის საზღვრავი“, 559, 561, გვ. 105.

<sup>63</sup> მისევე, „დავითიანი“, 567, გვ. 106.

სული მშორდება, ხორცი შნორდება  
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!  
და რად მშვა დედამან, შავმან ბედამან,  
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო! <sup>64</sup>

დავით გურამიშვილის წუთისოფლისადმი მღურვა და გოდება:  
გამოხმაურებას კპოვებს რომანტიზმის ეპოქაში ალ. ჭავჭავაძის  
ცნობილი ლექსით, „ვაჰ, სოფელსა ამას“, სადაც წუთისოფლის  
უბედურებანი, შეურიგებლობის განწყობილებით გამოხატულნი,  
მებრძოლი რომანტიკოსის უკმაყოფილო ტონს წარმოსახავს.

ვაჰ, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა,  
ბოროტებისა და სიცრუის კურთა,  
კეთილ მოყვარების დათრგუნერს მსურთა  
უსაფუძვლოთა  
მდაბალთ ჩაგვრით მტაცებლობით და ხვეჭით.

ძალი დავალს ღომით ნაქცევთა ზედა,  
სად სომართლე მისგან შენარაზედა  
მისთა ყვავილთა ფერხით ლახავს გზაზედა,  
რომელნი სკენებიან<sup>65</sup>.

არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება, რომ გურამიშვილს არ  
ეცნობდა ალ. ჭავჭავაძე. ამ ორი პოეტის შემოქმედებათა მოტივე-  
ბის ნათესაობა შეიძლება აიხსნას ეპოქის საერთო განწყობილებე-  
ბით, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ხელნაწერის სახით, მი-  
რიან ბატონიშვილის არქივის მეშვეობით, გურამიშვილის პოეზია  
60-იან წლებზე ადრე გაიცნო ქართველმა მკითხველმა.

გურამიშვილის წუთისოფლის გამო გოდება და მოთქმით ტი-  
რილი შეიცავს წუთისოფლის სიბოროტეთა და მავნებლობათა გან-  
სენებას, რაც „დავითიანის“ გმირის ცხოვრებისეულ მწუხარებას  
შეადგენს. „დავითიანის“ ასეთი განწყობილებანი მეტად ახლოა  
რომანტიკოსთა სულისკვეთებასთან და მათ მიერ განცდილ პოე-  
ტურ სამყაროსთან. გურამიშვილის გოდება არის პიროვნული უბე-

<sup>64</sup> მსავე, „გოდება დავითისა, საწუთროს სოფლის გამო ტირილი“, „დავითიანი“  
გვ. 161.

<sup>65</sup> ალ. ჭავჭავაძე, „ვაჰ, სოფელსა ამას“, ლექსები, თბ., 1949, გვ. 33.

ღურების გამოხატულება ყოფიერების ზოგად სახეში წარმოსახული.

მე ამად ვსტირი, არა გაქვს პირი,  
შემაქენ ჭირი, საქმე საჭირი.  
მე შენგნით მწირი, ვარ განაწირი,  
და რაზომც არ ნათობ, სულ მუხანათობ.

მაცინ-მატირებ, მალხინ-მაჭირებ,  
ნათელს მბაბირებ, ბნელს მიმალირებ  
რასაც აპირებ, ვერ გამაყვირებ,  
და წუთო და უნდო, არ მართალ, მრუდო!<sup>66</sup>

დავითის ეს გოდება გადადის საწუთროსადმი ფილოსოფიურ ჭკრეტაში, სიკვდილ-სიცოცხლისა, ძილისა და ღვიძილისა, როგორც ბოროტისა და კეთილის დაპირისპირებაში და მისი იდუმალების ამოცნობის ძიებაში.

თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?  
თუ ხარ სიმამლრე, რა არს შიმშილი?  
თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?  
და იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი!<sup>67</sup>

სიკვდილისა და სიცოცხლის პრობლემა დაკავშირებული წუთისოფლის სიმუხთლის გამო უგოდებასთან ღებულობს ფილოსოფიურ და თეოლოგიურ ძიებათა ელფერს. ამგვარი ძიებებისა და სულიერ ტკივილთა ანარეკლია „დავითიანის“ სიკვდილ-სიცოცხლის თემებზე შექმნილი თხზულებები, „სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა“, „კაცისა და საწუთროსაგანა ცილობა და ბჭობა, ერთმანერთის ძვირის ხსენება“, „რეული“. ამავე რიგის ნაწარმოებებს უნდა მივაკუთნოთ გურამიშვილის „ანდერძი“, „საფლავის ქვაზედ დასაწერი“, „მღრდელთ ვედრება დავით გურამიშვილისა“, და სხვ.

ხორცია მიწა ტალახი, საწუთროს ფეხით ნალახი;  
სული უსხეულ მყოფელი, აქვს საუკუნო სოფელი.

<sup>66</sup> დ. გურამიშვილი, „გოდება დავითისა, საწუთროს სოფლის გამო ტირილი“, „დავითიანი“, ნ, 9, გვ. 162.

<sup>67</sup> იქვე, 18, გვ. 163.



ხორცი მკვდარ-ხმელი ბალახი, აყოებულად ნანახი:  
სული ცხოვრების მპყრობელი, ვით ბაზმა გაუქრობელი<sup>88</sup>.

ხორციელი ცხოვრების უხანობის, სულიერი ცხოვრების სილა-  
მაზისა და მარადიულობის აღიარება გურამიშვილთან სიკვდილ-სი-  
ცოცხლისა და რელიგიური მისტიკის თემებს უკავშირდება. ზემო-  
მოყვანილ ლექსში „რეული“ მარადიული ცხოვრებისა და წარმა-  
ვალი ყოფიერების შეპირისპირებაა მოცემული, უარყოფილია წუ-  
თიერ სიამეთა და მრავალ ტანჯვათა შემცველი ამქვეყნიური ცხო-  
ვრება, ხოლო მარადიულ ნეტარებად სულიერი ცხოვრების არსე-  
ბობაა აღიარებული. მაღალი პოეტური ხელოვნებით გამოთქმული  
ამ სტრიქონებისაგან განსხვავებით, სხვა თხზულებებში გურამი-  
შვილს სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემის დაყენებისას, ყოფიერე-  
ბის ფორმათა ურთიერთმიმართების სხვადასხვა ასპექტები აინტე-  
რესებს.

სიკვდილ-სიცოცხლის თემა გურამიშვილის შემოქმედებაში  
ერთ-ერთი ძირითადი თემაა. სიკვდილი წარმოდგენილია როგორც  
გარდაუვალი საშინელება, რომელიც მოსდევს ჩვენს ხანმოკლე და  
ტანჯულ ცხოვრებას. — მაგრამ განა მარტო წამებულ ყოფას? სი-  
კვდილი მოსდევს გამარჯვებულსა და მხიარულ ცხოვრებასაც, რო-  
მელიც ესოდენ იშვიათია და არახანირი. სიკვდილის საშინელება,  
გაჩენის დღიდან, თანდათან უახლოვდება ადამიანს და მას ვერაფე-  
რი შეაკავებს, ვერაფერი შეცვლის, ვერაფერი აღუდგება წინ, —  
ვერც სიკეთე და ვერც სიამე ამ ქვეყნად.

ყველას გვეწვევის სიკვდილი, გმართებს დაუხვდეთ მზათო,  
ის ჩვენკენ მოდის, ჩვენ მისკენ, ვერცად აუქცევთ გზათო<sup>89</sup>.

აღ. ჭავჭავაძესთან სიკვდილი არის გარდაუვალი საშინელება,  
მაგრამ კიდევ უფრო მძიმეა ის ტანჯვანი, რომელსაც კაცი განიცდის  
ცხოვრების მანძილზე. და არ არსებობს გამოსავალი ამ საშინელი  
ცხოვრების წესიდან ხსნისა, იგი ჰგავს ზღვაში შესულ კაცს, რო-  
მელსაც უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილი აქვს.

<sup>88</sup> დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, „რეული“, „დავითიანი“, გვ. 149.

<sup>89</sup> მისივე, „სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა“, „დავითიანი“,  
გვ. 166.

რაა სიკვდილი, რაა მისი საშინელება?  
მკვდარი თუ შვებას მოაკლდება, კირსაც მორჩება.  
მაგრამ მოყვისა მომშორვესა, სურვილით ტანჯულს,  
სიამე ოდენ მიელება, თენა კი რჩება.

გულო! უძლურო, მვეებელო, ოხვრათ მადიდო,  
ეშვის აღმური გლახ ჩივილით ვით დამშვიდო?  
კიდესა ზედა მდგომარესა გმართებდა განსჯა,  
აწ ზღვას შექსულხარ, ზვირთთა მისთა სადღა ერიდო?<sup>70</sup>

ხოლო დავით გურამიშვილი წერს:

მოვა და მომკლავს სიკვდილი, მას ვერცად დავემალევი,  
გავექცე ვერცად წაუვალ. ცხენებიც მყვანდეს მალევი,  
და შავება ვერას დააკლებს ჩემნი თოფნი და ხმალები<sup>71</sup>.

სიკვდილის გარდაუვალ უბედურებაზე ზოგადი მსჯელობის შემდეგ გურამიშვილი წარმოგვიდგენს სიკვდილისა და კაცის გასაუბრებას. აღსანიშნავია, რომ სიკვდილი მარტო თავის ბუნებრივ მოსვლას არ აბრალებს ადამიანთა გარდაცვალებას, თავის ამ საქმის თანამოზიარედ იგი ასახელებს სხვადასხვა ავადმყოფობებსა და ადამიანთა მიერ ერთურთის ხოცვა-ჟლეტას.

ამავე ხასიათის თხზულებაა „კაცისა და საწუთროსაგანა ცილობა და ბჭობა, ერთმანეთის ძვირის ხსენება“, სადაც აგრეთვე სიკვდილ-სიცოცხლისა, ამქვეყნიური ხანმოკლე ცხოვრებისა და მისი ცვალებადობის შესახებ ხდება გაბაასება ადამიანსა და საწუთროს შორის.

XVII — XVIII საუკუნის რუსულ და უკრაინულ მწერლობაში სიკვდილ-სიცოცხლისა და ადამიანის ურთიერთმიმართების თემა საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. ასეთი ტენდენცია თავისთავად შუასაუკუნეების ევროპული ლიტერატურიდან (გერმანულიდან, პოლონურიდან, ჩეხურიდან და სხვ.) მომდინარეობს, მათ თარგმანსა და ახლებურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. გურამიშვილის პოე-

<sup>70</sup> აღ. კ ა ვ კ ა ვ ა ძ ე, „რაა სიკვდილი“, ლექსები, გვ. 118.

<sup>71</sup> დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, „დავითიანი“, გვ. 116.

ზიაში სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემატიკის გააზრებასთან დაკავშირებით საინტერესო დაკვირვებებს გვთავაზობენ ს. ჩიქოვანი<sup>72</sup>; გ. ნატროშვილი<sup>73</sup>. რუსულ ლიტერატურაში ამ თემის გავრცელებაზე წერს რ. პ. დიმიტრიევა<sup>74</sup>. გურამიშვილის ხსენებული ნაწარმოების რუსულ-უკრაინულ-ქართული წყაროების შესწავლისადმი მიძღვნილია რ. ნაჯაშიძის გამოკვლევა<sup>75</sup>.

განსაკუთრებული სევდითა და ლირიზმითაა გაელენთილი „ღავით გურამიშვილის ანდერძი“ და „საფლავის ქვაზედ დასაწერი“.

ალარ მსურს ქნარი, საკრავად სტვირი,  
არც ზედ დამღერა, აწ ამას ესტირი:  
ცრუებან საწუთრომ მარიადა პირი,  
არ აღმისრულა მან დანაპირი.

ვისაც რომ გცოდე, ვითხოვ, შემინდოთ,  
ჩემზედ გონება აღმოიწმინდოთ;  
მე ალარ ძალშიც თქვენი რამ წყენა, —  
სიტყვის თქმად ენა მე დამეყენა.

ვამე ცოდვილსა, მე უმაღლოსა<sup>76</sup>.

„მას არასოდეს არ სტოვებს შეცოდებისა და ნაცვალგების შეგნება“, წერს გ. ქიქოძე გურამიშვილის ღრმა რელიგიური და მისტიკური განწყობილებების გამო<sup>77</sup>.

წარმავლობის სევდა და გარდაუვალი აღსასრულის დადგომის უამი „ღავითიანის“ ბედის მომღურავ და ყოფიერების პრობლემებზე დაფიქრებულ გმირს განაწყობს ლირიკულად. სევდით მოსილ მარადიულობას ეს ოდესღაც მღელვარე, ანთებული სულის პიროვნება ეგებება წყნარი, ნალვლიანი მზერიით, შენდობისა და

<sup>72</sup> ს. ჩიქოვანი, რჩეული ნაწერები, თბ., 1963.

<sup>73</sup> გ. ნატროშვილი, ვითა დაეღამდი, ისე გაეთენდი, თბ., 1960.

<sup>74</sup> Р. П. Дмитриева, Повести о споре жизни и смерти, Л.-Д., 1964.

<sup>75</sup> რ. ნაჯაშიძე, ღავით გურამიშვილის „სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება“ და მისი წყაროები, ძვ. ქართ. მწერლობის საკ., VII—VIII, თბ., 1976.

<sup>76</sup> დ. გურამიშვილი, „ანდერძი ღავით გურამიშვილისა“, 1, 6, 14. გვ. 267.

<sup>77</sup> გ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, I, გვ. 55.

კურთხევის უმორჩილესი სურვილით. დამშვიდდა ცხოვრების ზღუდეებს არაერთხელ მწარედ მიმწყდარი პოეტის აბოზოქრებული სული, მასზე აღარათფერი აღარ მოქმედებს, არც სიყვარული და მოღონა, აღარც მღურვა და შფოთვა სოფლის ამოებზე. ყველაფერი მიწყნარდა ბოლო დღის მოლოდინში, დარჩა მხოლოდ წარმავლობის წყნარი სევდა და მარადიული სიმშვიდის სურვილი. შეუცნობელთან მიახლოება წარმოქმნის ამ უცნაურ სიმშვიდეს და იღუმად შიშს. სხვა გრძნობები ილევთან და რჩებიან წარსულ ცხოვრებად.

ასეთი განწყობილებებითაა დაწერილი გურამიშვილის უკანასკნელი, ღრმა მოხუცებულობაში დაწერილი ნაწარმოებები, „ანდერძი“ და „საფლავის ქვაზედ დასაწერი“.

ახლა მობრძანდი, მნახელო, მნახე,  
მისად სანუფქოდ სად დავიმარხე!  
ხორციტ აქ გლპები, აწ ჩემი სული,  
არა ვიცი რა, სად არს მისული<sup>78</sup>!

გურამიშვილის ლექსებში გამოხატული, — გამოუცნობი, მისტიკური სამყაროს სევდა და მისი პოეტური გააზრება აღის ზენა სამყაროში და იღუმალ მარადისობას ეზიარება...

\* \* \*

გურამიშვილის შემოქმედების ძირითადი მოტივები და თემები, ერთი მხრივ, აგრძელებენ აღორძინების ხანის მწერლობის ტრადიციულ თემატიკას და მსოფლმხედველობრივ გააზრებას, ხოლო მეორე მხრივ, წარმოდგენენ ახალ საფეხურს ქართული პოეზიის ისტორიაში. სიახლენი ფორმისა და თემატიკის მხრივ, რაც მხოლოდ გურამიშვილისეულია, განსაკუთრებულ ბრწყინვალეობას და ნოვატორულ ელფერს აძლევს მის პოეზიას. ესაა „დავითიანის“ საერთო აღნაგობა, სადაც დიდტანიანი ნაწარმოების თემად გამოყენებული ავტორის პირადი ცხოვრება. ს ა კ უ თ ა რ ი „მ ე“ ა რ ი ს მ თ ა ვ ა რ ე გ მ ი რ ი გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს პ ო ე მ ი ს ა. იგივე „მე“ არის მრავალ ლირიკულ, სევდიან და ბედის მღურვით მოცულ ლექსთა გმირი. ეს გ მ ი რ ი ა რ ი ს ს ე ვ დ ი ა ნ ი დ ა ბ ე დ ი თ უ კ მ ა ყ ო

<sup>78</sup> დ. გურამიშვილი, „საფლავის ქვაზედ დასაწერი“, 3, გვ. 270.

ფილო პიროვნება, რომელიც ქართულ ლიტერატურაში იწყებს არსებობას „დავითიანით“, — არა როგორც წიაღსვლა ავტორისა პოემაში, ანდა ლექსის ლირიკული გმირი, არამედ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, პიროვნება-გმირი, რომელიც ოდესმე ერთ-ერთ წინაპირობად და საფუძვლად დაედება მე-19 საუკუნეში ქართულ ლიტერატურაში მოსულ ახალ გმირს, რომანტიზმის გმირს.

---

ალექსანდრე ჰავჭავაძის მთარგმნელობითი  
მოღვაწეობიდან

კვალიფიციური მკითხველისათვის კარგად ცნობილია ალ. ჰავჭავაძის დიდი წვლილი კერძოდ ფრანგი კლასიციისტების ტრაგედიების ქართულად თარგმნის სფეროში. ალ. ჰავჭავაძე ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანია დასავლეთევროპული და რუსული ლიტერატურის არაერთი შედევრის ქართულად თარგმნის დარგში.

ალ. ჰავჭავაძე, ცხადია, მის ღროს გაბატონებული არქაული ენით თარგმნიდა, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ეს იყო XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სალიტერატურო, სამწერლობო ენა, რომლითაც ქმნიდნენ თავის შედევრებს — ალ. ჰავჭავაძესთან ერთად — გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილიც. ალ. ჰავჭავაძე არქაისტული ქართულით კი თარგმნიდა, მაგრამ თარგმნიდა, როგორც ფრიად ერუდიტული მთარგმნელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად თავისი არქაისტობისა, ალ. ჰავჭავაძე ქმნიდა თავისი ღრის მაღალი დონის ქართულ თარგმანს, რომელიც არ გამორიცხავს ერთგვარ სტილობრივ აკადემიურობას, ამდენად, ცოცხალ სამეტყველო ქართულთან ორგანულ კავშირსაც. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ალ. ჰავჭავაძე, მიუხედავად თავისი არქაისტობისა, სათავეს ერთ-ერთი დამდებთაგანია ფრანგულიდან თუ რუსულიდან თარგმანების ქართულად ამეტყველების იმ ტრადიციისა, რამაც შემდეგ ასე კლასიკურად იჩინა თავი შექსპირის ტრაგედიების ივ. მაჩაბლისეულ თარგმანებში.

ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ალ. ჰავჭავაძისეული ფრანგი კლასიციისტების ტრაგედიების თარგმანების ზოგი ენობრივ-სტილისტური თუ მხატვრული თავისებურების შესახებ. აქვე წინასწარ შევნიშნავთ, რომ ალ. ჰავჭავაძის ენა ლინგვისტურ-გრამატიკულად გა-

შოკვლევული არის, და საკმაოდ საფუძვლიანადაც კი<sup>1</sup>, თუმცა ვერ გვაკმაყოფილებს ეს ნაშრომი იმ თავისებურების გამო, რითაც ხასიათდება ყოველი წმინდა ლინგვისტური გამოკვლევა ამა თუ იმ პოეტის ენაზე, რომელიც ჩვეულებრივ პოეტიკის პრინციპების გაუთვალისწინებლად იწერება. რა თქმა უნდა, საყვედური უნდა წარიმართოს, პირველ ყოვლისა, ლიტერატურის თეორეტიკოსების მიმართ, რადგან ჯერ კიდევ თანამედროვე პოეტიკა არსებითად ვერ გასცილებია პოეტური ენის ლინგვისტური მეთოდით შესწავლას<sup>2</sup>, იმდენად ლინგვისტიკის კუდში მოქცევას<sup>3</sup>.

რა თქმა უნდა, პოეტიკა, პოეტური ენის კვლევის დროს, გვერდს ვერ აუვლის ლინგვისტიკას, ისე როგორც სხვა მომიჯნავე მეცნიერებებს, თუმცა ლინგვისტიკის, თუ სხვა მონათესავე მეცნიერებათა მიღწევების გამოყენება არ უნდა იქცეს საკუთარი მე-ს დაკარგვად: ლინგვისტიკისათვის პოეტური ძეგლი მხოლოდ ენობრივი მოვლენაა — ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და სემანტიკის სამყარო, — მთავარია ენობრივ მოვლენათა კლასიფიცირება, მათი ფუნქციის განსაზღვრა; ანალოგიურად საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ლინგვისტიკა, პოეტური ენის ანალიზის დროს, მიზეზობრიობის პრინციპით ხელმძღვანელობს და პასუხს გვაძლევს კითხვებზე — როგორ? საიდან?... პოეტური ენის პოეტიკური ანალიზის დროს მთავარი თელეოლოგიური პრინციპია, — პოეტური მიზანშეწონილობის პრინციპი, აზრისა და გრძნობის დიდი დატვირთვითა და ნიუანსებით გადმოცემის პრინციპი, — და გვიპასუხებს კითხვებზე: რისთვის? რატომ? რა მიზნით?...

აღ. ჭავჭავაძის თარგმნილი დრამატურგიის ენობრივ-სტილისტური თავისებურებანი ლიტერატურის თეორიის თვალსაზრისით ნაკლებ შესწავლილია. წინასწარ ჩატარებულმა მუშაობამაც დაგვარწმუნა, რომ აღ. ჭავჭავაძის თარგმნილი დრამატურგიის ენობრივ-სტილისტური საშუალებანი შედარებით მსუბუქია, ვიდრე პოეტის მიერ თარგმნილი თუ გადმოკეთებული პროზისა, მაგრამ გაცილებით მძიმე და ანტონ ბაგრატიონისებური დვლარქნილი სტილით

<sup>1</sup> იხ. ივ. ქავთარაძე, აღ. ჭავჭავაძის ენის თავისებურებანი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 55, 1954, გვ. 295—311).

<sup>2</sup> Б. Е н х е н б а у м, О поэзии, Л., 1969, с. 336.

<sup>3</sup> Р. Я к о б с о н, Новейшая русская поэзия, 1921, с. 5.

შებოქილიც, ვიდრე მისი ორიგინალური და თარგმნილი თუ გადმოკეთებული ლექსები, — განსაკუთრებით 20-იანი წლების შემდეგი დროისა. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ფაქტმა შესაფერი ასახვა ვერ პოვა ივ. ჭავთარაძის ესოდენ საინტერესო სპეციალური ხასიათის ლინგვისტურ-გრამატიკულ ნაკვეთში, როგორც არის მისი „აღ. ჭავჭავაძის ენის თავისებურებანი“. ეს, უთუოდ, იმით აიხსნება, რომ მასში უნებლიედ არასაკმარისად არის გათვალისწინებული აღ. ჭავჭავაძის დრამატურგიული და პროზაული თარგმანები, რომელთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ მხოლოდ ხელნაწერების სახით არის დაცული და სტამბურად არ გამოქვეყნებულა.

გარდა ამისა, ზემოთ დასახელებული ნაშრომი წმინდა ლინგვისტური ხასიათის გამოკვლევაა და მას არ შეიძლება ჰქონდეს აღ. ჭავჭავაძის ენის პოეტიკის თვალსაზრისით გაშუქების პრეტენზია. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ პოეტიკის მოთხოვნები მასში ნაკლებად ან სულ არ არის გათვალისწინებული, — არაერთი საინტერესო ენობრივი მოვლენა ბოლომდე ვერ არის ახსნილი; მაგალითად, ლინგვისტის ფრიად საყურადღებო დაკვირვებას წარმოადგენს ა. ჭავჭავაძის მიერ „ებ“ სუფიქსის გამოყენების საკითხი. „ზშირია შემთხვევა — წერს ივ. ჭავთარაძე, — „ებ“ სუფიქსიანი მრავლობითის სახელთა კვლავ მრავლობითში დასმისა და თ სუფიქსით წარმოდგენისა, მაგალითად:

ეს ალი ჩვენთა გულებთა აღრითვე ქონდათ გზნებული“<sup>4</sup>.

ფაქტი სწორად არის გადმოცემული, მაგრამ რაშია სპექმე? აქ და მრავალ სხვა ანალოგიურ შემთხვევაში ორმაგი მრავლობითი (-ებთა) ჩვენი პოეტისათვის ნიშანდობლივი ქართული სასაუბრო მეტყველებისაგან დაშორების ტენდენციით, ანტონ I-ლის ღვლარჭნილი სტილის დიდი გავლენით უნდა აიხსნას, თუ ვერსიფიკაციის—სალექსო საზომის (53/53) დაცვის მოთხოვნილებით? ორი აზრი შეუძლებელია. ტაეპში „ებ“ ან თუ „თა“ გაუქმდებოდა (გულ-ებსა, გულ-თა), პოეტის მიერ არჩეული რუსთაველური მეტრი (53/53) დაირღვეოდა, 15 მარცვლიანი ტაეპი გაჩნდებოდა სტროფში: აშკარა მეტრულ-რიტმული ასიმეტრია და დისონანსი გვექნებოდა. ამიტომ ამჯობინებს პოეტი ანალოგიურ შემთხვევებში ვერსიფიკაციულად

<sup>4</sup> დასახ. ნაშრომი, გვ. 300.



სიზუსტისათვის გარკვეულ გრამატიკულ აბსურდზე წავიდეს, — არც — გულ-ებსა, არც — გულ-თა, არამედ — გულებთა არჩია.

ლექსში „ჯავრი ჭანდა ხარიბამ“ („უწყლვივარ ჭირთა“) გვაქვს ტაეპი:

მისთა სხივთ ისრებთაგან

„ისრ-ებთა-გან“ აშკარა გრამატიკული აბსურდია და, ცხადია, ასეთი დარღვევებისაკენ პოეტს ერთგვარად „ხელს უხსნის“ მისი არქაისტობა, მაგრამ როგორც „სინნა“-დან მოტანილ ტაეპში, აქაც მთავარი ბიძგის მიმცემი, მაინც არა არქაიზაციისკენ ლტოლვა, არამედ წმინდა პროსოდული მოთხოვნილებაა, კერძოდ, კეთილხმოვანება. რომ ეს ასეა, ამას ის გვაფიქრებინებს, რომ „ისრებთაგან“ პოეტს იოლად შეეძლო წარმოედგინა ჩვეულებრივი, გრამატიკულად სწორი ფორმით „ისრებისაგან“; მარცვალთა რაოდენობაც იგივე რჩება, მაგრამ ამ შემთხვევაში პოეტი კეთილხმოვანებას აძლევს მეტ მნიშვნელობას: „ისრებისაგან“ გრამატიკულად სწორია, მაგრამ კეთილხმოვანება ირღვევა. სწორი გრამატიკული ფორმაა „ისარ-თაგან“ და არც კეთილხმოვანება ირღვევა, მაგრამ რატომღაც პოეტი, მაინც „ისრებთაგან“ ფორმას ამჯობინებს: შეიძლება მართო იმ მიზეზით, რომ მეტი არქაულობის ელფერი გააჩნდა ფორმას „ისრებ-თაგან“; მიუხედავად იმისა, რომ პოეტი შესანიშნავად ფლობს ქართულ მართლწერას და კარგად იცის, რომ „ისრ-ებთა-გან“ გრამატიკული აბსურდია, და იგი არც არქაულია, მაგრამ სწორედ არქაულობის ელფერით გამოირჩევა ხელოვნურობის (-ებთა) წყალობით.

ლექსში „ნაზი ბენ ნაზის ხმაზე“ დაშვებულია ერთი ლინგვისტური აბსურდი, რაც ლინგვისტური ანალიზით ვერ აიხსნება, ასეთია ამ ლექსში სარიტმო ზმნაში „ეკრძალოთ“, — „თ“-ს ნაცვლად „დ“-ს გამოყენება („ჰკრძალო-დ“), რაც პოეტს გამიზნულად აქვს გაკეთებული კეთილხმოვანებისათვის:

გვერდით პყრობილი, პყრობილი  
ხსოვნის წილი ჩემთვის გრილი არ ჰკრძალოდ  
ეპა, მკენესარებს საღმოდ!

აქ სავალდებულო „თ“-ს მაგიერი „დ“ სულაც არ ეხამუშება მკითხველს, პირიქით, აღიქვმას, როგორც კანონზომიერ ვერსი-ფიკაციულ და გრამატიკულ ფაქტს.

აგრეთვე ირკვევა, რომ ლინგვისტური ანალიზი ამომწურავად

ვერ ჩაითვლება, თუ არ არის გაანალიზებული უკლებლად ყველა ძეგლი საკვლევი პოეტისა, კერძოდ, ალ. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ტრაგედიების „ესთერის“ და „ფედრას“ მთლიანი ტექსტი; მაგ., ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული იმის გარკვევა, რომ ორმაგი მრავლობითის („ებთა“) გამოყენება არ შეინიშნება „ფედრას“, „ალზირას“ და „ჰერაკლეს“ თარგმანებში, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ ამ ტრაგედიების ქართულად გადმოტანის დროს ორმაგი მრავლობითის საკითხისადმი პოეტის დამოკიდებულება სხვა იყო. ეს კი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ორმაგი მრავლობითის (-ებთ-თა-) გაჩენა ალ. ჭავჭავაძისთან პროსოდიული და კეთილმსოვანების, თუ არქაიზაციის მოთხოვნილებითაც აიხსნება და ამდენად გრამატიკულ „დარღვევადაც“ არ მიიჩნევა; „ალზირასა“ და „ჰერაკლეში“ კი მისი გამოყენება არც იყო მოსალოდნელი, რადგან ისინი პროზაული თარგმანებია და პოეტმა კარგად იცოდა, რომ „ებთა“ მრავლობითის ფორმის გამოყენება მათში მართლაც აშკარა გრამატიკული აბსურდი იქნებოდა. ყოველივე ზემოაღნიშნული იმასაც მოწმობს, რომ რომელიმე პოეტის ენის ლინგვისტურ ანალიზს ლიტერატურათმცოდნეობა გამოიყენებს, მაგრამ მისით ვერ დაკმაყოფილდება; დაუფასებელია ის მუშაობა, რაც აკად. აკ. შანიძემ ნ. ბარათაშვილის და პროფ. ივ. ჭავთარაძემ ალ. ჭავჭავაძის ენის ლინგვისტურად შესწავლის საქმეში გასწიეს, მაგრამ მათი გამოკვლევების მაღალი მეცნიერული დონის მიუხედავად, ნ. ბარათაშვილის და ალ. ჭავჭავაძის პოეტური ენის თეორიულ-პოეტიკური შესწავლის საკითხში ლიტერატურის თეორია, პოეტიკა კვლავ ვალშია.

აკად. აკ. შანიძეს ნ. ბარათაშვილის, ხოლო პროფ. ივ. ჭავთარაძეს ალ. ჭავჭავაძის ენაში შენიშნული აქვთ, რომ მესამე მხოლობითის სუფიქსად ზმნაში ხშირად იყენებენ „ან“ სუფიქსის ნაცვლად „-ნ“-ს; პროფ. ივ. ჭავთარაძე ფიქრობს, რომ ალ. ჭავჭავაძე ამას აკეთებს რითმისათვის: „მესამე პირის მხოლოდობითად მიჩნეული სუფიქსი -ნ,—წერს იგი, — ჩანს რითმის საჭიროების გამო არის გამოყენებული -ან- სუფიქსის ბადლად“<sup>5</sup>. ცხადია, მოტანილ ტაქტში ლექსიდან „ვაჰ სოფელსა“:

ხელმწიფნი რომელ სვესაც ვეშურვით  
 არ-ნ მოსილნი უმრავლესითა ურვით.

<sup>5</sup> დასახ. ნაშრომი, გვ. 306.

-ან- სუფიქსი მთლიანად (არი-ან) რომ მოეტანა პოეტს ფუძისეული -ი- ნითურთ (არ-ი-ან) — მაშინვე დაირღვეოდა ლექსის საერთო მეტრი (44/3) და გაჩნდებოდა დისონანსის შემტანი ასიმეტრიული ტაეპი (54/3). ცხადია, პროფ. ივ. ჭავჭავაძის მიერ მოტანილ მაგალითში პოეტის მიერ გამოყენებულია -ნ- ნაცვლად -ან- სუფიქსისა, მაგრამ არა რითმის, არამედ გარკვეული მეტრის დაცვის მოთხოვნილებით; ჩვენ მეტსაც ვიტყვით, აქ მთავარ როლს გარკვეული მეტრის (44/3) დაცვის მოთხოვნილება კი თამაშობს, მაგრამ არა მარტო მეტრის, არამედ კეთილზმოვანების დაცვის მოთხოვნილების ფაქტიც. ალ. ჭავჭავაძე რომ არა მარტო მეტრის საჭიროების გამო იყენებს მესამე პირის მხოლოდითად მიჩნეულ -ნ- სუფიქსს -ან- სუფიქსის სანაცვლოდ, არამედ კეთილზმოვანების მოთხოვნილებითაც, ამას ისიც ადასტურებს, რომ შეკვეცილი სუფიქსი -ნ- -ან- სუფიქსის ტოლფარდად პოეტს გამოყენებული აქვს პროზაშიც, — (მაგ.: „რამ არ-ნ მონაცემნი“ („ჰერაკლე“); „პაეროვნებაი მისი იმკობოდინ სიბრწინთა და პატიოსნებითა“ („ვედუქსია“); — ცხადია, არა რითმისათვის, ან მეტრისათვის, რადგან პროზაში არც რითმა და არც მეტრი არა გვაქვს; ამ შემთხვევაში პოეტის არქაიზაციის ტენდენცია თამაშობს თავის როლს. ისიც აღსანიშნავია, რომ თანამიმდევრულიც არ არის ალ. ჭავჭავაძე აღნიშნული სუფიქსის გამოყენებაში. მაგალითად, „ახლოთ განჩხრეკილ კაცში“ და „ალექსანდრე მაკედონელის ისტორიის“ ფრაგმენტებში იგი ვერ შევნიშნეთ და თვით „ჰერაკლესა“ და „ვედუქსიაშიც“ არ იცავს ალ. ჭავჭავაძე ყველგან -ნ- შეკვეცილი სუფიქსის ფორმას.

ალ. ჭავჭავაძის მიდრეკილება ენისა და სტილის არქაიზაციისაკენ თარგმნილ დრამატურგიაში ლექსებზე მკვეთრადაც კი იჩენს თავს ცალკეულ ფორმათა შეკვეცაშიც, მაგ., სულის ბრუნება (სულის მობრუნება), ვბედ (-გავბედე); მცირებულ (-დამცირებულ) შძღვანებად (-ხელმძღვანელებად), გიცს, მიცს, გიდგ, გეცთ და მისთ („ესთერი“).

„სინნაში“ გვაქვს ამა თუ იმ ფორმის პარალელური სახითაც ხმარების შემთხვევები, მაგ., ეწერა „ესთა“, რაც პოეტს შეუცვლია პარალელური სიტყვით „ესრეთ“ (S 4910)<sup>6</sup>; მაგრამ იქვე, მერვე

<sup>6</sup> ა. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, 1940, გვ. 230.

სტრიქონში „ეგრეთ“ შეცვლილია „ესთა“ ფორმით, ე. ი. ხან „ეს-  
 თას“ იყენებს და ხან „ეგრეთს“. „სინნაშივე“<sup>7</sup> სამმარცვლიანი სიტ-  
 ყვა „მერმელა“ შეცვლილია ორმარცვლიანი ტოლფარდი სიტყვით  
 „შემდგომ“ (S 4910) და ამით, თითქოს, არქაიზაციის ტენდენციას  
 აქ გვერდი აქვს ავლილი; იქვე ორმარცვლიანი „ოდეს“ პოეტს შე-  
 უცვლია ერთმარცვლიანი სიტყვით „როს“, „მეცენა“ — „მეცენა-  
 ტისა“ და მისთ.

აქ, უცილოდ, სემანტიკურ-აზრობრივი სრულყოფისაკენ ლტოლ-  
 ვა ამოქმედებს არსებითად მთარგმნელს და არა სხვა რამ; ამას ადას-  
 ტურებს „სინნას“ ძირითად ნუსხაში (S 4910) პოეტის მიერ გაკეთე-  
 ბული რამდენიმე ათეული ჩასწორება, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ  
 რამდენიმე ტიპიური მაგალითის მოტანით ვკმაყოფილდებით, მაგა-  
 ლითად:

S 4910-ში გადახაზულია	იქვე გადახაზულზე წაწერილია	1940 წ. გამოც. გვ.
ძოლან .	სხეინის .	223
ერთმთავრულისა .	მონარხიულის .	231
თვითმზრუნელი .	თვითმპყრობი .	
გარნა .	მარა .	
ეპა, ჟამს კაცთა კლებისას	ვაი, დროს უკაცობისას .	

მთარგმნელს გვერდი ვერ აუვლია რუსიციზმისათვის — „მო-  
 ნარხიულის“, მაგრამ სემანტიკურად ეს სიტყვა, რომ უფრო ზუსტად  
 გადმოსცემს მის პოლიტიკურ არსს, ესეც ფაქტია, ვიდრე სიტყვა  
 „ერთმთავრულისა“, რომელიც მან მართებულად გადახაზა.

ასევე, „თვითმპყრობი“-ს ნაცვლად პოეტს რომ „თვითმზრუნ-  
 ველი“ დაეტოვებინა, აშკარა აბსურდთან, აშკარა სემანტიკურ შეუ-  
 საბამობასთან გვექნებოდა საქმე: სად „თვითმპყრობი“ („თვითმპყ-  
 რობელი“) და სად „თვითმზრუნველი“<sup>8</sup>.

აღ. ჭავჭავაძე მიხვდა, რომ ქართულად ცუდად ჟღერდა მწიგ-  
 ნობრული გამოთქმა „ეპა, ჟამს კაცთა კლებისას“, გააუქმა იგი და  
 შეცვალა სასაუბრო მეტყველებაში გავრცელებული გამოთქმით

<sup>7</sup> ბეჭდური გამოც., გვ. 229.

„ვანი, დროს უკაცობისას“. მიაქციეთ ყურადღება, — ამას აკეთებს ანტონ ბაგრატიონის ღვლარჭნილი სტილის ტრუბადური ალ. ჭავჭავაძე! ასევე, არქაისტმა ალ. ჭავჭავაძემ არქაული „გარანა“ გააუქმა და შეცვალა იგი ცოცხალი სასაუბრო ქართულიდან აღებული ფორმით „მარა“!

რაშია საქმე? მართლა შეგნებულად უარყოფს ალ. ჭავჭავაძე არქაულ ფორმებს? რა თქმა უნდა, გამიზნულად გაურბის მათ იქ სადაც კონტექსტი მოითხოვს და არა ყოველთვის: კონტექსტმა უკარნახა უკვე გამოცდილ მთარგმნელს გადაეხაზა სიტყვა „ძოღან“ და მის ნაცვლად დაეწერა „სხვიმის“.

„სხვიმის ამო ფიქრითაც, ბევრ გზის ვყოფილვარ შემკრთალი“<sup>8</sup>, ამბობს „სინნაში“ ემილია და, მართლაც, აქ სწორედ სიტყვა „სხვიმის“ გადმოსცემს სწორად საქმის ვითარებას, — ემილიას უნდოდა ეთქვა: „სხვა დროს“ (*A' l'autre temps*), და „ძოღან“ ფორმას ამჯობინა სასაუბრო ქართულში უფრო გავრცელებული სიტყვა „სხვიმის“. მაგრამ არც არქაულ (თუ კუთხურ) ნიუანსურ სიტყვაზე „ძოღან“ აულია ხელი; საბა განმარტავს: „-ძოღან- ეს არს სამ-ოთხ დღეს უწინდელი და შარშანს აქეთ“. ალ. ჭავჭავაძემ მთავარ გმირს აგვისტოს ათქმევინა:

აწ აღვიხსენებ ჰაზრსა მას, ძოღან შენგანვე რჩეულსა.

ასე რომ, ალ. ჭავჭავაძე თარგმნის პროცესში ანგარიშს უწევს მეტრსაც, კეთილზმოვანებასაც, ლექსიკურ მრავალფეროვნებასაც, აზრის ნიუანსურად — მეტი სემანტიკური დატვირთვით გადმოცემის მოთხოვნილებასაც და ა. შ., და ასე აღწევს ფრანგული დედნის ადეკვატურ ქართულ თარგმანს, — ფრანგი კლასიციზტების ქართულ კლასიკურ სტილში გადმოტანას, და, რა თქმა უნდა, პედანტურად არ იზღუდება მხოლოდ და მხოლოდ ანტონ ბაგრატიონისებური ღვლარჭნილი სტილისა და ენის დაცვის ინტერესებით. პირიქით, როგორც ვხედავთ, იგი შემოქმედებითად უდგება ფრანგი კლასიციზტების ქართულად თარგმნას და მიუხედავად იმისა, რომ მისი ძირითადი ტენდენცია ანტონ ბაგრატიონისებური ენის დაძველებისაკენ მიდრეკილებაა, იგი შაბლონური და ტრაფარეტული არისად არ არის თავის თარგმანებში.

<sup>8</sup> 1940 წლ. გამოც. გვ. 223.

მაგრამ თუ რაოდენ საჭიროა და სასარგებლოა პოეტის ენასა და სტილზე, თუ ლექსიკაზე წმინდა ლინგვისტურ-გრამატიკული დაკვირვებაც, ეს კარგად ჩანს ასეთ მაგალითზე: როგორც ცნობილია, „გოგჩას“ ავტოგრაფი არა გვაქვს, ხოლო ნუსხების უმეტესობაში კი წერია: „ძლივ საცნობო ყოფილ ტაძარად“. თითქოს ყველაფერი რიგზეა, — ნორმალურია, კერძოდ, სიტყვა „ძლივ“, მაგრამ ერთ სანდო ნუსხაში (H 1196) არის: „ძვილ საცნობო ყოფილ ტაძარად“. „ძლივ“ სიტყვის ნაცვლად „ძვილ“ სიტყვა რალაც ექვს იწვევს პირველად, მაგრამ საბა განმარტავს: „ძვილ-ძლივისავით“. ასე რომ სრულიად უფლებამოსილია. სიტყვა „ძვილ“. ამიტომ გაიზარდა H 1196 ნუსხის ავტორიტეტიც. სრულიად კანონზომიერად იქნა მიჩნეული „ძვილ“ სწორედ ალ. ჭავჭავაძისეულ სიტყვად. მაგრამ წარმოდგინეთ სიამოვნება, როცა „ძვილ“ ფორმა აღმოჩნდა „სინნაშიც“<sup>9</sup>, მით უმეტეს, რომ „სინნას“ საბოლოო ტექსტიც 40-იანი წლებისაა, როგორც „გოგჩა“ (1841).

ასევე შემთხვევითად და საეჭვოდ მოჩანდა „დიმიტ. ვ.“ ს ავტოგრაფში (S 2481ა) „ჭიქრთა“, „ჭიქრითა“, მაგრამ პოეტისათვის უცხოდ აღარ ჩათვლება იგი მას შემდეგ, რაც „ჭიქრსა“ აღმოჩნდა „ესთერის“ ძირითად ნუსხაშიც (S 2480), აგრეთვე „პასიფა“ (იქვე), და ისიც გაირკვა, რომ „ფ“ ალ. ჭავჭავაძეს მტკიცედაც არ გამოუყენებია, რადგან ყველა მოსალოდნელ შემთხვევაში არ გამოუყენებია.

ერთგვარი აღიარება ჰპოვა აშკარად მცდარმა აზრმა ალ. ჭავჭავაძის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ, რომ, თითქოს, სიტყვასიტყვით თარგმანს მიმართაედეს იგი. პირიქით, მაგალითად, ფრანგი კლასიციკლების ტრავედებიის თარგმნის დროს ალ. ჭავჭავაძეს პოეტური სინტაქსის მრავალი ხერხისთვის მიუმართავს, რომ მისი თარგმანები თავის დროისათვის დედნის ადეკვატური ქართულით ამეტყველებულიყო, მაგალითად, „სინნადან“:

*Impatients desir d' une illustre vengeance.*

(ბწყარედული თარგმანი: — მოუთმენელო სურვილო დიადო შურისძიების).

<sup>9</sup> 1940 წ. გამოც. გვ. 199: „ძვილ გვაქვს სვენება“ („სინნა“).

ა. ჰავჰავაძეს დედნის თავისთავად მგზნებარებით წარმოთქმულ ფრაზისთვის დასაწყისში დაურთავს სწორედ მგზნებარე ტონის ნაზგამსმელი შორისდებული -ოპ- (ოპ, მოუთმენო სურვილო...), რაც დედანში არ არის; დედნის მონურად გადმოღების პრინციპს არ გაჰყვა მთარგმნელი იმ მხრივაც, რომ სიტყვა „illustre“ (სასახელო, დიადი) სულ გამოტოვა, — რატომ? მომდევნო ტაეპი:

Dont la mort de non pér a borné la naissance  
(რომელსაც ჩემში ბადებს მამაჩემის მკვლელობა) ისედაც მეტყველებს ემილიას შურისძიების სიღიაღებზე, ამიტომ მთარგმნელმა არ ჩათვალა საჭიროდ სიტყვაც „Illustre“-ის თარგმნა. აგრეთვე პოეტური გამეორების ხერხის შესაბამისად სიტყვა „სურვილი“ (desir) დედნის საპირისპიროდ ორჯერ გამოიყენა ტაეპში, ხოლო სიტყვა „Vengeance“ (შურისძიება), არა ამ სიტყვით, არამედ მისი აზრის შემცველი ფრაზის მთელი მონაკვეთით (სურვილო სისხლის ზღვევისა) გადმოიღო. ასე რომ პოეტი სულაც არ მიმართავს სიტყვასიტყვით თარგმანს, არამედ დედნისადმი უღალატებლად, პოეტური აზროვნების ფართო შესაძლებლობებზე დაყრდნობით მივიღეთ დედნიდან მოტანილი ტაეპის (Impatients desir d' une illustre vengeance) ადეკვატური ქართული თარგმანი:

ოპ, მოუთმენო სურვილო, სურვილო სისხლის ზღვევისა.

რა თქმა უნდა, ანალოგიური მაგალითები „სინნადან“ თუ სხვა ტრაგედიებიდან სულაც არ მოწმობს იმას, რომ რაკი ალ. ჰავჰავაძე დედნისადმი მონურ მოჩილებას არ იჩენს, თავისუფალი თარგმანის მეთოდით ხელმძღვანელობდეს, — პირიქით, შემოქმედებითად თარგმნის; არც თავისუფალ თარგმანს მისდევს, მაგრამ რაიმე შაბლონისა და ტრაფარეტის გამოწაკლისებაც უცხოა მისთვის. ალ. ჰავჰავაძე თავისი დროის მაღალი კულტურის შემოქმედი მთარგმნელია, რომელიც ყოველთვის ინარჩუნებს დედნისა და ქართული პოეზიის ენობრივ-სტილისტურ და პოეტიკურ ნორმატივებს ყოველ თარგმანში. შეინიშნება, რომ იქ, სადაც ტროპული მოთხოვნილებების გათვალისწინება კი არ არის მთავარი, არამედ ტერმინოლოგიური სიზუსტის დაცვა, ასეთ შემთხვევაში მთარგმნელი არავითარ „თავისუფლებას“ არ იჩენს; მაგალითად, „სინნას“ მეორე მოქმედე-

ბის I სცენაში აგვისტო სინნასა და მაქსიმეს თხოვს, მეგობრულად ურჩიონ: მმართველობის თუ რომელი ფორმა უმჯობესია: მონარქია თუ რესპუბლიკა? (—S'ous les lois d' un monarque ou. d' une lepublique?).

აღ. ჰავკავაძეს დედნის ეს კონტექსტი კალკისებურად გადმოუცია:

მონარქიული კანონი უმჯობთ მათ. თუ რესპუბლიკა?

იქვე წინა ტაეპში კორნელს უწერია: vous mettre et l'i Europe, etl' Asie, et l' Afrique.

აქ თითქოს შესაცვლელი არაფერია, მაგრამ ქართველ მთარგმნელს რიტმისა და მეტრისათვის (233/44) დასახელებული ქვეყნების თანამიმდევრობა შეუცვლია: „ევროპის“ ადგილას „აზია“ დაუსვამს, ხოლო „აზიის“ ადგილას „ევროპა“.

თქვენ გიჰსთ განგებად აზია. ევროპია და აფრიკა.

ამავე დროს აღსანიშნავია მთარგმნელის ასეთი „თავისუფლება“: დედნის მეორე მოქმედებაშივე, მაქსიმეს პირველ სათქმელში, იმპერატორები და მონარქები, თუ მეფეები ტირანებად იწოდებიან, თარგმანში კი მტარვალებად:

აქა უფლების დამპყრობთა ყოველნი უხმობენ მტარვალებად.

ქართულ ენაში აღ. ჰავკავაძის დროსვე „ტირანიც“ იხმარება და „მტარვალიც“. საბა „მტარვალს“ განმარტავს, როგორც „მრისხანე ბოქაულს“, ხოლო თვით „ბოქაულზე“ წერს: „მშვიდობისასა მანდატური ეწოდების, ხოლო რისხვისასა — მტარვალნი“. ნ. ჩუბინაშვილი „ტირანს“ ასე განმარტავს: „მძლავრი, მტანჯველი კაცთა“. „ახლოით განჩხრეკილ კაცში“ აღ. ჰავკავაძე იყენებს სიტყვა „ტირანს“. „სინნას“ თარგმანში აღ. ჰავკავაძემ დედნისეული „ტირანი“ „მტარვალით“ თარგმნა — ჩანს თარგმნის მომენტში სემანტიკურად მრისხანების მეტი ნიუანსი დაინახა „მტარვალში“, რითაც დედნისთვისაც არ უღალატია, რადგან ტირანი და მტარვალნი ხომ სინონიმებია.

აქვე მაქსიმე საერთოდ ლაპარაკობს სამეფო მმართველობის ფორმაზე, მაგრამ მმართველობის ისეთ სისტემაზე, რასაც ჩვენში ისტორიულად „დარბაზის ერნი“ ეწოდება, დედანში არაფერია ნათქვამი. აღ. ჰავკავაძემ კი ფეოდალიზმის ეპოქის ქართული „პარლა-



მენტის“ აღმნიშვნელი ტერმინი „დარბაზის ერნი“ გამოიყენა იმპერატორისადმი მაქსიმეს მიმართვაში:

დარბაზის ერნი, მონანი თქვენ გიწოდებენ ვით გინა.

„დარბაზის ერნი“ ანალოგიურად აქვს გამოყენებული ალ. ჭავჭავაძეს რასინის „ესთერის“ თარგმანშიც; საერთოდ „ესთერისა“ და „ფედრას“ თარგმანებშიც იმის ანალოგიური ვითარება გვაქვს, რაც „სინნას“ თარგმანში ვნახეთ, და დაახლოებით ასევე „ჰერაკლესა“ და „ალზირას“ პროზაულ თარგმანებშიც.



დასმული საკითხების თავისებურება მოითხოვს გარკვეული ყურადღება დაეთმოს ს. თურნავას ნარკვევს „ალექსანდრე ჭავჭავაძე — თარგმნილი ხელოვნების დიდი ოსტატი“<sup>10</sup>.

ს. თურნავა საგანგებოდ იხილავს ალ. ჭავჭავაძის თარგმანებს ფრანგულიდან (განსაკუთრებით ფრანგი კლასიციზტებიდან), რითაც სასარგებლო საქმეს აკეთებს. ავტორი „შესავალ ნაწილში“ ეხება საქართველოში უცხოელების დაინტერესების ისტორიას XVII საუკუნიდან დღემდე; ავტორი ჩერდება, კერძოდ, თანამედროვე პარიზელ ქართველოლოგებზე — ცოლ-ქმარ სალიებზე, რომელნიც რამდენიმე წელია გულმოდგინედ მუშაობენ ქართველოლოგიის დარგში.

აქვე რამდენიმე შენიშვნა ს. თურნავას ესოდენ საჭირო ნარკვევის გამო: 1. ს. თურნავა (შეიძლება იმიტომ, რომ ეს არ შედიოდა მისი კვლევის ძირითად მიზანდასახულებაში) ნაჩქარევად მსჯელობს ალ. ჭავჭავაძის ფრანგულიდან თარგმნის ქრონოლოგიის საკითხებზე: „დიდმა ქართველმა პოეტმა (იგულისხმება ალ. ჭავჭავაძე — ა. კ.) — წერს ს. თურნავა, — მთარგმნელობითი მუშაობა დაიწყო წარსული საუკუნის 20-იანი წლებიდან“<sup>11</sup>. ნამდვილად კი ალ. ჭავჭავაძემ მთარგმნელობითი მოღვაწეობა დაიწყო ჯერ კიდევ საუკუნის დამდეგს. მისი იგავ-არაკები და ბერძნულ-ბიზანტიური პროზაული მინიატურები თარგმნილია. 1810 წლამდე; რომანი „ევდუქ-

<sup>10</sup> ლიტერატურული ურთიერთობანი, კრებ. V, რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამოც. 1974, გვ. 122—139.

<sup>11</sup> დასახ. ნარკვევი, გვ. 125.

სია“ ნათარგმნია ფრანგულიდან 1808 წელს, „სინნას“ თარგმნა პოეტს დაუწყია ჯერ კიდევ 1812 წელს და ა. შ.

2. კარგია, რომ ს. თურნავა ყურადღებას იჩენს საკითხის კვლევის ისტორიისადმი, კერძოდ, ჩერდება პროფ. დ. ფანჩულიძეზე, მაგრამ ასევე კარგი იქნებოდა (და აუცილებელიც იყო) მას მოეხსენებინა ამ მიმართულებით ალ. ცაგარლის, ალ. ხახანაშვილის, აკად. კ. კეკელიძის, პროფ. მ. ზანდუჯელის, კ. კაპანელის, ლ. ასათიანის, გ. ლეონიძის ნ. ტატიშვილის, უაღრესად საგულისხმო ლვაწლიც.

3. ზოგჯერ საკითხის ყოველგვარი კვლევის გარეშე ს. თურნავა მიმართავს უარგუმენტაციო, კატეგორიულ მტკიცებებს. მაგ.: იგი რაიმე ახალი ცნობისა თუ სხვა მასალის გარეშე, როგორც აქსიომას, ისე გვაწვდის, რომ, თითქოს, ალ. ჭავჭავაძეს ფრანგულიდან ეთარგმნო: პიერ კორნელის „სიდი“ (!) „ედიპი“ (!), ვოლტერას „ზაირი“ (!), „მეროპი“ (!), „ფანატიზმი ანუ მოჰამედ წინასწარმეტყველი“<sup>12</sup>. მივესალმებოდით, თუ ეს მართალი აღმოჩნდებოდა, მაგრამ ჯერჯერობით არავითარი საფუძველი არა გვაქვს, რომ მკითხველს ვუთხრათ, თითქოს ალ. ჭავჭავაძეს ეთარგმნოს დასახელებული თხზულებანი, — ყოველ შემთხვევაში ჯერ არავის დაუმტკიცებია ეს, მათ შორის, არც ს. თურნავას და რა ფასი აქვს მეცნიერული არგუმენტაციის გარეშე წერას.

ამავე დროს, თქმა არ უნდა, ს. თურნავას. კორნელის, რასინის და ვოლტერის ტრაგედიებზე მსჯელობისას, საჭირო იყო აღენიშნა მათი რა ნაწილი თარგმნა ალ. ჭავჭავაძემ, — რომ, მაგ., რასინის „ფედრი“ V მოქმედებიანია, ხოლო ალ. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილდ ჩანს მხოლოდ I მოქმედება და მეორე მოქმედება II სცენის შუამდე; რასინის „ესთერის“ მხოლოდ I, II და III მოქმედების 7 როლი ჩანს თარგმნილი (დანარჩენიც თარგმნილი ყოფილა, მაგრამ დღემდე მიუკვლეველია), კორნელის „სინნა“ ხუთი მოქმედებაა და მთლიანი თარგმანი ჩანს; ვოლტერის „ალზირი“ ხუთი მოქმედებაა და თარგმნილია მთლიანად.

4. ს. თურნავა გვიჩვენებს, რომ ფრანგულიდან თარგმნილი ტრაგედიების სათაურები და გმირთა სახელები ვწეროთ ასე: ფედრი, ალზირი, ზაირი, მეროპი... და არა ფედრა, ალზირა, ზაირა, მე-

<sup>12</sup> დასახ. ნარკვევ, გვ. 126.

რობა..., რაც მისაღებად მიგვაჩნია; მაგრამ ერთიე უნდა გვახსოვდეს: როცა ალ. ჭავჭავაძისეულ თარგმანებს დავასახელებთ, „ა“ ფორმანტი ხელშეუხებელი უნდა დარჩეს, როგორც ეს თვით მთარგმნელს — ალ. ჭავჭავაძეს აქვს: ალზირა, ფედრა... „ალზირა“, „ფედრა“...

5. ს. თურნავა გადაჭრით წერს: „ალ. ჭავჭავაძე თარგმნიდა ფრანგულიდან მხოლოდ და მხოლოდ დრამატულ და პოეტურ ნაწარმოებებს“<sup>13</sup>. როგორც ჩანს, ნარკვევის ავტორს არ მოაგონდა, რომ ალ. ჭავჭავაძეს სწორედ ფრანგულიდან აქვს ნათარგმნი საკმაოდ მოზრდილი თხზულება: „ევდუქსია, ასული ველისარიონისა, მოთხრობა სატრფიალო, თარგმნილი ლიშპანურით ფრანციცულს ენასა ზედა დუსაინ ლარდილიონის მიერ, ტომი პირველი, ქართულსა ენასა ზედა ფრანციცულიდან ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ, შეწვევითა მეფის ძის იოანესითა დათხზულ იქმნა წელსა 1808, პეტერბურლსა შინა“<sup>14</sup>.

საინტერესოა ისიც, რომ 1808 წლისთვის „ევდუქსია“ რუსულადაც არსებობს და სწორედ ამ ხანებში პოეტის ბიძამ გ. ავალი-შვილმა სწორედ რუსულიდან თარგმნა იგი, ალ. ჭავჭავაძემ კი — ფრანგულიდან; ბერძნულ-ბიზანტიური პროზაული მინიატურებიც ფრანგულიდან აქვს თარგმნილი 10-იან წლებში; საუკუნის დამდეგს (1804 წელს) ფრანგულიდან აქვს თარგმნილ-გადმოკეთებული ალ. ჭავჭავაძეს ჟან ვანლესის პუბლიცისტური პროზა „ახლოით გაჩხრეკილი კაცი“. აუცილებელი იყო ყოველივე ამის გახსენება, მაშინ ლაპსუსიც არ მოუვიდოდა.

6. ასევე კატეგორიულია და მეცნიერულობა აკლია ნარკვევის ავტორის ასეთ განცხადებასაც: „პოეტური ნაწარმოებები მთარგმნელს (გულისხმობს ალ. ჭავჭავაძეს — ა. კ.) პროზად არასოდეს არ უთარგმნია“<sup>15</sup>. რა თქმა უნდა, თუ „ალზირას“ ალ. ჭავჭავაძისეულ თარგმანს აქსიომატურად დაკარგულად ჩავთვლით, კორნელის „ჰერაკლესაც“ არ მივიჩნევთ ალ. ჭავჭავაძის თარგმანად, მაშინ, რა თქმა უნდა, ალ. ჭავჭავაძე მართლა არ აღმოჩნდება ზოგიერთ ლექსად დაწერილ თხზულებათა პროზადაც მთარგმნელი, მაგრამ გ. მი-

<sup>13</sup> დასახ. ნარკვევი, გვ. 126.

<sup>14</sup> ავტოგრაფი H2132.

<sup>15</sup> დასახ. ნარკვევი, გვ. 126.

ქაძე საკმაოდ საფუძვლიანად ასაბუთებს, რომ მაგ., ვოლტერის მიერ ლექსად დაწერილი ტრაგედია „ალზირი“ ალ. ჭავჭავაძემ სწორედ პროზად თარგმნა. ცნობილია ალ. ჭავჭავაძის მიერ პროზად თარგმნილი „ალზირა“ (ავტოგრაფი S 1673), რომელიც მესამე მოქმედების II გამოცხადებით მთავრდება, აგრეთვე „ალზირას“ ზუგდიდის სამხარეთმცოდნეო მუზეუმისეული ნუსხა, რომელიც დავით დადიანის მიერ არის რედაქტირებული და მის მიერვე გაგზავნილი წასაკითხად ვასილ იოსების ძე ბებუთოვისათვის (1891—1858); ცნობილია ბებუთოვის წერილიც დავ. დადიანისადმი; — განსვენებული შენი სიმამრის (იგულისხმება ალ. ჭავჭავაძე — ა. კ.) მიერ თარგმნილი და შენს მიერ ჩემთვის წასაკითხად გამოგზავნილი „ალზირა“ მივიღე, რისთვისაც გმადლობო<sup>16</sup>;

ს. თურნავა ზევით მოკლედ გადმოცემულ გ. მიქაძის არგუმენტაციას კატეგორიულად უარყოფს და ფაქტსაც არასწორად გადმოსცემს: თითქოს ბებუთოს კი არ გაეგზავნოს წერილი დავ. დადიანისთვის, არამედ პირიქით — დადიანს ბებუთოვისათვის, მაშინ, როცა ლაპარაკია დადიანის მიერ ბებუთოვისადმი „ალზირას“ თარგმანის გაგზავნაზე და ბებუთოვის წერილზე დადიანისადმი (შენის სიმამრის მიერ თარგმნილი „ალზირა“ მივიღეო). შეუქალბელია ალ. ცაგარელის ცნობის უარყოფაც, რომელსაც სწორედ ალ. ჭავჭავაძის მიერ პროზად თარგმნილი „ალზირა“ უნახავს დადგმული გორდში<sup>17</sup>.

7. ს. თურნავა ასევე უსაბუთოდ უარყოფს ალ. ჭავჭავაძის მიერ პროზად თარგმნილ „ალზირას“ პარიზის ლეტელისეულ და ლენინგრადის ბროსესულ პროზაულ ნუსხებს (E43, Br. 141), რომლებიც ერთმანეთს ემთხვევა. კერძოდ, ლენინგრადის ნუსხას (E43, Br. 141) აქვს ლეტელიე-ბროსესეული წარწერები ფრანგულად და ორივე ნუსხაში მთარგმნელად „ჭავჭავაძეა“ მითითებული. — ვინ ჭავჭავაძე, თუ არა ალექსანდრე ჭავჭავაძე? აქ დაეკვივების საფუძველი არ არსებობს; რადგან XIX საუკუნის 30-იან წლებში, როცა ეს თარგმანი ჩანს შესრულებული, ფრანგულიდან ქართულად მთარ-

<sup>16</sup> ი. შ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, II, 1957, გვ. 322—323; გ. შ ი ქ ა ძ ე, ვოლტერის თხზულებათა ქართული თარგმანები (ლიტერატურული ურთიერთობანი, კრ. II, რუსთაველის სახელ. ქართ. ლიტ. ინსტიტუტი, 1969).

<sup>17</sup> Ц а г а р е л и А л., т. I, вып. III, стр. XXXVII.

გმნელი, ლეტელიე-ბროსეს ყურადღება რომ მიექციოს, გარდა ალ. ჰევქავაძისა, სხვა არავინ არის ცნობილი.

ნარკვევის ავტორი აქაც გ. მიქაძეზე კატეგორიული უარყოფითა და ირონიული განცხადებით კმაყოფილდება: „მიქაძის მიერ მოტანილი „არგუმენტები“ — წერს ს. თურნავა, — საექვოდ მიგვაჩნია. როგორც ცნობილია (საიდან? — ა. კ.), პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული პროზაული თარგმანი ალ. ჰევქავაძეს არ ეკუთვნის (ჯერ ეს არავის დაუმტკიცებია — ა. კ.). თარგმანი წაღებული აქვს ჩვენი პოეტის ფრანგ მეგობარ ვ. ლეტელიეს, წარწერაც მის მიერ არის გაკეთებული (მერე ცოტას ნიშნავს ეს ფაქტი? — ა. კ.), რადგან იცოდა, რომ ჰევქავაძე საერთოდ თარგმნიდა ვოლტერის ნაწარმოებებს; არც პარიზული წარწერა, არც დავით დადიანის ცნობა, არც ალ. ცაგარელისა არ არის საკმაო საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ „ალზირის“ პროზაული თარგმანი ალ. ჰევქავაძეს ეკუთვნოდეს“<sup>18</sup>. რატომ არ არის საკმარისი დასახელებული საბუთები, ამას ს. თურნავა ვერ გვიმტკიცებს, მას არავითარი საბუთი არ გააჩნია და რატომღაც თავისი კატეგორიული უარყოფა ჰკონია მთავარი საბუთი.

ს. თურნავას ვეთანხმებით იმაში, რომ მიქაძე „არ არის სწორი, რომ თითქოს ალ. ჰევქავაძემ „ალზირი“ თარგმნა რუსულიდან“<sup>19</sup>.

ს. თურნავას მნიშვნელოვანი მუშაობა გაუწევია ალ. ჰევქავაძის თარგმანებისა და დედნის ურთიერთშეჯერებაზე და სხვადასხვა მიზეზით გაპარული ზოგი უზუსტობაც შეუნიშნავს.

საინტერესოა, კერძოდ, „სინნას“ III მოქმედების პირველ სცენაში მთარგმნელის მიერ 3 ტაეპის გამოშვების ფაქტზე ყურადღების შეჩერება; თუმცა მისი ორი ტაეპი არა მაქსიმეს მიმართვაში ეფორბესადმი, როგორც ნარკვევის ავტორი წერს, არამედ ეფორბეს მაქსიმესადმი მიმართვაში შედის, ესენია:

Contre si noir dessain tout devient légitime

On n'est point criminel quand on punit un crime.

ზოლო გამოტოვებული მესამე ტაეპი, რაზედაც ს. თურნავა ლაპარაკობს თავის წერილში (გვ. 130):

Un crime par qui Rome obtient soi liberté!

<sup>18</sup> დასახ. ნარკვევი, გვ. 137.

<sup>19</sup> ი ქ ვ ე.

ეს არა მოტანილი რეპლიკის მესამე ტაეპია, არამედ ზევით მოტანილ ეფორბეს მაქსიმესადმი მიმართვაზე თვით მაქსიმეს პასუხი. მაგრამ ნარკვევის ავტორი რომ დაკვირვებოდა, შეამჩნევდა, რომ ალ. ჭავჭავაძეს ეს სამი ტაეპი შეგნებულად აქვს გამოშვებული, ისინი ზედმეტად მოჩანს ქართული თარგმანისათვის, რადგან ეფორბეს სიტყვებია: „დანაშაულად არ ითვლება, როცა ბოროტმოქმედსა სჯიანო“, რისი აზრიც მცირედი ნიუანსით, მეორდება მომდევნო სიტყვებშიც: „გარდამხლობელთა დამსჯელი არ შეირაცხვის მკოდველად“.

საერთოდ კი „სინნას“ III მოქმედების სცენაში (ისე როგორც მთელ თარგმანში) კარგად რომ ჩაეხედა ს. თურნავას, შეამჩნევდა, რომ მთარგმნელი — ალ. ჭავჭავაძე ზოგჯერ ადამიანებისა და გეოგრაფიული ადგილების სახელებსაც ტოვებს, ხოლო როცა იგულისხმება ისინი დედანში, მათ თარგმანში ნაცვალსახელებით იძლევა, ან კუმშავს და ლაკონურად გადმოსცემს სათარგმნელ კონტექსტს დედნისადმი ადეკვატურობის დაურღვეველად. მაგ: სინნას III მოქმედების 1-ელ სცენაში მაქსიმეს I რეპლიკა დედანში 4 ტაეპია, ხოლო თარგმანში ხუთი; დედნის I სცენაში იხსენიება ემილია, თარგმანში კი არა, თუმცა იგულისხმება იგი მასში. ამავე დროს დედანში არ იხსენიება აგვისტო (იგულისხმება კი). თარგმანშია: „აგვისტოს სისხლის საზღვევლად“. იმავე სცენაში ეფორბეს პასუხი დედანში 4 ტაეპია, თარგმანში სამი, თუმცა აზრი დედნის შესატყვისია, და მისთ. ანალოგიური მოვლენები მრავალია, მაგრამ ამით დავამთავროთ.

დაბოლოს, ს. თურნავას ერთ უნებლიე ლაფსუსზეც. „ესთერის“ მონოლოგის — „ნუთუ სადმე“ თარგმანისა და დედნის პარალელური ტექსტების მოტანის შემდეგ ნარკვევის ავტორი წერს: „აქ პირველსა და მეორე ტაეპში საზომი დარღვეულია... სხვაგან ყველგან 16 მარცვლოვანი საზომითა თარგმნილი“<sup>20</sup>. ნამდვილად კი მოტანილი ნაწყვეტის I ტაეპი მართლაც 15 მარცვალია, მაგრამ არა მთარგმნელის, არა გადამწერის, არამედ თვით ნარკვევის ავტორის მიზეზით, რადგან ამ ტაეპის სიტყვა „სადამე“ თვით მას (ნარკვევის ავტორს) გადაუწერია მარცვალდაკლებით — „სად[ამე]“. ასე შე-

<sup>20</sup> დასახ. ნარკვევი, გვ. 132..

უმჩნევლად აღმოჩნდა ალ. ჭავჭავაძე საზომის „დამრღვევი“. ნაცვლად 16 მარცვლიანისა გაჩნდა 15 მარცვლიანი ტაეპი:

ნოუ სად [ა] მე გსმზოდეს შენ თემომწონე ასტინა

აქვე უნდა აღინიშნოს ს. თურნავას კიდევ ერთი ლაფსუსის შესახებ: მას ჰგონია, რომ ბირითადად 16 მარცვლოვანი ტაეპებით გამართულ „ფედრაში“, მეორე და მესამე ტაეპებში „14 და ზოგჯერ 13 მარცვლიც კი გვხვდება“ (დასახელ. ნარკვ. გვ. 131), რაც, რა თქმა უნდა, არ არის მართალი და აშკარა გაუგებრობის შედეგია: „ფედრას“ იმ ნაწილში, სადაც 16 მარცვლიანი ტაეპების გარდა 14 და 13 მარცვლიანი ტაეპები შეუნიშნავს ნარკვევის ავტორს, იქვე საგულდაგულოდ რომ დაკვირვებოდა იგი, შენიშნავდა 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15... მარცვლიან ტაეპებსაც, რაც ი. გრიშაშვილმა მაშინვე შეამჩნია და ეჭვიც გამოთქვა: „ფედრას“ აღნიშნულ ნაწილში მოხვედრილი ეს ორი დიდი ფორმატის ფურცელი შესაძლოა „ესთერის“ ნაწილი იყოს<sup>21</sup>.

ი. გრიშაშვილის ეჭვი გამართლდა: აღმოჩნდა, რომ ეს ორი ფურცელი „ფედრას“ მართლაც არ ეკუთვნის: „ესთერის“ დედანთან შედარებით გაირკვა, რომ იგი „ესთერის“ I მოქმედების V სცენაა, რომლის თარგმანის ავტოგრაფიც, ეტყობა, საკითხში გაურკვეველ, მაგრამ ხელნაწერის გადარჩენით დაინტერესებულ პირს, არა „ესთერისთვის“, არამედ „ფედრასთვის“ მიუკუთვნებია და მასში ჩაუყერებია. ეს ვერ შეუნიშნავს ს. თურნავას, ვერც ი. გრიშაშვილის შენიშვნას ვერ ჩაუფიქრებია და რა გასაკვირია, რომ უცხოდ ეჩვენა „ფედრაში“ 16 მარცვლიანი ტაეპების გვერდით „14 და ზოგჯერ 13 მარცვლიანი ტაეპები“. „ესთერის“ დასახელებული V სცენა ეს არის იზრაველ ქალთა გლოვის სიმღერის სცენა, რომელშიც რასინს, ძველფრანგული, თუ ძველებრაული ფოლკლორული ლექსის შესატყვისად, სხვადასხვა საზომები აქვს გამოყენებული, რაც კარგად აქვს გათვალისწინებული მთარგმნელს — ალ. ჭავჭავაძესაც, — იგი ქართულშიც ინარჩუნებს დედნის საგლოვო-სასიმღერო სტროფიკასა და მეტრიკას. მხოლოდ ამ სცენაში არ არის არცერთი 16 მარცვლიანი ტაეპი და დედნის ნაირსაზომიანი სტროფების შესაბამისად ქართულ თარგმანშიც გვაქვს ქართული თეთრი. თუ თავისუფალი ლექს-

<sup>21</sup> ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940 გვ. 338.

სისნაირად გაწყობილი სტროფები:

14, 8, 14, 14, 7

14, 14, 14, 14, 7, 7, 7 7, 7 14, 13, 14 14, 14, 14

7, 7, 7, 1 7, 7, 7 10, 10, 15, 12 9, 12, 7, 7, 1, 1

11, 11, 11, 12, 12, 12, 12, 12 14, 15, 17, 15

14, 1, 7, 7, 7, 7, 14, 14, 14, 13, 7, 7 12, 12, 12, 12 11, 11

11, 12, 12, 13, 13, 12, 12, 13, 12, 12 10, 10, 15, 12, 9, 12, 7, 7, 11<sup>23</sup>

ასე რომ „ესთერის“ V სცენაში სხვადასხვა ზომის ტაქტებისაგან შემდგარი 17 სტროფია სულ; სამაგალითოდ მოვიტანთ უკანასკნელი სტროფის დედანს და თარგმანს:

Une Israelite, seule.  
Quel carnage de toutes parts!  
On égorge à la fois les enfants, vieillards,  
Et la soeur, et la frère,  
Et la fille, et la mère,  
Le fils, dans les bras de son perel  
Que de corps entassés, que de membres épars,  
Privés, sepulturel  
Grand Dieu, tes saints sont la pâture  
Des ligres et des léopards!

თარგმანი ასეთია:

ერთი ებრაელი ქალი, მარტოდ:	
ვაი, ვესწარით რაგვარს სისხლის ღვრას	10 მარტვ.
მოხუცნი, ყრმანი, დანი და მშანი,	10 "
ქალნი დედებით, ძენი მამებით, ერთად მოისრას	15 "
რავდენნი დაიდგმიან გორანი მკედართა	12 "
დაუსამარებლად მშთართა!	9 "
ეჰა, მართლმსაჯულო, ნუთუ ამას სიმობ შენ—	12 "
რომე წმინდანი შენნი,	7 "
შენთვის თავთა დამდენი,	7 "
მ ხეტთა და ფრინველთა შესაქმელ იქმენნი!	11 "

<sup>23</sup> ყოველი უკრის ციფრები თანმიმდევრობით ტაქტებს და მათ მარტვალთა რაოდენობას აღნიშნავს.



მთელი V სკენა — დედნითაც და თარგმანის მიხედვითაც, — „მართლად გალობით ითქმის ხოროს მიერ“, რაც ალ. ჭავჭავაძეს სწორედ დედნის ადეკვატურად, — დედნისადმი სრული შესაბამისობით უთარგმნია.

ს. თურნავა იგავ-არაკების „ჭრიჭინასათვის“, „მგლისა და კრავისათვის“, „თხისა და მელიასათვის“ დედნისა და თარგმანის პარალელური ტექსტების შეჯერების შემდეგ მართებულად ასკვნის, რომ „აღნიშნული იგავ-არაკები თარგმანები არ არის, მიბაძვან და არა თარგმანი“<sup>23</sup>. ასევე სწორად შენიშნავს იგი, რომ ალ. ჭავჭავაძის მიერ ლექსი „მეფე რომ ვიყო“ ვ. ჰიუგოს „მიბაძვითაა დაწერილი“<sup>24</sup>.

ვიზიარებთ ნარკვევის ავტორის ძირითად აზრს, რომ ალ. ჭავჭავაძე ლექსის — „ვოლტერის თქმული ტაქტიკაზედ“ თარგმანში ინარჩუნებს დედნის შინაგან წყობას“<sup>25</sup>. მაგრამ არ არის გასაზიარებელი ავტორის აზრი, რომ, თითქოს, ვოლტერის ლექსის — „ტაქტიკის“ ალ. ჭავჭავაძისეულ თარგმანში, თითქოს, „შიგა და შიგვხედებით ადგილებს, სადაც დარღვეულია საზომი“<sup>26</sup>; ჩვენთვის გაუგებარია, საზომის რა „დარღვევაზე“ ლაპარაკობს ს. თურნავა: თუ „დარღვევად“ თვლის იმას, რომ ალ. ჭავჭავაძე თარგმანში იყენებს ზოგჯერ რუსთაველურ დაბალ შაირს (53/53) და ზოგჯერ მაღალ შაირს (44/44), ცხადია, „დარღვევად“ არ მიიჩნევა, — საზომის სხვა „დარღვევა“ კი მასში არ არის.

თარგმანში — „ვოლტერის თქმული ტაქტიკაზედ“ ყურადღებას იქცევს მთარგმნელის — ალ. ჭავჭავაძის მიერ დაშვებული უფრო სხვა ხასიათის ლაფსუსი, რაც ნარკვევის ავტორს ვერ შეუნიშნავს; საქმე შემდეგშია: თარგმანი ბოლოვდება ტაეპით:

რომელსაცა ჰრომის ბერსა თავს უღვია მარღველობა.

ამ ტაეპის კონტექსტი „ჰრომის ბერსა“ დედანში ასეა წარმოდგენილი „de l'abbé de Saint-Pierr“ („აბატი დე სენ პიერი“); ასე რომ თარგმანში აშკარა ლაფსუსია დაშვებული, რაც რუსული თარგმანების გათვალისწინების გზით უნდა მოდიოდეს, რადგან აღნიშ-

<sup>23</sup> დასახ. ნარკვევი, გვ. 135.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> დასახ. ნარკვევი, გვ. 135.

ნული ადგილი სწორედ ამ მცდარი ფორმით არის წარმოდგენილი მაშინდელ რუსულ თარგმანებშიც (ალ. ჭავჭავაძეს „ვოლტერის თქმული ტაქტიკაზედ“ ნათარგმნი უნდა ჰქონდეს ფრანგულიდან არა უგვიანეს 1810 წლისა, როცა ვოლტერისადმი ინტერესმა აპოგეას მიაღწია და სწრაფადაც დაცხრა).

ჩვენი შენიშვნების მიუხედავად, ს. თურნავას უდავოდ სასარგებლო მუშაობა აქვს გაწეული ალ. ჭავჭავაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესასწავლად. მისი ნარკვევი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს, კერძოდ, ალ. ჭავჭავაძის თარგმანების ენობრივ-სტილისტურ თავისებურებათა შემდგომ შესწავლას.

ვიმედოვნებთ, ფრანგი კლასიციკლების ტრაგედიების ალ. ჭავჭავაძისეული თარგმანების შემდგომი შესწავლისადმი ინტერესი გაცხოველდება და არა ერთი ბნელით მოცული საკითხი გაირკვევა, რასაც დაუფასებელი მნიშვნელობა ექნება როგორც ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის, ისე თანამედროვე მთარგმნელობითი ხელოვნებისათვის.

---

ბრიგოლ ორბელიანის ერთი ლექსის გამო  
(„ჩემს დას ეფემიას“)

1832 წლის შეთქმულების დამარცხებამ ღრმა დაღი დაასვა ქართველი ხალხის როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებას. პატრიოტული იმედების გაცრუება, დამარცხებისაგან გამოწვეული სულიერი ტკივილი ნათლად აისახა იმ დროს ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში. სწორედ შეთქმულების დამარცხების შემდეგ იწყება XIX საუკუნის ქართული რომანტიკული სკოლის გამოჩენილი წარმომადგენლის გრ. ორბელიანის შემოქმედების ახალი (როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, „საკუთრივ რომანტიკული“) პერიოდი, რომლის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს ცნობილი ლექსი „ჩემს დას ეფემიას“. ეს პოეტური ნაწარმოები „იშვიათი ფსიქოლოგიური დოკუმენტია პოეტის იმდროინდელი სულიერი ვითარების გასაცნობად... და შეუდარებელი მხატვრული ძალით გამოხატავს იმ გარდატეხის დასაწყისს“<sup>1</sup>, რაც გამოიწვია შეთქმულების მარცხმა. ამგვარად, აღნიშნული ლექსი, არა მხოლოდ ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაა გრ. ორბელიანისა, არამედ მისი ცხოვრებისა და პოეტური ევოლუციის გარდამტეხი მომენტის გამომხატველიცაა. დიდად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამ განწყობილებების გამოხატვისას გრიგოლ ორბელიანმა შთაგონების წყარო ჰპოვა ბაირონის პოემაში „შილონის ტყვე“ („The Prisoner of Chillon“). ამ პოეტურ ქმნილებაში ჩაქსოვილი აზრები და გრძნობები საოცრად დაემთხვა იმ სულიერ მდგომარეობას, იმ მტკივნეულ

<sup>1</sup> გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზ. სრ. კრებული, 1959, აკ. გაწერელის შესავალი წერილით, გვ. 53—54.

განცდებს, რითაც ქართველი პოეტი შეთქმულების მარცხის შემდეგ იყო შეპყრობილი.

სამშობლოდან დევნილი ბაირონის წინააღმდეგობრივი განწყობილებებით აღბეჭდილი პოეტური სახეები გრ. ორბელიანისათვის გახდა თავისებური საყრდენი საკუთარი გულგატეხილობის, იმედთა რღვევისა და უსასოობის გამოსახატავად.

ბაირონის ამ ნაწარმოებიდან მიღებული სტიმულითაც უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ „ჩემს დას ეფემიას“ მკაფიოდ გამოვლენილი რომანტიკული ხასიათის ლექსია არა მხოლოდ თავისი მხატვრული ფორმით, არამედ ემოციური შინაარსითაც. „სულიერი სიმარტოვის, უდროოდ დაბერების“, ამქვეყნიურ მიწიერ მშვენიერებათა და სიამეთადმი „მიუნდობლობის“ მოტივები ამ ლექსს XIX საუკუნის ქართული რომანტიკული პოეზიის ერთ-ერთ ყველაზე ტიპურ ნიმუშად აქცევს“<sup>2</sup>.

ჩვენი დაკვირვებით, ლექსის „ჩემს დას ეფემიას“ ზოგიერთი პასაჟი, როგორც საერთო სულისკვეთებით, ისე ცალკეული დეტალებითაც, უაღრესად ახლოსაა ბაირონის აღნიშნულ ნაწარმოებთან. გრიგოლ ორბელიანს აქა-იქ თითქმის უცვლელად გადმოუღია ბაირონის პოემის ცალკეული სტრიქონები და სტროფები, ხოლო სხვა შემთხვევაში რამდენადმე შეუცვლია ბაირონისეული სახეები (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლექსში „ჩემს დას ეფემიას“ ძირითადად შეცვლილია ბაირონის ანალოგიური სტროფების თანამიმდევრობა). იმ ფაქტს, რომ „ჩემს დას ეფემიას“ დავალებულია ბაირონის აღნიშნული ნაწარმოებისაგან, თავისებურად მიგვანიშნებს შემდეგი გარემოება. გრ. ორბელიანი შესანიშნავად იცნობს ცნობილი რუსი პოეტის ვასილი ჟუკოვსკის შემოქმედებას, რომლის კალამსაც ეკუთვნის ბაირონის „შილონის ტყვის“ რუსული თარგმანი. როგორც ცნობილია, ვ. ჟუკოვსკის «Певец во стане русских воинов» (თავის მხრივ თომას გრეის ოდისაგან დავალებული) გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ შთაგონების წყარო იყო. პოემის ერთ ვარიანტს („ტოლუბაშს“) თან ახლავს ცნობა, რომ ის არის „მიბაძვა ჟუკოვსკისა“.

1832 წელს გრ. ორბელიანს ვ. ჟუკოვსკის გავლენით დაუწერია

<sup>2</sup> გ. ასათიანი, ვეფხისტყაოსნიდან ბახტრონამდე, 1974, გვ. 120.

ლექსი „ჩოი სოფელო“ და „მას უხაროდეს“. მასვე მოეპოვება სხვა „მიბაძვაც ქუკოსკისა“<sup>3</sup>.

ვ. ქუკოსკის შემოქმედებით, და განსაკუთრებით „შილონის ტყვის“ თარგმანით დაინტერესება გრ. ორბელიანისათვის არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი. ქუკოსკის მიერ თარგმნილ ბაირონის „შილონის ტყვეს“ ფართო გამოხმაურება ხვდა წილად რუსეთში. თარგმანი შესრულებულ იქნა 1821 წელს და „თავისი დროისათვის ლექსობრივ სიახლედ იქნა აღიარებული“<sup>4</sup>. ქართველი საზოგადოება ქუკოსკის თარგმანს მისი გამოქვეყნებიდან ორიოდ წლის შემდეგ ეცნობა. 1823 წელს, ვინმე ყ. კ. თბილისში მეგობარს უგზავნის ქუკოსკის „შილონის ტყვეს“ და პ. ვიაზემსკის რეცენზიას თარგმანის შესახებ, სადაც აღნიშნულია, „არა მგონია ბაირონს მოეძებნებოდეს უფრო მხატვრული, ტექსტთან უფრო ახლო მდგომი მთარგმნელი, ვიდრე ქუკოსკია“.

გრიგოლ ორბელიანის ლექსის დაწერის ისტორია ჩვენ ასე წარმოგვიდგება: როგორც ჩანს, ქართველი პოეტი გაცნობია ბაირონის „მიძღვნას ავგუსტასადმი“, („Epistle to Augusta“. ლექსი ბაირონმა თავის დას, ავგუსტა ლის უძღვნა). როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ეს ლექსი და „შილონის ტყვე“ ერთ წელიწადს დაიწერა (1816) და ერთად დაიბეჭდა<sup>5</sup>. „მიძღვნა ავგუსტასადმი“ იწყება სტრიქონით, რომელშიც პოეტი თავის დას მიმართავს, გრიგოლ ორბელიანიც თავის ლექსს ანალოგიური მიმართვით იწყებს „დაო სასურველ!“ — ბაირონთან „my sister, my sweet sister“<sup>7</sup> (ჩემო დაო! ჩემო საყვარელო დაო!).

ბაირონის ლექსში „მიძღვნა ავგუსტასადმი“ პოეტის განწყობილება ისე მძიმე და სასოწარკვეთილი არ არის, როგორც გრიგოლ ორბელიანის ლექსში. ასეთი თანხვედრა უფრო თვალსაჩინოა „შილონის ტყვესთან“. ცნობილია, რომ 1832 წლის შეთქმულების და-

<sup>3</sup> აკ. გაწერელია, გრიგოლ ორბელიანი, იხ. თხზულებათა სრული კრებული, აკ. გაწერელის შესავალი წერილით, 1959, გვ. 015.

<sup>4</sup> Б. М. Эфенбаум, Лермонтов, с. 32—33.

<sup>5</sup> Письма на Кавказе — «Сын отечества», 1832, № 1, с. 1—18.

<sup>6</sup> Б а й р о н. Лирика и сатира, под. ред. М. Н. Розанова, 1935, стр. 293.

<sup>7</sup> The Illustrated Byron with upwards of Two Hundred Engravings from Original Drawings by Kenny Meadows..., London, p. 540.

მარცხების შემდეგ გრ. ორბელიანი, ერთხანს, პატიმრობაში იმყოფებოდა. ამასთან დაკავშირებით პოეტი თავის მოგონებებში წერს: „ერთი კვირა გამაჩერეს ამის გამო პეტერბურგს და შემდეგ ქალაქს გამომგზავნეს, საცა რამდენიმე თვე ყაზარმებში ვიყავი დამწყვედული. ჩემს გვერდით ნომრებში ისხდნენ ალექსანდრე ორბელიანი, სიმონ მაჩაბელი, გიორგი ერისთავი. ჩემზე საცოდავი და საბრალო არა იყო-რა დედამიწაზე. მამულში ვიყავი მოსული და ნაცნობ-მეგობრებს შორის მხიარულების ნაცვლად საპატიმროს კედლების ხილვა მაწეა გულზე ტყვიასავით“<sup>8</sup>. როგორც ჩანს, სწორედ ამ მდგომარეობისა და შესატყვისის ფაქტების ანალოგია ჰპოვა გრ. ორბელიანმა ბაირონის პოემაში, სადაც პოლიტიკური პატიმრის ბონივიარის ტანჯვა აღწერილი. ბაირონის გმირის ფიქრები და სულიერი მოძრაობანი უაღრესად ესიტყვებოდნენ ქართველი პოეტის ნამდვილ განცდებს და აზრებს. სწორედ ამან გამოიწვია მეტად საგულისხმო პოეტური შეხმიანების ფაქტი. საილუსტრაციოდ მოგვაქვს მაგალითები უუკოვსკის თარგმანიდან<sup>9</sup> და გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან<sup>10</sup>:

День приходил — день уходил

Шли годы — я их не считал

უჩინოდ ჩემთვის მდინარებდნენ თვისისა წესით  
 დღენი და თვენი, და ვერც ვსთვლიდი მე მათსა დენას.

Без цепи ль я , в цепи ль я был:

Я безнадежность полюбил

ვაი მას, ვინცა პრაცხს ნუგეშად, ვის მე მიმაჩნის,  
 რომ შევეჩივე მწუხარებას და ვაი სადგურს.

Лишь слово изредка со мной

О наших прошлых временах,

О лучших будущего дня

Об упованиях... но объят

<sup>8</sup> ი. მე უ ნ ა რ გ ი ა , გრ. ორბელიანი, ქართველი მწერლები, ტ. 1, გვ. 47—48.

<sup>9</sup> Б а й р о н , Шильонский узник, перевод с английского В. Жуковско-го; см. Байрон, под редакцией С. А. Венгерова, т. II, СПб, Брокгауз-Ефрон, 1905, с. 13—18.

<sup>10</sup> გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ჩემს დას ე თემიას, ქართული პოეზია, ტ. 6, 1975, გვ. 185—189.

Той тратой, горшею из трат,  
Я был в свирепом забытьи

ან დავიწყებით, ან შებრალებით წარსულ სიამე  
თითქოს ჩემს გულში სურვიით ნაცნობს ძველ კვალს ჰპოვებდა;  
თითქოს პსციდილობდა განბნევისა გულის სიბნელის  
და ვით თვის სადგურს, ჩვეულებრივ მუნ დამკვიდრებას!  
მაგრამ მით უფრო გული გრძნობდა ფასს დაკარგულის,  
წარსულთა დღეთა იგონებდა რა ნეტარებას.

И гроб тюрьма ему была  
Свободной был бы смертный час;

თუ სად სიკვდილსა ვინატრიდი ვით ცის ნუგეშსა.

И люди наконец пришли  
Мне волю бедную отдать

ვიდრე დასასრულ ვაების ბჟე არა განმიღეს.

Наш голос страшно одичал:  
Он хриплым отголоском стал  
Глухой тюремный стены;  
Он не был звуком старины  
В те дни, подобно нам самим,  
Могучим, вольным и живым  
Мечта ль? — но голос их и мой  
— Всегда звучал мне, как чужой

მაგრამ შემზარდა, რა ნაცვლად ხმის განხდა ხრიალი,  
და კედელთადა დაყრუებულთ წარმოსთქვეს ბანი  
ხმა ეს უცნობი იყო ველურ და საზარელი,  
გავოცდი, ვკსლუმენ და ხმა ჩემი მევე ვერ ვსცანი.

ბაირონის „შილონის ტყვეში“ უმაღლეს ემოციურ წერტილს  
აღწევს გმირის აღსარება, როდესაც პოეტი მოგვითხრობს ბონივა-  
რის სიხარულზე ჩიტის ხმის გაგონების გამო. დაახლოებით ასეთსა-  
ვე კულმინაციურ მომენტში გაისმის მერცხლის ხმა გრ. ორბელია-  
ნის ლექსში:

Вдруг луч внезапный посетил,  
Мой ум: то голос птички был:  
Он умолкал, он снова пел;  
И минилось, с неба он летел —

И был утешно-сладок он.  
Им очарован, оживлен,  
Заслушавшись, забылся я,...  
...И в сладость песнь его была:  
Душа невольно ожила.

მავრამ მახსოვს კი, ერთგვის მესმა ჭიკჭიკი მერცხლის,  
და სწორედ ვიტყვი, მრწამდა იგი ხმად მეგობრისა,  
იზიარ სოფლით ჩემს ნუგეშად მოვლინებულო,  
და მის პასუხად მსურდა მეცა თქმა სიმღერისა!

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი პოეტი ბრმად როდი მიჰყვება ბაირონის პოემის ეუკოვსკისეულ თარგმანს. პოემიდან ნასესხებ მოტივებს ის ორგანულად ავითარებს და მთელი რიგი დამოუკიდებელი, არანაკლებ მაღალმხატვრული სახეებით ამდიდრებს:

То было — тьма без темноты;  
То было — бездна пустоты,  
Без протяженья и границ;  
То были образы без лиц;  
То страшный мир какой-то был,  
Без неба, света и светил,  
Без времени, без дней и лет,  
Без промысла, без благ и бед:  
Ни жизнь, ни смерть, как сон гробов,  
Как океан, без берегов,  
Задавленный тяжелой мглой,  
Недвижный, темный и немой.

სადაც ოხვრანი, აღმოსულნი გულისა სიღრმით,  
არვის ესმოდნენ და ჰქრებოდნენ ზღუდეთა შორის!  
სადაცა ჰსწევდნენ, ვითა ცეცხლი, დაწვთ ცრემლნი დენით,  
და მათ არ ჰსწევებდა არაიისი ხელი ნუგეშის;  
სად ვერა ჰსცნობდი ცისკრის ბრწყინვას, ვერც მწუხრის ქამსა,  
სად დღე უნათლო იყო ღამედ, ღამე—უვარსკვლავ.  
და სად სიკვდილსა ვინატრიდი ვით ცის ნუგეშსა,  
თუმცა საშარეს შეედრების, სადაცა ვიყავ.

ჩვენ აქ არ შევჩერდებით დიდი ინგლისელი რომანტიკოსისათვის დამახასიათებელი ბუნების წარმოსახვის უბადლო ოსტატობაზე. რუსი პოეტის, ვ. ეუკოვსკის შემოქმედებაშიც ბუნება საოცრად ცოცხალი, ჰარმონიული, გამოუცნობი მუსიკითაა შთაგონებული. გრ.



ორბელიანი ლექსში „ჩემს დას ეფემიას“ თავის ემოციურ მდგომარეობას ბრწყინვალედ ათანხმებს პეიზაჟთან. საერთოდ, მის შემოქმედებაში ბუნება გამოხატავს იმ ჰარმონიულ მთლიანობას, რასაც ადამიანის სული ესწრაფვის და ამდენად მკვეთრად უპირისპირდება წინააღმდეგობებით გათიშულ რეალურ საზოგადოებრივ ცხოვრებას. „ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთი დაპირისპირება ტიპოლოგიურად ამსგავსებს გრიგოლ ორბელიანის პოეზიას XIX საუკუნის ევროპული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შემოქმედებასთან“<sup>11</sup>.

ჯერ კიდევ 1871 წ. ივანე კერესელიძე მიუთითებდა ბაირონისა და გრ. ორბელიანის შემოქმედებაში არსებულ მეტად საგულისხმო მხატვრულ შეხვედრებზე: „ბუნების აღწერაში ჩვენი პოეტი მიემსგავსება კარგს გამოჩენილს მხატვარსა, რომელიც გამოგვიხატავს თვით უძნელეს საგანსა მხატვრისათვის—ბუნებასა. ამის ბუნების აღწერით ნათლდება გონება, იშლება გული, სიამოვნებს და მხიარულდება, თითქოს იმ მშუენიერად აღწერილს ბუნებაში ვარო. ლორდ ბაირონი ბუნების აღწერაში დიდად ნაქებია“...<sup>12</sup>. აქვე ავტორი პარალელს ავლებს ბაირონის „ღონ-უქანსა“ და „სადღეგრძელოს“ ერთ პასაჟს შორის.

ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში აღნიშნულია, რომ გრ. ორბელიანი „როგორც ქემშარიტი რომანტიკოსი ბუნებაში ეძებს თავისი ტკივილებისა და სიხარულის თანაზიარობას... ესმის ყვავილთა ფშვინვა და ფრინველთა ყრიაშული, მოხიბლულია ცის ტატნობზე ვარსკვლავთა ციმციმით, მზის მოელვარე სხივებით, მთვარეანი ღამეების იღუმალებით. მთელი ქართული პოეზიაა დავალებული გრ. ორბელიანის მიერ ბუნების ამგვარი ამეტყველებისაგან“<sup>13</sup>.

Но мне хотелось бросить взор  
На красоту знакомых гор,  
На их утесы, их леса

На близкия к ним небеса...  
Я их увидел — и они  
Все были те ж...

<sup>11</sup> დ. ლაშქარაძე, ევროპეიზმი და გრ. ორბელიანის შემოქმედება, „მნათობი“, 1975, გვ. 148.

<sup>12</sup> ბ ი ძ ი ა დ თ ნ ი კ ე (ივ. კერესელიძე), „სადღეგრძელო“, თქმული ლექსად თვადის გრ. ორბელიანისაგან..., ქურონ. „ცისკარი“, 1871, № 2.

<sup>13</sup> აკ. გაწერელია, გრ. ორბელიანი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, 1969, გვ. 101.

როგორც ვნახეთ, ამ ორ ნაწარმოებს შორის შეინიშნება არა მარტო ფორმალურ-კომპოზიციური, არამედ თემატურ-შინაარსობრივი მსგავსებაც:

შემდეგ სიამით მიმოვხედე გარეშე არეს: —  
მდინარე იგი, იგივე მთანი, ნიაე მომფენნი,  
წალოტნი, ველნი, უწინდელუბრ აღმწვანდებოდნენ,  
იგივე უღრუბლო, უცვალებელ ცა ნათლოვანი...

სრულიად ბუნებრივია, რომ დიდი ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის ნაწარმოებით შთაგონებული და მისგან დიდად დავალებული ლექსი მიჩნეულია „ერთ-ერთ ყველაზე უფრო რომანტიკულ ნაწარმოებად“ გრ. ორბელიანის ლირიკაში.

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენლის, გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებით ევოლუციაში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბაირონის პოეზიამ. გრ. ორბელიანის დიდი დამსახურება ის არის, რომ ლექსში „ჩემს დას ეფემიას“ (მიუხედავად მისი აშკარა ტექსტუალური მსგავსებისა ბაირონის აღნიშნულ ნაწარმოებთან) მან შეძლო არ დაჩენილიყო ბრმა მიმბაძველის როლში და შეექმნა საკუთარი სულიერი განწყობილებების, შეთქმულების დამარცხების შემდგომდროინდელი სულიერი ატმოსფეროს ამსახველი არსებითად ორიგინალური, მაღალმხატვრული ნაწარმოები.

ბაირონის შემოქმედებამ ბიძგი მისცა ქართველ პოეტს ახალი პოეტური სახეების შესაქმნელად. საგრძნობლად გაამდიდრა მისი ლექსის ემოციური პალიტრა. ამ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საერთოდ ქართული რომანტიკული პოეზიის შემდგომი განვითარებისათვის.

---

## ლეილა სულხანიშვილი

### ეპითეტი ვაჟა-ფშაველას ლირიკაში

ეპითეტი, როგორც საგნისა თუ მოვლენის მხატვრული განსაზღვრება, მკაფიოდ გამოავლენს პოეტის ესთეტიკურ ხედვას, გამოსახვის საგანთან ხელოვანის მიმართებას, მისი პოეტური განცდის თავისებურებას. ამიტომაც თავისთავად ცხადი უნდა იყოს ამ თვალსაზრისით ვაჟა-ფშაველას ლირიკის შესწავლის მნიშვნელობა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ვაჟასთვის სპეციფიკური ეპითეტების გარდა, მის პოეზიაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ე. წ. „მუდმივ ეპითეტებს“, მკითხველისათვის ძალზე ნაცნობს, რომელთაც ამის გამო აღარ შესწევთ ძალა, განსაკუთრებული ესთეტიკური სიამოვნება მოგვგვარონ. ეს ეპითეტები საზღვრულ საგანსა თუ მოქმედებას ან განცდას ბუნებრივად შემოპყვებიან ლექსში და არ ტოვებენ მხატვრული აღმოჩენის შთაბეჭდილებას; ისინი თითქოსდა არც წარმოადგენენ გამორჩეული, ორიგინალური ესთეტიკური განცდის შედეგს. ასეთია, მაგალითად, ეპითეტი მწარე, რომელიც ვაჟას ლირიკაში თან ახლავს სიტყვებს: ფიქრი, ცრემლი, ცრემლის წვეთები, ცრემლის წყარონი, მოთქმა, სიცოცხლე, დღე, ღმუილი, კვნესა:

ზაფხულსაც ჩემთვის ურცხვადა

მოაქვს ფიქრები მწარია. („იალბუზის სიმღერა“)

დაღონდა, წყრომით წარმოსთქვა,

ცრემლი გადმოჰსქდა მწარია. („იალბუზი“)

ქალ-რძლის არ ისმის ქვითინი,

დედბერს მოთქმა მწარია. („ბუნების გლოვა“)

აღარა ვწყველო, ეგები,

ჩემი სიცოცხლე მწარეო. („ყური დაგირინდა“)

ბევრი ვაება ვიხილე.

ბევრი დღე ვნახე მწარეო. („მთაში“).

ამავე დროს, ზოგიერთ სიტყევასთან ერთად ეს ეპითეტი ვაჟას ლექსებში მრავალგზის მეორდება. ძალიან ხშირად გვხვდება, მაგალითად, ფიქრი მწარე:

ამ ტურფა არე-მარეში

ფიქრებს განვიციო მწარესა. („ილიას საღამო“)

ერთხელ — არ ვიცი ამ დროსა

ფიქრი რად მომდის მწარეო... („ვლ. მესხიშვილის საიუბილეოდ“)

რო ვნახე, გული აძგერდა,

ფიქრი მეწვია მწარეო („ქართლს“)

მოურჩა ფიქრი ნამტირალევი,

ფიქრები მწარე, გრძნობები გლოვის. („ერეკლეს სიზმარი“)

ვკითხულობ გორის ციხეზედ

ჩემს ფიქრს ძველებურს, მწარესა. („ქართლი“)

ასეთივე „მუდმივი“, მეტყველებაში დამკვიდრებული და უკვე გაცვეთილი ეპითეტებია: მდუღარე და ცხარე, როდესაც მათი საშუალებით დხასიათებულა ცრემლი. ცხარე ცრემლი ისევე ხშირად გვხვდება ვაჟას ლექსებში, როგორც ზემოთ ნახსენები ფიქრი მწარე.

ცხარე ცრემლს ღვრიდა, ხალხს ემდუროდა, —

არ მიწამო ტანჯულმა ერმა... („პოეტი და მისი ნუგეში“)

ბაჩანას, ამის გამგონეს,

ცრემლი ჩამოსქდა ცხარია... („აქა ამბავი დისწულ-ღედიძე მათი“)

რა აგონდება, ვის გლოვობს,

რად აფრქვევს ცრემლსა ცხარესა? („მამას ელიან ბალები“)

დაჟე, დავიწყე ტირილი,

ცხარე ცრემლები ვღვარეო. („ქართლს“)

ენა დამება, დავმუწდი,

ცხარე ცრემლი მდის, მჩქეფარე. („ჩვენება“)

ზემოთ მოტანილი მაგალითების გარდა, ვაჟას ლირიკისათვის ჩვეულებრივი „მუდმივი ეპითეტებიდან“ უნდა დავასახელოთ: ტკბილი ხმა, ტკბილი ძილი, ტკბილი ღიმილი, ტკბილი საკრავი („წარმოსთქვა ნაზი, ტკბილი ხმით“, — „პირველი გაზაფხული“; ტკბილს ხმებს უყივის კვლავ ჩემი სული“, — „ჩანგის ხმა“; „მაშ ვეღარ ვნახავ მის ტკბილს ღიმილ-

სა?“ — „ნუთუ მკედარია ჩემი იმედი?“; „ამ ტყის ანგელოზს გოგონას ტკბილს ძილს არა-რა ურღვევსო“, — „მწყემსი ქალი“; „დაუკრას ტკბილი საკრავი“, — „ამირანი“; „გულს გაგვიგრილებს ხანდახან ტკბილის ფშურის მღერითა“, — „მწყემსის სიმღერა“; ქრელი პეპელა („მოფრინდა ქრელი პეპელა, ობოლს დააჯდა ხელზედა“, — „ობოლი“), ბერი ქედანი („მოფრინდა ბერი ქედანი, ობოლს დააჯდა მხარზედა“, — „ობოლი“); ცხრათვალა მზე („და ცხრათვალა მზე კაშკაშებს, როგორც წყვილიადში სანთელი“, — „საშობაო ზღაპარი“), მოწმენდილი ცა, უუუუნა წვიმა („მოწმენდილი ცა ღრუბლებმა ერთ წამში შავად დაფარა. დაუშვა უუუუნა წვიმა, საამო, წმინდა, ანკარა“, — „ტყის სურათები“); მბუტავი იმედი („მზედ იქცა გულში მთრთოლარე იმედი, ოღნავ მბუტავი“, — „მართია წუთისოფელმა“); მზიანი დღე („მიწურულია აპრილი, დღეს კი ვერ ვხედავ მზიანსა“, — „რად ამბობთ გაზაფხულდაო“: „ღამე არ იყოს თავპირ-სამტკრევი, ვინ შეაქებდა დღესა მზიანსა?“ — „საასპარეზოდ მოგვცა უფალმა“), შავი დრო („ჯერ არ მომკვდარა მორწმუნე გული: შავმა დრომ მხოლოდ დაავედა“, — „ჯერ არ მომკვდარა მორწმუნე გული“; „ამ შავის დროის ნიშის საგებლად გულს დარჩენია მხოლოდ იმედი“, — „დ. კ-ს“).

ეპითეტი შავი მხოლოდ დროს კი არ ახლავს მუდმივად, არამედ ისეთ მოვლენებსაც განსაზღვრავს, როგორცაა: ნისლი, ღრუბელი, ფიქრები, სვე-ბედი:

შავი იკვროდა ღრუბელი,

დაბლა წვებოდა ციდანა. („სიზმარი“)

გულს გაუწირეს სახსოვრად

შავი ფიქრები ვერანი. („ზმანება“)

ღამალა შავმა ფიქრებმა... („ათასჯერ მოხვედ, იაეო“)

აღარ დამწვევდა თვალებსა

ქვეყნის სვე-ბედი შავია. („დანაბარები“)

ესეც შაბლონური წყვილებია, რომლებიც კონტექსტში ზოგჯერ ახლებურად გამოიყურებიან იმის გამო, რომ საზღვრულ სიტყვას რამდენიმე სხვა ეპითეტიც ერთვის. ასეთი შემთხვევა გვაქვს, მაგალითად, ლექსში „მთათ ძილი“:

ნამი უმცირევე მწვანეზედ  
ნისლებს ნასტუმრალთ, მრავალთა,  
თან ნამის, სიოს მზიდველთა  
შავთა, შავ-ფერად მავალთა.

აქ ნისლები უბრალოდ შავნი კი არ არიან, არამედ — ნასტუმრალნი, ნამის, სიოს მზიდველნი, შავ-ფერად მავალნი. ასეთ გარე-ზოცეაში, განსაკუთრებით კი უკანასკნელი ეპითეტის („შავ-ფერად მავალთა“) მეზობლობაში ჩვეულებრივი, თითქოსდა მხოლოდ ფაქტის აღმნიშვნელი განსაზღვრება შ ა ვ ი ახალი, ემოციური, შინაარსით იტვირთება.

აღსანიშნავია, რომ ერთი და იგივე ობიექტი ვაჟას ლექსებში ეპითეტების საშუალებით სხვადასხვა კუთხით არის წარმოდგენილი ან ამ ობიექტის ერთი და იგივე ნიშანი სხვადასხვაგვარადაა გამოხატული, შინაარსობრივად მონათესავე ეპითეტების მეშვეობით. მთა, მავალითად, რომელსაც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში უაიოკელესი ადგილი უქირავს, არის: ყელმოღერებული, მთელის ხმელეთის მფლობელი, თვის დღეში ცრემლ-დარდ-უნახველი, არვისთვის არარის მთხოვნელი („მთას ვუცქერ ყელმოღერებულს“), თოვლიანი („ყარსის ბოლოს“), შავი, დაღონებულად მზირალი (\* \* \*) უტყეო, აყუდებული („ტყის სურათები“) ანდა მორთული ბალახით („მწყემსის სიმღერა“), უზარმაზარი („ერთი და მეორე“), მაღალი („მოტყუებული“), ზეცად ქედაწვდილი („თქვენი ჭირიმე, ჰოი მთებო“), მკერდ-ბტყლად მდგომიარე, პირქუში, ვარმით გაზდილი, ვარმისვე მშობიარე, ჭირისუფალი, სულ მუდამ მგლოვიარე („მთა და მთვარე“), შეუპოვარი („მთაო, შე შეუპოვარო“), ბებერი („პირველი გაზაფხულის სურათები ბარად“).

თუ ერთი წყება ამ ეპითეტებისა შეიძლება შეფასდეს მხოლოდ როგორც ერთგვარი ინფორმაცია დასახელებულ ობიექტის შესახებ (თოვლიანი, უტყეო, მაღალი), მეორე წყება (აყუდებული, უზარმაზარი, პირქუში), ამავე დროს, გარკვეული ემოციური შინაარსითაც არის დატვირთული, თუმცა აშკარად მოკლებულია სიახლეს. ეს ეპითეტები ჩვეულებრივ მეტყველებაში ფეხმოკიდებული ეპითეტებია. სამაგიეროდ, მთა — ყელმოღერებული, თვის დღეში ცრემლ-დარდ-უნახველი, ქედაწვდილი, ჭირისუფალი, სულ მუდამ მგლოვიარე, ბებერი, შეუპოვარი და სხვ. — ეს უკვე მხოლოდ და მხოლოდ ვაჟას მიერ დანახული მთაა, მის მიერ აღმოჩენილი,

მის მიერ სრულიად თავისებურად განცდილი. ე. ი. ერთი და იმავე საგნის მხატვრული გამოსახვისათვის ვაჟას ლირიკაში მოხმობილია როგორც ნაცნობი, ისე სასესებით ორიგინალური ეპითეტები.

ასეთი შემთხვევა, რა თქმა უნდა, სხვაც ბევრია. ია, მაგალითად, თუ ერთის მხრივ არის: პ ა ტ ა რ ა („პირველი გაზაფხული“), ნ ა ზ ი („ჯერ არ მომკვდარა“, „ია და ჭია“, „ვინ არის?“ „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“), ს უ რ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი, ტ უ რ ფ ა („კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“, „იას უთხარით ტურფასა“), ლ ა მ ა ზ ი („ია და ჭია“, „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“, „იას უთხარით ტურფასა“, „ათასჯერ მოხვედ, იავო“), მეორეს მხრივ არის: ყ ე ლ მ ო ლ ე რ ე - ბ უ ლ ი („კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“), ტ უ რ ფ ა დ მ ო ს უ ლ ი, მ ა დ ლ ი თ შ ე მ კ უ ლ ი ფ ე რ შ ი ა („ათასჯერ მოხვედ, იავო“), ბუნების ეშხით მ თ ვ რ ა ლ ი („ეს გაზაფხულიც მოვიდა“), ბრიყვის ჩადუნას რ ძ ა ლ ი (იქვე), ს ა წ ყ ა ლ ო ბ ე ლ ი (\* \* \*), ო ბ ო ლ ი, ს ა ბ რ ა ლ ო („პირველი გაზაფხული“), ფ ე რ - გ ა ხ უ ნ ე ბ უ ლ ი („უნუგემო ყოფნა“), თ ა ლ ხ კ ა ბ ბ ა, ე ნ ა - მ ტ კ ბ ა რ ი („სიმღერა“). ლექსში „წადილი“ კი იას ამნაირ ეპითეტთა მთელი წყება ახლავს:

იანიც მინდან მ ტ ი რ ა ლ ნ ი,  
ძ ვ ე ლ - კ ა ბ ი ა ნ ნ ი დ ა ნ ია.  
მ ო რ ც ხ ე თ ა, უ მ ზ ა კ ვ რ ო თ, უ გ ე ს ლ ო თ  
მხრებს უმშვენებენ თმანია,  
გულს ნ ა ლ ა ხ ე რ ს, ჩ ა მ ო დ ა გ უ ლ ს ა  
დაჰყრათ ცრემლთა ცვარნია.

მოულოდნელი ეპითეტები, რომლებიც აშკარად საგნის თავისებურად დანახვის, მისი თავისებურად განცდის შედეგად არის წარმოშობილი, პოეტის ესთეტიკური აღქმის სპეციფიკურობაზე მეტყველებს. ვაჟას მხატვრული აღქმის სპეციფიკას კი, პირველყოვლისა, ყოველგვარი მოვლენის გასულიერებისა და გასაგნობრივების ტენდენცია გამოხატავს. უკვე ზემოთ მოტანილი ეპითეტებით ვლინდება ეს ტენდენცია. ამ ეპითეტთა უმრავლესობა მთასა და იას გასულიერებულად, გაადამიანურებულად წარმოგვიდგენს. ასევეა ბევრ სხვა შემთხვევაში: იალბუზი თ ა ვ - პ ი რ - ჩ ა მ ო ბ უ რ ვ ი ლ ი, გ უ ლ გ რ ი ლ ი და პ ი რ ქ უ შ ი გ მ ი რ ი ა („იალბუზი“), მ ზ ე — მ ხ ა რ თ ე ძ ო ზ ე დ მ წ ო ლ ა რ ე, ხმელეთის პ ი რ ი ს ფ ა რ ე შ ი და მთელის ბუნების მ ო ლ ა რ ე ა („მზე და ვარსკვლავები“), მთის

წყარო ფ ი ც ხ ი ა („მწყემსის სიმღერა“), შავი ღრუბელი, საზარელი თ ა ვ - პ ი რ ი თ, ჯ ა გ ა რ ა შ ლ ი ლ ი ა („შავი ღრუბელი“); „ჯ ა გ ა რ ა შ ლ ი ლ ი მოგრგვინავს“ და „მთა და ბარს აქცევს ქოთითა“. მდინარეც („კლდე და მდინარე“), რომელსაც სხვადასხვა ლექსში მიეწერება. ეპითეტები: ა დ ე ვ ე ბ უ ლ ი („სიზმარი სასოწარკვეთილისა“, „ხილო, მოგენდე, ჩამიტყდი“), ხ მ ი ა ნ ი და მ ტ ი რ ა ლ ი („ბნელეთი“). ხევი მ თ ა თ ა ა ს უ ლ ი ა და მისი „ხლტომა“ ლოდებზე მ წ ყ რ ო მ ა რ ე ა („მესტვირის ანდერძი“).

ხეებიც საბან-ახდილნი

მზეს შეპხაროდენ მწყროვდა, —

ვკითხულობთ ლექსში „საშობაო ზღაპარი“, ხოლო სხვაგან:

შვიდის წლის ნაცივარს ჰგვანან

ფერ-დაქარგული ხეები,

თუ შიშის ზარმა შეიპყრო

ქ ა ვ შ ნ ი თ მ ო ს ი ლ ი ტყეები? („მთაში“)

მდგლო „ნისლისგან ნაცრემლია“ („ბუნების გლოვა“), „კლდის თავს გაწლილი პირიმზე — მთის სასახელო ქალია“ (სიმღერა“), გაზაფხულის ყვავილები კი, საერთოდ, „წითელ-ყვითელან ქალან“ არიან („გაზაფხული“), ვარსკვლავთა გამო თუ ვაჟა ერთგან ამბობს:

კ ე კ ლ უ ც ნ ი წვრილნი ვარსკლავნი

მთებზე სხდებოდნენ ჯარაღა („ამირანი“)

სხვაგან იტყვის:

ვარსკვლავთ აბჯარი აისხეს,

ხელში აიღეს ხიშტები,

სულ კოხტა ვაჟკაცები ა,

სულ თაემომწონე ბიჭები. („მზე და ვარსკვლავები“)

ყველა ეს — მეტაფორული ეპითეტებია, ძნელად გამოსარჩევია მეტაფორისაგან.

მეტაფორული ეპითეტებით ვაჟას ლირიკაში მხოლოდ და მხოლოდ ბუნების მოვლენებს როდი მიეწერება ადამიანურ თვისებები. ამის დამადასტურებელი მაგალითებია:

მ ტ ი რ ა ლ ის ს ტ ვ ი რ ის პატრონი

ფებს როდი გავსწვდი თქვენთანა?! („სიმღერა“)

მოელის პატრონს - მ ტ ი რ ა ლ ი,

გვერდზე წახრილი ქოხია. („მამას ელიან ბალღები“)



ყოველივეს გასაგნობრივების ტენდენციას განსაკუთრებით მკაფიოდ ავლენს ვაჟა, როდესაც იგი ფსიქიკურ მოვლენებს მატერიალურისათვის შესაფერისი ეპითეტებით ახასიათებს. სრულიად აშკარაა, მაგალითად, რომ დათაფლული, ხოლო, მით უმეტეს, ხავსით მორთული და სხივ-გამომღებელი თვალსაჩინო, ხელშესახები საგნისათვის დამახასიათებელი თვისებებია და მათი მიწერა ხმისათვის, რომლის აღქმა მხოლოდ ყურით, სმენით არის შესაძლებელი, ძალზე მოულოდნელია:

შავის თვლების ცილი,

ხშირი თმა, ხმა დათაფლული... („შემოდგომა „მთაში“).

მდნობელია გულისა

ხავსით მორთული ხმისა. („დაუსრულებელი კენესა“)

თუ შავი ნაღველი ტრაფარეტული მსაზღვრელ-საზღვრულია, სამაგიეროდ, ვაჟასეული ჩანს და განცდის განსაკუთრებულ სიმძაფრეზე მიუთითებს გულის მდნობელი ნაღველი, მით უფრო, როცა იგი „უხმოდ დულს“ გმირის მკერდში („ამირანი“). მოულოდნელია ვარამის ეპითეტად დათასფრიანი, ხოლო ფიქრის ეპითეტებად: მტირალი, მრავალ-ფრთიანი, ცეცხლ-მოდებული, ჯვარცმული:

მტირალი შავო ფიქრებო,

არ მამწონ თქვენი ვოდება. („\*“)

რად მინდა ფიქრი მტირალი,

თავს მოუვალი წუხილი? („მტრისამც გულია ასეთი“)

გულით მაშორებ ვარამსა,

ვარამსა დათასფრიანსა,

არწივის ფრთებს შეასხამ

ჩემს ფიქრსა მრავალ-ფრთიანსა. („ლურჯას“)

რამდენჯერ ფიქრი ცეცხლ-მოდებული

გავგზავნე ცაში მაღლა ღმერთთანა. („სამეფო სიყვარულისა“)

თანაც დაგბრუნე თავზედა

ჩემის ჯვარცმულის ფიქრითა. („მე შენის ტრფობით ვერ გაჟღელ“)

ყველა ზემოთ ხაზგასმული ეპითეტი თვალით უხილავ და ხელით შეუხებელ სულიერ მოძრაობას მატერიალურის სფეროსათვის ნიშანდობლივ თვისებებს მიაწერს. იმავე რიგის მეტაფორული ეპითე-

ტებია დაკავშირებული ვაჟას ლირიკაში აბსტრაქტული ხასიათის ცნებასთან ოცნება:

შენკენ იტაცებს თვალ-გულსა  
ლალი ოცნება, ფრთიანი. (\*\*)  
იქედის ტალღად, საღს კლდედა  
ოცნება მხდალი, მჩატია. („დღესნამღე დაბლა ჰყვოდა“)  
საუნჯე ჩემს გულსა,  
ქართველ დედათა შვილები, —  
მისხია ტანჯულს ოცნებას... („ერთხელ-კი ჩვენაც  
ვყოფილვართ“)

კიდეუ ხმა მესმის ციღამა,  
კამ გრძნობა გაშიზიარა:  
დაკუტებული ოცნება  
განკურნა, გააფთიანა... („კიდეუ ხმა მესმის ციღამა“)

ეპითეტები — ლალი, ფრთიანი, მხდალი, მჩატია, ტანჯული, დაკუტებული — ცოცხალი არსების თვისებებს გამოხატავს და ამიტომაც აბსტრაქტული შინაარსის ცნებას ოცნება ამ ეპითეტებთან დაწყვილება თითქოსდა არსებობის ფორმას უცვლის: ფსიქიკურიდან იგი მატერიალურის სიბრტყეზე გადაჰყავს. ამგვარადვე, ვაჟას მხატვრული აღქმით, სვინდისი შესაძლოა იყოს ცეცხლში დამწვარი („სვინდისის სიმღერა“), ტანჯვა — თბილი („ძვლები“), ანდერძი — ჯავშნიანი, გული — ქალმნიანი („ელეგია“), პოეტის სიტყვაკი — საწყალი, ბოროტ კაცთაგან წყეული, ბეჩავი, ცრემლით ნაბანი, თავს მანდილ-ჩამოხეული („სიტყვა ეული“). იმავე ლექსში, რომლიდანაც ეს უკანასკნელი ეპითეტებია ამოკრებილნი, ვკითხულობთ:

სიტყვა გაღვაგღე ვრშია,  
სიტყვა, რა სიტყვა? — ეული,  
ტანჯულის გულის ნაცრემლი,  
ვარმით ნაკეები, სნეული,  
გულ-გაგმირული, ბეჩავი,  
თავს მანდილ-ჩამოხეული!

ამ სტროფში ყურადღებას იქცევს ის, რომ ყველა აქ მოხმობილი ეპითეტი მეტაფორულია და, ამდენად, განსაკუთრებით ემოციური. მაგრამ ამ ეპითეტთა ემოციურობა განსაზღვრულია არა

მარტო მათი მეტაფორული ხასიათით, არამედ იმიტაც, რომ ისინი ერთად არიან თავმოყრილნი და უშუალოდ ერთმანეთს მისდევენ. ეს მიჯრით მიწყობილი ეპითეტებია, რომელთა ემოციურობა მათი ამგვარი წყობითაც არის შეპირობებული.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სანიმუშოდ მოტანილ სტროფში ეპითეტთა ერთი ნაწილი (ეული — სნეული — მანდილ-ჩამოხეული) სარიტმოდ სიტყვებია, ე. ი. სიტყვები — გარკვევით აქცენტირებულნი, რაც ამ ეპითეტებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს. მიჯრით მიწყობილი ეპითეტებით გართმული სტროფები ე. ი. ლირიკაში იშვიათობას არ წარმოადგენს. ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ნაწყვეტი ლექსიდან „სიზმარი ამირანისა“:

შემზარა უარესადა  
აღ-ქაჯთ ძახილმა მ ძ ე ნ ე ვ ა რ ე მ.  
მოგროვდენ დეენი პ ი რ - შ ა ე ნ ი,  
მყრალნი ტ ა ნ - ბ ა ლ ნ ი ა ნ ე ბ ი.  
თავაზიანად მომეპყრენ,  
მოვიდენ ს ა ლ მ ი ა ნ ე ბ ი.  
მომართვეს სუფრა საქმლითა,  
ჩამოსხდენ ქ ა ლ მ ი ა ნ ე ბ ი,  
მომაპყრეს გაშმაგებული  
თვალები შ ხ ა მ ი ა ნ ე ბ ი.

ანალოგიურ სურათს ეხედავთ ლექსში „ქირისუფალი“:

გულს უმაგრებენ ჩაღხიას  
გმირნი ტ ყ ა ე - ჩ ო ხ ი ა ნ ე ბ ი,  
დაკრეხილ ფ ა ხ ა ხ ი ა ნ ნ ი,  
ხმა მ ე ლ რ ი ნ ა ვ - ბ ო ხ ი ა ნ ე ბ ი,  
თითო-ოროლა წარმოთქვებს  
სიტყვები ბ ო ძ ი ა ნ ე ბ ი.  
გახსნეს არაყის დოქებიც,  
საფევით ძ ო ნ ძ ი ა ნ ე ბ ი  
და გაუწოდეს ყანწითურ  
მკლავები ტ ო ტ ი ა ნ ე ბ ი.

ასეთი მაგალითი ვაჟას ლირიკაში ბევრია და, სხვა მომენტებთან ერთად, ამითაც იქმნება ვაჟას მხატვრულ სამყაროში თავისებური ემოციური ატმოსფერო.

ვაჟა-ფშაველას „კაი ყმები“—ახალი საქართველოს  
ბურჟნი

მოთხრობაში „ჩემი მოგზაურობა ერემ-სერემ-სერემიანეთში“, რომელშიც სამშობლოში მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებებია ასახული, ვაჟა-ფშაველამ საქართველოს იმჟამინდელი ყოფის უაღრესად სევდის მომგვრელი სურათი დახატა.

ამ ნაწარმოებიდან ცხადია, რომ მაღალი ფეოდალური არისტოკრატის უნიათობით სხვის ხელში ჩავარდნილი, დაღუპვის კარზე მიყვანილი სამშობლოს, მისი დიდებული ბუნებისა და „შავეთში“ სამუდამოდ დამკვიდრებული მამულიშვილებისადმი დამოკიდებულებაში ვაჟა-ფშაველა უფრო მკენესარედ მოჩანს, ვიდრე მებრძოლად.

ქართველი ერი კი მებრძოლი ერია, ბრძოლაში აღზრდილი და გამობრძმედილი. მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე მას არც ერთი პესიმიستي მგოსნის შუბლი არ შეუშკია დაფნის გვირგვინით, რადგან ხსნას ბრძოლაში ხედავდა და არა კენესაში.

დახატა რა „ერემ-სერემ-სერემიანეთის“ (სამშობლო ქვეყნის) წარსულისა და აწმყოს ამაზრზენი სურათი, ვაჟა-ფშაველას როგორც ერის ხელოვანს, იმავე „ერემ-სერემ-სერემიანეთის“ წარსულსა და აწმყოში უნდა ეპოვნა სხვა ქვეყანაც — დასახლებული „სალი კლდეების ტახტით“ დამშვენებული „ხმელეთის თვალის“ ფლობის უფლების მქონე, სასიცოცხლო ენერგიითა და შემართების უნარით აღსავსე გმირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ დადგებოდა საქართველოს „ბედზე ღილივით დაკერებული“ მგოსნების გვერდით, ვერ უჩვენებდა მშობლიურ ერს ხსნის გზას.

ვაჟა-ფშაველამ იბოვა კიდეც ეს ქვეყანა, ისევე როგორც სამო-

ციანელებმა იპოვეს და თავიანთ ხელთუქმნელ შემოქმედებაში წარმოსახეს იგი, მაგრამ ამ უკანასკნელებზე დაყრდნობით ღრმად შეიქრა ვაჟა ტევრში, სადაც ეროვნული ხის სამკურნალო მალამოს შემზადების საიდუმლოება იმალებოდა.

სამოციანელებთან განსხვავებით, ვაჟა-ფშაველამ ძლიერი პოეტური ხმით უმღერა მთლიან სამყაროს — ყოველი სულიერის სი-ცოცხლეს საერთოდ, ბუნებისა და ადამიანის ერთად შენივთებულ ცხოვრებას. ამ ცხოვრების ფოკუსში კი მან სამშობლო ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლის საკითხები დააყენა. საკუთარ პირადობასა და სამშობლოზე ხელაღებული, გადაშენების გზაზე დამდგარი „ერემ-სერემ-სერემების“ (თავადაზნაურობის) საპირისპიროდ ვაჟამ შექმნა „კაი ყმების“ — ქართველი მებრძოლი გლეხი-პატრიოტების მონუმენტური სახეები და უჩვეულო ძალით ჩამოძვრწა ისინი მშრომელი ხალხის კუთვნილ საღაროში არსებული მასალისაგან.

რაკი სამშობლო ქვეყნის დაცემა-დაკნინება, სხვა ობიექტურ გარემოებებთან ერთად, „ერემ-სერემ-სერემიანეთში“ ფეოდალური არისტოკრატის უნიათობით, უმოქმედობითა და უგუნურობით აწსნა, ვაჟა, ბუნებრივია, უნდა მისდგომოდა კიდევ ცოცხალ, ბრძოლასა და მოქმედებაში გამახვილებული გონების მქონე ნაწილს ერისას — ისტორიის ნამდვილ მამოძრავებელ ძალას, რასაც ასე დაბეჭითებით ეძებდა „აჩრდილის“ ავტორი.

მართლაც, ვაჟას პოეზიაში მწვერვალიდან დაქანებული ზეავის ნიძლიერით გადმოდვრილივით აისახა ორ ზღვას შუა ოდითვე დამკვიდრებული ერის სულიერი სიმტკიცე, მორალური სიღიადე, შეუპოვრობა-შემართებისა და მომხვდური მტრის დახვედრის უნარი, მოძალადისადმი დაუმორჩილებლობის ურყევი რწმენა, საკუთარი კერის დაცვის იშვიათი ნიჭი, — ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც, შისი გაგებით, მაღალ ფეოდალურ არისტოკრატის მხოლოდ ადრეულ ხანებში გააჩნდა და ბოლოს კი ასე სამარცხვინოდ და სავალალოდ დაკარგა.

ამგვარად, მთლიანობაში აღებული ვაჟას შემოქმედება წარმოსახავს მაღალი ფეოდალური არისტოკრატისა და დაბალი მშრომელი ხალხის დაპირისპირებას, რითაც ასე აშკარად ჩანს, რომ თურმე დედის ძუძუსავით ალალი, მეტად სამართლიანი ხვედრი პირველი-სა — (მონობა) არაფრით არ დაუმსახურებია მეორეს.

მხენელ-მთესველთა, „ხელ-ბარ-თოხ-ნიჩბიანთა“ შორის იპოვა ვაჟამ გადაგვარებული მაღალი წოდების მიერ დაკარგული სასიცოცხლო ელექსირი, თავის მადლიან უბეში შეიფარა იგი, უნანავა, ულოლიავა და ამალღებულ-გამდიდრებული დაუბრუნა მშობელ ერს.

ვაჟა-ფშაველა ის სარდალია, რომელმაც ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ველზე მოიყვანა მორალურად ამალღებული, ფიზიკურად ძლიერი მშრომელთა არმია, რომელსაც ასე დიდხანს დაეძებდა სარდალთ სარდალი (ილია); მოიყვანა და ჩააბარა მას, როგორც მტკიცე საყრდენი, ყოველ ძალზე უტყუარი ძალა — დაცემულის აღდგენის, დაკარგულის დაბრუნებისა და მოვლის უნარის მქონე. ეს არმია იმ რკინის ნებისყოფის „კაი ყმებისაგანაა“ შემდგარი, რომელთაც ჰკლავენ და ვერ იმორჩილებენ; როცა ყელში ხანჯალს უყრიან, სანამ თავს მოსჭრიდნენ, ისინი ჯიუტად ამბობენ: „ძალდ იყოსო მტრის მკედრისადა“; მათ ბრძოლა უსწავლიათ და არა მონური ქედდრეკა, არა მორჩილება, არა მტრის მუხლზე მოქნა, სამშობლო ქვეყნის დაკარგულ ბედს ისინი ერემ-სერემ-სერემებივით აფრიკისა და არაბეთის ქვიშრობში როდი ეძებენ. მაშინ, როცა ერემ-სერემ-სერემები სხვათა ქვეყანაში გადაიხვეწნენ „ბედის“ საძებრად და „ხეთის გულისათვის ნუ დაგვზოცო“, — ვევედრებიან თავიანთ წინაპართა მიერ საქართველოს საზღვრებიდან არაერთგზის დაფრენილ ჩაღმიან შთამომავალთ ჩვენი ქვეყნის მტრებისას, — ისინი კავკასიონის მთავარი ქედის მისადგომებზე ჩასაფრებულან და ჯიუტად იმეორებენ:

სანამა ეცოცხოვბთ, მტერი გყავ,  
ბევრჯერ სჯობს ვიყვნეთ ცდაზედა,  
როცა დრო მოვა და გაქრეს  
ბედის ვარსკვლავი ცაზედა,  
სიცოცხლეს აუგვანსა სიკვდილი მიჯობს ხმაზედა!  
როს ჩემი ბინა სხვას რჩება,  
ჩემი ცოლი და შვილები,  
თუ დუშმნის ხმალი არ მოშკლავს,  
მე თვითონ გავიგმირები.

მათ არ შეუძლიათ დატოვონ მამა-პაპათა მიწა და უცხო მხარეს გადაიხვეწონ. ან უნდა დაიცვან ეს მიწა, ან უნდა დააკედნენ მის დაცვას და სამუდამოდ მასვე მიებარონ. სხვა არჩევანი მათთვის არ

არსებობს. მათთვის სიცოცხლე მხოლოდ აქ არის და სიკვდილსაც მხოლოდ აქ ეძებენ, ღირსეულ, კაცურ სიცოცხლეს და არა მონურს; სიკვდილიც მხოლოდ აქაა მათთვის, მაგრამ, თუ სიკვდილი აუცილებელია, მათ არ ძალუძთ წაიღონ საფლავში „ლაფით მოსვრილი პირები“, ისე როგორც საკუთარი სახელმწიფოებრივობის დამანგრეველმა ერემ-სერემ-სერემელებმა წაიღეს იგი. ვაჟა არამარტო შესტრფოდა ქვეყნის ხსნისათვის ძილ-ფხიზელ გმირებს, არამედ ქმნიდა კიდევ მათ მშობელი ქვეყნის სულიერ სამყაროში მოპოვებული მასალისაგან, მერე თავს უყრიდა, ლელა-კვირია-ლუხუმ-ზეზვას უსარდლებდა და თავადაც წინ მოუძღვოდა გოგოთურის ხმლით ხელში. სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირთა თავშეყრის ჟრუანტელისმომგვრელი სურათი დიდი ემოციური ქლერადობით წარმოსახა მგოსანმა „ბახტრიონში“:

ცაზედ დამქრალან ვარსკვლავნი,  
პირი ემურვის მთვარესა,  
მთანი, თავჩაჩქინანები,  
ფიქრს მისცემიან მწარესა.  
ცა თვალს უეგმდა სატრფოსა,  
გრიალი მოდის შორითა,  
მოდის ხმა ერიაშულისა  
მარჯენივ და მარცხნივ გორითა,  
თან გამოსიმა ზარის ხმა  
ლაშარის ჯვარის გორითა.  
ცხაათ კუთხილამ მოდიან  
ფშაველ-ხევსურნი რბოლითა...  
თითქოს გასწყდნენო, ფშაველთა  
იტყოდნენ აღარ ყოლითა...  
არა! ყოფილან კიდევა,  
გადარჩომიან რბევასა,  
თათრების უბრალებლობას,  
იმათ ხმალ-ხანჯლის ქნევასა.  
ფიქრობენ ხოშარელების  
სისხლის თათრებზე ზღვევასა.  
იესება ლაშარის გორი

ქორ-შავარდნების ფართა;  
ღროშები გზას უყურთხებენ  
ქლერთ, აწვდილის ტარითა;  
თითო ხევს არაგვისასა  
თან მოდევს ლაშქრის ღვარა  
როშკით მოიღნენ ხევსურნი,  
სუმელჯაურნი ცხრანია,  
ამოთა-ბათაკას ძენი,  
კინქარაულნი მძანია;  
გუდანელთ ჩამასძლოლია  
ხოშარაული ხარია;  
ხევსურთ, რო ზეგამა მთისამა,  
წინ გაიმძღვარეს ქარია;  
ქორმეშელთ, კიელთ ბიქებსა  
ლელებიბია სტანია.  
ხანშეტელ ცხენთა ფეხით ხმამ  
შააზრიალა მთანია;  
მგლური დააწყევს ნაბიჯი,  
მოკლედ გადმოვლეს გზანია.  
ფშავლის შვილებიც მოვიდნენ  
სულთქმა თან მოჰყავთ ჩქარია

უსათუოდ ცდება ყველა ის, ვინც ამ სურათში ისტორიულ ფაქტს, ბახტრიონის ციხის ასაღებად ამხედრებულ ფშავ-ხევსურთა შეყრას ხედავს მხოლოდ. არა, აქ მთელი საქართველოს გამოფხიზ-

ლების, მისი ყოველი მხარის ქვეყნის სახსნელად შეყრის, მომავლის დიადი სურათი დახატა მგოსანმა და ამ ტილოზე მხოლოდ ფშავ-ხევსურთა დანახვა ისეთივე შეცდომა იქნებოდა, როგორც ის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირ ტარიელში დაგვენახა მხოლოდ ინდოელი ჭაბუკი, ავთანდილში — მხოლოდ არაბი. ასევე მყოობადს ეკუთვნის პოეტის აღტაცებული შეძახილი ამ პოემაშივე — „რა საამური დრო არის, რა საამური წამია!“ და არა წარსულს. დიდი დავით აღმაშენებლის მიერ შედუღებულ ერთიანი საქართველოს დანგრევის შემდეგ ასეთი „საამური წამი“ საქართველოს აღარ უხილავს და რეალისტ მგოსანსაც იგი შეეძლო წარმოესახა, როგორც მომავლის სანუკვარი ოცნება და არა როგორც მომხდარი ისტორიული ფაქტი. მაგრამ თუ ილიამ „დედა და შვილის“ პროლოგში (პეტრე ნაკაშიძისადმი მიმართვაში) პირდაპირ თქვა, რომ სითამამე გამოვიჩინე და მყოობადს ავხადეო ფარდა, ვაჟამ სასურველი მომავლის ეს სანუკვარი სურათი გმირულ წარსულს დაუკავშირა და მომავალ გმირთა აღზრდისათვის მისაბამ სინამდვილედ წარმოსახა. ცხადია, ამ ფაქტშიც ჩანს 60-იანი წლების კრიტიკული რეალიზმის განვითარება-სრულყოფა ვაჟას შემოქმედებაში.

ღიახ, შეეძლო დიდი ილიას ტკივილებით გულგასენილ მწერალს ასე თამამად გაესწორებინა თვალი მომავლისათვის. როგორც თავად ბრძანებს, „ვერავინ ვერ შესძლებს ასახოს ის, რაც თვით არ უგრძნია“<sup>1</sup>, და „იგია ნიჭიერი მწერალი, ვინც, რასაც თავად გრძნობს და ფიქრობს, აქვს უნარი სხვასაც ისე აგრძნობინოს და აფიქრებინოს, ვისშიაც ძლიერად სჩქეფს ეროვნული სისხლი, ვინაიდან ის უმთავრესი ფესვია მისი შემოქმედებისა“<sup>2</sup>.

ვაჟას არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა მთელი კავკასიის ხალხთა ერთიანობის ის იდეა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ „დედა და შვილში“ წამოაყენა. ეს იყო დიდი ილიას პრაქტიკული სამოქმედო პროგრამის ძირითადი აზრი და მთიელმა მგოსანმაც „ბახტრიონში“ სათანადოდ განავითარა იგი.

ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,  
კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ფიქრობს,

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველა, რჩეული, 1953, გვ. 331.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 343.



და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება,  
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წაუძღვება, —

ამბობს ილია. იგივე ჰქონდა სათქმელი ხელხანჯლიან გმირთა სახე-  
ების უბადლო მხატვარს — ვაჟა-ფშაველასაც: მთელი კავკასიის შე-  
ერთება და მტერთაგან გაუქმელავი სახელმწიფოს შექმნა. სანამ კა-  
ლამს ხელს მოჰკიდებს, მწერალმა უნდა იფიქროს, რა აქვს ხალხისა-  
თვის სათქმელიო — ამბობს ვაჟა.

მთელი კავკასიის ერთ ღროშის ქვეშ დარაზმეა, შემართება და  
გამარჯვება! — აი, რა წარმოსახა ვაჟამაც მისთვის დამახასიათებე-  
ლი ღრმა სიმბოლური ხერხით „ბახტრიონში“.

აი, რა ჰქონდა ხალხისათვის სათქმელი დიდი ილიას დიდ მო-  
წაფეს, როცა კალამს ჰკიდებდა ხელს.

ქართველმა ვაჟაკმა ასე ახარა მომაკვდავ დედას „დასაწყისი  
განთიადისა“:

მოვიდა დიდი ხნის სანატრელი, დედავ, ამბავი,  
ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გაღვიძებულა.  
მთელი კავკასი, მტერზედ რისხვით ამოქმინავი,  
ერთისა აზრით, ერთის ვრძნობით აღელვებულა...  
მომილოცნია! ვკითხვნი ბნელი ღამე!..  
(„დედა და შვილი“)

„მტერზედ რისხვით ამოქმინავი“, ერთის აზრით, ერთის  
გრძნობით აღელვებული „ფშავ-ხევსურების შეყრის სურათი“ ისე  
ცოცხლად, ნათლად და დინამიურად დახატა ვაჟამ „ბახტრიონში“,  
რომ თამამად გაუსწორა მხარი „დედა და შვილის“ ავტორს.

თუ ილია ჭავჭავაძის პოემაში აზრი ფორმას ჰკარბობს და ერთ-  
გვარი რიტორებაც კი შეინიშნება, „ბახტრიონში“ ამაღლებული აზ-  
რი ძვირფასი პოეტური სამოსლით გვევლინება და სურათებით მო-  
აზროვნე მხატვარი რიტორებისთვის ადგილს აღარ ტოვებს.

ზუსტად ისევე, როგორც „გველის მკამელი“, „გოგოთურ და  
აფშინა“ თუ „სტუმარ-მასპინძელი“ შეიქმნა ხალხურ თქმულებებზე  
დაყრდნობით და არა ამ თქმულებების ზუსტად გამეორებით, პოეტ-  
მა ბახტრიონის ციხის აღებაში მთიელთა მონაწილეობა გამოიყე-  
ნა, როგორც მასალა, ამოსავალი წერტილი იმ დიდი ტილოს შესა-  
ქმნელად, რომელზეც მომავალ ქართველთა მომავალი შემართება  
გამოისახა და არა ნამყო (ისტორიული სინამდვილე).

ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში შემოქმედს უფლება ჰქონდა

ისევე თავისუფლად მოქცეოდა ისტორიულ მასალას, როგორც შესაბამის ლეგენდებს ექცეოდა სხვა პოემების წერის დროს და ასეც მოექცა.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით მანგანში გატარებულ „კაი-ყმებს“ აქვთ საერთო თვისებები, რაც ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს.

1. საკუთარი ყოველის მოხმარა სხვის სარგოდ, სხვათა საკეთილდღეოდ,

1) ფიზიკურ-მორალური მონოლითურობა.

2) მეტად მარტივი ცხოვრებით დაკმაყოფილება.

3) ქონებრივი სიღატაკე და სიმდიდრის მოხვეჭისადმი უსაზღვრო ზიზღი.

4) ყოველი პირადულის (თვით სიცოცხლისაც კი) უყოყმანო განწირვა საერთო-საქვეყნო (სამშობლოს) ინტერესებისათვის.

საკმარისია გავიხსენოთ, რომ სამშობლოსათვის უყოყმანოდ თავის გამწირველ ობოლ კვირიას („ბახტრიონი“) ცის ქვეშეთში საკუთარი არა გააჩნია-რა: იგი სხვათა მოჯამაგირეა და ხმალიც კი, რომლითაც ასე თავგანწირვით იცავს სამშობლოს, სათანადო ღვედის უქონლობის გამო, წელზე ხის კანით ჰკიდია. ხოლო გოგოთურმა, რომელსაც ცოლი ეჩიჩინებოდა ფიზიკური ძალა ქონების შესაძენად გამოიყენეო, არასგზით არ უღალატა საკუთარ რწმენას და არა თუ თვით არ გაჰყვა აფშინას გზას, არამედ ეს უკანასკნელი დააყენა სიკეთის გზაზე, მინდიას კი („გველის მჭამელი“), რომელსაც ცხოვრების პირობები, მეუღლე უკარნახებდა ეღალატნა საკუთარ რწმენისათვის, უარეყო ქვეყნის სამსახური და მხოლოდ საკუთარი ოჯახის გალალევა-გასუქებაზე ეზრუნა, „ცოლ-შვილის დასალევადა ხელ ხმლისკენ მიუღიოდა“.

ვისაც სამშობლოს სამსახური, ქვეყნის სიკეთის სამსახურში პირნათლად ყოფნა სურს, მან ყოველ პირადულზე (თვით ცოლ-შვილზეც კი) უნდა აიღოს ხელი უყოყმანოდ და სამუდამოდ. დაიწყებს თუ არა ამ ორი, ერთიმეორეს საპირისპიროს (პირადულისა და საქვეყნოს) შეთავსებას და ერთი მისხალითაც კი გადახრის თუ არა სასწორს პირადულისაკენ, ვაჟასათვის ადამიანი კვდება, როგორც გმირი, როგორც „კაი ყმა“, როგორც სამშობლო ქვეყნის სამსახურის უნარის მქონე. დაიწყო თუ არა თავის რწმენასთან „მოქცევა მელაობითა“, ხის ჭრა, ნადირის კვლა ნელ-ნელა, „ღღეს-ხვა-

ლეობითა“, მინდია („გველის მკამელი“) ვაჟასათვის მოკვდა, როგორც ეროვნული გმირი, „ერის გამმარჯველ“ ტარების უნარის მქონე, და მან უყოყმანოდ გასწირა იგი თვითმკვლელობისათვის, რაც უკვე მომხდარი ფაქტის (ნამდვილი სიკვდილის) მხოლოდ ფორმალური აქტი იყო და იმიტომ აათამაშა მის მკერდზე ცელქი ნიავი „ლალად, მოლხენით, სტვენითა“.

ვინც პირადი ბედნიერებისაკენ, სიმდიდრის მოხვეჭა-დაგროვებისაკენ ისწრაფვის, მას სამშობლოს სამსახურად არა სცალია, — ასეთია ვაჟა-შემოქმედის ღრმა რწმენა და ამით აიხსნება, რომ სამშობლოსათვის თავგანწირულ მის „კაი ყმებს“ შორის არცერთი ეკონომიურად ძლიერი ქართველი გლეხი არ ურევია. მისი ზვიადაურ-ლელა-კვირია-ბუთლიები, რომელნიც შეუპოვრად იბრძვიან და უყოყმანოდ ეწირებიან სამშობლოს, „თავისად ცხოვრების“ არცერთ შტრიხს არ გვიჩვენებენ. ეს „სათავისო“, „თავისად ცხოვრება“ მათთვის სამშობლოს ბედნიერებასთან განუყრელ კავშირში წარმონახება მხოლოდ და არსებობს იმდენად, რამდენადაც სამშობლო ლაღია და მტრისაგან დაუჩაგვრელი, ხოლო, თუ სამშობლო დაჩაგრულია და მტრისთვის „ხელისშაქცევა“ არ ძალუძს, „კაი-ყმებს“ მხოლოდ ტირილის სურვილი აქვთ და „გამარჯვების“ თქმაზეც კი ჯავრობენ. „რა გამარჯვებული მე მნახე, რომ „გამარჯვებას“ მეუბნებო“, — უწყრება მეზობელს ვაჟას ერთი „კაი-ყმა“ — არჯალა („სამშობაო მოთხრობა“).

პოეტი აშკარად გამოთქვამს ამ დაბოღმილი, გულჯავრიანი კაი ყმებისადმი თავის უსაზღვრო სიმპათიას, როცა მათი საფლავის დანახვაზე ამბობს: „მშვიდობა თქვენ, პატიოსანნო კაცნო!. რადაო? — იმადა, რომ მათ ტირილი შეეძლოთ!“.

როცა სამშობლო ქვეყანა თავისუფალი არ არის, როცა ის სხვათა ბრძანება-განკარგულებათა აღმსრულებელია, და თავის თავის მართვის უფლება ხელთ არა აქვს, ყველა „კაი ყმა“ ტირის და კვნესის, რადგანაც მათთვის სამშობლოს ბედნიერების გარეშე პირადი ბედნიერება, პირადი ინტერესი არ არსებობს. ხოლო, თუ ადამიანი, სამშობლოს ბედის მიუხედავად, თავის საკუთარ ბედსა და ბედნიერებაზე ზრუნავს, უფრო მეტიც, სამშობლოს უბედურებას თავის სასარგებლოდ იყენებს და სიმდიდრეს აგროვებს, — ვაჟასათვის იგი არც „კაი ყმაა“ და არც ადამიანი საერთოდ, რადგან ადამიანობის

ერთ-ერთ ძირითად პირობად იგი სამშობლოს ბედნიერებისათვის (თავისუფლებისათვის), ბრძოლას თვლის, ამ ბრძოლისათვის კი, ისეთი პატარა ქვეყნისთვის და მცირერიცხოვანი ერისთვის როგორც საქართველოა, საჭიროდ მიიჩნევს ღონის (ფიზიკური ძალის) და სულიერი სიმტკიცის (გაუტეხავობის) კულტივირებას.

ეს ფიზიკური ძალა (ღონე) ვაჟასთვის მხოლოდ მაშინ იწვევს ამამაღლებელ გრძნობას, როცა იგი სამშობლოს სამსახურისთვის, კეთილი საქმისთვის არის გამოყენებული (გოგოთური, ზეზვა გაფრინდაული, არჯალა, კვირია და სხვ.). ხოლო თუ ფიზიკურ ძალას ადამიანი მოძმეთა დასაჩაგრავად, არა კეთილისათვის იყენებს, მაშინ იგი არა კაი ყმა, არამედ სულმდაბალი, წუნკალი მძარცველია და სხვა არაა (აფშინა).

ამ მხრივ ვაჟას მთელი პოეტური ეპოსი აფშინობა-გოგოთურობის შეპირისპირებას, აფშინობის გმობასა და გოგოთურობის აპოლოგიას წარმოადგენს.

ვაჟას გაუტეხელ კაი ყმებს შორის პირველ ადგილზე დგას ზვიადაური (პოეტურ ეპოსში) და უღრეკი გლეხი ბერიძე („ბერიძე გაუტეხელი“) პროზაში.

ზვიადაური არ გატყდა მაშინაც კი, როცა მტრებმა დარლას (მის მიერ მოკლული ქისტის) საფლავზე ხელეშეკრული წამოაქციეს და ყელში ხანჯალი გაუყარეს.

„ძალდ იყოს თქვენი მკვდრისადა!“ — შეუპოვრად იმეორებს ზვიადაური ქისტების დამახილზე: „დარლამსაც შეეწირები!“ — მაშინაც კი, როცა ყელი უკვე გამოლადრული აქვს და მისი სიცოცხლე რაღაც უხილავი სიმცირის ბეწვზეა ჰკიდია. ზვიადაურის გაუტეხავობა სანუკვარი ქისტებთათვისაც ისევე, როგორც ვაჟასათვის, ხევსურთათვის, იმიტომ, რომ ამამაღლებული ზნეობის, კაცურკაცობის მწვერვალია იგი.

კაი ვაჟაკი ყოფილა,

ამიტომ ვეფხვეზრ გვებრძოდა,

თავის მიწა-წყალს იცავდა,

— ათქმევინა პოეტმა ზვიადაურის დამკვლელ ქისტებს.

ზვიადაურის უღრეკი ნებისყოფა და გაუტეხელი გული საქართველოს კაი ყმათა უღრეკელობა-გაუტეხლობის სიმბოლური სურათია საერთოდ.

ზვიადურისმაგვარ გაუტეხავობას, შეუპოვრობას და სულის სიმტკიცეს იჩენს ბერიძეც („ბერიძე გაუტეხელი“). ეს შინაქსოვი შალის შარვალში ჩამჯდარი ქალამნიანი გლეხკაცი საშინელ ქარბუქსა და ქარიშხალში შეუპოვრად მიიწევს. მთის მწვერვალისაკენ, რომლის გაღმით მდებარე ქედზე არსებულ სალოცავში მისვლა, სანთლების მონთება და მორწმუნეთაგან მოტანილი შეწირულების კურთხევა ევალება. მაღლიდან ქარი აწვება ბერიძეს და ორ ნაბიჯს რომ წინ გადადგამს, ერთს უკან ადგმევიწინებს, მაგრამ არა, ვერ დაბრუნდება, უნდა ავიდეს იმ მწვერვალზე, უნდა დაინახოს მამა-პაპის სალოცავი, მისგან უნდა შეიძინოს ახალი შემმართებელი ძალა და უნდა გასწიოს წინ, სალოცავამდე უნდა მიაღწიოს, უნდა მოანთოს სანთელი, დაბრუნება არასგზით არ შეიძლება. და ეს გაუტეხელი გლეხკაცი შეუპოვრად მიარღვევს წელამდე თოვლს, აწვება ქარს; მიდის წინ, აზრადაც არ მოსდის უკან დაბრუნება, საკუთარი სიცოცხლის დაზღვევა, გადაარჩენა. წინ! მხოლოდ წინ — ასეთია მისი შინაგანი გულისხმა.

აი, მან მიაღწია მწვერვალს, დაინახა ლიბოჩაშავეებული სალოცავი, პირვეარი გამოისახა, შემწეობა შესთხოვა უფალს და განაგრძო გზა. თითქმის დასძლია ყველა სიძნელე და მიუახლოვდა მამა-პაპათა სალოცავს, მაგრამ ის ფერდო? იქ ხომ ზვავები იციან! მაგრამ ისიც ბევრჯერ გადაულახავს და ახლაც გადალახავს... ამიტომ წინ! მხოლოდ წინ! ბერიძე განაგრძობს გზას, მაგრამ მრავალჯერ დაძლეული ფერდო, ეს მრავალჯერ მშვიდობით გავლილი დამრეცი მღვწის ნაფლეთი ამჯერად დაუძლეველი აღმოჩნდა, გაუტეხელ ბერიძეს უზარმაზარი ზეავი დაეჯახა, ხევში ჩასჩენა, გატეხა და სამუდამოდ გააჩერა.

მეორე დღეს მლოცველები დაჟინებით გაჰყურებენ გაღმა მთას და იმ ფერდოს, რომელიც ბერიძეს უნდა გაეცლო. ისინი ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ „ბერიძე უკან არ დაბრუნდებოდა, არ შედრკებოდა, არ გატყდებოდა, მაგრამ რომ არ ჩანს?!“.

გაუტეხელი ბერიძე ბუნების სტიქიამ გატეხა და დაამარცხა. მაგრამ აქ ეს არ არის მთავარი და არც ის, რომ იგი რელიგიურ ფანატიზმს (მაშასადამე, არა სამშობლოს, არამედ უაზრო ცრურწმენას) შეეწირა. მთავარია სულის სიმტკიცე, გაუტეხავობა. როგორც გონიერი არსება — ადამიანი, ხომ უნდა მიმხვდარიყო, რომ

ბუნების ისეთ დაუძლეველ სტიქიასთან, როგორც მთიდან დაქანებული ზვავია, ადამიანს კიდილი არ ძალუძს, ხოლო შეჭიდება ისეთ სტიქიასთან, რომელიც უსათუოდ დამარცხებას გიქადის, გაუმართლებელია, უაზრობაა, რაკი „საცა არა ჯობს, გაცლა ჯობს კარგისა მამაციისაგან“. მაშ, დაბრუნებულიყო, გადარჩენილიყო და გადარჩენილი სიცოცხლე უფრო ღირსშესანიშნავი საქმისთვის შეეწირა? არა! მილიონებია ისეთნი, რომელნიც დაუძლეველ წინააღმდეგობასთან დრკებიან, უკან ბრუნდებიან, ეგუებიან, საკუთარ სალოცავს აფურთხებენ და გამარჯვებულ უხეშ ძალას — მათთვის საძულველს და მიუღებელს — ემონებიან, ლებულობენ, სალოცავად იხდიან, რათა გადარჩნენ, საკუთარი ნამცეცა სულის გადასარჩენად სხეულის სიმთელე ე. წ. „სიცოცხლე“ შეინარჩუნონ, უბადრუკი ყოფა („ცხოვრება“) გაიხანგრძლივონ. დიახ, მილიონებია ისეთნი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ყოველ საუკუნეთში, მაგრამ ისინი არ ქმნიან იმ სიდიადეს. იმ საღ სიწმინდეს, იმ სიმაღლეს, რომელსაც ერი და მისი წმინდა ისტორია ეყრდნობა. ისინი ღობემძვრალეებია, ჭინჭრაქებია და არა არწივნი, არა გმირნი, არა „კაი ყმა“ და არ შეიძლება ისეთი რაინდული სულის პოეტის ქმნილების გმირებად იქცნენ, როგორც იყო ვაჟა-ფშაველა.

ზვავის მიერ ხევში ჩაჩეხილ ბერიძის ცხედარს არწივი დასტრიალებს თავს, რადგან გაუტეხელი ბერიძე თავისი გაუტეხელი ნებისყოფით არწივებთან წილნაყარია და არა ჭინჭრაქებთან და ღობემძვრალეებთან. კაი ყმა, გმირი ისაა, ვინც უკან არ იხევს, არ დრკება მაშინაც კი, როცა თემურ-ლენგები და შაჰ-აბასები ყელში დანას აბჯენენ, არ დრკება, რათა მტერი არ გაახაროს, გამარჯვება არ აზეიმებინოს; იგი ესწრაფვის საკუთარი სიცოცხლის ფასად დაამარცხოს გამარჯვებული მოძალადე, დაარწმუნოს ეროვნული სულის სიძლიერეში, გაუტეხაობაში. აი, ვინაა კაი ყმა, გმირი, ვინ ქმნის ერის სიწმინდესა და სიდიადეს. მტრის ფეხებში ჩავარდნილი და მუდარით გადარჩენილი ცოცხალი ვაჟასთვის უფრო მეტად გახრწნილი მკვდარია, ვიდრე შეუდრეკელად მოკლული, მრავალი წლის წინ დამიწებული გაუტეხელი კაი ყმა, გმირი, რომელსაც ეკუთვნის პოეტის გულიდან ამონახეთქი შეძახილი:

დიდება თქვენ, პატოსანო კაცნო!

ეს ის ქართველნია. რომელთა საფლავებსაც მუხლმოყრით ეამბორება მებრძოლი პოეტი:

გმირთა საფლავებს, როგორც ხატს, სამთხვევლად დაველირები!

აღსანიშნავია, რომ გმირობას, კაი ყმობას ვაჟა ხედავს და ადიდებს არა მარტო ბრძოლის ველზე, მტერთან ურთიერთობასა და სამშობლო ქვეყნის დაცვაში, არამედ ყოველდღიურ ყოფაში. ვაჟას კაი ყმები ჩნდებიან ჩვეულებრივ სოფლურ ცხოვრებაშიც, მეზობლებთან ურთიერთობაშიც. ასეთებია მოთხრობების გმირები დარეჯანი („დარეჯანი“) და უძმოს ძმა („უძმოს ძმა“).

დარეჯანი მთიელი სოფლელი დედაკაცია, გამრჯე, მშრომელი, ალაღმართალი, თავისა და სხვის საქმესთან ერთნაირად შექიდებული, პირში მთქმელი, დასაძრახის მოურიდებლად დამძრახველი და წასახალისებელის უყოყმანოდ წამხალისებელი. იგი სრული ასლია ილ. ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივისა („ოთარაანთ ქვრივი“), მისი იმდენად მსგავსი და გამემორებელი, რომ, თუ არ დაწერის თარიღი (ვაჟა ფშაველას „დარეჯანი“ დაწერილი და გამოქვეყნებულია ილიას „ოთარაანთ ქვრივზე“ სამი წლით ადრე) მსგავსებისა და გავლენების მაძიებელთ, შესაძლოა, პლაგიატობაც კი დაებრალებინათ დიდებულ ვაჟასათვის.

დილით, გათენებამდე, დგება დარეჯანი და თავს დასტრიალებს მთელ სოფელს, პატიოსანი შრომისა და გარჯისკენ ეძახის ყველას — მახლობელს და შორეულს, მოხუცსა და ახალგაზრდას.

„ემანდ ერთმანეთს რომ არ ეჩხუბებოდეთ ერთ მტკაველ მიწისათვის, განა ცოტაა გასატეხი და გასაწმენდი მიწები?! — ეუბნება იგი მეზობლებს, — ხომ გახსოვთ, მე, ერთი მტკაველი მიწაც არა მქონდა, მაგრამ შახედეთ ახლა შაშუბსა! რასა ჰგავს, როგორი დაწმენდილ-დაკრიალებული საყანე-სათიბებია! გინახავთ არა? აა, ამ ხელებმა გასწმინდეს, დააკრიალეს აგრე. ერთი მთის ოდენა ქვები მექნება იქიდან გადატანილი და ერთ ლუკმა დაუყვედრებელ პურსა ესჭამ!“.

ჰეი, ვინა ხართ ქრისტიანი, გამოდით, მიჰხედეთ, დალიეს ხბოებმა ყანა, ადამიანებო! — გასძახის ის მეორე მხარეზე, თუმცა არც კი იცის, თუ ვისია ყანა, ან ხბოები. იცის მხოლოდ, რომ ვილაცის

ნაშრომს ვილაცის პირუტყვი აოხრებს და ეს საკმარისია, რომ მისი ადამიანური გული აღულდეს.

დარეჯანი ასევე შეუპოვარია ყოველივე უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ოთარაანთ ქვრივი; იგი ისევე არავის დაუთმობს, როცა მართალია, როგორც ოთარაანთ ქვრივი; ისევე გამკითხველია და დამხმარე ყოველი გაჭირვებულისა და უძლურის, როგორც იგივე ოთარაანთ ქვრივი. ჩარჩმა სომხებმა დარეჯანის უმწეო მეზობელი, ქვრივი დედაკაცი დაიბრიყვეს და მოზვერი უსამართლოდ წაართვეს. მთელი სოფელი ხედავდა ამ უსამართლობას, მაგრამ ყველა გაჩუმდა, ყველა თავის ტყავს გაუფრთხილდა. დარეჯანს კი არ შეეძლო გაჩუმება და არც გაჩუმებუბულა. მან ძაღლები მიუსია ორღობეში ჭორებით მომავალ ჩარჩებს და თავბედი აწყველინა.

ქვრივ დარეჯანს ერთადერთი შვილი ჰყავს — მახარე, სწორედ ისევე, როგორც გიორგი ოთარაანთ ქვრივს, მისი იმედი და ერთადერთი თავმისაყრდნობი მომავალი, მაგრამ, თუ ოთარაანთ გიორგი მამასავით ყოჩალი და შეუპოვარი ვაჟაკი გამოდგა, ისეთი ვაჟაკი, რომელიც არა თუ თავს, სხვასაც არავის აჩაგვრინებს, დარეჯანის მახარე უგერგილო და უნდილი კაცია, ყველას სათრევი და ადვილად გასაქელი. ერთხელ სწორედ მაშინ მივიდა სახლში დარეჯანი, როცა გადასახადისთვის მოსული ჩაფრები მის მახარეს მათრახითა სცემდნენ, — „ვინა ხარ, შენ, წყეულო, რაისთვის მიკლავ შვილსა!“ — ამ სიტყვებით სწვდა გამწარებული დარეჯანი ჩაფარს და მათრახი ხელიდან წავლიჯა.

— უკან დაიწი, როგორ ბედავ მთავრობის კაცის შენებას! — აღიმალა მათრახი მეორე ჩაფარმა. დარეჯანმა უკან დაიხია და შუბი გამართა: არ გაბედოთ, ჩემი მახარეს გახარებაჲ, თორემ ვერცერთი ცოცხალი ვერ გადამიჩრებით!

ჩაფრებმა უკან დაიხიეს, ცხენები შეაბრუნეს და წავიდნენ.

— შენ კი, შენ რასლა ეთრეინები, შე ხვთის გლახავს, ხელები შენ კი არა გასხიანა?! — მიუბრუნდა დარეჯანი ახლა შვილს.

— მთავრობის კაცებია, დედი, ჩემგან ხელი არ შეაქცევის, არ იქნება — თავი იმართლა მახარემ.

— შევხედე, კაცო, ეს ამოდენა დედაკაცი შუბს მისწორებდა და



მიახლოვდებოდა. ვერა მოვახერხე-რა! — თავს იმართლებდა შემდეგ. დამარცხებულნი ჩაფარი.

ასეთი შეუპოვარი და ძლიერია დარეჯანი. ამ ძალას მას სიმართლეს მატებს. იგი იმდენადვეა ძლიერი, რამდენადაც მართალი, სწორი, უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი, სამართლიანობის დამცველი. ამიტომ იხვეს მის წინაშე უკან ორი კბილებამდე შეიარაღებული ჩაფარი. დარეჯანი არც ლეკებს ებრძვის და არც ქისტებს. არც სოფელს იცავს და არც ციხე-სიმაგრეს. იგი ჩვეულებრივი სოფლელი დედაკაცია, მაგრამ კაი ყმაა, სიმართლისათვის თავგანწირული, შემართების უნარის მქონე, თანასოფლელებზე ამაღლებული „კაი ყმა“, ნამდვილი დედაკაცი, მშვიდობიანობის დროის სანათა. ასევე კაი ყმა მეორე მოთხრობის გმირი ქალი — გლეული სალია, რომელიც მუხლჩაუხრელად შრომობს თავის და სხვის სახლში. „რა დროს დაჯდომია, ქალო, რა დამაჯენს, მაიჭა, საქმე რაზე გექნება გასაკეთებელი, გამაკეთებინე, — ეუბნება ის მასპინძელს დღეობაზე სტუმრად მოსული და მანამ არ ისვენებს, სანამ ყველაფერს არ გააკეთებს, წესრიგში არ მოიყვანს.

თქმა არ უნდა, რომ ეს დარეჯანები და სალიები, მუხლჩაუხრელად მძრომელი და თავგანწირულად სამართლისათვის მებრძოლი სოფლის დედაკაცები საქიროების შემთხვევაში ყველანი სანათა და ლელა იქნებიან. ამას უთქმელად მიგვანიშნებს დიდი ხელოვანი და ისე დამაჯერებლადაც, რომ საწინააღმდეგო აზრის გამოთქმის უფლებასაც კი გვართმევს. მათგვარივეა მესამე „კაი ყმა“ — უბრალო გლეხი — უძმოს ძმა. ეს სახელი მან თვითონ დაირქვა. მე ყველა უძმოს (დაჩაგრულის) ძმა ვარ, ყველა იმისი ძმა ვარ, ვისაც ძმა არა ჰყავს და უსამართლოდ ჩაგრავენო, — ამბობს ის. ერთხელ იგი გამოექომაგა ვილაც უცხო მწყემსს, რომელიც მის სოფლელებს ჩაეგდოთ ხელში და აწვალებდნენ (ჩაგრავენენ). იგი დაუნდობლად დაერია მეზობლებს და უცხო იხსნა ამ სიტყვებით: „ნუ გეშინია, აქა ვარ მე, ყველა დაჩაგრულის ქომაგი, ყველა უძმოს ძმა“. მეზობლები გაოცებულნი არიან — როგორ შეიძლება გონიერმა კაცმა უცხოს გალახვისათვის თავისი საკუთარი მეზობლები გადიკიდოსო, მაგრამ უძმოს ძმა ამ შენიშვნებს ყურადღებას არ აქცევს. მან ერთი იცის; — ის, რომ მართალს უნდა დაეხმაროს, უსამართლობისაგან

სიმართლე უნდა დაიცვას. სულერთია, ვინ იქნება ეს მართალი, — მისივე მეზობელი, თუ ვილაც უცნობი გადამთიელი. ის კაი ყმაა და სხვაგვარად მოქცევა არ შეუძლია, მაგრამ ის ანბანი, რომლითაც მისთვის ამ ქვეშარიტების წიგნია დაწერილი, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის, მხოლოდ „თავის ჯამს ჩამაცქერალ“ არა კარგ ყმათათვის, სრულიად უცნობია და გაუგებარი. ამიტომ მათთვის უძმოს ძმა არა კაი ყმა, არამედ გიყია, ჩვეულებრივი გიყი, რომელიც იქა ჰყოფს ცხვირს, სადაც არ ეკითხება, სადაც მისთვის „სახეირო“ არაფერია. ნახავენ უთანასწორო ბრძოლაში სიკვდილის პირზე მისულ უძმოს ძმას, სისხლჩამომდინარს, დამტერულს და ნიშანს უგებენ: ეგრე, ჰო! კიდეც კარ მოკვდი! კიდეც ჩასჩრი ცხვირს იქ, სადაც არ გეკითხებიან?! — „არ მოკვდი, ჰო, არა, არც მოკვდები; კიდეც იქ გავჩნდები, სადაც დაჩაგრულ სიმართლესა ვნახავ! არ მოკვდები, არა, დედას ვუტირებ ყველა დამჩაგვრელსა და დამჩლოპორტებელს უბრალო კაცისასა!“ — „ჭიუტად იმეორებს უძმოს ძმა და კვლავ და კვლავ იქ არის, სადაც ვისმე ჩაგრავენ, სადაც ერთს ათი სცემს და იჩლოპორტებს“.

ხალხმა, მეზობლებმა, ცხადია, არ იციან, რომ ამ „გიყს“ არ შეუძლია სხვანაირად მოიქცეს, სწორედ იმ მიზეზით, რომ ის „გიყია“, კაი ყმაა. თავის მეზობლებისდაგვარად რომ მოიქცეს, უძმოს ძმა თვითონ პირადად ისეთივე კარგად და თავშეუწუხებლად იქნება, როგორც მისი მეზობელი არიან, მაგრამ ქვეყნის წინსვლა, პროგრესი კი შეფერხდება, რადგან მომავალმა, თუ მისი არსება გრძელია, სწორედ ასეთი „გიყები“ — კაი ყმები უნდა ამრავლოს, რაკი მხოლოდ ისინი არიან ის ბურჯნი, რომელსაც მომავალი საქართველო უნდა დაეყრდნოს, რომ აშენდეს. სადაც ისინი, ეს „გიყები“ შეუერთდებიან ქვეყნის იმ ნაწილს, რომელსაც ვაჟა „საღიაცეს“ უწოდებს, ქვეყნის პროგრესის სამანიც იქ დაესობა და უკეთეს მერმისზე ფიქრიც იქ შეწყდება.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ვაჟა-ფშაველას ყოველი ქმნილება (პროზაულიც და პოეტურიც) საზოგადოების ინერტული ნაწილის, „თავის ჯამს ჩამაცქერალ“, მხოლოდ „თავისად“ მცხოვრებ ადამიანების და კაი ყმების („გიყების“) ჭიდილის ამსახველია, მაგრამ კაი ყმის თვისებათა შექამება მან მოგვცა ამ თემაზე სპეციალურად შექმნილ ლექსში — „კაი ყმა“.

ჩამოთვლის რა კაი ყმის — თანამედროვეთაგან „გიჟად“ წოდებულის თვისებებს (პირადი ინტერესების უარყოფა საქვეყნო-საზოგადოებრივის სასარგებლოდ; ხალხისთვის, ქვეყნისთვის, სიმართლისათვის თავგანწირვა, მიუხედავად იმისა, თუ რას აძლევს პირადად მას ეს თავგანწირვა, მუდმივ მზადყოფნა მტრის დასახვედრად, სხვისი გაძლომისათვის ზრუნვა და საკუთარი მუცლისადმი უყურადღებობა, ბედნიერების ძიება ბრძოლაში და არა ქონების მოხვეჭა-დაგროვებაში), პოეტი დაასკვნის:

აი, ვინ არის კაი ყმა  
მოსაგონარი ქებითა!  
მაშ, თქვენა, საღიაცენო,  
რომ ძროხებივით ძლებითა?  
სალამოს წვებით მაძღრები,

ღლით მშვირები სდგებითა,  
თაისად ცხოვრობთ, საქვეყნოდ  
არცროს არ გამასდგებითა,  
გაიგებთ კარგის გარჯასა,  
შურით და ჭაერით სტყურებითა.

სწორედ ამ კაი ყმათა გამრავლებამ უნდა დასძლიოს შურით და ჭაერით გამტყვრალი საზოგადოების ინერტული ნაწილი, რათა საკუთარ ბეჭებზე დაიყრდნოს მომავალი საქართველო, — ასეთია პოეტის იდეური მრწამსი.

თქმა არ უნდა, რომ თავისი „კაი ყმებით“ ვაჟა-ფშაველამ გაბედულად გაუსწორა თვალი მომავალს, — მეოცე საუკუნეს და შემდეგ საუკუნეებსაც, რომ იგი კეშმარიტად გულწრფელი და სწორი იყო, როცა ამბობდა: „როგორ გგონიათ, არა მაქვს მე შემუშავებული ჩემი აზრი ქვეყნის მომავალზე? რომ ამ მომავალს ნათლად არ ვხედავდე, კალამს მოვკიდებდი ხელს? არა მგონია, რომელიმე ინჟინერმა დაიწყოს იმ ხიდის შენება, რომლის გაკეთება არ სჭერა, არა სწამს“.

ღიახ, მეტად ნათლად ჰქონდა სამშობლო ქვეყნის მომავალი გონებაში წარმოსახული ჩვენს დიად შემოქმედს: ამ მომავალს იგი სამართლიანად ხედავდა კაი ყმათა მომრავლებასა და ეგოიზმით გაჟღენთილ კაცუნათა აუცილებელ გადაშენებაში.

## შოთა შავაშავაძე

### სოციალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ასახვა XIX საუკუნის 90-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში (ილია ჭავჭავაძე)

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლები საქართველოში დიდი პოლიტიკურ-ეკონომიური მნიშვნელობის მოვლენებით და საზოგადოებრივ-ურთიერთობათა გართულებებითაა ცნობილი. გრძელდება ქართული კრიტიკული რეალიზმის განვითარება, მისი თემატიკური დიაპაზონის გაფართოება, რომელსაც სათავეში კვლავ ქართველი სამოციანელები უდგანან. პარალელურად, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შესაბამისად, ისახება თვისობრივად ახალი პროლეტარული მწერლობის კონტურები, სოციალისტური რეალიზმის მწერლობის პირველი ნიშნები. თუმცა, საზოგადოებრივ-ლიტერატურული ცხოვრების აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში მთავარ როლს კვლავ თამაშობს სამოციანი წლების განმანათლებელთა თაობა. ამ წლების მწერლები კვლავ დემოკრატიულ-რევოლუციური და ჰუმანისტური ქმნილებებით ამდიდრებენ ქართულ ლიტერატურას.

განვითარების ახალ, მაღალ საფეხურს აღწევს ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება. ხალხოსნური ლიტერატურა, რომელმაც თავის განვითარების მწვერვალს ოთხმოციანი წლებში მიაღწია, ოთხმოცდაათიანი წლებისათვის, როგორც მიმდინარეობა აღარ არსებობს. ხალხოსანი მწერლები ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, სტეფანე ჭრელაშვილი, ნიკო ხიზანიშვილი, მიხეილ გურგენიძე და სხვები „ივერიის“, „მომბისა“ და „კვალის“ რედაქციებში მოკალათდნენ და სამოციანი წლების განმანათლებლურ იდეებს ქადაგებდნენ. მაგრამ ხალხოსნუ-

რი იდეალების გამოძახილი მაინც რჩებოდა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ პროპაგანდას კვლავ ეწეოდნენ ეკატერინე გაბაშვილი, გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, ნაწილობრივ შიო არაგვისპირელი და სხვები.

ქართველ პროგრესულ საზოგადოებრიობას დახშული ჰქონდა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის პირდაპირი, პოლიტიკური გზა, ამიტომ მოწინავე შეხედულებების პროპაგანდას მხატვრული ლიტერატურის საშუალებით ეწეოდა. მწერლობას ეკისრებოდა ხალხების სულიერი აღზრდა, მათი მომზადება მომავალი რევოლუციისათვის. სამოციანი წლების თაობა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით კვლავ ჰუმანიზმის, დემოკრატიზმისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეალების მემამოხე სულისკვეთებით ზრდიდა ხალხს. 1895 წელს ნ. ნიკოლაძე „მოამბის“ პირველ ნომერში უსვამდა ხაზს მწერლობის აღმზრდელი ფუნქციას, განსაკუთრებით ისეთ კოლონიურ ქვეყანაში, როგორც საქართველო იყო.

ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, იაკობ გოგებაშვილის და სხვა ქართველ განმანათლებელთა შემოქმედება გამსჭვალული იყო ქეშმარიტი ჰუმანიზმითა და დემოკრატიზმით, მშობლიური ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულით. ქართველი რევოლუციონერ-დემოკრატები თითქმის მთელი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში იყვნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშენი. მათი ბრძოლა ეროვნული და სოციალური დამოუკიდებლობისათვის მტკიცე კავშირში იყო სხვა ჩაგრული ხალხების და პირველ რიგში რუსი ხალხის პროგრესულ ძალებთან. რუსეთის იმპერიის ყველა ეროვნების მოწინავე ადამიანები ერთნაირად ფიქრობდნენ, რომ მათი გამარჯვება ცარიზმის დამხობასთან იყო დაკავშირებული.

ქართველ სამოციანელთა მოღვაწეობა იმ პერიოდს ემთხვევა, როცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ახალი კლასები. სოციალური ბრძოლა, ძირითადად, შემამულეთა და ყმა გლეხთა შორის წინააღმდეგობებით იფარგლებოდა. მუშათა კლასისა და ბურჟუაზიის ფორმირება 80-იანი წლებიდან იწყება და საუკუნის ბოლოსათვის სავსებით დამთავრებულ სახეს ღებულობს.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შესაბამისად იცვ-

ლებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სოციალური ბრძოლის ტაქტიკა. მაგრამ საბოლოო მიზანი ილია ჭავჭავაძის თაობისათვის თითქმის შეუცვლელი რჩებოდა. ეს იყო: მოესპოთ ეროვნული და სოციალური ჩაგვრა, შეექმნათ შრომისა და პიროვნების თავისუფლება, დამოუკიდებელი, თანასწორუფლებიანი, ყველასათვის მისაწვდომი სახელმწიფო აპარატი, სადაც მოისპობოდა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა, სიღარიბე. ეს ის პერიოდია ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როცა მაშინდელი განმანათლებლობა ინიციატორად დემოკრატიზმისა და სოციალიზმის ერთიანობას.

90-იან წლებისათვის, როცა გამწვავდა კლასთა ბრძოლა და დემოკრატიულ მოძრაობას გამოეყო სოციალიზმი მეცნიერული კომუნიზმის სახით, ქართველ სამოციანელთა განმანათლებლური მოღვაწეობა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სხვა, ახალი შინაარსით ივსება, ხელს უწყობს რევოლუციის გაღრმავებას.

ილია ჭავჭავაძის თაობის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალები: მოახლოებული რევოლუციის სამსახურში დგებიან. ხალხთა საპყრობილის — ცარიზმის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი შინაარსის მატარებელი ყველა მოძრაობა სოციალისტური რევოლუციის ხელისშემწყობ მოვლენას წარმოადგენდა, არა მარტო 90-იან წლებში, არამედ შემდეგაც, 1905 და 1917 წლის რევოლუციებში. ეს მარქსისტული კემპარიტება დღესაც თვალნათლივ დასტურდება, როცა მათგან ჩაგრული ხალხები ეროვნულადამოუკიდებლობის დროშით იბრძვიან ნეოკოლონიალიზმის, როგორც იმპერიალისტური კაპიტალიზმის ახალი ვარაიციის წინააღმდეგ. რუსეთის პირველი რევოლუციის წინ ვ. ი. ლენინი საგანგებოდ აღნიშნავდა ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ყველა ძალების გაერთიანების მნიშვნელობას: „რუსეთში საზოგადოებრივი მღელვარება იზრდება მთელ ხალხში, ყველა მის კლასში, და ჩვენი რევოლუციური სოციალ-დემოკრატების მოვალეობაა — პთელი ძალღონით ვეცადოთ გამოვიყენოთ იგი, განუუმარტოთ მოწინავე მუშათა ინტელიგენციას, თუ როგორი მოკავშირე ყავს მას გლეხობის, სტუდენტობის და საერთოდ ინტელიგენციის სახით“<sup>1</sup>.

ილია ჭავჭავაძის პიროვნება კიდევ უფრო პოპულარული ხდე-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 358.

ბოდა ოთხმოცდაათიან წლებში. იგი სარგებლობდა ქართველი ხალხის ყველა წოდების უდიდესი ნდობითა და მხარდაჭერით. ილიასა და მისი თაობის წარმომადგენელთა საქმიანობა კვლავ ჩაგრულთა განწყობილებებს ეხმაურებოდა და ხალხს მომავალი რევოლუციისათვის ამზადებდა. ორმოცდაათ წელს გადაცილებული პოეტი მისთვის ჩვეული შეუპოვრობით განაგრძობდა ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. იგი დიდ ენერჯიას ახმარდა ერის ყველა სასიცოცხლო ძალების დარაზმვასა და ერთიანობას. რაც შეეხება კლასთა ბრძოლის გზით სოციალური საკითხების გადაწყვეტას, ეს ილია ჭავჭავაძეს ცარიზმის დამარცხების შენდგომ ეტაპად ესახებოდა; მანამ კი, მისი აზრით, საქართველოში საჭირო იყო კლასთა ბრძოლის, ანუ, როგორც თავად უწოდებდა, „წოდებათა შეხლა-შემოხლის“ თავიდან აცილება.

ამავე დროს, ქეშმარიტი შრომის სუფევის დამკვიდრება, ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობის მაქსიმალური განვითარება-გამოყენება მიაჩნდა ილია ჭავჭავაძეს ეროვნული ხსნის ერთ-ერთ საშუალებად. ამიტომაც, რომ მისი შემოქმედების ყველა ეტაპზე წინა პლანზეა წამოწეული „შრომის ახსნისა“, „საზოგადოების განკარგების“ იდეა და აქტიური მოქმედებისაკენ მოწოდება. „მოდრაობა და მარტო მოძრაობა არის... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“; ერის განვითარების ეს პრობლემა სხვადასხვა სახით წარმოჩინდა ილიას შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

ამიტომ, ცხოვრების ასპარეზზე გამოისულ ყველა ახალ ძალას, ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა იმედით ხედებოდა. ხალხის გამოფხიზლებასა და რევოლუციურ გამოსვლებში ისინი თავიანთი ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეალების შესაძლო განხორციელებას ჰკრეტდნენ. თუ მანამდე „ქართული ვინაობის“ ახსნას ილია თხრობის კილოთი გამოხატავდა, 90-იანი წლებიდან საზოგადოებრივი ცხოვრების გამრავალფეროვანებასთან დაკავშირებით მისი თხრობა დამრიგებლობითი, უფრო მეტად რჩევის, ზოგჯერ კი მოწოდების კილოთი იცვლება. ახლა, კიდევ უფრო სრულად გამოიკვეთა ილიას, როგორც ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის სახე. იგი თითქოს შენივლებულია ქართულ ყოფასთან, მისი ფიზიკური თვალთახედვის არეშია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა; აქტიურად ეხმაურება

რუსეთისა და საზღვარგარეთის ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ 90-იან წლებში მოღვაწეობდნენ გრიგოლ ყიფშიძე, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), სტეფანე ჭრელაშვილი (სანო), იაკობ მანსვეტაშვილი (დონ-იაგო), სოფრომ მგალობლიშვილი, ილია ბახტაძე (ხონელი), ალექსანდრე ნანეიშვილი (ნალი), დავით მიქელაძე (მეველე), გიორგი ლასხიშვილი (ლალი), გიორგი ზდანოვიჩი ((შაიაშვილი), კიტა აბაშიძე, ნიკო ხიზანიშვილი (ურბნელი), პეტრე უმიკაშვილი და სხვანი. გაზეთში იბეჭდებოდნენ აკაკი, რაფიელ ერისთავი, ვაჟა-ფშაველა, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვ. ჯერ ყურნალი, ხოლო შემდეგ გაზეთი „ივერია“ ილიას მეთაურობით გადაიქცა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმართველ და მარჯანიზებელ ორგანოდ. 900-იან წლებამდე ამ გაზეთს ხელმძღვანელობდა გენიალური ილია. ილიას სახლში ხშირად იყრიდა თავს ერისთვის თავდადებული მისი დროის მოღვაწეები. თანამედროვეთა ცნობით, ასეთ, კრებებს ესწრებოდნენ: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, რაფიელ ერისთავი, ანტონ ფურცელაძე, პეტრე უმიკაშვილი, დავით ერისთავი, გიორგი ზდანოვიჩი, გიორგი წერეთელი, სოფრომ მგალობლიშვილი, სტეფანე ჭრელაშვილი, ძმები ყიფშიძენი, ალექსანდრე ნანეიშვილი, ნიკოლ ხიზანიშვილი და სხვანი.

ილიას მიერ მოწყობილი ასეთი შეხვედრები, თურმე, საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე. მაგრამ, ყველაზე დიდს, დაუვიწყარ და განუმეორებელ სანახაობას წარმოადგენდა ილია: „უნდა გენახათ ამისი აღფრთოვანებული სახე, ანთებული ცეცხლის მფრქვეველი თვალები, რომ დარწმუნებულიყავით თუ რა სულიერ და ჭკუის ძალას შეიცავს ეს დიდბუნებოვანი ადამიანი, ჰხედავდი, რომ რალაც დაუშრეტელ წყაროდან მომდინარეობს აზრების ნაკადული და არ გინდა თვალი და ყური მოაშორო ამ გულწარმტაც მოვლენას“<sup>2</sup>.

ქართველის ბედის ძიება, ქართველი ხალხის ნაციონალური ბედობლისათვის ზრუნვა, ილიამ, 90-იან წლებში დროის შესაფერი-

<sup>2</sup> ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936, გვ. 82.



სად, ახალი ვითარების შესაბამისად წარმართა. სამშობლოს სიყვარული ილიამ და აკაკიმ აქციეს ეროვნულ მოძღვრებად და ყველა შესაძლებლობით ცდილობდნენ ეს გრძნობა ხალხში დამკვიდრებულიყო, ეროვნულ იდეალად ქცეულიყო. ამ თვალსაზრისით აფასებდა ილია ჭავჭავაძე ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს 90-იან წლებშიც. სამოციანი წლების მოღვაწეთა მიერ ქართველი ერის საკეთილდღეოდ გაწეულ შრომას ილია ასეთ შეფასებას აძლევდა: „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთ მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა. ვისაც-კი რაიმე ნიშანწყალი ჰქონდა ღმრთის მიერ მინიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქმის ყველანი იმ გზას დაადგნენ, რო ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდელა დააქვეითა და დაამდაბლა“<sup>3</sup>.

სამოციანი წლებისა მოღვაწეთა დიდი შრომით. — აღნიშნავდა ილია, — სამშობლომ თავისი საპატიო ადგილი დაიჭირა ქართველთა შორის, მისმა ცხოველმყოფელმა სიტბომ და ნათელმა მთელა მრავალგვარობა ცხოვრებისა თვალწინ დაუყენა თვითოეულ მოღვაწეს ცალკე და ყველას ერთად. ილია ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ „მამულის“ აღდგენის ამ უუწმინდეს მოვალეობას ემსახურებოდა არა მარტო მისი, არამედ ძველი თაობის წარმომადგენლებიო. რომ ყველა თაობამ გულთან მიიტანა „დიდი ხნისამ დადუმებული ჩივილი დაჩაგრულ ადამიანებისა, მთა-ბარობა უსწორ-მასწორო ცხოვრებისა“. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით გადაიდგა „მაშინდელ ყმაწვილკაცობისათვის თავმოსაწონებელ, მაგრამ უბედურ“ 1832 წელსო. მაშინდელმა „მოძრობამ შეკრა ის ბრწყინვალე წრე გონება-გახსნილ ყმაწვილკაცობისა, საიდანაც გამოვიდნენ გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ორნი გიორგი ერისთავნი, ზაქარია ერისთავი, იოსებ და კონსტანტინე მამაცაშვილები, ნ. ბარათაშვილი, ალ. დიმ. და ვახ. ორბელიანები და ბევრნი სხვანი, რომელთაც სახელოვნად იჩინეს თავი ზოგმა ლიტერატურაში, ზოგმა საზოგადო და სახელმწიფო სარბიელზე“<sup>4</sup>.

<sup>3</sup> ილია ჭავჭავაძე, ტ. III, 1953, გვ. 225.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 226.

ილიას თქმით, „აღდგენილმა მამულმა დაჰბადა მამულის სიყვარული, მამულის-შვილობა, და საკვირველი არ არის, რომ მისი წარსული, მისი აწმყო და მერმისი, კვლევისა და გამოძიების საგნად შეიქმნა. „ვინ ვართ და რანი ვართ“ — ამ ზღვაებზე ფართო საკითხს შემოეჭარა გარს ჩვენი მწერლობა... ზოგი წარსულით გვინათებდა ამ საკითხს, ზოგი აწმყოს გაკითხვითა, ზოგი მერმისის გამოსახვითა. პროზით თუ ლექსით, ყველა ჰლაღადებდა ადამიანობის დარღვეული უფლების სახელითა და თვით მოსაქმე ცხოვრების განკარგების წყურვილითა“<sup>5</sup>.

ლიტერატურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისი თაობის მოღვაწეობის მიმართულებას ილია „რეალურ მიმართულებას“ უწოდებდა. ამ მიმართულებამ „ჩვენის აზრობისამ ჩვენი გონება დააკვირვა ჩვენს მიწიერ ავ-კარგიანობას და სამოციან წლებიდან დღევანდლამდე, ამ ოცდაათის წლის მანძილზე, ბევრი საყურადღებო ღვაწლი დასდო, ბევრი ნაყოფიერი თესლი დაჰყარა სამერმოსოდ“<sup>6</sup>.

ი. ჰავჭავაძის მთელ შემოქმედებაში, კერძოდ, 90-იანი წლების ნამოღვაწარში, მკაფიოდ ცნაურდება მისი მსოფლმხედველობა, ის მრავალპლანიანობა აზროვნებისა, რომელიც დამახასიათებელია რევოლუციონერ-დემოკრატ, ჰუმანისტ-განმანათლებლისათვის. ამიტომ ილია საგანგებოდ აღნიშნავდა ყველა წოდების ფენის თუ თაობის წარმომადგენელთა ისეთ შეთანხმებულ მუშაობას, რომელიც ერთიანი საქართველოს ერის ძლიერებას შეუწყობდა ხელს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების ღვაწლის ილიასეული შეფასება. ილიას სასიამოვნო მოვლენად მიაჩნია, რომ ძველი თაობის მწერლებმა და კერძოდ გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებმა, არ „იუარეს“ არ „იუცხოეს“ სამოციანი წლების „მათთვის უცნობი და ახალი ქროლა“ რეალიზმისა. „პირიქით, მთელის თავისი ძალღონით მიეცნენ ამ ახალს მდინარებასა, დროთა ჩაძახილს ღირსეულ მობანედ გამოუჩნდნენ და ახალთან ერთად ძმურად იღვაწეს ამ მიმართულების გასაძლიერებლად, იმ მრავალგვარ საგნებში, რომელიც მამულმა, მამულის სიყვარულმა და მა-

<sup>5</sup> ი ქ ე ე, გვ. 226.

<sup>6</sup> ი ლ ი ა ჰ ა ვ ჰ ა ვ ა ძ ე, ტ. III, 1953, გვ. 226.

მულიშვილობამ თვალწინ გამოგვიფინა. თვითელმა მათგანმა თავისი სხივოსანი შუქი შეიტანა იმისდამიხედვით, ვის რა უფრო ეხერხებოდა და სადამდე თვალი უწვდებოდა... მამულის-შვილობას გრ. ორბელიანმაც შთაბერა იგი ღონიერი სული, რომელმაც, როგორც სამოციან წლებში, ისეც მერმე, ჩვენს პოეზიას განსაკუთრებული ნიშანდობა დაუნიშნა“<sup>7</sup>.

პატრიოტიზმის ამსახველი შესანიშნავი ლირიკული ნაწარმოებების გარდა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ მიგვანიშნებდა სოციალური ხასიათის თემატიკაზე. ილიას თქმით, ქართული მწერლობა სამოციან წლამდე მხოლოდ ვაბატონებული წოდების გულისთქმას „დაჰფუფუნებდა“. „სამოციანმა წლებმა ამ ვიწროდ შემოღობილს სარბიელს ჩვენის პოეზიასს თავისი ტალღა გაჰკრეს და შემომატკრიეს ღობეები“. ახალი დროის მოღვაწეებმა მიაგნეს ხალხის ამ საუნჯეს და დაიწყეს იქედან ობოლი მარგალიტების ამორჩევა: „რომ ამ მდაბიოთა გული იგივე ზღვაა, სანა თუ არა მეტი, ნაკლები მარგალიტები არ არის გლოვისა და სიხარულისა, ჭირისა და ღვინისა, ძულებისა და სრეკარულისა; რომ ამ მდაბიოთაცა აქვთ თავისი იდეალები, ოღონდ კი კაცს მადლი ჰქონდეს, ამეების დანახვისა, ამაების გამოხატვისა“. გრ. ორბელიანი, აღნიშნავდა ილია, „არც აქ ჩამორჩა ახალ დროებას და დაწერა ისეთი ლექსები: „ო-ს დარღები“, „ლოპიანა“, „მუშა ბოქულაძე“, რომლებიც თითო-თითო პოემადა ღირსო“<sup>8</sup>.

გრიგოლ ორბელიანის „მუშა ბოქულაძის“ შინაარსს ილია ფართო მკითხველისათვის გასაგებად აანალიზებს და ამავე დროს თავის კრედიტსაც გამოხატავს. „ახალ მიმართულების ტალღებისაგან ვატაცებულმა გრ. ორბელიანმაც მიაგნო ამ ღრმად გულში დამალულს სიმწრით ოხვრას მუშა კაცისას, ამ მალვით მოწმენდილს თვალში მორეულ ცრემლსა, და სხვებთან ერთად მისმა ყურმაც გაიგონა, სადა ჰქვენესის მუშა:

მკერდით ღია, ოფლით გასვრილ, მტვრიანი,  
ფერით რკინა, კისერ-ჩაქანგებული,  
კაცი გულით, დაჩაგრული ბედითა,  
სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილი,

<sup>7</sup> ი ქ ე ე, გვ. 226—228.

<sup>8</sup> ი ქ ე ე, გვ. 299—230.

გარდა სოციალური პრობლემატიკის სიახლისა, „მეშა ბოჭულა-  
ქეში“ ილია ხედავდა პოეტურ ფორმის სიახლესაც. ურითმო ლექსო,  
რომელიც პირველად გრ. ორბელიანმა დაამკვიდრა ქართულ  
მწერლობაში, დიდი მნიშვნელობის ფაქტია. ამით, — აღნიშნავდა  
ი. ჭავჭავაძე, — პოეტმა „დაგვიმტკიცა, რომ ქართულს სიტყვასაც  
თავისი ასამაღლებელი ხმა ჰქონია, ეგრე საჭირო ლექსთაწყობის  
ხმოვანებისა და მუსიკისათვის. მან ამით გვიჩვენა, რომ ქართულადაც  
შესაძლოა ურითმო ლექსი, ეგრეთ-წოდებული „თეთრი ლექსთ წყო-  
ბა“, რომელიც ხმოვანებით და მუსიკით არანაკლებია რითმიან  
ლექსისა“<sup>10</sup>.

80-იან წლებში ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრე-  
ობის შესახებ ქართველი ხალხოსნების მიერ ჟურნალ „იმედში“ წა-  
მოწყებულმა ბრძოლამ, რომელიც შემდეგ 90-იან წლებში გაზეთ  
„კვალში“ და ჟურნალ „შოამბეში“ მეტი გააფთრებით გრძელდებოდა,  
დასაბამი მისცა „ლიტერატურულ კრიტიკაში“ ვულგარული  
სოციოლოგიის დამკვიდრებას. ამ უპრინციპო ბრძოლამ გარკვე-  
ული ზიანი მიაყენა 60-იანი წლების მოღვაწეთა შემოქმედებისა და  
საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესწავლას. უფრო მეტიც, მწერლის  
გარდაცვალების შემდეგ, გარკვეულ მკვლევართა შრომებში კვლავ  
იჩინა თავი ილია ჭავჭავაძის შემოქმედების სოციოლოგიურ-წოდებ-  
რების პრინციპით შეფასების ტენდენციებმა. სამწუხაროდ, კლასი-  
კური მემკვიდრეობის შეფასების ეს ანტიმარქსისტული მეთოდი  
დიდხანს ბატონობდა ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში.

ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედების შესწავლა და მთლიან-  
ობაში გააზრება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მწერალი თავისი  
დროის რომელიმე გაბატონებული კლასის თუ წოდების წარ-  
მომადგენლად გამოვაცხადოთ. ილია მაღლა იდგა ყოველგვარ წოდებრიობაზე.  
იგი ემიჯნებოდა ყველა წოდებას, გარდა მშრომელი ხალხისა. იგი ერის ძირითადი ნაწილის გლეხობისა და ერისათვის  
საჭირო ყველა „გამრჩე კაცის“ ინტერესების დამცველი იყო. მისი

<sup>9</sup> ი ქ ვ ე, გვ. 230.

<sup>10</sup> ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. III, 1953, გვ. 131.

ჰუმანიზმის მასშტაბი მოიცავდა საერთოდ, ადამიანის განკარგების პრობლემას; ყველა წოდების ადამიანთა პატიოსანი შრომისა და გარჯის ფერხულში ჩაბმას მოითხოვდა, „ღმრთის მიერ გაჩენილ ყველა ადამიანთა“ შორის მალალი ზნეობისა და ურთიერთობის დამკვიდრებას ქადაგებდა. ეს განმანათლებლური, რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა, გამდიდრებული 80—90-იანი წლების ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილებით, უფრო ფართოდ წარმოგვიდგენს ილია ქავჭავაძის პოლიტიკურ პროფილს, როგორც ეროვნული მოძრაობის მეთაურის, თავისი დროის რევოლუციური მოძრაობის გამაშინაარსებლის.

შრომამ, სწავლამ, განათლებამ და გონიერმა „გარჯა-თვითმოქმედებამ“, უნდა მოახდინოს ხალხის ეკონომიური დაწინაურება. ხოლო ამ მთავარ საქმეში შეთანხმებულად უნდა მონაწილეობდეს ერის ყველა წოდების წარმომადგენელი. ილიას გაგებით, „ერთიან ერს“ შეუძლია, როგორც შინაური საქმეების უკეთ დაწყობა, ისე ეროვნული თავისუფლების მოპოვება. ამიტომ იგი ერთნაირად კიცხავდა ყველა წოდების წარმომადგენელს, ვინც მის კონცეფციას — შრომის, ბრძოლის, გარჯისა და მოქმედებისა, არ ენიადაგებოდა. სამაგიეროდ მხედველობიდან არ უშვებდა კერძო თუ საზოგადო სარბიელზე გაკეთებულ სასარგებლო საქმეს. ქება-დიდებას ასხამდა შრომას, გლეხისა იქნებოდა იგი, თუ თავადისა, მწერლისა თუ საზოგადო მოღვაწისა, მეცნიერისა თუ მასწავლებლისა.

წერილში „თვითმოქმედებისათვის“, ილია გარკვევით აღნიშნავდა თავად-აზნაურთა კლასის უმოქმედობას, უუნარობას, სხვის ხარჯზე ცხოვრებას. „საქმე ის არის, რომ თავად-აზნაურობა აქაც, როგორც ბევრ სხვაშიაც, დაჩვეულია სხვისით თავისი საქმის გასწორებას და გაძლოლას... ეს ძველი ჩვეულება თუ ოდესმე თავად-აზნაურობას ხელს უწყობდა, დღეის იქით ველარას გამოადგება“<sup>11</sup>. როგორც დავინახეთ, ილია საგანგებოდ მიუთითებდა თავად-აზნაურთა წოდების ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნას და რომ დღევანდელ ცხოვრებაში ასეთი მუქთახორული ცხოვრება აღარ გამოადგებოდა. აფრთხილებდა ამ წოდებას თუ მათ სურდათ არ გამჭრალიყვნენ ცხოვრების საზოგადო ასპარეზიდან, უნდა დაუფლებოდნენ „განჯისა“ და „თვითმოქმედების“ ხელოვნებას.

<sup>11</sup> ილია ქავჭავაძე, ტ. VIII, 1957, გვ. 318.

„ეხლანდელი დრო ისეთია, რომ თუ კაცი თვითონ არ შველის თავისთავს, თვითონ არ ირჩება თავის სიკეთისა და ბედნიერებისათვის და თავის საკუთარ მხნეობის გარეთ ეძიებს სახსარს ცხოვრების აუკარგიანობის გასაძლოად, — ამისთანა კაცი გადადებულია უფრო სასიკვდილოდ, ვიდრე სასიცოცხლოდ“<sup>12</sup>. ასეთ დაავადებულ საზოგადოებად, ილიას, თავადაზნაურთა და მდიდართა წოდება მიიჩნდა. სხვის იმედზე დამყარებულ ცხოვრებას ილია „მათხოვრობას“ უწოდებდა, რომელსაც უსათუოდ მოჰყვებოდა ამ წოდების „სულისა და ხორცის“ დაუძლურება, რაც საბოლოოდ — „კვდომაა, ხრწნაა, აგებულების დაშლა და დარღვევა... როდესაც რომელიმე წოდება, ან მთელი საზოგადოება, ამისთანა სენით არის დასნეულებული, ამაზედ უარესი სენი ჩვენ არ ვიცით, რომელს წოდებასაც თუ საზოგადოებას, ეს სენი ჩასჯდომია გვამსა და აგებულებაში, ფუტურო ხესავით ღლედალდე იფხვნება და პირქვე დასამხოვლად გამზადებულია და გადადებული“<sup>13</sup>. ეს საშინელი სენი მუქთახორობისა, განაგრძობს მწერალი, „უქმობისა, თავისთავის არპატრონობისა, თავის-თავის არ შველისა, ისე არსად არ არის ხელალებით მოკიდებული, როგორც ჩვენს თავად-აზნაურობაში“<sup>14</sup>.

თავად-აზნაურობის დაცემულობის, ცხოვრების კალაპოტიდან მისი ამოვარდნის და მომავლის უპერსპექტივობის ამაზე უკეთეს დახასიათება აღარ შეიძლებოდა. ერის დოვლათის შექმნას, მის ეკონომიურ მოღონიერებას, ილია წუთისოფლის სუფრას ადარებდა; რომ ამ სუფრის დოვლათის შექმნაში უნდა თანაბრად მონაწილეობდეს ერის ყველა სოციალური ფენა: თავადაზნაურობა, გლეხობა, ინტელიგენცია, ვაჭარ-მრეწველნი და სხვა. მაგრამ, ილიას თქმით, „წუთისოფლის სუფრა წვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ თავის საკუთარი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს და დაიდგას, თვითონ უნდა მოჰთვისოს, მოჰხნას, მომკოს, მოზილოს და გაე მოაცხოს თავის არსებითი პური. ამაების იქით ხსნა არ არის და ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც ეხლანდელ დროში სხვისით რჩენა შეიძლებოდეს. წავიდა ის დრო სამუდამოდ და ღღეს ვინც თვი-

<sup>12</sup> ი ქ ვ ე, გვ. 315.

<sup>13</sup> ილ. ქ ა ვ ჯ ა ვ ა ძ ე, ტ. VIII, 1957, გვ. 315.

<sup>14</sup> ი ქ ვ ე,

თონ არის გამრჩელი და მხნე, ბურთი და მოედანი ცხოვრებისა, კეთილისა და ბედნიერებისა, იმისია და მარტო იმისი“<sup>15</sup>.

ილიას ამ სტრიქონებში ნათლად გამოსკვივის აზრი იმის შესახებ, რომ შრომისა, გარჯისა და გამდიდრებისა კენ მოწოდება სხვა არაფერია თუ არა კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობის აღიარება. უფრო მეტიც, ი. ჰავკავაძე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ეკონომიური მოღონიერებისა კენ „მისწრაფება ყველა წოდებას უფრო გააჩნია, ვიდრე თავადაზნაურობას. მართალია, ილია ცდილობს, რომ თავადაზნაურთა წოდება არ ჩამორჩეს ცხოვრების ამ ახალ ნაბიჯებს, მაგრამ 90-იანი წლების საქართველოს ეკონომიური ცხოვრების განვითარების ტენდენციებში წედომა შესაძლებლობას აძლევს მწერალს წარმოადგინოს სინამდვილე ისეთად, როგორც იგია. წერილში „თავადაზნაურობის უქმობით ჩვენი მიწაწყლის დაკარგვა“, ილია კვლავ ამ წოდების მუქთახორობას აკრიტიკებდა: „მამულები ხელიდან მიგვდისო, — ვისგან ისმის ეს ჩივილი? — მხოლოდ იმ წოდებისაგან, — განმარტავდა ილია, — ვისაც მამულის მოვლის ყადრი არ გააჩნია, ვისაც შრომა და გარჯა ეზარება. გლები, ვაჭარი, ალებმიცემის კაცი არ ვარდება ასეთ მდგომარეობაში, რომ დაიყვიროს — არიქა „მამულები ხელიდან მიგვდისო“. ამიტომ, თუ თავადაზნაურობა არ ჩაუკვირდება დროის მოთხოვნას, ვერავითარი ძალა ვერ იხსნის მას დაღუპვისაგანო. ყველაფერი ეს — აღნიშნავდა ილია ჰავკავაძე — დღევანდელი ცხოვრების „ეკონომიური ბუნებაა“ — „აუცილებელი შედეგია ცხოვრების განვითარებისა, „გაუტეხელი ბუნებაა ყოველგვარის სიმდიდრისა, რომელიც ყოველთვის უქმს მიუბრძის, რომ საქმიან კაცს მიეცეს“<sup>16</sup>.

სხვა ადგილზე ილ. ჰავკავაძე კიდევ უფრო გარკვევით ლაპარაკობს 90-იანი წლების საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების განვითარების კანონზომიერებაზე და ობიექტურად კლასთა შორის ბრძოლის აღიარებამდე მიდის. ამავე დროს, მინიშნებულია ბურჟუაზიული საზოგადოების მგლურ კანონზე, რომ ფული, ქონებრივად ძლიერი იმორჩილებს მასზე უფრო სუსტს. „კაცი, რომელიც მარტო მკამელი და შთანმთქმელია და არა მომქმედი და მოამაგე, გადადებულია დედამიწის ზურგიდამ ასაგველად. იგი ყოველთვის

<sup>15</sup> ი. ჰ. ვ. ე.

<sup>16</sup> ილ. ჰავკავაძე, ტ. VIII, 1957, გვ. 327.

ულონოა ჰიდროლისათვის არსებობისათვის ბრძოლაში და ამიტომაც მარტო ერთი უბრალო შემთხვევა ჰკმარის ხოლმე ძირს დასცეს და პირქვე დაამხოს... ეს ეკონომიური რკინის კანონია და ისე გარდუვალი, აუცილებელი, დაურღვეველი, როგორც ყოველივე „ბუნებური კანონი“. ილია ჭავჭავაძე მართებულად შენიშნავდა, რომ ბურჟუაზიული საზოგადოების ვითარებაში, როცა ეს კლასი ახლად იწყებდა აღმავლობას, მას თავისი განვითარების „რკინის კანონები“ გააჩნდა. უშრომელი, ზარმაცი და გაურჯელი კაცი წინ ვერ დაუდგებოდა. ვინც ამ რკინის კანონს ექიდება გადასატეხად, ის უფრო ადრე თვითონ გადატყდება ამაო ბლაუქობაში“<sup>17</sup>.

მაგრამ ამ რთულ სოციალურ ვითარებაში, — აღნიშნავდა ილია, — მხოლოდ მშრომელი ხალხია ცხოვრების ძირი, საზოგადოების მარჩენალი, მხოლოდ იგია „შემქმნელი და მომქმედი ამ ცხოვრებისა და თავის კერძაც ცხოვრების სუფრაზედ მარტო იგი შოულობს სხვის დაუყვედრებლად, სხვის უმუნათოდ. სხვა ყველანი ნალოები არიან ამ გამრჩელსა და მშრომელზედ, ათასნაირი ხვარჯებით გამობმულნი“<sup>18</sup>. აქ მწერალი მიუთითებდა მშრომელი ხალხის არა მარტო იურიდიულ უუფლებობაზე, არამედ ტლანქ სოციალურ ჩაგვრაზე, ექსპლოატაციის კაპიტალისტურ ფორმაზე, როცა ექსპლოატატორები სხედასხვა გზით, „ათასნაირი ხვარჯებით გამობმული“, სისხლსა სწოვდნენ. პატიოსან შრომისმოყვარე ხალხს. ეს შრომისმოყვარე, მაგრამ გაუნათლებელი მშრომელი ხალხი, ილიას თქმით, იყო გლეხობა „ეს უმრავლესობა ქართველობისა, ეს სული და გული ჩვენის ეროვნულის იმედებისა“<sup>19</sup>.

1892 წლის „შინაურ მიმოხილვაში“ ილია კვლავ ეხებოდა გლეხობის საკითხს და იმედს გამოსთქვამდა, რომ გლეხიც ჩასწვდა თავის გონებით მისთვის საჭირო იარაღს „თვითმოქმედებისა“, ისწავლა მეურნეობის გაძღოლის დროის შესაფერისი ხერხები და ამის შემდეგ მისი საქმეც კარგად წარიმართებაო. გლეხობაც „დაადგა ამ ყოვლად მხსნელს და ყოვლად შემძლებელ თვითმოქმედების გზას და ძირს დადებულს შვილდს თავისთავის იმედისას დასწვდა თავის ძლიერის ხელით ასაღებად. გლეხკაცობამაც იგრძნო, რომ სხვის ხელში

<sup>17</sup> ი ქ ვ ე, გვ. 326.

<sup>18</sup> ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. VIII, 1957, გვ. 325..

<sup>19</sup> ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. V, 1955, გვ. 282..



ყურება არაფერი თამასუქია, რომ თავის სატკივარს თვითონვე უნდა უწამლოს, თავის-თავს თვითონვე უნდა უშველოს“. პური ფულად აქციოს, ხოლო ფული მეურნეობის განკარგებას მოახმაროს.

ილია სხვადასხვა ფორმით იმეორებს თითქმის ერთსა და იმავე აზრს იმის თაობაზე, რომ მხოლოდ შრომითა და გარჯით შეიძლება ერის ყველა წოდების აღორძინებაო. სხვა ადგილზე, ილია ქვეყანაძე ქვეყნის ეკონომიური დაწინაურებისათვის აუცილებლად მიიჩნევს ორ ფაქტორს: „ძალას თვითმოქმედებისა და თავისთავის იმედისა“. ეს ორი ძალა, — აღნიშნავდა ილია, — ფეხზე წამოდგა მხოლოდ 90-იან წლებში და ამ საუკუნეს ასეთი ძალა არ წარმოუშვიაო. ილიას თქმით, თვითმოქმედების ახალი ძალებია: ბანკები, სკოლები, წიგნთა გამომცემელი ამხანაგობა, საზოგადოებები: წერა-კითხვის გამავრცელებელი, დრამატიული, ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვისო<sup>20</sup>.

სიხარულით აუწყებდა ქართველ საზოგადოებას, ილია, იმ ფაქტს, რომ 90-იანი წლების დასაწყისში მომწიფდა აზრი ქვეყნის „საეკონომიო დაწინაურებისა“. რომ, სულიერ ღონესთან ერთად უნდა ვლიდეს ღონე ხორციელიც, რომ სულის, ეკუისა და გონების გაძლიერებას მხარდამხარ უნდა მოსდევდეს ქონებისა და ჯიბის გაძლიერებაცა, რომ ერი და ქვეყანა, რომელთაც ან ერთი აკლია, ან მეორე, ცალფეხა კაცსა ჰკავს“<sup>21</sup>.

გლეხობის, თავადაზნაურობის თვითშეგნების ამალეობა, ბანკების, ამხანაგობების, ალებ-მიცემობის საქმის კარგად წარმართვა — ერის ყველა წოდების შეთანხმებული ღონისძიებებით, — მიაჩნია ილ. ქვეყანაძეს ქვეყნის მოლონიერების უებარ საშუალებად. როგორც მანამდე, 90-იან წლებშიც ილ. ქვეყანაძე კვლავ ქართველი ხალხის ყველა წოდების თვითმოქმედი მშრომელი ნაწილის განუყოფლობის თვალსაზრისს ავითარებდა. თუმცა უპირატესობას მაინც მშრომელ ხალხს, გლეხობას ანიჭებდა. ილია მომხრე იყო განათლების, ვაჭრობის, მრეწველობის განვითარების კაპიტალისტური ფორმებისა. მაგრამ ყველაფერი ეს ქართველი კაცის ხელმძღვანელობით, მისი ეროვნულობის შესაფერისად უნდა მომხდარიყო. მაშასადამე, ილია ქვეყანაძის ყურადღების ცენტრში იდგა არა რომე-

<sup>20</sup> ი ქ ვ ე. გვ. 337.

<sup>21</sup> ილ. ქ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, ტ. V, 1955, გვ. 337.

ლიმე კლასი თუ წოდება, არამედ მთელი ქართველი ხალხი თავისი წოდებებითა და კლასებით, ქირითა და ლხინით.

თავადაზნაურობამო, — წერდა ილია, — უნდა შეიგნოს, როს მას ცალკე ყოფნა და ერის გაძლოლა არ შეუძლია, იგი შეთანხმებით. უნდა ეწეოდეს ცხოვრების ჰაანს გლეხობასთან და ერის სხვა სოციალურ ფენებთან. საქართველოს ყველა წოდების წარმომადგენლებმა „ყველამ ერთად და თვითეულმა ცალკე უნდა იცოდეს, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მართო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე“<sup>22</sup>. ასე ჰქონდა წარმოდგენილი ილია ჰავჰავაძეს 90-იანი წლების ვითარება, როგორც ტიპიურ განმანათლებელსა და რევოლუციონერ-დემოკრატს, ქართველი ერის ისტორიისა და მისი ყოფის ყველაზე უფრო მცოდნეს მთელ მეცხრამეტე საუკუნეში.

90-იან წლებში, როგორც ილია ჰავჰავაძე აღნიშნავდა, ერას სალიტერატურო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოხდა დიდი მნიშვნელობის მოვლენები. ასეთად ი. ჰავჰავაძეს მიაჩნდა ნ. ბარათაშვილის ნეშთის გადმოსვენება განჯიდან თბილისში (1893 წ.) და რაფიელ ერისთავის ლიტერატურული მოღვაწეობის იუბილე. ეს ორი ღონისძიება ჩატარდა ილია ჰავჰავაძისა და აკაკი წერეთლის ხელმძღვანელობით „ივერიამ“ და იმ დროის პრესამ ფართოდ გააშუქა ეს მნიშვნელოვანი მოვლენები ერის ცხოვრებაში.

ილია ჰავჰავაძემ რაფიელ ერისთავის იუბილის ჩატარებასთან დაკავშირებით ახალი თვალით შეხედა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას. მან თითქოს პრაქტიკულად დაინახა მისი თაობის შრომის ნაყოფი, რომ „ხალხი ცოტად თუ ბევრად ცნობაში მოვიდა“, შეიგნო მისი სულიერი მოღვაწის ფასი. დიდი ილია უდიდესი მნიშვნელობის ფაქტად თვლიდა რაფ. ერისთავის იუბილის ჩატარებას. წერილში „მინაური მიმოხილვა 1895 წლისა“ ილია აღნიშნავდა, რომ უკანასკნელ პერიოდში მომხდარ ამბებს შორის რაფიელ ერისთავის იუბილე ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობის მოვლენად ითვლებო. ილია მიუთითებდა იმ გარემოებას, რომ ეს იუბილე ჩატარდა არა მართო მწერლის დამსახურების აღსანიშნავად, არამედ იმ დღემ დაგვიანაბა ეროვნული ძალების ერთობლიობაო.

90-იანი წლების „ივერიაში“ დაიბეჭდა ილიას წერილები და

<sup>22</sup> ილ. ჰავჰავაძე, ტ. 8, 1957, გვ. 314.

სტატიები საბანკო, ეკონომიურ, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხებზე. ესენია: „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი“, „წველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა“, „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“, „ივერიაში“ დაიბეჭდა 7 წერილი თბილისის, ქუთაისის ბანკებისა და საერთოდ საბანკო საკითხებზე, „თბილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება“, „კრედიტი საქართველოს მევენახეთათვის“, „საადგილმამულო გადასახადის საქმე“, „სიტყვა თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე“, „ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საკითხები“, „ქახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“, და სხვ. აგრეთვე, „ივერიაში“ დაბეჭდილი „შინაური მიმოხილვაში“, „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“, საგაზეთო შენიშვნები თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ და სხვა მრავალი წერილი ამ წლებისა, სხვადასხვა ასპექტში აშუქებს ქართველი ხალხის ვერად ჩამოყალიბების, მისი სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის მიმდინარე საკითხებს, აგრეთვე, შრომისა და პიროვნების თავისუფლების პრობლემებს. იგი ყოველთვის დვას დიდი ადამიანის, გენიოსი მოაზროვნის სიმალლეზე. მუდამ თავისი ერისა და პიროვნების ადამიანური უფლებების ქომაგია.

მართლაც, 90-იან წლებში ილ. ჭავჭავაძემ ახლებურად დაინახა ქართული ეკონომიური ცხოვრების განვითარება. წინ კი არ აღუდგა მას, არამედ ამ ახალი ცხოვრების კვალდაკვალ მიდევნება უკარნახა ხალხს. 1893 წელს დაბეჭდილ სტატიაში ილია აღნიშნავდა, რომ „ქართველობამ ამ ბოლო ხანებში დააჭერა გული, რომ ამ ყოფიან დგომა ცხოვრების მოედანზე შეუძლებელია, რადგანაც მოასწავებს დედამიწის ზურგიდამ აგვას, თუ წამალი რამ არ დაიღვა და თუ ისე არ მოაწყოს საქმე, რომ ამ გაჭირებიდამ თავი დაიხსნას“<sup>23</sup>. ამ გაჭირებიდან თავის დახსნის ეკონომიურ საშუალებად ილიას მიაჩნდა ვაჭრობის, მრეწველობის განვითარება, სოფლად „საადგილმამულო კრედიტის“ გარდა, სხვა მოკლევადიანი კრედიტის დაარსება. დედამიწისეული წიაღისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების — ღვინის, პურის, ჩაისა და სიმინდის მოსავლის სასაქონლო წარმოება. ეს ამბები, აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე, თითქმის ყველა

<sup>23</sup> ილ. ჭავჭავაძე, ტ. 7, 1956, გვ. 8.

„ქართველს ენაზე აკერია, ყველგან ამაებზე ლაპარაკობენ და ბჭობენ და ზოგნი კიდევ შესდგომიან სიტყვა საქმედ აქციონ. ყოველივე ეს იმის მომასწავებელია, რომ ქართველობა ახალ და სწორ გზაზე გამოდის სამოქმედოდ; და იმედია, რომ იგი ბოლოსაც გაიტანს, რადგანაც სწორე გზის პოვნა და მასზე სვლა ნახევრად გამარჯვებაა“<sup>24</sup>.

მეოცე საუკუნის მიჯნაზე დაწერილ წერილში, ილია მართებულ ახსნას აძლევდა ფულით გაბატონებული საზოგადოების თავაშუებულობას.

„ჯერ კიდევ პუშკინმა სთქვა, — აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე, — რომ ქვეყანაზე გაბატონებას, ქვეყნის დაჩემებას მარტო ოქრო და ხმალი ეცილებიან ერთმანეთსაო... მაგრამ ხმალმა, როგორც ყოველმანვე სხვამ, თოკი ყელზე შეიბა და ფულს დაუკრა თავი, ვითარცა უძლეველს ბატონს ყურმოჭრილმა ძლეულმა ყმამ. ქადილი ოქროვერცხლის, რომ ყველაფერი ჩემიაო, გამართლდა... უფულო ერი ერთა შორის და უფულო კაცი ცალკე აღამიანთა შორის ყმაა ფულიანისა“<sup>25</sup>. როგორი ჩიუტობაც არ უნდა გამოვიჩინოთ, რაც გინდ ქუდი კახურად ჩავიკეცოთ, ყურთმაჯები ვაეკაცურად მხრებზე გადავიყაროთ და, ისპანიის გაკოტრებულ უდა-აზნაურცივით უღვაშები გადავიწიპოთ — ფულის ბრძანებას და ბატონობას მაინც ვერსად ვავექცევით — ვერ დავემალებით. ადრე იქნება თუ გვიან ქეჩოში ხელს წაგვავლებსო. ეს რკინის კანონი კაპიტალისა ისეთი რამ არის, განაგრძობდა ილია, რომ კაცი ვერსად ვაექცევა, „ესეთი ძალღონე ფულისა იმ უწერულმა კანონმა შექმნა, რომელსაც ცხოვრებას ეძახიან და რომლის ძალმომრეობა თვით დაწერილ კანონზე უძლიერესია... ცხოვრებამ ისე მოუმართა ფულს ხელი, რომ ყველგან და ყოველმხრივ ცხენის ძუის ბადე გააბა: გაინძრევით თუ არა, ამ ბადეში გაიხლართებით, როგორც ბუზი აბლაბუდაში“<sup>26</sup>.

მაგრამ, კონკრეტულად, საქართველოში, სადაც ფულს ჯერ კიდევ სავაჭრო „ჩარჩული ხასიათი“ აქვს, ფული — ჯერ უღონოა, ქურდბაცაცაა, მხდალია, იქა მკის საცა არ უთენსიაო. ამიტომ სანამ ერის მთელ ეკონომიურ საარსებო საშუალებებს დაჰპატრონებია,

<sup>24</sup> ი ქ ვ ე, გვ. 9.

<sup>25</sup> ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. 7, 1956, გვ. 10.

<sup>26</sup> ი ქ ვ ე, გვ. 11.

შეიძლება ჩვენ დაუპირისპიროთ საკუთარი მხნეობა და თვითმოქმედება. „ჩარჩულ ფულს ყველგან, საითაც კი ხელს გაიწვდის, წინ კარგად შეკრული ამხანაგობა ან სხვა რაიმე კრებული დავახედროთ, ერთობით გაღონიერებული და მაშინ იქნება ღმერთმა ჩვენსკენ მოიხედოს“<sup>27</sup>. ილიას ამ სტრიქონებში, ხალხოსანთა უტოპიური სოციალიზმით შეზავებული კაპიტალისტური განვითარების „შეკავება“ კი არ ამოიკითხება, არამედ ის გარემოება, რომ ილია, აღიარებდა რა, კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობას, სურდა ეს გარდუვალი პროცესი საზოგადოების განვითარებისა ეროვნული შინაარსით წარმართულიყო. ქართული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგად დაგროვილიყო ეროვნული კაპიტალი. ეს მოსაზრება ილიას ბევრ სხვა წერილშიც აქვს გატარებული, მაგრამ კაპიტალის ბატონობა ობიექტურად ბარბაროსობად მიაჩნდა ი. ჭავჭავაძეს. მისი თქმით „თუ კანონს დანაშაული რამ მიუძღვის, მარტო ის დანაშაული, რომ ამისთანა ძალმომრეობას ფულისას იწყნარებს, რომ ხალხი ერთიმეორეს არ აჩაგვრინოს, ერთიმეორეს არ ათელვინოს. თუ კანონი ბატონისა და ყმის შუა ჩაერია და ერთის ძალმომრეობა და მეორის ყმობა დასთრგუნა და გააქარწყლა და ამით ქვეყნის მადლობა სამართლიანად მოიხვეჭა, რატომ აღარ უნდა ამოიღოს თავისი ძლევაგამოსილი ხმა იქ, საცა ბატონი ფულია და სხვა ყოველი მისი ყურმოჭრილი ყმა. ან მეყმე და ან შიმშილით სული ამოირთვიო“<sup>28</sup>. ილია ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ფულის ყოველსშემძლე ძალად გადაქცევა სოციალური იერარქიის ახალ, უფრო მძიმე ფორმებს აკანონებდა.

ბუნებით აყვავებული და მდიდარი ჩვენი ქვეყანა, აღნიშნავდა ილია 1897 წლის „ივერიის“ მეთაურ წერილში, ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა სისხლისა და ოფლის ღვრით აქამდე მოიყვანეს. ახლა კი, იგი უფსკრულის პირასა დგას. ჩვენ კი ყურებში ბამბა დაგვიცვია, თვალებზე ხელი აგვიფარებია და არაფრის დანახვა არ გვინდაო; ვერ ვისწავლეთ დროის შესაფერისი მოქმედებაო. „ახლაც ომია, აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი... ეს ომ-შრომისაა, და ვითარცა შრომა — პატიოსანია, ნამუსიანია, და ასე-

<sup>27</sup> ილ. ჭავჭავაძე, ტ. 8, 1957, გვ. 14.

<sup>28</sup> ილ. ჭავჭავაძე, ტ. 8, 1957, გვ. 12.

თივე თავმოწონებული, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე“<sup>29</sup>.

ცუდკაცობა, ქურდობა, ავაზაკობა, რომელიც უმთავრესად ბურჟუაზიული საზოგადოების თანამგზავრია, ილ. ჭავჭავაძემ სპეციალური მსჯელობის საგნად აქცია. მას მიაჩნდა, რომ საზოგადოების ასეთი ხასიათის ნაკლოვანებების ძირი ეკონომიური უთანასწორობააო.

გამწვავებული კლასთა ბრძოლის ასახვის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ილ. ჭავჭავაძის წერილები „თბილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ“ (1891—1899 წწ.). ილ. ჭავჭავაძე იწონებდა 1891 წლის ქალაქის გამგეობის ახალი არჩევნების შედეგებს. იმას, რომ ამ არჩევნებში წოდებრივი განურჩევლობით ერთნაირად მიიღო მონაწილეობა თბილისში მცხოვრებმა ყველა მოქალაქემ. ეს არჩევნები ღარიბებისა და შეძლებულების ორი ბანაკის ბრძოლის შედეგიაო. ილია ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ამ ორი ბანაკის ამომრჩევლები „მოქმედებდნენ განურჩევლად იმისათუ, ვინ სომეხია და ვინ ქართველი: აქ ერთის მხრით მოიყარეს თავი შეძლებულთა მომხრეთა და მეორის მხრით შეუძლებელთა. არჩევნების კენჭმა დაგვანახვა ყველას, რამოდენა ადგილი დაიჭირა განახლებულ საბჭოში შეუძლებელთა წარმომადგენელ ხმოსნობამა, და აი სად უნდა ეძიოს კაცმა მიზეზი იმ სიამოვნებისა, რომლითაც ყოველი გონიერი ქართველი თუ სომეხი მიეგება ამ არჩევნებს, როცა მისი შედეგი გამოცხადდა“<sup>30</sup>.

მაგრამ შემდეგ 1897 წელს, კლასთა ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით სულ სხვა ხასიათი მიიღო თბილისის თვითმმართველობის არჩევნებმა. მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა მთავრობის მიერ დამტკიცებულმა ახალმა დებულებამ, რომლის ძალითაც არჩევნებში მხოლოდ გარკვეული ქონების პატრონებს შეეძლოთ მონაწილეობის მიღება. ამ უკანონოებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა რუსეთის იმპერიაში. გაზეთი „კავკაზი“, „ივერია“, „კვალი“, საგანგებო წერილებს ბეჭდავენ ამ საარჩევნო დებულების რეაქციულ ხასიათზე. „კავკაზში“ (1897 წ. №№ 18, 19) დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის

<sup>29</sup> ილ. ჭავჭავაძე, ტ. 5, 1955, გვ. 14.

<sup>30</sup> ილ. ჭავჭავაძე, ტ. 8, 1958, გვ. 57.

ორი წერილი ქალაქის მმართველობის არჩევნებზე. სტატიაში გაკრიტიკებულია მთავრობის მიერ გამოცემული საარჩევნო დებულება, რომელიც მხოლოდ მდიდართა კლასის ინტერესების დამცველია. ილ. ჭავჭავაძე „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილში (1897 წ. № 94) იწონებს ნ. ნიკოლაძის აღნიშნულ წერილს. ბ-ნმა ნიკოლაძემო, თითქმის, როგორც ყოველთვის, პირდაპირ „ქეჩოში სტაცა ხელი იმისთანა საგანს, რომელიც მორიგი ჭირ-ბოროტია და მწვევი ჭირ-ბოროტიც დღევანდელის დღისა და დიდი სატივიარია ჩვენებური ქალაქების მკვიდრთათვის“. ამ არჩევნების უკანონობით, აღნიშნავდა ილია, ღარიბს არავითარი გზა და სახსარი არა აქვს თავისი წარმომადგენელი იყოლის მმართველობაში. მდიდართა არჩეული ვექილი განაგებს ქალაქის საქმეებს და „ვინ არ იცის, რომ გამძღარი ყოველთვის წვრილად უფხვნის ხოლმე მშიერსა და აქედამ ის გამოდის, რომ ერთის წყობის მკვიდრთა ბამბაც ჩხრიალებს და სხვა წყობისა კი არც კაკალი“. „კავკაზში“ და „ივერიაში“ დაბეჭდილი ნ. ნიკოლაძისა და ილ. ჭავჭავაძის წერილები გამოხატავდა თბილისში მცხოვრები ყველა ეროვნების მოწინავე საზოგადოების აზრს, რომ ქონებრივი ცენზის მიხედვით არჩევნების მოწყობა ხალხის აბუჩად აგდება იყო. მაგრამ ყველაზე მწვევე ანტაგონისტურ ხასიათს, ქონებრივ ცენზზე დამყარებული არჩევნები იწვევდა მრავალეროვან ქალაქებში, ამ შემთხვევაში თბილისში, სადაც კლასობრივ დაპირისპირებას თან ერთვოდა ქართველი ხალხის ეროვნული უფლებების შელახვა. ამავე წერილში ილ. ჭავჭავაძე უსაყვედურებდა ნ. ნიკოლაძეს, რომ მან თავის მსჯელობაში წინა პლანზე კლასობრივი ბრძოლის პრობლემა წამოსწია, ხოლო „ეროვნული სხვადასხვაობაც ზედ ემატებოდა და აძლიერებს უამისოდაც გაძლიერებულ ცეცხლსაო. ამ სახით ნ. ნიკოლაძეს ეროვნული სხვადასხვაობა თითქმის პირველ მიზეზის ზედნადებად მიუჩნევია ჩვენში“. ეჭვგარეშეა, ნ. ნიკოლაძე ამ კონკრეტული შემთხვევის უფრო სწორ ანალიზს იძლეოდა.

ისე როგორც ილია ჭავჭავაძის მთელ შემოქმედებაში, ასევე 90-იანი წლების შემკვიდრებაში ჩანს, რომ შემოქმედის ტიტანური ენერჯია ერთნაირად ემსახურებოდა ადამიანის ეროვნულ და სოციალურ თავისუფლების ურთულეს პრობლემებს. მაშასადამე, თუ სწორად შევაფასებთ მწერლის სიცოცხლის ბოლოდროინდელ ნააზ-

რევსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, დაეინახავთ, რომ ილ. ჭავჭავაძე, კვლავ მთლიანი პიროვნებაა. იგი დროის შესაფერისად ეხმაურება ახალ მოძრაობას და ხელს უწყობს საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციის გზით განვითარებას.

ი. ჭავჭავაძის თითოეულ სიტყვაში თუ წერილში რა საკითხისადმიც არ უნდა ყოფილიყო იგი მიძღვნილი, მოცემული იყო მომავლისათვის გასათვალისწინებელი ამოცანა. ამიტომაც, რომ კვლავ დიდი ინტერესით იკითხება მისი ცნობილი სიტყვები ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე, რაფიელ ერისთავის იუბილეზე, საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე 1895 წ; გაბრიელ ეპისკოპოსის, მიხეილ ყიფიანის, ილია ოქრომჭედლიშვილის გარდაცვალების გამო და სხვ.

ერთიანი საქართველოს კონცეფცია კარგად ჩანს 1895 წლის 20 მაისს საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში. მწერალი გმობდა კუთხოზობრივობას, კერძოობითობას, ადამიანის ღირსების შელახვის ცდებს. ბანკის ერთ-ერთ კრებაზე, რომელსაც ილია არ ესწრებოდა, აუგად მოუხსენებიათ ქუთაისის ბანკის წარმომადგენელი. ილია აღუშფოთებია ამ ფაქტს. ამის გამო საგანგებო სიტყვით გამოსულა 20 მაისის ბანკის სხდომაზე: „გუშინწინ, აღნიშნავდა ილია, ერთ ორატორს უნებებია ჩემი უკადრისად ხსენება, მე ამას ყურადღებას არ ვაქცევ, ხოლო თქმულა ერთი რამ ისეთი, რომელმაც შეაძრწუნა ჩემი მამულიშვილური გრძნობა და ეს არ შემიძლიან აღუნიშნავად დაეტოვო. აქ ერთ ორატორს მეორეზედ უთქვამს: ეგ მოსული არისო და ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვსო. მე არ ვახსენებ ვის უთქვამს ეს. მე მთქმელთან საქმე არა მაქვს-რა. მე ვებრძვი აზრს და ამ აზრის გამოსარკვევად მართო საქირთა ვიცოდეთ ის კი არა, ვინ სთქვა, არამედ ის, ვის უთხრეს. ეს უთხრეს იმიერ ქართველს. როგორ? იმიერი ქართველი აქ, ჩვენს კრებაში, ამ ჩვენს საქართველოში — მოსულია, უცხოა და არა სახლიკაცი, არა სისხლხორცი იმ დიდი ოჯახისა, რომელსაც საქართველო ჰქვიათ! არა ბატონებო!.. ყოველს ქართველს საქართველოს ნაწილისას, — გურული იქნება, მეგრელი, იმერელი, კახელი თუ ქართლელი, — ჩვენის ერთიანის ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჰირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს. ვნ არამც თუ უფლებათა თვითეულის ჩვენგანისა, უუწმინდესი მოვალე-



ობაა<sup>31</sup>. ილია საგანგებოდ აღნიშნავდა ამავე სიტყვაში, რომ მისმა თაობამ ამ წმინდა საქმეს „შეაღია თავისი პატიოსანი ძალღონე, თავისი სისხლი და ზორცი, თავისი ნიჭი საქმისა და მეტყველებისა“.

საკუთარი პიროვნების გრანდიოზულობით ილია ჭავჭავაძე თავის სახელოვან თაობასთან ერთად მთელი ნახევარი საუკუნე ასაზრდოებდა ქართველი ხალხის სულიერ მოთხოვნილებებს, აფაქიზებდა მის ზნეობრივ გრძნობას, კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის დიდი იდეალებით ამდიდრებდა ერის გონებას. ქართველმა ხალხმა საგანგებოდ აღნიშნა რუსეთის ჯარის საქართველოში შემოსვლის 100 წლისთავი (1899 წლის 26 ნოემბერი). ილიას წერილი „ასის წლის წინათ“ წარმოადგენს ამ დიდი მოვლენის დიდებულ გახსენებას. „ამ ღირსახსოვარ დღიდან საქართველომ მშვიდობიანობა მოაპოვა. შიში მტრისა, ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დალალული ქვეყანა... დაცხრა ომისა და ბრძოლისაგან... დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა... ის დღეა და ეს დღე, ველარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში... კვლავ სასოება-გალვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდი რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული“<sup>32</sup>. სხვა წერილებშიც არა ერთჯერ აღუნიშნავს ილიას, რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის აუცილებლობა, ევროპულ-რუსული კულტურისა და მეცნიერების კეთილისმყოფელი გავლენა ქართველ საზოგადოებრიობაზე. არ შეეუდგებოთ იმის განმეორებას თუ როგორი მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს რუსეთის, საზღვარგარეთის და სხვა მოძმე ხალხების მოწინავე ინტელიგენციასთან. ილია ყოველთვის იყო ხალხთა შორის მეგობრობის დაუღალავი პროპაგანდისტი, ჩაგრული ხალხების დამცველი, მისი ერის მეობის უშიშარი ქომაგი. მაგრამ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ილია ჭავჭავაძის ხანგრძლივი ბრძოლა იმ ადამიანთა წინააღმდეგ, რომლებიც შეგნებით თუ შეუგნებლად ხელს უწყობდნენ ერთა შორის არა მეგობრობის განმტკიცებას, არამედ, მათი მტრობის დათესვას ან გაღვივებას. ამის საუკეთესო მაგალითია 1899 წელს დაწერილი ვრცელი სამეცნიერო-პოლემიკური

<sup>31</sup> ილ. ჭავჭავაძე, ტ. IX, 1957, გვ. 263—264.

<sup>32</sup> ილ. ჭავჭავაძე, ტ. 4, 1955, გვ. 216—217.

გამოკვლევა — „ქვათა ლალადი“, რომელიც დიდ გულისტკივილს გამოხატავს „ჩურუქა მეცნიერების“, „გამეცნიერებული ცულლუტების“, უკადრისი საქციელის გამო<sup>33</sup>. ილია ჭავჭავაძემ დაასაბუთა ქართველი და სომეხი ხალხის ისტორიული მეგობრობის აუცილებლობა. გამოააშკარავა და დაგმო ამ მეგობრობის გამყალბებლები.

— თავისი ეროვნული კონცეფციის გადაწყვეტისას ილია ჭავჭავაძე ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ ქართველი ხალხი ფიზიკურ განადგურებას რუსეთის დახმარებით გადაურჩა. ამიტომ მისი დამოუკიდებლობა მომავალში მხოლოდ რუსეთის მფარველობით, მის სახელმწიფოს შიგნით უნდა განხორციელებულიყო. მაგრამ ყოველივე ეს ი. ჭავჭავაძეს შესაძლებლად მიაჩნდა მაშინ, როცა დაემხობოდა მეფის მთავრობა და ხალხები ეროვნული თვითმმართველობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის უფლებას მოიპოვებდნენ.

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობას, ილია ჭავჭავაძე, ჩვენი ცხოვრების განვითარების სასარგებლო მოვლენად თვლიდა. სკეპტიკურად მოაზროვნე ადამიანების გასაგონად ილია აღნიშნავდა, რომ „რაც უნდა გულღრძო და ჭულელი კაცი იყოს, მაინც ვერ იტყვის, რომ ამ სამოც-ოთხმოცს წლის ცხოვრების შედეგი არ იყოს ქართველი ერის გაერთიანება, ერთობის გაღვივება საქართველოს სხვადასხვა პროვინციის მცხოვრებთა შორის“. რომ ჩვენს ცხოვრებას ცოტათი სხვა სასიკეთო ფერი დაედო. „ბატონყმობის გადავარდნამ“, „ახლის, მაგრამ ფრთა-შეკვეცილი სამართლის წესების შემოღებამ, თვითმმართველობის ნამცეცებმა“ და სხვა ახალმა წესებმა ჩვენი ცხოვრებისა, წინ წასწია ერის ცხოვრებაო. მაგრამ, აღნიშნავდა ილია, „რამდენადაც უფრო მეტად ვგრძნობთ უკეთესად ცხოვრების მოწყობის სურვილს და ხელმოკლეობას ამ სურვილის გაუმჯობესებისათვის, იმდენად უფრო მეტად ვიტანჯებით, მეტად გაჭირვებულად გვეჩვენება ჩვენი არსებობა“<sup>34</sup>.

ცხოვრების განკარგების, მისი უკეთ მოწყობის შეცნობის შედეგად — თვითმპყრობელური რუსეთის ცხოვრების წესის მოსპობის აუცილებლობა, აერთიანებდათ რუსეთის იმპერიის ხალხებს, მათ მოწინავე საზოგადოებას, ერისთვის თავდადებულ ადამიანებს,

<sup>33</sup> გ. ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე, 1966, გვ. 694.

<sup>34</sup> ილ. ჭავჭავაძე, ტ. 5, 1955, გვ. 281.

რევოლუციის წინამორბედებს: გერცენს, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, შეფჩენკოს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს და სხვა ეროვნებათა დიდ მოღვაწეებს.

ქვეშარიტი პატრიოტიზმის არსის შეგნება, მისი ზოგადი და კონკრეტული აზრის გაცნობიერება ჩანს ილიას, როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, ისე პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. სამშობლოს სიყვარულის უუწმინდეს არსებას ანაცვალა ილიამ თავისი ბუმბერაზი, დაუცხრომელი კაცური კაცობა, ნათელი გონება. იგი ყველაზე უფრო ღრმად ჩასწვდა თავისი დროის ამოცანებს. გაბედულად, მეცნიერული საბუთიანობით ახსნა ხალხის გაჭირვებისა და დაღსინების მიზეზები, მართალი შეფასება მისცა ერის ტკივილებს. ამიტომ შეიყვარა ხალხმა ილია ჭავჭავაძე. ილიამდე, არც ერთ ქართველ მოღვაწეს არ ჰქონია იმის ბედნიერება, რომ ერის უმრავლესობის ასეთი დიდი მხარდაჭერა მოეპოვებინა. ამის მიზეზი პოეტის აზრებისა და ერის გუჟანის თანდამთხვევა იყო. მაგრამ ასეთი ბედი წილხვედრია ისეთი ადამიანებისა, ამბობდა თავად ილია, ერთ ცნობილ ქართველ მოღვაწეზე, რომელნიც „გულთასრულნი“, „ხასიათის კაცნი“ არიან. ილიას თქმით — „მძლედ მობურთალნი ქვეყნიერობის მოედანზედ მარტო დიდ-ხასიათის კაცნი არიან. ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთასრულობა, დიდი ხასიათობა, იმისდა მიუხედავად, — (თავიანთ საქმეში გაიმარჯვეს თუ არა შ. ვ.). ყოველივე დიდებული საქმე, რითაც კი კაცობრიობა ქადულობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისმე სხვისაგან. ამიტომაც ხასიათიან კაცის წინაშე ყველა უნებლიეთ თავს იხრის მოწიწებითა და სათნოებითა“<sup>35</sup>. ასეთი იყო თვითონ ილ. ჭავჭავაძის „გულ-სრულობა“, ხასიათის სიმტკიცე, კაცური კაცობა. ამავნა ილიას სიდიადე.

90-იან წლებში კვლავ გაიელვა ილია ჭავჭავაძის ლირიკამ. „მომბესა“ და „ივერიაში“ დაიბეჭდა მისი პოლიტიკური ლირიკის ნიმუშები „კიოხვა-პასუხი“, „რად გვინდა ვინ ხარ“, „ორხმიანი სახალწლო ოპერეტი“ და ლექსის რამდენიმე ფრაგმენტი.

ამ ლექსებში ასახულია 90-იანი წლების გართულებული საზოგადოებრივი ცხოვრების მაჩისცემა. პოლემიკა „კვალთან“, „ტიფლისკი ლისტოკთან“, აგრეთვე, ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან —

<sup>35</sup> ილ. ჭავჭავაძე, ტ. 4, 1955, გვ. 223.

(გიორგი წერეთელი, გიორგი თუმანიშვილი, მიხეილ და ივანე მაჩაბლები, სილოვან ხუნდაძე, დავით კეხელი). აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე დახასიათებულთა, როგორც პოეტის ფიქრების თანამოზიარენი. აქაც და პუბლიცისტურ წერილებში ილიას სატირა მეტად მახვილია, მრავალგვარია. ამ ხერხს ილია იყენებდა მოწინააღმდეგის არა მარტო შესაბოჰყად, არამედ შესაგონებლად, ქვემარტების გზაზე დასაყენებლად. პოლემიკისას ილია ჭავჭავაძე თავისი რკინის ლოგიკით ზეავივით აწევებოდა, ნთქავდა და იმორჩილებდა მოწინააღმდეგეს.

ილია ჭავჭავაძის ამ ლექსებში ცნაურდება მისი მრწამსი, მისი შეხედულებანი თავისი ერის ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე, რომლებსაც აშუქებდა ამავე პერიოდის მისი პუბლიცისტური წერილები. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ლექსი „კითხვა-პასუხი“. ეს 10 ტაეპიანი ლექსი პოეტის დაფიქრების, მისი მრწამსის ლირიკული გამჟღავნების შედეგია. აქ კონდენსირებულია ის „დიდი აზრი“ რაც ილ. ჭავჭავაძეს, როგორც თავისი მხატვრული შემოქმედების, ისე მრავალმხრივი მოღვაწეობისათვის საფუძვლად დაუდგია. ლექსს თან ახლავს ლირიული სინაზე, რომანტიკული სევდა ჭერკიდევ განუხორციელებელ იდეალებზე. ამავე დროს ეს ლექსი თავისი მთრთოლვარე ინტიმური შინაარსით, დიდი ადამიანის გოდება, ღწვითა და ბრძოლით განვლილ მშფოთვარე ცხოვრებაზე კიდევ ერთი დიდი დაფიქრებაა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ი. ჭავჭავაძის ერთ-ერთ წერილს, რომელიც მიძღვნილია XIX საუკუნისადმი. იგი მნიშვნელოვანია პოეტის მსოფლმხედველობის კიდევ უფრო ნათლად წარმოჩენის თვალსაზრისით. აქ მატერიალისტური მიდგომითაა შეფასებული მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოებრივი აზრისა და მეცნიერების განვითარების მონაპოვარის საკაცობრიო მნიშვნელობა ილია ჭავჭავაძე მაღალ შეფასებას აძლევდა ამ საუკუნის ნაშრომნაღვაწს. მაგრამ განვითარების ასეთი დონე პოეტს აინტერესებს არა განყენებულად, არამედ იმისათვის, თუ რა გაუკეთა ამ პროგრესმა ადამიანს, როგორი სარგებლობა მოუტანა საზოგადოებას, პიროვნებას, თანასწორობას, თავისუფლებას..

„წარსულმა საუკუნემ, აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე, თავისის მხრით ბევრი კეთილი შესძინა ადამიანს. ხოლო საკითხავი ეს არის:

დღეს უფრო ბედნიერია კაცი, თუ არა, ამოდენა სიკეთით გარემო-  
ცული და ესე წარმატებულის მეცნიერებით გაღონიერებული და გა-  
ძლიერებული? არა გვგონია. მართალია, დღეს ადამიანი ერთობ, ღა-  
რიბია თუ მდიდარი — უფრო უკეთ არის მოწყობილი... უფრო  
უკეთ იცვამს, იხურავს, სკამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება კი შორს  
არის.. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის ძლიერსა და უძლურს  
შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ  
არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე  
საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს<sup>36</sup>.

ახლა დავას აღარ იწვევს ის გარემოება, რომ ილია ჭავჭავაძის  
მხატვრული შემოქმედება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარე-  
ბისა და კლასთა შორის ბრძოლის ამსახველი დიდი მემკვიდრეობაა,  
რომელშიც წინა პლანზეა წამოწეული სოციალური თანასწორო-  
ბისათვის ბრძოლის საკითხები. რაც შეეხება ეროვნულ იდეალებს,  
ისინი უპირატესად პუბლიცისტურ წერილებშია გადმოცემული. რო-  
გორც ზემოთ ითქვა, ილია ჭავჭავაძე ეროვნულ-განმათავისუფლე-  
ბელი მოძრაობის ასპექტში განიხილავდა კლასთა ბრძოლის საკითხს.  
ქართული ისტორიული ცხოვრება, ეროვნული დამოუკიდებლობი-  
სათვის ბრძოლის თავისებურება უბიძგებდა ილიას გარკვეული  
თვალსაზრისით დროებით ხელი აეღო კლასთა ბრძოლის მწვავე სა-  
კითხებზე. მისი საბოლოო გადაჭრა საქართველოში ეროვნული თა-  
ვისუფლების მოპოვების შემდგომი ეტაპისათვის გადაეღო.

კლასობრივი ბრძოლის თეორიაში არსებული ეს წინააღმდეგო-  
ბა ი. ჭავჭავაძემ ნაწილობრივ დაძლია მას შემდეგ, რაც გაეცნო  
მარქსიზმს და საინტერესო პოლემიკა გაუმართა მარქსიზმის გამ-  
ყალბებელ მესამე დასის ოპორტუნისტულ ფრთას და მის ლიდერს —  
ნოე ყორღანას. (გასათვალისწინებელია ისიც, რომ ილია ჭავჭავა-  
ძეს 90-იან წლებში არ შეეძლო უშუალოდ გაცნობოდა მარქსის და  
ენგელსის ყველა შრომას). რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძეს არ შე-  
ეძლო მარქსიზმის, როგორც მოძღვრების მთლიანობაში ათვისება,  
მაგრამ იგი მარქსს „დიდ მეცნიერს“ უწოდებდა, უდავოდ გრძნობ-  
და ამ დიადი მოძღვრების უპირატესობას, საოცარი ინტუიციით  
წვდებოდა მეცხრამეტე საუკუნის თვისობრივ სიახლეს სოციალური  
მეცნიერების განვითარების მხრივ. „მეცნიერება, — აღნიშნავდა

<sup>36</sup> ილ. ჭავჭავაძე, ტ. 5, 1955, გვ. 9.

ელია ჭავჭავაძე, — ადამიანის გონების წინსვლაა, ზნეობის აღმატება, — ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილებით მოიქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უალრესს და უდიდესს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას<sup>37</sup>.

მაგრამ რა არის ის უცვლელი და მარად ცოცხალი ანდერძი, რომელსაც გაყვება კაცობრიობა მეოცე და შემდეგ საუკუნეებში? ილიას თქმით, ეს არის მეცნიერულად დასაბუთებული ღარიბთა და უმწევრთა დამცველი მოძღვრება, რომელიც „ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალური წყობილების იდეალად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლასების წარსამატებლად“. ამ გზაზე წინა საუკუნეებს ერთად იმდენი არ უქმნიათ-რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თავისდა პატივის მოსახსენებლად<sup>38</sup>.

მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრისა და ცხოვრების განვითარების ტენდენციების ასეთი მეცნიერული ანალიზი, შოვლენების სწორი შეფასება ქართულ სინამდვილეში, შეიძლებოდა მოეცა მხოლოდ ილია ჭავჭავაძეს. ჩვენ აღარ შევუდგებით ილია ჭავჭავაძის მარქსიზმთან დამოკიდებულების სხვა საკითხების გაშუქებას. ამის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში. ერთი ცხადია, მარქსიზმის გავრცელებამდე და სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამოჩენამდე ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა წარმოადგენდნენ დიდ პროგრესულ ძალას. ისინი გამოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ხელისშემშლელ იდეალისტურ, დოგმატურ თეორიებს, აწარმოებდნენ ბრძოლას ნაროდნიკების წინააღმდეგ, რაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის უპირველესი ამოცანა იყო 91-იან წლებში. ამას ემატება სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი ეტაპისათვის აუცილებელი ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის იდეების დანერგვა ხალხში და ამ მოძრაობის რევოლუციის სამსა-

<sup>37</sup> „ივერია“, 1900, № 1.

<sup>38</sup> „ივერია“, 1900, № 1.

ხურში ჩაყენება. ვ. ი. ლენინი საგანგებოდ მიუთითებდა 1905 წლის რევოლუციის ნაციონალური მოძრაობის მნიშვნელობაზე<sup>39</sup>.

ვ. ი. ლენინის სტატიაში „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?“ მთელი მსჯელობა ხალხოსნების მცდარი თეორიის წინააღმდეგაა მიმართული. ეს თეორია იმდენად შემთავრებელი გახდა მუშათა მოძრაობისათვის 90-იან წლებში, რომ ლენინმა განმანათლებლების მოძღვრება გარკვეული თვალსაზრისით ხალხოსნობაზე მაღლა დააყენა და მარქსისტული პარტია ჩერნიშევსკის განმანათლებლური იდეების მემკვიდრედ გამოაცხადა. მაგრამ ლენინი ჩერნიშევსკის არ თვლიდა მარტო „გლეხური დემოკრატიის“ მამამთავრად. ლენინი ჩერნიშევსკის „პროგრესული ბურჟუაზიული იდეოლოგიის“ წარმომადგენელსაც უწოდებდა<sup>40</sup>. აქედან ცხადია, რომ ილია ჭავჭავაძე, რომელიც მთლიანად იზიარებდა რუს განმანათლებელთა შეხედულებებს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ, გამდიდრებული იყო როგორც რევოლუციურ-დემოკრატიული, ისე პროგრესული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეალებით.

თავისთავადაც ნათლად ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე აღიარებდა რა „სამიწადმოქმედო კაპიტალიზმს“, სოფლად ახალი მანქანა-იარაღების შეტანას, საბანკო-საფინანსო კაპიტალის გზით ცხოვრების განვითარებას, წინ წასწია და დროის შესაფერისად გააშინაარსიანა რევოლუციურ-დემოკრატიული მოძღვრება. ამიტომ ვამბობთ, რომ ილია რუსეთის იმპერიაში მარქსიზმის დამკვიდრებამდე არსებული ყველა პროგრესული სოციალ-პოლიტიკური მოძღვრების არა მარტო მქადაგებელია, არამედ ქართველი ერის ცხოვრებაში მათი გატარებისათვის დიდი მებრძოლიც. „აჩრდილის“ ავტორმა თავისი ტიტანური ენერჯით, მთელი ნახევარსაუკუნოვანი შეუპოვარი ბრძოლით, შემოაბრუნა ერი „ახალი ვარსკვლავისაკენ“. ამიტომ გახდა იგი მეცხრამეტე საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი საქართველოში.

ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის შეფასებისას, პირველ რიგში თვითონ დიდი ილიას სიტყვები უნდა გავითვალისწინოთ: საჭირო არ არის, რომ ყველაფერში სხვას შევედაროთ, ჩვენი დავიწუნოთ და სხვისი მაგალითი მოვიწონოთ. დაფიქრდეთ „იქნება ჩვენშიც იყოს

<sup>39</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 484.

<sup>40</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 625; ტ. 34, გვ. 9—16.

ერთი რამ კარგი, სხვისი სიტყვით ყველაფერს რატომ ასე ხელაღებით ვიწუნებთ!“ ხალხების ისტორიული წინსვლა, აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე, ხშირ შემთხვევაში ერთნაირი ობიექტური პირობების გავლენით ვითარდება, ამიტომ გამორიცხული არ არის მათი ცხოვრებისეულ გამოვლინებათა საერთო ხაზებში მსგავსება, ისტორიულ გამოცდილებათა დამთხვევა. მაგრამ თვითოეულ ერს მაინც აქვს თავისი სპეციფიკური ნიშანთვისება, რაც სხვას არ გააჩნია. ილია ჭავჭავაძე, თავისი დროის მოწინავე იდეებით აღჭურვილი, თვითონ ქმნიდა ხალხისთვის საჭირო ეროვნული და სოციალური თავისუფლებისა ეროვნული თვითგამორჩევის „თეორიას“. ამიტომ არ გამოდგება ილიას მემკვიდრეობის წინასწარ მომზადებულ ჩარჩოში მოთავსება. ილია ჭავჭავაძემ შეითვისა, განავითარა და ერის სამსახურში ჩააყენა ყველაფერი მოწინავე, რაც ხალხის რევოლუციურ აღზევებას ენიადგებოდა. ამიტომ იყო, რომ 1905 წლის რევოლუციაში ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და მათმა თაობამ თავიანთი ეროვნული და სოციალური იდეალების განხორციელების შესაძლებლობანი ამოიკითხეს.

„ღღევანდელ მოძრაობას, აღნიშნავდა ილ. ჭავჭავაძე, თავი იჭირუნდა უბრუნოს კაცმა, საითკენაც ჯერ არს და არა იქით, რომ ერთნაშნეთს მივესიოთ და ციხესიმაგრე ჩვენი ჩვენვე შიგნიდან გავტეხოთ... ეს ღღევანდელი ამბავი დიდმიზეზიანი საგანია, დიდად გასაფრთხილებელი... ძნელია კაცმა თავი დაიჭიროს და ამ ამბებს გვერდი აუაროს“<sup>41</sup>.

ხალხთა რევოლუციური გამოსვლების მიზეზად, ილია ჭავჭავაძე, ეკონომიურ სიციხრევსა და პოლიტიკურ უუფლებობას ასახელებდა. სწორად განსაზღვრავდა გლეხობის პოტენციურ შესაძლებლობას, რომ „გლეხკაცის მოძრაობას ვერც ძალა და ვერც ადგილობრივი შემამულეების ყოველნაირი დათმობა ვერ შეაჩერებდა თუ მთავრობა კოლონიურ რეჟიმს არ შეეცვლიდა. 69 წლის ილია, მთელი სერიოზულობით აღიქვამდა რევოლუციის მიმდინარეობას. დიდ მნიშვნელობას აძლევდა „ამ ძნელ დღეებში“ თქმულ თვითოეულ სიტყვას, რომ თვითეული ამ დღეების მონაწილე უნდა ვანკითხულ იყოს და პასუხისმგებელი ქვეყნის წინაშე, თავის სიტყვის და საქმისამებრ“. ცხადია, ილია ძნელად ერკვევა ამ რევოლუ-

<sup>41</sup> „ივერია“, 1905, № 21.



ციის რთულ ხასიათში, მის საბოლოო მიზნებში, მაგრამ იგი მაინც არ წყვეტს კავშირს რევოლუციასთან. პირიქით, რევოლუციის სტიქიონი მას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიმართულებით სურს წარმართოს. ამაშია ილიას რევოლუციასთან დამაკავშირებელი სუსტი და ძლიერი მხარეები. ამიტომ, ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა ამ რევოლუციის წინამორბედა, ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ პროგრესული ძალების მეთაური და მოკავშირეა.

„ლია ჭავჭავაძემ შეისისხლხორცა და შეინიეთა ქართველი ხალხის ბედ-იღბლის ყველა ცხოვრებისეული ასპექტი. მისმა ტიტანურმა ენერჯიამ შესძლო თავისი მხრებით აეწია ერის ტვირთი, სიკვდილამდე ყოფილიყო ქართველი ხალხის თავკაცი, მისი ნათელი მომავლის წინამორბედი.“



## შალვა გოჯალიშვილი

### ივანე გომართელის ლიტერატურული მოღვაწეობა ბაზეთ „კვალში“

„კვალის“ დაარსებიდანვე (1893 წ.) ამ ორგანოს კრიტიკის განყოფილების ხელმძღვანელად მიწვეული იყო ხომლედი (რომანოზ ფანცხავე), რომელიც ენერგიულად უძღვებოდა მუშაობას 1898 წლამდე.

ამ დროის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდა ხომლედის ნიჟიერად დაწერილი, მეტად საინტერესო პუბლიცისტურ-კრიტიკული სტატიები. მისი მოღვაწეობის შედეგად „კვალის“ კრიტიკის განყოფილება, რომელიც გარკვეული მიმართულებით ვითარდებოდა, დიდად ნაყოფიერი იყო და ყოველთვის ცხოველმყოფელ ინტერესს იწვევდა მკითხველთა მასებში.

1898 წლიდან, როცა აკაკიმ თავისი თვითური „ქრებული“ დააარსა და ხომლედი მიიწვია კრიტიკის განყოფილების ხელმძღვანელად, იმ დროიდან „კვალის“ კრიტიკის განყოფილებას განაგებდა ჯერ ისევ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ივ. გომართელი. ამის შესახებ თვით ხომლედი წერდა: „1898 წლიდან უურნალ „კვალში“ ჩემი ადგილი დაიჭირა ახალგაზრდა კრიტიკოსმა ივ. გომართელმა, რომელიც უურნალის მოსპობამდე ნიჟიერად უძღვებოდა კრიტიკის განყოფილებას“<sup>1</sup>.

ქართული ლიტერატურათმცოდნეობის დარგში „კვალის“ ნაყოფიერ თანამშრომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მწერალი და კრიტიკოსი ივ. გომართელი.

უურნალ „ჭეჭილისა“ და „კვალის“ მოამბავე გამომცემელ-რედა-

<sup>1</sup> ხომლედი, რჩეული ნაწერები, ქართული ლიტერატურა (ზოგადი მიმოხილვა), 1963, გვ. 442.

ქტორის — ან. თუმანიშვილ-წერეთლის ხელშეწყობით, ივ. გომართელი მოსკოვში სწავლის დროიდან იწყებს თანამშრომლობას ჯერ უკრნალ „ჯეჯილში“ (1896 წ.), ხოლო შემდეგ „კვალში“ (1898 წ.).

ივ. გომართელმა პირველად 1896 წლიდან დაიწყო ლიტერატურული თანამშრომლობა საბავშვო უკრნალ „ჯეჯილში“. თავიდანვე იგი ბევრს წერდა, თარგმნიდა და აქვეყნებდა ბავშვებისათვის საინტერესო მოთხრობებს, ლექსებს, მეცნიერულ-პოპულარულ წერილებს და ხალისით ავსებდა ნორჩ მკითხველთა გულებს.

ივ. გომართელი, როგორც საბავშვო მწერალი, ცალკე თემაა და თავის შემუშავებულს მოელის. აქ ჩვენი მიზანია გამოვყოთ მხოლოდ ივ. გომართელის ლიტერატურული მოღვაწეობა „კვალში“, რითაც მან თავი გამოიჩინა, როგორც მარქსისტული მსოფლმხედველობით შეიარაღებულმა, რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის ღირსეულმა წარმომადგენელმა.

„კვალში“ გამოქვეყნებული ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებით ნათლად მოჩანს, რომ ივ. გომართელი, თავის უახლოეს იდეურ მეგობარ ალ. წულუკიძესთან ერთად, მხატვრული ლიტერატურის მარქსისტული კრიტიკის ერთ-ერთ წინამორბედად, დამწყობად უნდა ჩაითვალოს ქართული მწერლობის განვითარების ისტორიაში.

ივ. გომართელმა დაგვიტოვა მეტად გულთბილი, მეგობრული გრძნობითა და სიყვარულით აღსავსე მოგონება ალ. წულუკიძეზე<sup>2</sup>. ამ „მოგონებიდან“ ნათლად ჩანს, თუ რა ახლო მეგობრული და იდეური ურთიერთობა აკავშირებდა ალ. წულუკიძეს და ივ. გომართელს.

აქ უნდა გავიხსენოთ ამ მოგონების ის ადგილი, სადაც პირველად ივ. გომართელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალ. წულუკიძის „მხატვრული კრიტიკა დაფუძნებული იყო მარქსისტულ მსოფლმხედველობაზე“ და რომ ამან მასზე „პირადად დიდი შთაბეჭდილება დასტოვა“.

„მისი ზეგავლენით, — გადმოგვცემს ივ. გომართელი, — მე დავწერე პირველი კრიტიკული წერილი მამია გურიელის პოეზიის

<sup>2</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ფონდი № 12798, ანაწერი 2, საქმე № 273. ეს „მოგონება“ სრულად იხ. ივ ა ნ ე გ ო მ ა რ თ ე ლ ი, რჩეული თხზულებანი, ტომი II, 1966, გვ. 404—408.

შესახებო“. სინამდვილეში ეს ასეც იყო. ალ. წულუკიძის — „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ და ივ. გომართელის — „თხზულებანი მამია გურიელისა“<sup>3</sup> თითქმის ერთდროულად დაიბეჭდა 1898 წლის „კვალის“ სხვადასხვა ნომრებში, ერთმანეთზე მიყოლებით.

ამ ორი ნათელი პიროვნების ურთიერთობის შესახებ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აღნიშნული „მოგონების“ ის ადგილიც, სადაც ივ. გომართელი წერს: „1902 წელს მთელი ზაფხული და შემოდგომა ვმუშაობდი ყოველდღიურად „კვალის“ რედაქციაში ფ. მახარაძესთან, ნიკო ელიაშვილთან, ირ. ევდოშვილთან.

რედაქციის დავალებით აგვისტოში ჩვეელი ბათუმს, აქაურ ამხანაგებთან მოსალაპარაკებლად სარედაქციო საქმეებსა და საკითხებზე. ჩამოვხტი საშასთან. იქვე გავმართეთ რამდენჯერმე ამხანაგური კრება“.

„კვალის“ კრიტიკის განყოფილებაში ლიტერატურული თანამშრომლობის დაწყებისას, ივ. გომართელი ალ. წულუკიძის გავლენით წერს და აქვეყნებს თავის პირველ კრიტიკულ ნაშრომს — „თხზულებანი მამია გურიელისა“. გამოქვეყნებამდე ავტორმა ეს ნაშრომი წაიკითხა პროფესორ ალ. ხახანაშვილის ხელმძღვანელობით მოსკოვის „ქართველ სტუდენტთა სათვისტომოში“. როგორც ჩანს, ამ ნაშრომს წაკითხვისას მსმენელთა შორის აზრთა სხვადასხვაობა და დავა გამოუწვევია. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ივ. გომართელის 1898 წლის 9 თებერვლის წერილი „კვალის“ რედაქტორ-გამომცემელ ან. თუმანიშვილ-წერეთლისადმი:

„გიგზავნი მამიას გარჩევას „კვალში“ დასაბეჭდად. — წერდა ივ. გომართელი. — თუ არ დაბეჭდოთ, გთხოვთ, ნუ დამიკარგავთ... წარმოიდგინეთ, ჩვენი ცხოვრების შესახებ მე პესიმისტი ვიყავი, ახლა კი ამ რეფერატის წერამ გამოაპტიმისტა და ახლა ველარაფერი ამოშლის ჩემში იმ რწმენას, რომ ჩვენ კი არ ვკვდებით, ვცოცხლდებით. ბევრი მოწინააღმდეგე აღმომიჩნდა. მამია რომ სუსტი მწერალია, ამაში თითქმის ყველა დამეთანხმა, დანარჩენში კი ბევრი სულ სხვა აზრისა იყო: ე. ი. აწმყო სიკვდილს გვიჭადის და თვით მეთვრამეტე საუკუნის გასულსაც ჩვენი ცხოვრება უკეთესი იყო,

<sup>3</sup> „კვალი“, 1898, №№ 44—45, 48.

<sup>4</sup> იქვე, 1898, №№ 31—37.

წინსმსვლელობისა და ეროვნების გადარჩენის მხრივ, ვიდრე დღეს-სო. მეც ასე ვფიქრობდი აქამდის, მაგრამ აწი კი აღარა“...<sup>5</sup>.

ივ. გომართელს, რომელსაც არ სურდა უმთავრეს საგნად მხოლოდ ექიმობა გაეხადა, პირველ რიგში, თავის მოწოდებად სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობა მიაჩნდა. მისი პირველი ლიტერატურულ-კრიტიკული ნაშრომია „თხზულებანი მამია გურიელისა“, რომელიც 1898 წლის „კვალის“ შვიდ ნომერში დაიბეჭდა<sup>6</sup>.

ივ. გომართელმა საკმაოდ დაწვრილებით გაარჩია მამია გურიელის შემოქმედება და მეტი დამაჯერებლობით აღნიშნა ღირებუნაკლოვანებანი. კრიტიკოსმა ეპოქის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური პირობების დახასიათებასთან ერთად, მთლიანობაში განიხილა ის საზოგადოებრივი გარემო, წრე, რომელშიც აღიზარდა პოეტი და დაკავშირებული იყო მთელი თავისი ცხოვრებით.

„მამიას ორიგინალურ ნაწარმოებში უმეტესი ნაწილი წერილ ლექსებს უჭირავს, — წერს ივ. გომართელი. — ერთ ნაწილს პოეტი მიუძღვნის ნაცნობებს და ნათესავეებს, მეორე ნაწილი სხვადასხვა საგანზე არის დაწერილი. გარდა რამდენიმე ლექსისა, მათი წაკითხვით თქვენს სულს და გულს არაფერი ეძლევა, რადგანაც უმეტესის დედააზრი სუსტია, უმნიშვნელო“.

კრიტიკოსს პოეტის ლექსებში, როგორც გარეგანი ფორმით, ისე შინაარსით, საუკეთესოდ მიაჩნია „ადამიანი“.

ამ ლექსში ნათლად არის გამოხატული მამიას ზნეობრივი შეხედულება ადამიანის დანიშნულებაზე; ამგვარი აზრი და ასე მკაფიოდ მას არც ერთ თავის ლექსში არ გამოუთქვამს, — აკეთებს დასკვნას ივ. გომართელი.

აზრის სიცხადისათვის მას მოაქვს მ. გურიელის შემდეგი სტროფი:

ცხოვრების მიზნად სიბართლე გიჩნდეს  
და სიყვარული მოძეთა ვალად:  
საშობლო შენი მარად გახსოვდეს,  
თუ კი გსურს გახლე ადამიანად.

მართლაც, არ შეიძლება არ დაეთანხმოთ კრიტიკოსის ასეთ

<sup>5</sup> ვ. წოწუღია, ივანე გომართელი, ცხოვრება და მოღვაწეობა, იხ. რჩეული თხზულებანი, ტომი II, გვ. 417.

<sup>6</sup> „კვალი“, 1898, №№ 31—37.

შეფასებას პოეტის ამ ლექსის შესახებ, რომელმაც ქართველი მკითხველის საერთო აღიარება და სიყვარული დაიმსახურა.

პოეტის პატრიოტულ მოტივზე დაწერილი ლექსებიდან მხოლოდ ორიოდ — „კარჩხალის მთები“ და „ალავერდი“ აღიარა ივ. გომართელმა ისეთ ლექსებად, რომლებიც „წრფელის გულიდან არის აღმონაკვეთი, მძლავრი და ამიტომ გაცილებით მაღლა დგანან, ვიდრე სხვა ლექსები: აქ არის მართლა პოეზია, მხოლოდ აქ არის მამია პოეტი, მამიას მთელი არსება სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალულია“.

პოემების („პოეტი და ჩვენება“, „რაშიდ ვარდან-ოღლი“) განხილვისას ივ. გომართელი ასკვნის, რომ მ. გურიელს „დიდი პოემის შექმნის ნიჭი არა აქვს“, რომ მისი „პოეტური ფანტაზია სუსტია“ და ამიტომაც „პოემები ძალიან სუსტი და უფერული არიან“<sup>7</sup>.

ამთავრებს რა საერთო მიმოხილვას, ივ. გომართელი იძლევა მ. გურიელის შემოქმედების შეფასებას და გამოაქვს სრულიად მიუდგომელი დასკვნა: „მამია არ იყო ისეთი დიდი ნიჭის პატრონი, რომ სასოგადოებისათვის წასაბაძი იდეალები დაეხატა, ჩვენი დაქსაქსული ცხოვრებისათვის გზა ეჩვენებინა; არც ძლიერი დაკვირვებითი ნიჭი ჰქონდა, რომ ჩვენი ცხოვრების ყოველგვარი მოვლენა აღენიშნა, აეწონ-დაეწონა და თავისი მსჯავრი დაედვა. მას შეეძლო მხოლოდ მოკლე ლექსების წერა და ამ ლექსებში რამდენიმე, როგორც შინაარსით, ისე გარეგანი ფორმითაც, იმდენად მშვენიერია, რომ მიმზიდველ სილამაზეს დიდხანს არ დაჰკარგავს. ამ ლექსების მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ მამია ბუნებამ პოეტად დაბადა, მაგრამ დაბალი პოეტური ნიჭი, სუსტი ფანტაზია და ხელოვნება დაატანა. მამიას პოეზიას მნიშვნელობა აქვს კიდევ აი, რა მხრით: თემები მამიას პოეზიისა მართლ მამიასი კი არ არის, არამედ მთელი ჩვენი მეორმოცე წლების არისტოკრატიისაც. თავისი თავის გაცნობით პოეტი გვაცნობს ამ არისტოკრატიასაც, მის რწმენას, შეხედულებას, სურვილს და მცირეოდნად ცხოვრებას. ვისაც უნდა შეისწავლოს ჩვენი მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი, ჩვენი არისტოკრატია, გონებრივი და ზნეობრივი წინმსვლელობა ჩვენში, მამიას პოეზია მას ძალიან კარგ სამსახურს გაუწევს“<sup>8</sup>.

<sup>7</sup> ი ვ ა ნ ე გ ო მ ა რ თ ე ლ ი, რჩეული თხზულებანი, ტომი I, 1966, გვ. 30—37.

<sup>8</sup> ი ქ ვ ე, გვ. 45.

ამ პირველი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილის შემდეგ ივ. გომართელი სულ მალე „კვალში“ აქვეყნებს „კრიტიკულ შენიშვნებს“<sup>9</sup> ანტ. ფურცელაძის პოემა „ცისკარას“ და ილია ალხაზიშვილის „ბუნება და ცხოვრებას“<sup>10</sup> შესახებ. 1899 წელს დაიბეჭდა: „ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურა 1898 წ.“<sup>11</sup>, „შარშანდელა ჯეჯილის“ კრიტიკოსი<sup>12</sup>. — ლუარსაბ ბოცვაძის წერილის გამო, „კრიტიკული შენიშვნები“<sup>13</sup> (ვაჟა-ფშაველას „ამოდის, ნათდება“ და სხვ. მოთხრობები), „ხალხის გულის მესაიდუმლე“ (თხზულებანა ეგ. ნინოშვილისა)<sup>14</sup>, „პასუხის პასუხი“<sup>15</sup> — ლუარსაბ ბოცვაძის ბავშვთა აღზრდის შესახებ, „ბ-ნ ხომლელის შენიშვნა“<sup>16</sup> — ლიტერატურული კრიტიკისა და პლაგიატობის შესახებ.

ევ. ნინოშვილის შემოქმედებით, როგორც ჩანს, ივ. გომართელი ადრევე ყოფილა დაინტერესებული და უნდოდა მისი კრიტიკული განხილვა, მაგრამ საამისოდ მასალები არა ჰქონია და ვერ განუხორციელებია. ამის გამო 1899 წლის 6 აპრილს ივ. გომართელი მოსკოვიდან ან. თემანიშვილ-წერეთელს სწერდა: „დიდი ხანია ნინოშვილის გარჩევა მინდა, მაგრამ ჭერჭერობით თავი დავანებე, რადგანაც ბიოგრაფიას ველი „კვალში“ რომ გამოაცხადეთ<sup>17</sup>. მწერლის ნაწარმოების ასახსნელად კარგი ბიოგრაფია მეტად საჭიროა. ვინც ნინოშვილის ბიოგრაფიას წერს, ძალიან კარგი იქნება, რომ მემკვიდრეობას განსაკუთრებით ყურადღებას მიაქცევდეს, ე. ი. დედნამის ზნე-ხასიათს, თუ შესაძლებელია ბაბუა-ბებიასაც და ძმებსაც, თუ ყავდა. ეს ფრიად საჭიროა, რადგანაც მემკვიდრეობა მწერლის მოღვაწეობაში ბევრ რამეს ხსნის, ბიოგრაფიაში უნდა იყოს დახასიათებული ნინოშვილი როგორც ადამიანი. გიორგის (წერეთლის) ბიოგრაფია კი მოკლეა. თუ დიდხანს არ დაიგვიანებს თქვენი ბიოგ-

<sup>9</sup> „კვალი“, 1898, №№ 41, 43.

<sup>10</sup> იქვე, 1898, №№ 51, 52.

<sup>11</sup> იქვე, 1899, №№ 1, 2, 5, 6, 7.

<sup>12</sup> იქვე, 1899, №№ 14, 16, 17.

<sup>13</sup> იქვე, 1899, № 28.

<sup>14</sup> იქვე, 1899, №№ 29, 30, 32, 33, 36, 37—42, 44, 45, 47—50.

<sup>15</sup> იქვე, 1899, №№ 34, 35.

<sup>16</sup> იქვე, 1899, № 52.

<sup>17</sup> ივ. გომართელს მხედველობაში აქვს რედაქციის შენიშვნა. ე. ნინოშვილის თხზულებების გამოცემის გამო. იხ. „კვალი“, 1899, № 45, გვ. 780.

რაფია, ხომ კარგი, თუ არა და, გიორგის ბიოგრაფიით უნდა დავეკმა-  
ყოფილდე. ამ შემთხვევაში გთხოვთ, დროებით გამომიგზავნოთ ნი-  
ნოშვილის დაუმთავრებელი მოთხრობა, და თუ რამე აქვს დაუბეჭ-  
დელი პუბლიცისტური შინაარსის, ისიც. წავიკითხავ და გამოგიგ-  
ზავნით...“<sup>18</sup>

გარკვეული დიდი მუშაობის ჩატარების შემდეგ ივ. გომართელ-  
მა დაწერა ეგ. ნინოშვილის შესახებ პირველი ვრცელი სერიოზული  
ლიტერატურულ-კრიტიკული ნაშრომი, რომელიც, წერილებად,  
მთლიანად გამოქვეყნდა „კვალის“ ჩვიდმეტ ნომერში.

ივ. გომართელის ეს ნაშრომი შემდეგ დაიბეჭდა ს. თავართქი-  
ლაძისეულ 1904 წლის ეგ. ნინოშვილის თხზულებათა ერთტომე-  
ულის და 1920 წლის ორტომეულის გამოცემაში.

ვრცელი კრიტიკული მიმოხილვისა და გარჩევის შემდეგ,  
ეგ. ნინოშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ივ. გო-  
მართელი აკეთებს დასკვნას, რომელიც ძირითადად ქართულმა  
ლიტერატურულმა კრიტიკამ გაიზიარა და დღემდე შეინარჩუნა თა-  
ვისი ძალა და დადებითი მნიშვნელობა.

„ნინოშვილმა თავის მთავარ მიზნად უსამართლობასთან ბრძო-  
ლა გაიხადა, — წერს ივ. გომართელი. — დაჩაგრულნი და გაჭირვე-  
ბულნი უზომოდ შეიყვარა და მათი მოსარჩლე შეიქნა. მეტის მეტად  
მორიდებული და თავაზიანი კერძო ცხოვრებაში, მთელი მისი ხან-  
მოკლე სიცოცხლე ბრძოლა იყო გაჭირვებასთან და უსამართლობას-  
თან. უმთავრესი მის მოთხრობებში უსამართლობასთან ბრძოლათა  
გატარებული. ყველა უბედური და დაჩაგრული მას უყვარდა და  
ებრალებოდა“<sup>19</sup>.

ივ. გომართელმა მთელი თავისი სიყვარული ჩააქსოვა ეგ. ნინო-  
შვილის ნათელი პიროვნებისა და მისი შემოქმედების სისრულით  
ასახვასა და წარმოდგენას, რომ ამით შესაძლებელი გამხდარიყო,  
ახალი დროის მესიტყვე, მისი ჭეშმარიტი მხატვარი-მწერალი უფ-  
რო მახლობელი გამხდარიყო და უფრო ახლო მიეტანა იგი ქართ-  
ველი მკითხველის გულთან.

„პატიოსნების და სიმართლისმოყვარეობას უნდა მიეწეროს ის  
გარემოება, რომ ნინოშვილი ცხოვრების უტყუერად ხატვას ძალიან

<sup>18</sup> ე. წო წ ე ლ ი ა, ივანე გომართელი, რჩეული თხზ., ტ. II, გვ. 419—420

<sup>19</sup> ი ვ ა ნ ე გ ო მ ა რ თ ე ლ ი, რჩეული თხზულებანი, ტომი I, 1966, გვ. 126.



მალა აყენებს, — აკეთებს დასკვნას ივ. გომართელი. — რა ძლიერადაც უნდა უმღვრევედეს მას გულს სინამდვილე, მის გალამაზებას არასოდეს არ ცდილობს. მას უყვარს, ებრალება გლეხი, ებრძვის უსამართლობას და სიბნელეს, რომელიც გლეხს სულს უხუთავს, მაგრამ სინამდვილეს მაინც არ ღალატობს, არავითარ ცუდ თვისებას არ გვიმალავს ის თავის საყვარელ გლეხში“<sup>20</sup>.

მშობლიური ლიტერატურის თავდადებული მოსიყვარულე კრიტიკოსისათვის სრულიად ნათელია, რომ „მუდამ ღარიბთა და გაჭირვებულთა შორის ცხოვრების ბრალია, თუ ნინოშვილი თავის მოთხრობებში სულ უბედურთა და დაჩაგრულთა გარშემო ტრიალებს და მათი გულის მესაიდუმლოა“<sup>21</sup>. და ამიტომაც მწერლის ქეშმარიტი გზიდან ნინოშვილს „არ გადაუხვევია თავის მოკლე, მაგრამ ნაყოფიერი მოღვაწეობის დროს და არც გადაუხვევდა, რამდენი ხანიც უნდა ეცოცხლა“<sup>22</sup>.

მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1900 წლის დასაწყისში ივ. გომართელი უკვე სამშობლოშია და უფრო ნაყოფიერად, ახალი ძალითა და ენერგიით შეუდგა ლიტერატურულ-კრიტიკულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

1900 წლის „კვალის“ ფურცლებზე ივ. გომართელმა გამოაქვეყნა მთელი სერია წერილებისა: „ახალი გზა“ (დ. კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“) <sup>23</sup>, „ორმოცდაათი წელი ქართული თეატრისა“ <sup>24</sup>, „გიორგი წერეთელი როგორც ბელეტრისტი“ <sup>25</sup>, „ჩვენი სიტყვაკაზმული ლიტერატურა 1899 წელს“ <sup>26</sup>, „ჯავახეთი და ჯავახელნი“ <sup>27</sup>, „ხელოვნება და მისი მიზანი“ <sup>28</sup>.

ივ. გომართელი წერილში — „ახალი გზა“, „ქამუშაძის გაჭირვების“ კრიტიკულად განხილვისას, დ. კლდიაშვილის შესახებ შესა-

<sup>20</sup> იქვე, გვ. 127.

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> „კვალი“, 1900, №№ 29, 30, 32.

<sup>24</sup> იქვე, 1900, №№ 1, 2.

<sup>25</sup> იქვე, 1900, № 3.

<sup>26</sup> იქვე, 1900, №№ 5, 7, 9.

<sup>27</sup> იქვე, 1900, №№ 21, 22, 25, 27, 28.

<sup>28</sup> იქვე, 1900, №№ 33, 34, 36, 38, 39, 42, 43.

ვალში წერს: „გამოვიდა თუ არა სამწერლო ასპარეზზე, მან მაშინვე დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება, და მას აქეთ მისი ყოველი ნაწარმოები შუქს ჰფენს ჩვენს ცხოვრებას, მკითხველს ყოველთვის რასმე ახალს აწვდის ამ ცხოვრებიდან. ჩვენს ცხოვრებას ის სრულიად ობიექტურად უყურებს, ხატავს მას მიუღვამლად, ისე, როგორც თვით ცხოვრებაა, ის შავი და მწარე ფიქრები, რომლებსაც მასში ამ ცხოვრების ზოგიერთი მხარე იწვევს, სრულებით არ ამახინჯებენ მის სინამდვილეს, არამედ სარჩულად ედებიან იმ ნაზ და სევდიან იუმორს, რომელიც ასე ამშვენებს მის ყოველ ნაწარმოებს. შეუმცდარად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს ჩვენს მწერლობაში არც ერთი ბელეტრისტი არ აძლევს საზოგადოებას ისეთ უტყუარსა და დამახასიათებელ სურათს ჩვენი ცხოვრებისას, როგორსაც დავით კლდიაშვილი“<sup>29</sup>.

ივ. გომართელი ერთ-ერთი პირველი კრიტიკოსია, რომელმაც თავიდანვე ღირსეული შეფასება მისცა 90-იანი წლების ქართული ლიტერატურის ახალგაზრდა თაობის საუკეთესო წარმომადგენელს დ. კლდიაშვილს და მის შემოქმედებას.

დ. კლდიაშვილი თავის კრიტიკოსთა შორის, რომელთაც არ დაიშურეს „სიყვარულიანი, თბილი, ენერჯის გამაღვიძებელი სიტყვა“, პირველ რიგში ივ. გომართელსაც ასახელებს.

„ბედი მწყალობდა... — გადმოგვცემს დ. კლდიაშვილი. — კიტა აბაშიძე, ივ. გომართელი, ილ. ნაკაშიძე, ხომლედი („აკაკის კრებულში“), საშა წულუკიძე („ნოვოე ობოზრენიე“-ში), თავიანთ თანაგრძნობით პირდაპირ მაქვზებდნენ და მიწვევდნენ სამუშაოდ“<sup>30</sup>.

სამშობლოს ბედის თანაზიარი და გულშემატკივარი ივ. გომართელი, ჭავახეთში ექიმად მუშაობისას, ერთ-ერთი მაშინდელი მივარდნილი და ჩამორჩენილი კუთხის შესახებ 1900 წლის „კვალში“ აქვეყნებს წერილს — „ჭავახეთი და ჭავახელი“.

ამ წერილში, რომელიც ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, ავტორი დიდი გულისტკივილით წერდა: „...ჩვენს პატარა საქართველოში ბევრია მივარდნილი, ყრუ კუთხე, მაგრამ ასეთი მივარდნილი ალაგი, როგორც ჭავახეთი, არა თუ სა-

<sup>29</sup> ივ ა ნ ე გ ო მ ა რ თ ე ლ ი, რჩული თხზულებანი, ტომი II, გვ. 5.

<sup>30</sup> დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, ჩემი ცხოვრების გზაზე, წიგნში — მოთხრობები და პიესები, 1947, გვ. 294.

ქართელოში, ბევრგან არსად მოიპოვება... როდესაც უცხო კუთხის ადამიანი პირველად შემოდის ჯავახეთში, ჯერ რაღაც გამოურკვეველი გრძნობა იპყრობს; თბილისიდან ჯავახეთში მეორე დღეს მიხვალთ და ასე კი გგონიათ, თითქოს რამდენსამე წელიწადს გემგზავროთ და რაღაც უცნობ მხარეში მისულიყოთ. გამოურკვეველი გრძნობა თანდათან სევდად იზრდება, ლოდივით დაგაწვებათ გულზე და მზად ხართ იტიროთ, რომ ცრემლებით მაინც დაიმშვიდოთ გული... ის გრძნობა, რომ თქვენ სხვა პლანეტაზე ცხოვრობთ და არა ძველ დედამიწაზე, განუშორებლად თან დაგდევთ, სანამ ჯავახეთს არ მოშორდებით... კუთხე მეტისმეტი მივარდნილია და ყრუ...“<sup>31</sup>

მიუხედავად პრაქტიკული საექიმო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით დატვირთვისა, ივ. გომართელს არც შემდეგ წელს შეუწყნებია ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობა. უფრო მეტი გატაცებით წერდა კრიტიკულ წერილებს და სისტემატიურად აქვეყნებდა. 1901 წლის „კვალში“ დაიბეჭდა: „1900 წლის სიტყვაჯამული მწერლობა“<sup>32</sup>, სადაც განიხილა ს. მგალობლიშვილის, მელანიას, დ. კლდიაშვილის, შ. არაგვისპირელის შემოქმედებითი საკითხები, ამ წლის „კვალსა“ და „ივერიაში“ დაბეჭდილი ბელეტრისტიკა და სხვ.; „რაფიელ ერისთავი, როგორც საერო პოეტი (ქართული საერო პოეზია, რ. ერისთავი)“<sup>33</sup>, „ქართული ლიტერატურა მე-XIX საუკუნეში“<sup>34</sup>, — კამათი კ. აბაშიძესთან ქართული ლიტერატურის წარსულისა და მომავლის შესახებ და სხვ.; „რუსული პოეზიის უმთავრესი მომენტები მე-XIX საუკუნეში“<sup>35</sup>; „ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება გუშინ და დღეს“<sup>36</sup>; „ზნეობრივი კითხვები“<sup>37</sup>.

აქ განსაკუთრებით საინტერესო და აღსანიშნავია კ. აბაშიძესთან ქართული ლიტერატურის წარსულის, აწმყო მდგომარეობისა და მომავლის შესახებ კამათი ივ. გომართელისა 1901 წელს „კვალის“ ფურცლებიდან.

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1901 წელს კ. აბაშიძემ, მსგავსად

<sup>31</sup> „კვალი“, 1900, №№ 21, 22, 25, 27, 28.

<sup>32</sup> „კვალი“, 1901, №№ 1, 2, 6.

<sup>33</sup> იქვე, 1901, №№ 9, 20, 21, 23, 29.

<sup>34</sup> იქვე, 1901, №№ 15—18.

<sup>35</sup> იქვე, 1901, №№ 30—35.

<sup>36</sup> იქვე, 1901, №№ 36, 37.

<sup>37</sup> იქვე, 1901, №№ 39—43.

„მოამბეში“ ადრე დაბეჭდილი წერილისა, გამოაქვეყნა წერილი — „ცხოვრება და ხელოვნება“<sup>38</sup>. ამ წერილშიც კ. აბაშიძემ გარკვევით აღნიშნა ქართული პოეზიისა და ბელეტრისტიკის შესახებ პესიმიზმ-ტური განწყობილება, რის გამოც არასწორი დასკვნა გამოიტანა, რომ თითქოს იმ დროის ლიტერატურა დაქვეითების გზაზეა, კვდება და მომავალში აღარ არის იმედი მისი განვითარებისაო.

ლიტერატურული ანკეტის საშუალებით, კ. აბაშიძემ ჩაატარა გამოკითხვა — „საქართველოს წარსულის საუკუნის ლიტერატურა, მისი მოსალოდნელი და სასურველი მომავლის“ შესახებ. დასმულ საკითხზე, აზრთა გაცვლა-გამოცვლის გზით, მწერლების: ი. ფანცხავას, შ. არაგვისპირელის, განდევგის, სოფ. მგალობლიშვილის და სხვათა მიერ მომავალზე გამოთქმულ ოპტიმისტურ მოსაზრებებს კ. აბაშიძე არ დაეთანხმა, უარყოფითად შეხედა და გააკეთა თავისი დასკვნა: „ცხოვრება ჩვენ არ გვიცდის და ჩვენ კი საპყარნი ვართ და მის მსვლელობას ვერ ავყვევით. პოლიტიკურად აღარ ვარსებობთ, ეკონომიურად სულს ვღაფავთ, ზნეობრივად და ფიზიკურად დავეკნინდით, ჩვენი ლიტერატურა კუს ნაბიჯით მიდის, მაშინ როდესაც გარეშე ერთა ლიტერატურა, რომელთანაც ჩვენ მჭიდროდა ვართ დაკავშირებული, გასაოცარის სისწრაფით მიდის და უსწრებს ჩვენს გონების ზრდას ჩვენი ენისა და ლიტერატურის ნიადაგზე... ჯოველივე ეს ჰბადებს ჩვენში მწარე უსასოებას“<sup>39</sup>.

კ. აბაშიძის ასეთი შეხედულება და წარმოდგენილი დასკვნა, ცხადია, როგორც საერთოდ „მესამე დასელებისათვის“ და, კერძოდ, მარქსისტული მსოფლმხედველობით მოაზროვნე კრიტიკოსის ივ. გომართელისათვის შეუწყნარებელი და მიუღებელია. ამის გამო „კვალის“ ფურცლებიდან აღნიშნულ წერილებში — „ქართული ლიტერატურა მე-XIX საუკუნეში“<sup>40</sup> ივ. გომართელი კ. აბაშიძის საპასუხოდ წერდა: „ჩვენი ლიტერატურის უმთავრეს ტონად წარსულ საუკუნეში ბ. აბაშიძე აღიარებს პესიმიზმს: თუმცა ამით ძალიან ცოტაა ნათქვამი, მაგრამ ჩვენ მაინც არას ვიტყვოდით, რომ ბ. აბაშიძეს კერძო მწერლები არ მოეყვანა თავისი აზრის დასამტკი-

<sup>38</sup> გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901, № 1429.

<sup>39</sup> გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901, № 1429.

<sup>40</sup> „კვალი“, 1901, №№ 15—18; ივ. გომართელი, რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 213—229.

ცებლად. ჩვენს დროში ვერ ნახავთ ისეთ მწერალს, რომელსაც ერთი კენესა მაინც არ აღმოხდენოდა გულიდან, მაგრამ ამის მიუხედავად, თუ ყველა პესიმისტად მოვნათლეთ, დიდი სიცრუე იქნება...“<sup>41</sup>

აქ ივ. გომართელი, საქართველოს მთელი XIX საუკუნის საზოგადოებრივი და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარებასთან ერთად, ლოგიკური თანამიმდევრობით იხილავს ლიტერატურული განვითარების მთლიან პროცესს, ახასიათებს და არკვევს მის განვლილ გზას და აყენებს საკითხს: — „რა საფუძველი აქვს მათ წუწუნს?“ და, სრულიად სამართლიანად, თვითონვე იძლევა პასუხს: „არავითარი. ეს ბატონები ისე სჯიან ლიტერატურაზე და მის სასურველ მომავალზე, თითქოს ლიტერატურა ცხოვრების პირმშო კი არ იყოს, არამედ ზევსის თავიდან იბადებოდეს მინერვასავით და ბ. კიტა აბაშიძის რეცეპტებით იზრდებოდეს. თავისთავად ცხადი უნდა იყოს თითქოს, შემდეგი ჭეშმარიტება: თუ წარსული საუკუნის განმავლობაში ჩვენი ცხოვრება ვითარდებოდა, ლიტერატურაც უნდა განვითარებულყო, თუ ჩვენი ცხოვრება ვითარდება, ჩვენი ლიტერატურაც განვითარდება მომავალში; მაგრამ წერილების ავტორებმა ამ ჭეშმარიტებას გზა აუხვიეს და ერთი გაიძახის: ვიღუპებით, რადგანაც უნიჭობმა მწერლობის ასპარეზი მიგვატოვებინესო, მეორე კი — რაღა დავგვიხსნის, როდესაც ყველა იმ ენით აღარ წერს, როგორითაც ჩვენი მამა-პაპანი წერდნენო და სხვა“<sup>42</sup>.

ივ. გომართელის რწმენით, „სამშობლო ლიტერატურა კიდევ რომ არ აკმაყოფილებდეს ადამიანს, მაინც მოვალეა, როგორც ადამიანი, შეისწავლოს ეს ლიტერატურა, შეისწავლოს თავისი ერის ცხოვრება და საჭიროებანი მისთვის, რომ თავის საზოგადოებას რაიმე მხრივ დახმარება აღმოუჩინოს. ხალხის კულტურულ სიმდიდრეზე დამოკიდებულია მისი ლიტერატურის სიმდიდრეც, ამიტომ ყოველმა ადამიანმა ხელი უნდა შეუწყოს თავისი ერის კულტურულ წინმსვლელობას, რაც თავის მხრივ, ლიტერატურის წინმსვლელობასაც გამოიწვევს. ამისათვის კი საჭიროა ერის ცხოვრების

<sup>41</sup> რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 213.

<sup>42</sup> იქვე, იგივე, 214—215.

ყოველმხრივი შესწავლა, თუნდა ეს ცხოვრება სრულებითაც არ აკმაყოფილებდეს ადამიანის გონებრივ მოთხოვნილებას<sup>43</sup>.

ეროვნული და სოციალური უთანასწორობით დაჩაგრული სამშობლოს უკეთესი მომავლის მოტრფიალე მწერალსა და კრიტიკოსს — ივანე გომართელს სრული შეგნებით სწამს და ნათლად ესახება ქართული ლიტერატურის აღორძინება-განვითარება მომავალში. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მოვლენების ანალიზის საფუძველზე ივ. გომართელს გამოაქვს სწორი დასკვნები, რის შედეგადაც იგი წერს: „მესამოცდაათე წლებში ჩვენი ცხოვრების ერთბაშმა პროგრესმა გამოიწვია ლიტერატურის აღფრთოვანება და გაფურჩქვნა. დღეს კი ცხოვრება სხვა გზას დაადგა და ამიტომ ლიტერატურაც სხვა მიმართულებას იღებს. ახალ გზაზე ერთბაშად მტკიცედ სიარული შეუძლებელია და ამიტომ ჩვენს დღევანდელ ლიტერატურასაც რაღაც გაუბედაობა ეტყობა; ცხოვრება ჯერ მტკიცე კალაპოტში არ ჩამდგარა, ამიტომ ლიტერატურასაც სიმტკიცე აკლია; დროებით ხალხის ყურადღებას უფრო მატერიალური ინტერესები იზიდავენ, რაც ხელს უშლის ლიტერატურის გაფურჩქვნას, მაგრამ ყოველივე ეს ისევ მომასწავებელია ჩვენი ლიტერატურის ევოლუციისა და არა სიკვდილისა“<sup>44</sup>.

კ. აბაშიძესთან კამათში ნათლად ჩანს, რომ ივ. გომართელს იმ დროის ლიტერატურული ცხოვრების ერთგვარი გაუბედაობა, შეფერხება თუ ჩამორჩენა მხოლოდ დროებით მოვლენად მიაჩნია. მას სწამს, რომ მომავალშიც ლიტერატურის წინსვლას, ზრდასა და განვითარებას, ხალხის საკეთილდღეოდ, ვერაფერი შეაფერხებს.

„ჩვენს დროში თავი იჩინა პოეზიის ახალმა სიომ — დადგა ახალი ხანა ჩვენი პოეზიისა“. — წერს ივ. გომართელი, საკითხს სვამს: — „რამ გამოიწვია ცვლილება ჩვენს პოეზიაში?“ — და თვითონვე გარკვევით იძლევა პასუხს, რომ ეს ცვლილება გამოიწვია „მხოლოდ ცხოვრების შეცვლამ“<sup>45</sup>.

„როგორი იქნება ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა მომავალში?“ — კითხულობს ივ. გომართელი და გადაჭრით გვეუბნება, რომ „ჩვენი ცხოვრება შეუჩერებლად ვითარდება და ეს გამოიწვევს ლი-

<sup>43</sup> იქვე, გვ. 217.

<sup>44</sup> იქვე, გვ. 220.

<sup>45</sup> იქვე, გვ. 226.

ტერატურის განვითარებასაც... ჩვენი ცხოვრების ნივთიერი პირობები იცვლება და ასეთი ცვლილებების ხატვა იმგვარი მწერლების საქმეა, როგორც არიან ბ-ნი კლდიაშვილი და ან. ერისთავისა. ცხოვრების ნივთიერი პირობების შეცვლას თან მოსდევს ადამიანის ფსიქოლოგიის, ანუ ცხოვრების სულიერი მხარის შეცვლაც და ასეთი ცვლილების ხატვა იმგვარი მწერლების საქმეა, როგორც არიან ბ-ნი არაგვისპირელი, დეკანოზიშვილი და ვედოშვილი... უკანასკნელ წლებში ჩვენს პოეზიას ახალი ხანა დაუდგა. ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობა წარსული საუკუნის განმავლობაში თანდათან გაფართოვდა ყოველი მხრით“<sup>46</sup>.

ივ. გომართელის ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობა „კვალში“ ნაყოფიერი აღმოჩნდა. ამ პერიოდში იგი, როგორც მარქსისტული მსოფლმხედველობით შეიარაღებული მოაზროვნე, დასრულდა და ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი გახდა.

ივ. გომართელი, როგორც თვითონ გადმოგვცემს, 1902 წლის მთელი ზაფხული და შემოდგომა „კვალის“ რედაქციაში ყოველდღიურად მუშაობდა და მთლიანად ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა. ამ წლის განმავლობაში „კვალის“ ფურცლებზე დაბეჭდა მეტად საინტერესო კრიტიკული წერილები: „სიტყვა-კაზმული მწერლობა 1901 წელს“<sup>47</sup>, სადაც განიხილა ვაჟა ფშაველას, დ. ნახუცრიშვილის, ან. ერისთავ-ხოშტარიას, ეკ. გაბაშვილის, ეგ. ნინოშვილის, ვ. ბარნოვის, შ. არაგვისპირელის და ნ. აზიანის ნაწარმოებები; „თავისუფლება ნებისა, თუ აუცილებლობა? ფსიხოლოგიური ეტიუდი“<sup>48</sup>; „დავ. კლდიაშვილის მოთხრობანი“<sup>49</sup>; „ილია ჭავჭავაძე და მისი პოეზია“<sup>50</sup>; „შილლერის პოეზიის ძირითადი თვისებანი“<sup>51</sup> და სხვ.

ჩვეულებრივი ბიბლიოგრაფიული ჩამოთვლითაც ნათლად ჩანს ის დიდი, მრავალმხრივ საინტერესო ლიტერატურულ-კრიტიკული

<sup>46</sup> იქვე, გვ. 228—229.

<sup>47</sup> „კვალი“, 1902, №№ 1—5.

<sup>48</sup> იქვე, 1902, №№ 15—19.

<sup>49</sup> იქვე, 1902, №№ 23, 24.

<sup>50</sup> იქვე, 1902, №№ 35, 36.

<sup>51</sup> იქვე, 1902, №№ 41—45, 47, 51, 52; 1903, № 1.

მემკვიდრეობა, რაც ივ. გომართელმა, თავისი მოღვაწეობის პერიოდში საერთოდ, და, კერძოდ, „კვალის“ ფურცლებზე დაგვიტოვა.

ჯერ ისევ ადრე ალ. ხახანაშვილმა მიაქცია ყურადღება ივ. გომართელს და მთელი თავი მიუძღვნა 1906 წელს რუსულად გამოცემულ ნაშრომში („ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევების“ მეოთხე ტომში). ალ. ხახანაშვილი ივ. გომართელის შესახებ წერს, რომ „იგი ერთ-ერთი უნაყოფიერესი ახალგაზრდა პუბლიცისტია, კრიტიკის სფეროში უტილიტარულ თვალსაზრისზე დგას და უარყოფს „წმინდა ხელოვნების“ მნიშვნელობას“<sup>52</sup>.

ივ. გომართელის ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური მოღვაწეობა „კვალში“ ცალკე, დამოუკიდებელი თემაა, მეტად საინტერესოა, მნიშვნელოვანი და სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. ამიტომ აქ, თავისთავად ცხადია, შეუძლებელი იყო დაწვრილებით, სისრულით წარმოგვედგინა.



<sup>52</sup> ალ. ხახანაშვილის დასაბუთებული წიგნი, იხ. ტომი 4, 1906, გვ. 445.



ნაზრომი ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტის შესახებ

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ირგვლივ რევოლუციამდელ ქართულ კრიტიკაში დიდძალი ლიტერატურა მოიპოვება<sup>1</sup>.

ილია ჭავჭავაძემ სამწერლო სარბიელზე გამოსვლისთანავე მიიპყრო მკითხველთა საერთო ყურადღება და უდიდესი ინტერესისი მოღვაწეობისადმი არც მომდევნო ხანებში შენელებულა; ილიას შემოქმედება, იმთავითვე, სალიტერატურო კრიტიკის ყურადღების ცენტრშიც აღმოჩნდა და სამუდამოდ იქცა ქართული კრიტიკული აზრის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მასაზრდოებელ წყაროდ.

ილია ჭავჭავაძის ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის მანძილზე მისი მრავალრიცხოვანი ნაწერებიდან არ ყოფილა არც ერთი, რომელიც მკითხველი საზოგადოებისა თუ კრიტიკის მიერ შეუმჩნეველი დარჩენილიყო და გარკვეული გამოხმაურება არ გამოეწვია, ხოლო არაერთი ილიას ნაწარმოებთაგან, ხშირად, აზრთა სხვაობისა და ცხარე პაექრობის საგანიც გამხდარა.

ასე იყო ილიას სიცოცხლეში, ასე გაგრძელდა მწერლის გარდაცვალების შემდგომაც: მძაფრმა პოლემიკამ ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის გარშემო ილიას მოწამებრივი სიკვდილის მერმეც დიდხანს გასტანა, და ამ პოლემიკასა და აზრთა ჭიდილში თანდათან სულ უფრო მკაფიოდ იკვეთებოდა ჭეშმარიტი თვალსაზრისი ბუმბერაზი მოაზროვნისა და მხატვრის მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქ-

<sup>1</sup> რევოლუციამდელ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების შესახებ არსებულ მასალათა დიდი ნაწილი თავმოყრილია და ორ ტომად არის გამოქვეყნებული პროფ. ი. ბოცვაძის მიერ. — იხ. „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“ (ი. ბოცვაძის რედაქციით, შესავალი წერილი და შენიშვნებით), ტ. I, 1957, ტ. II, 1958.

შედების ღირებულების შესახებ, — იმ დიდმნიშვნელოვანი მისიის შესახებ, რომელიც ილია ჭავჭავაძემ ქართველი ერის სულიერი და გონებრივი აღორძინებისა და განვითარების საქმეში შეასრულა.

რალა თქმა უნდა, გასულ საუკუნესა თუ ჩვენი საუკუნის პირველ ათწლეულში ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ირგვლივ შექმნილი კრიტიკული ლიტერატურიდან, შემეცნებითი ღირებულების მხრივ, ყველაფერი ვერ იქნებოდა თანაბარი მნიშვნელობის მქონე; ბუნებრივია, აგრეთვე, თუკი აღნიშნულ პერიოდში ილიას შემოქმედებასთან დაკავშირებით გამოთქმულ შეხედულებათაგან, ამჟამად — ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის კვლევის დღევანდელ ეტაპზე, — ბევრი რამ გულუბრყვილოდ ან მოძველებულად გვეჩვენოს, ბევრი კი — აშკარად მცდარად და სრულიად შეუწყნარებლადაც ჩვენი თვალსაზრისისათვის. მაგრამ ბუნებრივია ისიც, რომ წარსულის კრიტიკული აზრის ეს მონაპოვარი — მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა თუ ნაკლოვანებებისა, — უდიდესი ისტორიული ღირებულების მქონეა და უძვირფასეს მასალას წარმოადგენს როგორც საკუთრივ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლის ისტორიისათვის, ასევე, საერთოდ, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების მეცნიერული ისტორიის შესაქმნელადაც.

ამ მხრივ, ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ რევოლუციონამდელ საქართველოში არსებული კრიტიკული ლიტერატურიდან ძალზე საყურადღებოა არჩილ ჯორჯაძის ნაშრომი — „ძირითადი მოტივები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკისა“, რომელიც 1912 წელს არის დაწერილი — ავტორის გარდაცვალებამდე სულ რამდენიმე თვით ადრე, და რომელიც დღემდე არ გამოქვეყნებულა.

დღევანდელი მკითხველისათვის არჩილ ჯორჯაძის ნაწერები ნაკლებად არის ცნობილი და ხელმისაწვდომი: ა. ჯორჯაძის მრავალრიცხოვანი წერილები ჩვენი საუკუნის დამდეგის სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებშია მიმოფანტული და მათი მოძიება გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ა. ჯორჯაძის თხზულებათა ხუთტომეული კი, რომლის გამოცემა 1911—1914 წლებში განხორციელდა, კარგა ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ძალზე შცირეა იმ სამეცნიერო ნაშრომთა რიცხვიც, სადაც ა. ჯორჯაძის მოღვაწეობის ესა თუ ის მხარე სპეციალური განხილვის საგანს წარ-

შოადგენდეს<sup>2</sup>. და თუმცა არჩილ ჯორჯაძის ცალკეული შეხედულებები საკმაოდ ხშირად არის დამოწმებული თანამედროვე ქართველ ლიტერატურათმცოდნეთა თუ ისტორიკოსთა შრომებში, მაგრამ აქცენტი ამ შემთხვევებში, უნეტესწილად, მიითებულ შეხედულებათა ნაკლოვანებებზეა გადაჯანილი და, ცხადია, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამ ცალკეული კრიტიკული შენიშვნების მიხედვით მკითხველისათვის შეუძლებელია რამდენადმე მთლიანი და დასრულებული წარმოდგენის შემუშავება ა. ჯორჯაძის ნაწერების თავისებურებებისა თუ ლირებულების შესახებ, იმ ადგილს შესახებ, რომელიც მას ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიაში ეკუთვნის. ჩვენი საუკუნის დასაწყისში კი ა. ჯორჯაძის ნაწერები ფართო პოპულარობით სარგებლობდა და მკითხველი საზოგადოების მოწონებასა და მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

ჩვენ უკვე გვქონდა საშუალება აღგვენიშნა, რომ არჩილ ჯორჯაძის თანამედროვენი (განურჩევლად ყველა, — მისი თანამოაზრენი თუ მოწინააღმდეგენი) დიდად აფასებდნენ ამ ახალგაზრდა, მაგრამ უაღრესად სერიოზული მოაზროვნის პიროვნებას და ერთხმად აღიარებდნენ მის უდავო ნიჭიერებასა და ფართო შესაძლებლობებს, რაც ნათლად არის გამოვლენილი ა. ჯორჯაძის ნაშრომებში როგორც საკუთრივ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, ასევე, საზოგადოდ, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ესთეტიკისა თუ რელიგიის ისტორიის რთულ პრობლემებზე მსჯელობის დროს<sup>3</sup>.

ა. ჯორჯაძის სამწერლო მოღვაწეობისადმი მისი თანამედროვე ქართული საზოგადოებრიობის დამოკიდებულების ნათელი გამოხატველია ის მაღალი აზრი ა. ჯორჯაძის ნაწერების შესახებ, რომელიც ივანე ჯავახიშვილს აქვს გამოთქმული ა. ჯორჯაძის თხზულებათა პირველი ტომის გამოცემასთან დაკავშირებით:

„...დიდად მოხარული ვარ, რომ თქვენი თხზულებები ცალკე

<sup>2</sup> იხ. ვ. გ ა გ ო ი ძ ე, ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XIX საუკუნის საქართველოში (ქვეთავი: „ა. ჯორჯაძის სუბიექტურ-იდეალისტური კონცეფცია“), 1964; ვ. ა ბ ა შ ი ძ ე, ა. ჯორჯაძის ლიტერატურულ-ესთეტიკური ნააზრევიდან. — იხ. კრებულში: „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები“, IV, 1973.

<sup>3</sup> იხ. ჩვენი წერილი: „ა. ჯორჯაძის ლიტერატურულ-ესთეტიკური ნააზრევიდან...“, 1973, გვ. 171.

წიგნად გამოვიდა და, იმედია, შემდეგშიც გამოვა. — სწერდა ივ-  
ჯავახიშვილი ა. ჯორჯაძეს 1911 წ. 31 მარტით დათარიღებულ კერძო  
ბარათში, — ...თქვენ ეხებით ისეთს საყურადღებო და საგულისხმი-  
ერო საკითხებს, რომლის გათვალისწინება და ცოდნა ყოველ ქარ-  
თველისათვის არის საჭირო და სახელმძღვანელოდ ექნება თანამედ-  
როვე საზოგადოებას.

თქვენის ნაწერებისა მე გულწრფელობა და პირუთვნელობა  
მომწონს, მიუდგომელი, ნამდვილი მეცნიერული მსჯელობა, მაგრამ  
ცივი და გულგრილი კი არა, არამედ მხურვალეს, შემატკივარ და  
თანამგრძნობ გულით დაწერილი. თქვენს გარდა ჩვენში არავინ იკვ-  
ლევს ჩვენის ერის საზოგადოებრივ და ეროვნულ მოძრაობის ისტო-  
რიას და თქვენი თხზულებები ამ მხრივ პირდაპირ დაუფასებელია.  
სწორედ საჭირო იყო ამ საკითხს შეჭვებოდნენ ჩვენს მწერლობაში,  
რომ ჩვენს თანამედროვე აზროვნებას და მსჯელობას მუდამ ღრმა  
საფუძვლიანობა ჰქონდეს და ხვალ არ დავივიწყოთ ის, რაც გუ-  
შინ და გუშინწინ ნათქვამი და გაკეთებული იყო.

მოხარული ვარ, რომ ამ საგნის შესწავლა და აღწერა თქვენ  
ეკისრეთ; თქვენზე უკეთ ამ მიზანს ვერავინ მიაღწევს და განახორ-  
ციელებს და ამის გამო ყოველს თქვენს წერილს ჩვენს გაზეთებში  
სიამოვნებით ვკითხულობდი და ვკითხულობ ხოლმე...<sup>4</sup>.

ა. ჯორჯაძის ნაწერების ღირებულების შესახებ მსჯელობის  
დროს ივ. ჯავახიშვილის ზემოაღნიშნული შეხედულება ამ საკითხზე,  
ჩვენი აზრით, უთუოდ ყურადსაღებია და ანგარიშგასაწვევი.

ნაშრომი — „ძირითადი მოტივები ილია ჭავჭავაძის პუბლი-  
ცისტიკისა“ ა. ჯორჯაძის ნაწერებს შორის ერთადერთი არაა, სადაც  
ილია ჭავჭავაძის შეხედულებები სპეციალური დაკვირვებისა და  
მსჯელობის საგანს წარმოადგენს. ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირე-  
ბით ა. ჯორჯაძე ადრეც არაერთხელ შეჭვებია ი. ჭავჭავაძის შემოქ-  
მედებას — მის მხატვრულ ნაწარმოებებს, ლიტერატურულ-კრიტი-

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილის წერილი ა. ჯორჯაძისადმი დაცულია საქართველოს მეცნიე-  
რებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში. — იხ. არ-  
ჩილ ჯორჯაძის პირადი ფონდი, ხ. № 165 (მითითებული წერილი პირველად გამოქვეყ-  
ნებულ იქნა 1976 წელს. — იხ. ლ. ნანიტაშვილი. ივანე ჯავახიშვილისა და არჩილ  
ჯორჯაძის შიშოწერიდან, კრებულში: „ურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის სა-  
კითხები“, V, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, თსუ, 1976, გვ. 423).

კულ წერილებს, განსაკუთრებით ხშირად კი — პუბლიცისტიკას, და არაერთხელ საგანგებოდ აღუნიშნავს ის დიდი დამსახურება, რომელიც ილიას — ამ „დიდბუნებოვან პიროვნებას“, „ჩვენს საუკეთესო პოეტს, მწერალს და საზოგადო მოღვაწეს, ქართული ახალი კულტურის მოამაგეს, გულშემატკივარსა და მოსარჩლეს“, — ქართველი ერის წინაშე მიუძღოდა; ა. ჯორჯაძეს ი. ჭავჭავაძის შეხედულებათა ირგვლივ არსებულ პოლემიკაშიც მიუღია მონაწილეობა და მგზნებარედ დაუცავს ილიას თვალსაზრისი იმ გამოხდომების საპასუხოდ, რომელთა მიზანს ილია ჭავჭავაძის ღვაწლის გაუფასურება წარმოადგენდა, — იმ „მიდგომილი და ცალმხრივი აზროვნების ნაყოფთა“ წინააღმდეგ, რომლებიც, როგორც ა. ჯორჯაძეც მიუთითებდა, „უფრო ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დამცირების გულისთვის იყო დაწერილი“. მაგრამ ამავე დროს ა. ჯორჯაძეს მიაჩნდა, რომ თვალის არიდება იმ ცალკეულ შეცდომებსა და წინააღმდეგობებზე, რომელიც აქა-იქ ილია ჭავჭავაძის ნაწერებშიც მოიპოვებოდა, დაუშვებელი იყო „სიმართლის წინაშე“ და „ცრუ სამსახურს გაუწევდა სახელოვან მწერალს“:

„საქმე“ ის კი არ არის, — წერდა ა. ჯორჯაძე ნაშრომში „ძირითადი მოტივები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკისა“, — რომ ყოველივე, რაც ჩვენს საკუთარ რწმენას და აზრს შეადგენს, იმავე-იგივეობით მოინახებოდეს დიდ მწერლის ნაწერებში. არა, ქვეყანა წინააღმდეგობით, ერთი აზრის მეორეზე გამარჯვებით სცოცხლობს, და ჩვენი დროის გზის მაჩვენებელი ხშირად სწორედ ის არის. რასაც ვიწუნებთ და არ ვიწყნარებთ დიდ მწერლის აზროვნებაში. როდესაც შეცდომა ძლიერის კალმის გასმით არის ნათელყოფილი, საკვირველად ადვილი ხდება ახალი გზით სიარული, და აქ არის სწორედ მალალი დამსახურება დიდბუნებოვან ადამიანისა... დიდ მწერლის შეცდომა უხვ საზრდოს აძლევს ჩვენს სულიერ ვარჯიშობას და იგი არც დასამალია, არც სამარცხვინო“. ოღონდ აუცილებელიაო ყოველთვის „ვიდგეთ ობიექტურ ნიადაგზე, — ერთადერთ გამოსადეგარ და ნაყოფიერ პოზიციანედ ჩვენი მწერლის ღირსება-ნაკულლოვანებათა დაფასების დროს“, — დასძენდა ა. ჯორჯაძე.

თუ რამდენად ახერხებდა ა. ჯორჯაძე ობიექტური პოზიციის დაცვას ი. ჭავჭავაძის „ღირსება-ნაკულლოვანებათა დაფასების დროს“, — სპეციალური მსჯელობის საგანია, მაგრამ აუცილებლად

მიგვაჩნია აღენიშნოთ, რომ ი. ჭავჭავაძის შეხედულებათა ა. ჯორჯაძისეულ დახასიათებას არაფერი ჰქონდა საერთო იმ ტენდენციურ — „ცალმხრივ და მიდგომილ“ შეფასებებთან, რომელიც, როგორც ითქვა, ილიას ღვაწლის დამცირებას ისახავდა მიზნად და რომელსაც არაერთხელ ჰქონია ადგილი როგორც მწერლის სიცოცხლეში, ასევე მისი გარდაცვალების შემდეგაც: ა. ჯორჯაძის ნაწერებში ყოველთვის ცხადად იგრძნობოდა ის უღრმესი მოწიწება, რომლითაც ავტორი დიდი მწერლის პიროვნებისა და ღვაწლის მიმართ იყო განმსჭვალული; ცხადად იგრძნობოდა ავტორის ნათლად გაცნობიერებული შეგნება იმისა, რომ იგი ეხებოდა — მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, — „იმგვარ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს, რომელიც XIX საუკუნის ჩვენი საზოგადოების ცენტრალურ ფიგურად ჩაითვლება“.

„ილია ჭავჭავაძე სინტეზია წარსულ ეპოქისა, — მიუთითებდა ა. ჯორჯაძე, — მისი ნაწერების შესწავლა, შესწავლაა დიდის ეპოქისა. ვაჰზობ დიდის ეპოქისა, რადგან მე-19 საუკუნე იყო ის ხანა, როდესაც ქართველთათვის მეორედ შობა მოხდა და საქართველომ სცნო და იპოვნა თავისი დაკარგული სახე. ილია ჭავჭავაძე... იყო ამ დაკარგული სახის მაძიებელ-აღმდგენელი. ილიას ზრახვათა შეგნება, შეგნებაა ზრახვათა მეორედ შობილ და ახლად აღორძინებულ ქართველის ერისა. ამ ზრახვებში სიღუბსკირეც არის, სიხარულიც — წარსულით გადმოცემული, შეცდომანი და შეცოდებანი — აწმყოთი მოვლინებული, ამ ზრახვებში ნათელი იმედიცაა მომავლისა“<sup>5</sup>...

ა. ჯორჯაძისათვის, როგორც ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მკვლევარისათვის, ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენდა: ჯერ კიდევ 1901 წელს, სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში, ა. ჯორჯაძე ვრცელ წერილს აქვეყნებს ილიას პუბლიცისტიკის შესახებ<sup>6</sup>, რომელშიც მიზნად ისახავს შეეხოს ილიას — „როგორც ეროვნულ პუბლიცისტს“ და სცადოს დაახასიათოს „მწერლის პირველი ხანის გონებრივი ვითარება: ის, თუ რას ემსახურებოდა ჩვენი

<sup>5</sup> არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი მეხუთე, 1914, გვ. 281.

<sup>6</sup> იხ. არჩილ ჯორჯაძე, ილია — როგორც პუბლიცისტი, ეურნ. „მომავლემ“, 1901, № 6—10.

მწერალი, რასა სცემდა თავყვანსა, რაში იყო იმისი ძალა და რაში — სისუსტე“<sup>7</sup>.

ახალგაზრდა ავტორის უკვე ამ წერილში ნათლად არის გამოვლენილი ის მაღალი აზრიც ილიას „დაუფასებელი ღვაწლის“ შესახებ პუბლიცისტიკაში, რომელიც შემდგომშიც არაერთხელ გამოუთქვამს ა. ჯორჯაძეს, და, ასევე, ის კრიტიკული დამოკიდებულებაც ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებში წამოყენებული რიგი სოციალურ-ეკონომიური შეხედულებების მიმართ, რაც ა. ჯორჯაძის მომდევნო პერიოდის ნაწერებისათვისაც არის ნიშანდობლივი.

მაგრამ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური მოღვაწეობის ის დახასიათება და შეფასება, რომელიც ა. ჯორჯაძის ზემოაღნიშნულ წერილშია მოცემული, არ აკმაყოფილებდა ავტორს<sup>8</sup>, და ამიტომაც იყო, რომ ამ საკითხს იგი თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე ისევ და ისევ უბრუნდებოდა. ამ მხრივ საგულისხმოა ისიც, რომ სიცოცხლის დასასრულს ა. ჯორჯაძე საგანგებოდ მიუთითებდა იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივი მოღვაწეობის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მხარე — მწერლის მდიდარი პუბლიცისტური მემკვიდრეობა, — ჯერ კიდევ სრულიად შეუსწავლელი და შეუფასებელი რჩებოდა:

„ილია ჭავჭავაძეს გავიცნობთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელში გვექნება მისი ნაწერების სრული კრებული, — წერდა ა. ჯორჯაძე 1912 წელს, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მომავალ (მის. გედევანი-შვილისეულ) გამოცემასთან დაკავშირებით, — ჯერ, ხნობით კი, უნ-

<sup>7</sup> იქვე, ურ. „მოამბე“, 1901, № 6, გვ. 62.

<sup>8</sup> ა. ჯორჯაძის თხზულებათა მეორე წიგნში, რომელშიც (სათაურით — „პუბლიცისტი — ილია ჭავჭავაძე“) შეტანილ იქნა ურნ. „მოამბეში“ გამოქვეყნებული ზემოთ მითითებული წერილი („ილია — როგორც პუბლიცისტი“), აღნიშნულ წერილს ავტორის მიერ ასეთი შენიშვნა აქვს დართული: „ეს წერილი, 1901 წელში დაწერილი. არ გვაძლევს სრულ სურათს ილ. ჭავჭავაძის პუბლიცისტური მოღვაწეობისა. აქ არ არის აღნიშნული არც „საქართველოს მოამბეს“ დაარსების ხანა, არც უკანასკნელი პერიოდი ჭავჭავაძის მოღვაწეობისა. ხოლო რადგან ის, რაც არის ამ წერილში, ერთგვარ სინათლეს პფენს წარსულ საუკუნის ერთ-ერთ საყურადღებო ხანას, ამიტომ ვათავსებ ამ წერილს ჩემს თხზულებათა მეორე წიგნში, სადაც შევავაროვე მასალები ქართველ ინტელექტუალთა საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიისათვის“ — იხ. ა რ ჩ ი ლ ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი მეორე, 1911, გვ. 7.

და ვსთქვათ, ამ მწერალს არ ვიცნობთ. ასე თუ ისე, მწერლის სიტყვაკაზმული ნაწერები წაკითხული გვაქვს და მათს შესახებ მწერლობაში კრიტიკული აზრიც არის შემუშავებული, ხოლო მისი პუბლიცისტიკა სრულიად უცნობია ქართველ საზოგადოების დიდი ნაწილისათვის. მეტსაც ვიტყვით, იმათაც კი, ვისაც უჩხრეკია და უსინჯავს ილიას პუბლიცისტური ნაწარმოებნი, შემცდარი აზრი აქვთ შედგენილი ამ ნაწარმოებთა ღირსება-ნაკლოვანების შესახებ. უწინარეს ყოვლისა, ეს მოხდა იმიტომ, რომ კრიტიკას გათვალისწინებული არა ჰქონდა მწერლის ყველა ნაწერები. უმეტესს შემთხვევაში არკვევდნენ განსაზღვრულ ხანის ნაწერებს და მხედველობაში არ იღებდნენ არც იმას, რა დაუწერია წინა ხანებში, არც იმას, რაც გამოქვეყნებული ჰქონდა ახალ დროში. ილია ჭავჭავაძის გაცნობა, შესწავლა და დაფასება მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც ამ დიდბუნებოვან ადამიანის აზროვნების ყველა ნიმუშებს დაეკვირდებით და როდესაც გვექნება სრული კრებული მის გონებრივ ნაწარმოებისა“<sup>9</sup>.

ა. ჯორჯაძის ნაშრომი — „ძირითადი მოტივები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკისა“ სწორედ ამ მნიშვნელოვანი ხარვეზის შევსებას — ილიას მდიდარი პუბლიცისტური მემკვიდრეობის საერთო დახასიათებასა და შეფასებას ისახავს მიზნად. როგორც თვით ავტორი აღნიშნავდა, ამ ნაშრომში მას არ განუზრახავს გადმოეცა „ილია ჭავჭავაძის სალიტერატურო და საზოგადო მოღვაწეობის ისტორია“; „ჩვენ გვაინტერესებს ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ აზრის დამახასიათებელი თვისებანი, — მიუთითებდა იგი, — გვაინტერესებს ამ აზრის ევოლუცია და ის, განსაკუთრებით, თუ როგორ და რა სახით გამოისახა ამ აზრში მეცხრამეტე საუკუნის ქართულ საზოგადოების ზრახვანი და. გულისთქმანი...“

მართალია, რიგი მოსაზრებები და შენიშვნები, რომელიც ა. ჯორჯაძის დასახელებულ ნაშრომშია გამოთქმული, ხშირ შემთხვევაში იმეორებს ავტორის ადრეულ ნაწერებში ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით განვითარებულ შეხედულებებს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, აღნიშნული ნაშრომი მნი-

<sup>9</sup> ა. ჯორჯაძე, მცირე შენიშვნა (ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის გამო), თხზულებანი, წიგნი V, 1914, გვ. 279.



შენელოვნად განსხვავდება ა. ჯორჯაძის ყველა იმ წერილისაგან, სადაც ილიას პუბლიცისტიკაზეა მსჯელობა<sup>10</sup>. ეს კი, პირველ ყოვლისა, იმ გარემოებით არის განპირობებული, რომ თუ ადრეულ ნაწერებში ა. ჯორჯაძე ილია ჭავჭავაძის მხოლოდ „განსაზღვრული ხანის“ პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეხებოდა და მისი შეხედულებები და დასკვნები ილიას პუბლიცისტიკის ხასიათისა თუ თავისებურებების შესახებ, მისი ღირსება-ნაკლოვანებებისა და მნიშვნელობის შესახებ, მწერლის ამ „განსაზღვრული ხანის“ ნაწერებზე დაყრდნობით იყო შემუშავებული, — 1912 წელს დაწერილ ნაშრომში („ძირითადი მოტივები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკისა“) ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური მემკვიდრეობა ა. ჯორჯაძის მიერ ერთ მთლიანობაშია გააზრებული და მხედველობაშია მიღებული მწერლის როგორც ადრეული ხანის მოღვაწეობა, ასევე ის პუბლიცისტური ნაწერები, რომლებიც ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ბოლო პერიოდს განეკუთვნება, რაც ავტორს — მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, — საშუალებას აძლევს გაითვალისწინოს „ილიას სულიერი განწყობილება მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე“.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობასთან დაკავშირებით ა. ჯორჯაძის მიერ გამოთქმული ცალკეული შეხედულებები და შენიშვნები საკმაოდ ხშირად მოიხსენიება და კრიტიკულად განიხილება ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის თანამედროვე მკვლევართა ნაშრომებში. ა. ჯორჯაძის — „ძირითადი მოტივები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკისა“, ამ მხრივ, უდავოდ, ახალ, საგულისხმო მასალას მიაწვდის ჩვენს მკვლევარებს. აღნიშნული ნაშრომი ძალზე მნიშვნელოვანია, საკუთრივ, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე ა. ჯორჯაძის შეხედულებათა შესახებ უფრო სრული და ნათელი წარმოდგენის შესაქმნელადაც...

როგორც გაირკვა, „ძირითადი მოტივები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკისა“ ნავარაუდევია იყო შესავალ წერილად ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მ. გედევანიშვილისეული გამოცემის მეორე ტომისათვის, რომელშიც ილიას პუბლიცისტური ნაწერები უნდა ყოფილიყო გაერთიანებული.

<sup>10</sup> იხ. ა. ჯორჯაძის წერილები: „ილია, როგორც პუბლიცისტი“; „ცისკარი“ და „საქართველოს მოამბე“; „მესამოციანნი“; „მეოთხმოციანნი“ და „მეოთხმოცდაათიანნი“, და სხვ...

მაგრამ, როგორც ცნობილია, თავდაპირველი განზრახვა ილია ჭავჭავაძის ნაწერების სრული კრებულის გამოცემისა ბოლომდე არ განხორციელებულა: დაიბეჭდა ილიას თხზულებათა მხოლოდ პირველი ტომი (მხატვრული ნაწარმოებები), მეორე ტომის გამოცემა კი ველარ მოხერხდა, და, ამრიგად, ა. ჯორჯაძის დასახელებული ნაშრომიც გამოუქვეყნებელი დარჩა.

არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების შემდეგ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობას გადაუწყვეტია მისი ნაწერების შეკრება და გამოცემა: „წინათ უკვე იყო დაბეჭდილი არჩილის ოთხი ტომი (მეხუთე — სიკვდილის შემდეგ), — კვითხულობთ გ. ლასხიშვილის „მემუარებში“, — მაგრამ ეს გამოცემა მალე გასაღდა და ბაზარზე აღარ იშოვებოდა. გარდა ამისა, ამ გამოცემის შემდეგ, არჩილმა კიდევ ბევრი რამ დაწერა..., ასე რომ ახალი გამოცემა უექველად საჭირო იყო. მაგრამ მალე ომი დაიწყო, ქაღალდის ფასმა ძალიან აიწია, მუშახელიც ნაკლები იყო, — მაშინ საერთოდ კარგა ხნით შეჩერდა გამომცემლობა, — და არჩილის თხზულებათა სრული კრებული ველარ ვიხილეთ“<sup>11</sup>.

ამ „სრულ კრებულში“ ა. ჯორჯაძის ზემოაღნიშნული ნაშრომი უთუოდ საპატიო ადგილს დაიკავებდა...

ა. ჯორჯაძის ნაშრომი — „ძირითადი მოტივები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკისა“ (მოცულობით ნაშრომი ხუთ საავტორო თაბახს აღწევს) ექვსი თავისაგან შედგება: 1. აზროვნების ხასიათი. 2. ორ მსოფლმხედველობის შეჯახება. 3. ფსიქოლოგიური ამოცანა. 4. ბურჟუაზიული ეკონომიზმი. 5. ეროვნული ნილილიზმის წინააღმდეგ. 6. შემედარი გზა ეროვნულ ღირსების დასაცავად.

წინამდებარე „ნარკვევების“ განსაზღვრული მოცულობის გამო ვაქვეყნებთ. მცირეოდენი შემოკლებით ა. ჯორჯაძის დასახელებული ნაშრომის მხოლოდ I—III და V თავებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, ლიტერატურათმცოდნეობისათვის განსაკუთრებით საინტერესოა.

ტექსტი იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით, რომელიც ინახება კიტა აბაშიძის საოჯახო არქივში.

<sup>11</sup> გ. ლასხიშვილი, მემუარები (1885—1915 წწ.), ტფლისი, 1934, გვ. 284.

## ძირითადი მოტივები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტისა

(კრიტიკული განხილვა)

### 1. აზროვნების ხასიათი

ილია ჭავჭავაძის აზროვნება რეალისტური ხასიათისაა. მისი გონება დასტრიალებს ამ ქვეყნიერებას და „საგანთა სამეფო“ არის ასპარეზი მისი ვარჯიშობისა, ხოლო ამ ქვეყანაში მას აინტერესებს არა მარტო ის, რაც არის, არამედ ისიც, რაც უნდა იყოს. რეალიზმი ჭავჭავაძისა მატერიალური მიმართულებისა არ არის, პირიქით, იგი ხშირად რომანტიულ-იდეალისტურ სამოსელით იმოსება.

რეალიზმი პუბლიცისტიკაში შეიძლება იყოს ორგვარი ხასიათისა. პუბლიცისტი ანგარიშს უწევს სინამდვილეს, კონკრეტულად არსებულ ისტორიულ პირობებს და ამუშავებს და არკვევს თავის რწმენას და აზრს ამ სინამდვილის მიხედვით. და ამ სახით სინამდვილე ხდება საწყაოდ აზრის და რწმენის შემუშავებისა. მეორეს მხრით, პუბლიცისტი ანგარიშს უწევს სინამდვილეს არა იმ განზრახვით, რომ დაუქვემდებაროს ამ სინამდვილეს თავისი გულის ზრახვანი, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ შეებრძოლოს მას უკეთესი მომავლის მოპოვებისათვის. ან კიდევ, მწერლის წინაშე შეიძლება იყოს ორგვარი დილემა: არსებულ სინამდვილეში ჩასახული ელემენტები იგი ცდილობს გამოიყენოს ხალხის კეთილდღეობისათვის, რადგან მის თვალში ამ ელემენტებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ აღნიშნულ საქმეს. ან კიდევ, არსებულ სინამდვილეს იგი არ ურიგდება, რადგან მხოლოდ მის დამხობით შესაძლებლად მიაჩნია კეთილდღეობის მოპოვება.

ორივე ხასიათის მსჯელობას რეალისტური ელფერი აქვს, ორივეს ფეხი უდგია კონკრეტულ სინამდვილეში. და თუ განსხვავდე-

ბიან ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ სინამდვილის აწონ-დაწონვაში და შეფასებაში.

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკის საზოგადო ხასიათი უფრო პირველ მიმართულებას უახლოვდება, თუმცა ისტორიულ და ეროვნულ საკითხთა ფარგლებში მტკიცედ არა დგას ამ ნიადაგზედ. იგი ორივე ფეხით იდგა დედა-მიწაზედ და უმეტეს შემთხვევაში იმის ცდაში იყო, რომ ყოველივე, რაც ელობებოდა და ხვდებოდა, გამოეყენებინა და ესარგებლნა ხალხის და ერის კეთილდღეობისათვის, ხოლო იმ სახით, რა სახითაც ესმოდა და ეყურებოდა ეს კეთილდღეობა. იგი არაფერს არ ანგრევდა წინასწარის განზრახვით. უკიდურესობა არ ეგუებოდა მის ბუნებას. მასში, როგორც ღიდ აუზში, შეგროვილი იყო თავის დროის და ეპოქის ზრახვანი და იგი თითქოს უფრთხილდებოდა. ელოლიავებოდა მასში თავმოყრილ საგანძებს, არ იმეტებდა გასახლეჩად და დასარღვევად.

თუ რა ღირსება-ნაკლულევენება ჰქონდა ილიას ნაწარმოებს ამ მხრივ, ქვემოთ დაწვრილებით გვეჩნება ლაპარაკი. ამ უამად-კი ხაზი უნდა გაეუსვათ იმ გარემოებას, რომ ილიას რეალისტურ-რომანტიული აზროვნება თავის თავად საგულისხმო საგანია კვლევადობისა. და აქ განსაკუთრებით საყურადღებო ის არის, რომ არსებობს რაღაც იღუმალი კავშირი ილიას ფილოსოფიურ მსოფლმხედველობისა და მის სოციალ-პოლიტიკურ აზროვნების შუა.

ფილოსოფიაში ილია თითქოს პოზიტივისტია. იგი გაურბის საიდუმლოებას და ბუნდოვანებას. მას უყვარს ხილული და ხელშესახები საგანი. მიუწვდომელი სიღიადევ მას არ ზიბლავს. თავის „მგზავრის წერილებში“ იგი გულგრილი რჩება მყინვარის წინაშე. „განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისტანა სიმალლე, არც მაგისტანა განზედ გადგომა, არც მაგისტანა მიუკარებლობა“. ჩვენი ავტორი გაურბის აგრეთვე გაურკვეველობას და ნისლით მოფენილ არე-მარეს. სინათლეს, დღეს ეტრფის, ღამე ეჭავრება. იმავე „წერილებში“ ვკითხულობთ: „დაღამდა, მისწყდა ადამიანის ფეხის ხმა, მისწყდა ადამიანის მორკმული ხმაურობა, აღარ ისმის მისის ზრუნვისა და წადილის გუგუნე, ქვეყნის ტკივილმა დაიძინა, ადამიანი აღარ სჩანს ჩემს გარშემო, ვაი რა ცარიელია ეს სავეს ქვეყანა უადამიანოდ ... არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეციოთ ნაზელი და

მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წველებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახით! ჰოი ბნელო ღამევე, მეჯავრები შენ მე“. სამაგიეროდ... „რა მშვენიერი რამა ხარ, დილის რიყრაყო! რა მშვენიერი რამა ხარ, დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ“.

აქ იმდენად პოზიტიური აზროვნების ნიშნები არ მოსჩანს, რამდენიც ანტიიმისტიკური და თითქმის ანტირელიგიური სულის განწყობილება ჩვენის მწერლისა. მართალია, ილიას, როგორც რეალისტ-იდეალისტს, კარგად ესმოდა, „რომ ქვეყანაზე ზოგი იმისთანა საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნე, და ზოგიც იმისთანა, რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. ცისა და ცას იქითო სწორედ იმისთანა ადგილებია მამებარ გონებისათვის, რომ თუ არ ირწმუნე, ვერას დაინახავო“ (კრიტიკული წერილები. ნიკოლოზ ბარათაშვილი). მაგრამ მას მტკიცედ ახსოვდა, რომ აქ, ამ სფეროში, ადამიანის გონება უძლურია და რომ კაცობრიობის გული მოღლილია აზრის დაუსრულებელი ქცევა-ბუნებით. „განა ვაება კაცობრიობისა, ამბობს ავტორი, ის არ არის, რომ მიზეზი აქვს ძებნისა, ეძებს და ვერ უპოვია? აი სად არის სათავე ადამიანის სასოწარკვეთილებისა, თავგანწირულებისა, ჭკუა-გონების არევისა, ყოველისფრის უარყოფისა, რომელიც ზოგჯერ, ხანდახან ასე დაიპყრობს ხოლმე მთელს მოაზრე კაცობრიობას და შავად მღელვარის ფიქრებით ავსებს ადამიანის ცხოვრებასა“ (იქვე). მაშ, ვიკითხოთ, რა გამოსადეგია ის გარემოება, რომ ზოგი საგანი იმისთანაა, „რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ“? როგორ უნდა ირწმუნოს ადამიანმა, როდესაც „დღევანდლამდე ყოფილს ბინას ადამიანის მყუდროებისას ფუძე დაეძრა და თვით თალიც მთელის ბუნებისა გაირღვა და ჰლამის გადმოქცევას“. (იქვე). ან კიდევ, თუ-კი რწმენა თვალს უკედ ახილვინებს, რატომ არის, რომ „მოუსვენარი გონება ადამიანისა ხან რას ეჭიდება, ხან რას, რომ სადგური რამ მყუდროებისა სადმე და რაშიმე უპოვოს უბინაო სულსა, რომელიც დღეს ნაცარ-ტუტისავით ჰდღუსს?“ (იქვე). ჩვენი ავტორის გონებაში სკეპტიკური მიდრეკილება იმდენად ძლიერია, რომ მის გულში ადგილი აღარ რჩებოდა რელიგიურ გრძნობათა განვითარებისათვის. შორს საიდუმლოება, ამოცანა! „მიყვარს, ბუნებავე, შენი დაწყობილება, რომლის მეოხებითაც ყოველი ღამე თენდება ხოლმეო“. (მგზავრის წერილები).

ბევრს ეუცხოვება ეს აზრი, ვითამ ილიას აზროვნება ანტირე-

რელიგიური ხასიათის ყოფილიყოს. ყველას წაკითხული აქვს ილიას წერილები სარწმუნოების და ეკლესიის შესახებ. მას მართლაც ბევრჯელ ულაპარაკნია ამ საგანზე. მიუხედავად ამისა იგი, როგორც სხვა ბევრი ჩვენი მწერალი, რელიგიას სრულიად გარეგნულად აღიარებდა. მე არ ვხედავ ილიას ნაწერებში რელიგიურ მსოფლმხედველობას. არსადა სჩანს, რომ ჩვენი მწერალი ჰგრძნობდეს საიდუმლო კავშირს უხილავს ძალასთან, არსადა სჩანს ამ კავშირიდან გამომდინარე ერთგვარი ზნეობრივი მოძღვრება, რომლის ძალით ადამიანი ხდება ღვთის ნების მორჩილ აღმასრულებლად. ილიას ეთიკა წარმართულია. მის გონებას ცოდვის კონცეპცია არ ეგუება. და იქ, სადაც ცოდვის გრძნობა არ არის, არ არის აგრეთვე გრძნობა მორჩილებისა და აჩარაობისა მსოფლიოს საკრებელოს წინაშე. მისი ოთარაანთ ქვრივი „თავის ჯავრს არავეის შეარჩენდა და ტყუილა უბრალოდ არავეის დაეჩავგრინებოდა“. მოთხრობაში „სახარხოებელაზედ“ ყაჩაღად გავარდნილი ჰბაბუკი ამბობს: „ჩვენი ცოდვა (ესე იგი, მისი და მისი ძმის) ყველამ დაიღო კისრად. მამინაცვალმა-კი არა, თქვენ ყველამ გაგეცარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო. მანამ ცოცხალი ვარ ყველას გადავუხდი და როცა აღარ ვიქნები, იქ, ღმერთს გავცეთ ყველამ პასუხი“... „ჩემი ერთად-ერთი ძმა, ერთად-ერთი კეთილისმყოფელი კატის კნუტსავეით ჩამომირჩეს. თქვენ იდექით და სეირს უყურებდით, მე-კი ვუყურებდი და ვიწოდი. არ შეგარჩენთ, არა, ამ ამბავს!... ყველამ უნდა მიზლას ჩემი დანაკარგი, ძმის სისხლს, სანამ ცოცხალი ვარ, უნდა ავიღო“. (იქვე).

აქ ცოდვის მცნება შურის ძიების იარაღად ხდება. ეს მცნება ძირითადად განსხვავდება იმ ცოდვის მცნებისაგან, რომელიც ახასიათებს რუსის მწერლებს. იქ ცოდვის მცნება მონანიების წყაროა, იქ ცოდვა საყოველთაო და ურთიერთია. და იქ ყველანი მზად არიან დაისაჯონ ამ საყოველთაო შეცდომების გულისთვის. ილია ძლიერ შორს დგას ამ გვარ სულიერ განწყობილებისაგან. და ამიტომაც ვახასიათებთ მას, როგორც ანტირელიგიურ მიმართულების მწერალს.

ამ აზრის დასაბუთება უფრო ვრცლად შეიძლება ილიას სიტყვა-კაზმულ ნაწერების გარჩევით. მაგრამ ჩვენს წინ ამ უმად სხვა საგანია კვლევა-ძიებისა, ამიტომ დიდხანს აღარ შევჩერდებით აღნიშნულ საგანზე. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ ნიადაგზედ ილიას უახ-

ლოვედებიან შე XIX-ტე საუკუნის ყველა საუკეთესო ქართველი მწერლები, ბარათაშვილის გარდა ილიას აზრით, „ბარათაშვილის მიერ გავლილი გზა ჩვენი ჯერ უვეალი იყო. მან თავის მერანს გადაათელინა და ნავალიც დააჩნვეინა, ვინ იცის, ვისთვის და საროდისოდ? ამის პასუხს ჩვენი აზრთა ზრდა შემდეგ როდისმე იტყვისო“. (კრიტიკული წერილები).

დიდმნიშვნელოვანი სიტყვებია. ბარათაშვილი ემპირიულ საზღვრებში არ თავსდებოდა. იგი ძლიერად და შეუპოვრად ეწაფებოდა სიცოცხლის საიდუმლოებას. მან თავის მერანს გადაათელინა ის საზღვარი, რომელსაც ვერ სცილდებოდნენ მე XIX საუკუნის ქართველი მწერლები. მან თავის მერანს, ამ ახალ გზაზე მოსიარულეს, ნავალი დააჩნვეინა. და დღეს ნათლად სჩანს, ვისთვის და საროდისოდ. ქართველთა აზრი დღეს უკვე იმდენად მომწიფებულია, რომ ვარკვეულ პასუხს აძლევს ილიას მიერ დაყენებულ საკითხზედ. ეს პასუხი ამგვარია: მეცხრამეტე საუკუნის მწერლებმა, ილიას მეთაურობით, ვიწრო ფარგალი შემოიფარგლეს აზრის და გრძნობის გავარჯისებისათვის. მათი სულიერი მხენობა საქებურ-სანუკვარია, ხოლო მათი ოპტიმიზმი სიცოცხლის ბედშაობის წინაშე ცოტა არ იყოს გულუბრყვილოა. ფილოსოფიურ აზროვნების სიმწიფის მზრით მათ ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლდათ. და ეს იმიტომ კი არა, რომ მათ არ შეითვისეს რუს-მწერლების თეოლოგიური, მისტიკური და მეტაფიზიკური კონცეპციები, — ღმერთმა გვიხსნას ამისაგან მომავალშიაც, — არამედ იმიტომ, რომ ადვილად და მსუბუქად იცილებენ თავიდან სიცოცხლის ძირითად ბედშაობის აზრს. მათი ოპტიმიზმი არც ელინიზმის ნაკადულად ჩაითვლება. ელინიზმი, მართალია შეჰხარის სიცოცხლეს, მაგრამ ამასთანავე ელინიზმის ნაყოფია ბერძენთა ტრაგედია, — „მოირას“ (ბედის წერის) და „ანანკეს“ (აუცილებლობის) კონცეპციები, რომელნიც შავის ფერადებით ღებავდნენ ელინთა წინაშე გადაშლილ მომხიბლავ და მღელვარე სიცოცხლეს. ჩვენი მწერლები სიცოცხლის ირაციონალ ელემენტებს გაურბოდნენ. ამ გზაზედ იღვა მხოლოდ ბარათაშვილი. ილიამაც აღნიშნა ეს და ისიც სთქვა, მომავალი გვეტყვისო, რამდენად საჭირო იყო ქართულ აზროვნების განვითარებისათვის ბარათაშვილის სვლა „უვეალის გზითო“. თვით ილიას-კი ამ გზით სიარული არც უნდოდა, არც ღონე შესწევდა. სამაგიეროდ იგი მკვიდრად იღვა მის

ბუნების შესაფერ ნიადაგზე და ფრიად აამოძრავა ძალა თავისი დიდის ჭკუისა.

რაცა ესთქვით ზემოდ რამდენიმედ ხელს შეგვიწყობს შევიგნოთ ილიას აზროვნების თვისებანი და დავინახოთ კავშირი მის მორიდებულ და ფარგალში ჩაყენებულ თუმცა სკეპტიციზმით გაკრულ ფილოსოფიასა და მის დამჯდარ და აზრთა „კანდიერებას“ მოკლებულ პუბლიცისტიკის შორის. ორივე სფეროში ჩვენი მწერალი გაფრთხილებული ადამიანია: იგი უფრთხის უჩვევს, იგი არ ენდობა ახალს, გამოუცდელს, თუმცა ამ ახალის წინაშე გულგრილი არა რჩება, იგი სდევს ცხოვრებას კვალ და კვალ, აღნიშნავს მის ავკარგიანობას, ხოლო არასოდეს თავისად არ ხდის სხვის აზრს და სხვის იდეალს, თუ ეს სხვისი აზრი და სხვისი იდეალი სახიფათო და გამოუსადეგარ საგნად მიაჩნია.

## 2. ორ სოფლმხედველობის შეჯახება

ებლა, როდესაც ჩვენ ორიოდ სიტყვით განვსაზღვრეთ საზოგადო თვისებანი ილია ჭავჭავაძის აზროვნებისა, შეგვიძლია შევჩერდეთ, იმ, პირველის შეხედვით, უცნაურ მოვლენაზედ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს მწერლობაში, ილიამ პირველი პუბლიცისტური წერილი რომ დასწერა ეურნალ „ცისკარში“ 1861 წ. დინჯმა და შეკავებულმა მწერალმა, რომელსაც აზრადაც არ მოსვლია ძირიან ფესვიანად აღმოეფხვრა ვინმე ან რაიმე, თავისდაუნებლიეთ, ფხიზელი და რეალისტურ ხასიათის აზროვნების წყალობით, ორის წერილით ისეთი ხმაურობა და მოძრაობა გამოიწვია ჩვენს ახლად ფეხადგმულ ეურნალისტიკაში, რომ კაცი გაცელებული და გაშტერებული რჩება, რა იყო ისეთი ამ პატარა კრიტიკულ წერილებში, რომელნიც დღევანდელი საზომის მიხედვით ჩვეულებრივ და უმნიშვნელო წერილებათა-კი ჩაითვლებიან. და რათა მკითხველისათვის გამოიკვეს ეს საგანი, მოვავაგონებთ, რომ აღნიშნული წერილები ეხებოდნენ რუს-მწერლის კაზლოვის პოეზიას, მას ჰკიცხავდნენ ცრუ-კლასიკურ მიმართულების გამო და უსაყვედურებდნენ თ. ერისთავს, რომელმაც ქართულად სთარგმნა კაზლოვის „შეშლილი“, თარგმანის უვარგისობას. ამასთან უნდა ვსთქვათ, რომ აღნიშნული წერილები დაწერილი იყო ჩვეულებრივის ეხლანდელის ენით. ავტორი



ყოველ მოვლენას თავის სახელს არქმევდა და იმ დროინდელ ჩვეულებისამებრ, მაღალ-მაღალ ფრაზებს და ბოდიშებს არავითარი ადგილი არ მისცა თავის წერილებში. და საკვირველი ის არის, რომ ილიას „საპასუხო“ წერილის გამო თითქმის ორი წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა ლაპარაკი და ყაყანი „ცისკრის“ რედაქციის წრეებში. დაწერილებით ეს ეპიზოდი ჩვენ სხვაგანა გვაქვს მოთხრობილი. ახლა-კი ვიკითხოთ, რამ ააშფოთა იმ დროინდელ მწერალთა საზოგადოება და რა სთქვა ილიამ იმისთანა, რომ დღეს, სამოცი წლის შემდეგ ღირდეს ამ ეპიზოდის შესახებ ლაპარაკი. საქმე კი სწორედ იმაშია, რომ ჩვენს წინ მოხდა შეჯახება ორ მსოფლმხედველობისა: თეოლოგიურ-სქოლასტიკურისა და ახლად წარმოშობილ ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში პოზიტიურ-რეალისტურისა. რეალისტურმა აზროვნებამ აქ იღლესასწაულა თავისი პირველი გამარჯვება. მოხდა სულ უბრალო, ხოლო ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანი საქმე. ილიამ დაანახვა ქართულ საზოგადოებას, რომ თანახმად პოზიტიურის აზროვნებისა, სიტყვა გარეგანი სამოსელია აზროვნებისა და რომ აზრი აძლევს სიტყვას ხორცსხმულობას და შინაარსს. დღეს ამ საგანზედ გრძლად ლაპარაკი მეტია, მაგრამ ის დრო სწვა დრო იყო. ახლად გამოღვიძებულ ქართველთა აზრს ჭერ კიდევ ეტყობოდა წარსულ საუკუნოების სქოლასტიურ აზროვნების ელფერი.

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოში ერთგვარი აღორძინება იყო ქართულ მწიგნობრობისა. ანტონ კათალიკოზი, დ. გურამიშვილი, ბესარიონ გაბაშვილი და სხვანი. ხელი შეუწყეს ჩვენი საზოგადოების გონებრივ განვითარებას. ბესიკმა ლირიკულ პოეზიას ჩაუდგა სული. და კაზმულ-სიტყვაობის მოყვარე საზოგადოება სტკებოდა მისი ჰანგების გულწრფელის ხმებით. ბესიკი იყო დიდი ხელოვანი სიტყვისა და ხშირად თამაშობდა კიდევ სიტყვების ვადატრიალ-გადმოტრიალებით. მის პოეზიას ამგვარი „თამაშობა“ არ ამცირებდა, რადგან ყველასთვის აშკარა იყო, ეს თამაშობა უბრალო გასართობი იყო და სხვა არაფერი. ასე, მაგალითად, მან დასწერა „ლექსი“ — „ან“-ზე სით მიხვალ.

„ათინად სიბრძნის შემკრები  
„აზიად ვმგზავრობ არესა“....

და სხვა...

„ანს“ მოჰყვება „ბანი“:

„ბაბილოვანით ღრებელმან  
„ბასრა ვიხილე, მსუროდა“,

და სხვა.

ამას მოჰყვება განი; დონი და ასე ბოლომდე. ან კიდევ, ამავე ხასიათის ლექსი „ანბანთ-ქება“ ნამდვილად არავითარ ლექსს არ წარმოადგენს, არამედ მარტოოდენ სიტყვის ხელოვანის, ხოლო მოცლილი ადამიანის ლიტერატურულ გართობას. აი ეს ლექსიცი:

„არს ბრძენ ვნობით, დავლის თერს,  
ელა ზეურობს შელვა-შობით  
იალ კობით, ლალ-მიწობით  
ნებ-ობობით პირ ჟირობით“...

და სხვა, — ანბანის ბოლომდე.

(იხილე ბესიკი. ქართულ კაზმულ სიტყვაობის ბიბლიოთეკა № 1, გვ. 135, 182).

ბესიკს ამგვარი ვარჯიშობა ეპატიებოდა. მის ლირიკას ადამიანის დამწვარ გულიდამ გამოსული სიმღერის ღირსება აქვს და ცოდვით არ ჩაეთვლება აღნიშნულ ხასიათის გასართობ „ლექსების“ წერა. მაგრამ, საუბედუროდ, ნიჭიერი მგოსანი ერთია და უნიჭო ასი. ბევრს სრულიად დაზული აქვს პოეტურ შემოქმედების ნიჭი, მაგრამ პოეზიას მაინც ეტანება. ამისთანაები იყვნენ ძველ დროშიაც. ანტონ კათალიკოზი, მაგალითად, დიდი სწავლული კაცი იყო, მარტომისი „მზა-მეტყველება“, თეოლოგიური ხასიათის ტრაქტატი, გაუთქვამდა მას სახელსა. მაგრამ მელექსეობის ჟინი, საუბედუროდ, ძველ დროშიაც ყოფილა განუკურნავი სენი ქართველობისა. და აი ეს პატიოსანი მწერალი მხატვრულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის კანონებს იკვლევდა და თანაც უშველებელ გალექსილ ტრაქტატებსა სწერდა, ალბად სანიმუშოდ, რომ აი ასე უნდა იწერებოდეს ამა და ამ ხასიათის ლექსიო. გადაშალეთ ვეებერთელა წიგნი „წყობილ-სიტყვობა, ქმნილი ანტონისაგან პირუჭლისა კათოლიკოს-პატრიარქისა უფლისა საქართუჭლოისა“. აქ ლექსის ფორმით ბევრგვარ საგანს-შეხვედებით: ღვთისმეტყველებას — „თუს ლუთის-მეტყუჭლებისა, სამობისა და ერთობისა“, ისტორიას — „თუს ქართუჭლთა რომელთამე მეფეთა ჩინებულთა“, „მწიგნობრობის-თუს ქართუჭლთა სიბრ-

ძნის მოყუარეთა კაცთა მწიგნობართა“ და სხვა. აი ერთი ნიმუშიც ამგვარ პოეზიისა: „წინასიტყვაობა განსაზღვრებისა ფილოსოფიისა ფრიდრიხის ბაუმერსტრისა“.

„ფილოსოფოსმან, ბაუმეისტერ ჭრიდრიხის,  
„საზღუარ-დებულ-ქმნა, ნიეთი საბრძნოთჲნიანი,  
„ახალ ჭელ-ყოფათ, პაექრობითნი ღქმანი,  
„სამ-მეი-და-სამ, და ორ-ას და ათასნი,  
„ეჲს ერთ იგნად, ქმნილი სარგებლად ბრძენთა...“

და სხვ.

ან კიდევ.

„წინასიტყვაობა ახლად ქმნილსა კათოლირიისა ჩქმნისა“.  
არ სილალითმან, კადრჲა გუათანადა ჩქ 1/2.

ან კიდევ:

„ახლად ჭელყოფად, ქტუ-თქმულობანი ჭტლნი,  
„რამეთუ ესე, ძტულთა სხოლასტოკოსთა,  
„და ჩქმნათაჲ ქქმნეს, მრავალთა კმანი ჩქ 1/2 და,  
„მაგრა თესთათეს, შრომაი სარაცხ ტკბილად.“

ასეთ პოეტურ ნიმუშებს ვპოვებთ ანტონ კათალიკოსის „წყობილ-სიტყვაობაში“. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ „წყობილ-სიტყვაობა“, ანუ ლექსი, ის ხელოვნური ფორმაა, რომლითაც ენა ხდება ფრიად ადვილ გამოსათქმელი, ადვილ შესათვისებელი და რწმენისაც უმაღლესად დამატკობელი“. (ბ. გორგაძის განმარტებაა, იხ. მისი „წყობილ-სიტყვაობა“ „გრდემლში“). თუ ეს განსაზღვრა მივიღეთ, ადვილად წარმოვიდგენთ, რაგვარად აიძღვრა ჭერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში წმინდა ნაკადული ქართულ პოეზიისა. და ჩვენდა საუბედუროდ ამ უნიჭო ვერსიფიკატორობას დიდი ადგილი მიეცა მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარშიაც, როდესაც წარსულ დროის კულტურა მხოლოდ თავისი ძახინჯი მხარეებით იყო აღორძინებული საზოგადოებაში. და აი სწორედ ამ უნიჭო ვერსიფიკატორებს შეუტია ილიამ და წყრომით შემოსძახა: „თუ „ცისკარი“ უვარგისია, კიდევ თქვენგან, ყვაევებო ფარშავანგის ფრთებითა, ბულბულებო ყორნის ჩხავილითა“-ო. (კრიტიკული წერილები — პასუხი). ილიას მოჰყავს აქვე ერთი სანიმუშო ლექსი, რომელსაც თურმე გორის სასწავლებელში ასწავლიდნენ ერთ დროს. აი ეს ლექსიც:

„არჩილ კობიებზე ბალსანჯინა მოებრ,  
„ყარანფილ ვარდებს იაკოსტ ყაყაჩოებრ,  
„რტო კიპარისებრ ია შამპაროსანებრ...“

და სხვა.

როგორც ხედავთ, აქ სიტყვას თავისი ბუნებრივი მნიშვნელობა დაჰკარგვია და იგი უაზრო რახა-რუხად გამხდარა. ამ მოვლენას რომ დავაკვირდი ბევრი რამ გახდა ჩემთვის გასაგები. ჩვენს ცხოვრებაში ერთ ფრიად საყურადღებო ფსიხოლოგიურ მოვლენას აქვს ადგილი. არიან ჩვენში მანდილოსნები, ქართულად აღზრდილნი და ქართულ მწერლობის და ჟურნალ-გაზეთების მკითხველნი. შემინინანავს, რომ ამ მანდილოსნებს ხშირად სრულიად არ ესმით თანამედროვე ხასიათის ზოგიერთი წერილი, მაგრამ მაინც ბეჯითად კითხულობენ და კმაყოფილნიც არიან წაკითხულით. ამჟამაა მათ აკმაყოფილებს კითხვის პროცესი და სიტყვების გამოთქმის წესი. ვიცნობდი ერთ პატიოსან მანდილოსანს, რომელსაც ბარათაშვილის პოეზიაში გაუგებარი სიტყვები მოსწონდა განსაკუთრებით. „დისკო გარდახრით“ წამოიძახებდა ხოლმე ის კმაყოფილის ღიმილით. „მშვენიერი გამოთქმაა, თქვენმა მზემა“-ო და ჩემთვის სრულიად აშკარა იყო, რომ მას არ ესმოდა, თუ რას ნიშნავდა ეს „დისკო გარდახრით“. ეხლა ვაკვირდები რა ილიას გალაშქრებას სქოლასტიურ მწიგნობართა წინააღმდეგ, ზემოდ აღნიშნული უცნაური ფსიქოლოგიური მოვლენა ცოტა არ იყოს გაშუქებულია ჩემთვის.

დააკანონა რა თავის წერილში ის აუცილებელი მცნება, რომ სიტყვა გარეგანი სამოსელია აზრისა. ილიამ გაანთავისუფლა ქართული აზროვნება სქოლასტიურ ტყვეობისაგან, გზა გაუხსნა კრიტიკულ მსჯელობას და ერთხელ და საბოლოოდ უკუაქცია წარსულიდან მემკვიდრეობით გადმოცემული ლიტერატურული უგნურება. „გზა მშვიდობისა, ეუბნებოდა ილია ამ უგნურებას, მოვა დღე კრიტიკის განკითხვისა და მართალთ მარჯვნივ დააყენებენ და ცოდვილთ მარცხნივ, მაშინ ბევრიც რომ იძახოთ დაბატყებული ვიყავითო და ან-ბანთ თეორეტიკაც ვიცითო, მაინც კიდევ დაუნდობელი სიმართლე კრიტიკისა გაგზავნით თავის დაუნდობელ ჯოჯოხეთში. აბა, იქ იქნება ღრქენა კბილთა და ხორცის გლეჯა“. (იქვე).

ილიამ სასიკვდილოდ დასჭრა პრეტენზიებით გაბერილი, აზრისაგან და გულწრფელ გრძნობისაგან დაცარიელებული ქართული ვერსიფიკატორობა. ეს იყო მისი პირველი დიდი დამსახურება.

## მ. ფსიხოლოგიური ამოცანა

ილიას სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში ჩვენი საზოგადოება ნორჩ ყრმას წარმოადგენდა. ყოველივე დანგრეულ-დაქაქსული იყო, ყოველივე ახლად გასაკეთებელი და ასაღორძინებელ-ასაშენებელი. საზოგადოებას თავისი წარსული დაჰვიწყებოდა და ჯერ კიდევ არსად სჩანდა გზა-კვალი მომავლისაკენ მსვლელობისათვის. რთული, მომხიბლავი და ამასთანავე სევდით გამსჭვალული სულიერი განცდა უნდა განეცადათ იმ ახალგაზრდებს, იმ პირველ ჯგუფს განათლებულ ახალგაზრდებისას, რომელნიც, რუსეთში უმაღლეს სწავლის დამთავრების შემდეგ, ახლად აღმოჩენილ და გამოცხადებულ ტურფა სამშობლოში ბრუნდებოდნენ. ეს თითქოს მეორედ შობა იყო მგრძნობიარე და მოაზრე ინტელიგენტისათვის. რამდენიმე წელიწადმა, უცხო მხარეში გავლილმა, აამეტყველეს გული ახალი ჰანგებით, გაუღვიძეს ახალგაზრდაში წყურვილი და მისწრაფება ეროვნულ გრძნობისა. „ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი, ამბობს ილია, და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!... იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია. პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხილია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული“-ო. (მგზავრის წერილები). ოთხი წელიწადი მთელ საუკუნედ ეჩვენებოდა ახალგაზრდა მოღვაწეს. და როგორ არ მოეჩვენოს მთელ საუკუნედ, როდესაც ასე ინტენსიური იყო მაშინ გონებრივი სიცოცხლის მაჯის ცემა, როდესაც ამ ოთხი წლის განმავლობაში შემუშავებული და მოფიქრებული იყო გეგმა ხანგრძლივის მოღვაწეობისა ახალ ასპარეზზე, სადაც წინად ჯერ კიდევ არაღის უმოქმედნია ჯეროვანად და ნაყოფიერად. ამ ოთხი წლის განმავლობაში გამოიკვია სახე და მოხაზულობა დიდხანს ბურუსით გახვეულ პატარა ერისა, რომელსაც თურმე სიცოცხლე სწყუროდა და ესაჭიროებოდა ზრუნვა და დანაშარება მის მიერ აღზრდილ შვილებსა. დიდი სიხარული იყო ახალგაზრდა მოღვაწის გულში, როდესაც მან იგრძნო მოწოდება სამშობლო მხარისა და როდესაც, ამ მოწოდების ძალით, გულში გაუღვივდა მოვალეობის და ახალის, განუცდელის სიყვარულის გრძნობა. ილია იყო ერთი იმ ახალგაზრ-

დათაგანი, რომელმაც განიცადა სწორედ ამ ხასიათის სულიერი სიხარული. მაგრამ ამ სიხარულთან ერთად რაღაც შიში და კრძალვაც იყო გულში. ახალ საქმის დაწყება, ახალ, ჯერ კიდევ მოუხნავ ნიადაგზე, ადვილი არ იყო. „რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ჰიქრობდა ჩვენი მწერალი. ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომპატიოს, როგორც სხვა ნიადაგზე გადარგულსა და აღზრდილსა? იქნებ მიმითვისოს კიდევცა, რადგან ჩემში მაინც და მაინც ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მამბოს იგი ამბავი და მე-კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნებ მიმიღოს კიდევცა და როგორც თავისი შვილი, გულზე მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ შევიძლებ-კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და ამ სიტყვით უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშას შრომა გავუადვილო და ის თვითეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველ კაცში არ ჟოლავდეს, ერთად შევიგროვო? შევიძლებ-კი? შევიძლებ გასაგონის სიტყვით თქმასა?“ (იქვე).

ამგვარი გულის ზრახვა მართლაც რომ ბუნებრივი იყო ახალგაზრდა მოღვაწისათვის... გაგება ქვეყნის სულის კვეთებისა და მის მიხედვით „ღვიძლი სიტყვის“ გამოძებნა და თქმა — სწორედ ეს არის ნამდვილ მწერლის და მოღვაწის საზრუნავი და საფიქრებელი. და ილია ჭავჭავაძემაც სწორედ ამ გზით დაიწყო თავისი სალიტერატურო მოღვაწეობა.

ჩვენ ამ უამად არ ავწერთ ილია ჭავჭავაძის სალიტერატურო და საზოგადო მოღვაწეობის ისტორიას. ჩვენი წერილის დედა-აზრი უფრო მარტივი და სადაა. ჩვენ გვინტერესებს ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიურ აზრის დამახასიათებელი თვისებანი. გვინტერესებს ამ აზრის ევოლუცია და ის, განსაკუთრებით, თუ როგორ და რა სახით გამოისახა ამ აზრში მეცხრამეტე საუკუნის ქართულ საზოგადოების ზრახვანი და გულისთქმანი.

ამ მხრივ რომ შევხედოთ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიურ აზრის ვითარებას, დიდათ საყურადღებო მოვლენას აღმოვაჩინოთ. მართლაც; დააკვირდით იმ პოლიტიკურ პირობებს, რომელთა ფარგალში მოუხდა ჩვენს მწერალს თავისი კალმის ავარჯიშება.

ახალგაზრდა კაცი, რომელსაც გონების თვალნი უცხოეთში გა-

ეხილნენ, ბრუნდება თავის საყვარელ სამშობლოში, დაბეჩავებულ-  
დატყვევებულ ქვეყანაში. უცხოეთში ყოფნის დროს, სადაც და-  
სევდიანებული გული ასე ადვილად ეტანება ოცნებას, კაცს კიდევ  
რალაც იმედი რჩება გულში და იგი ჰფიქრობს, სინამდვილე არ უნ-  
და იყოს ასე თვალსაჩინოდ დაშორებული იმ სურათს და იმ სურ-  
ვილს, რომლის დანახვა თვალს უნდა და რომლის განცდა გულსა  
სწყურიაო. მაგრამ ცხოვრებასთან პირველსავე შეჭახების დროს ყო-  
ველივე თავის საკუთარ სამოსელს იმოსავს და დაუკმაყოფილებელ  
გულს „ნუგეშად“ სევდა-და რჩება.

სამშობლოში დაბრუნების დროს, გზაში, ლაპარაკის დროს მო-  
ხუცმა მოხევემ უთხრა ილიას: „ადრეა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვე-  
ნი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედო“. ეს აზრი ღრმად  
ჩაესვა გულში ახალგაზრდა მწერალს. და თავის ნაღვლიან ფიქრებს  
ამ საგნის შესახებ იგი აღბეჭდავს „მგზავრის წერილებში“. „მიგი-  
ხვდი, ჩემო მოხევე, ამბობს ილია, რა ნესტარითა ხარ ნახვლე-  
ტი. — ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნესო — სთქვი შენ და მე გავიგო-  
ნე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რალაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან  
გულამდე ჩამირბინა, იქ გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. რო-  
დემდის დამრჩეს ეს ტკივილი გულში, ბოლომდი? ოხ, როდემდის,  
როდემდის?... ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი!...“.

და ეს ტკივილი, რომელმაც იმ თავითვე „ტვინიდან გულამდე  
ჩაურბინა ჩვენს მწერალს და იქ გულში გაითხარა სამარე და დაი-  
მარხა“, ეს ტკივილი ჩაფლული იყო მწერლის გულში მის ხანგრძლივ  
სიცოცხლის განმავლობაში სიკვდილამდე. სიბერეში, მცირეოდ ხანს,  
მან თითქოს იგრძნო გულში სიხარული, მაგრამ ხანმოკლე იყო ის  
სიხარული. მისმა საყვარელმა მიწა-წყალმა ვერ გაუყუჩა ტკივილი  
და სიღრმეში ჩამარხულმა, მან მხოლოდ გული გაუკაჟა ჩვენს მწე-  
რალს და რალაც სიმკაცრის ელფერიტ შემოსა იგი.

მაშ პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დაკარგვის საკითხი და  
აქედან გამომდინარე ეროვნულ ვინაობის დაცემა-დასუსტება, — აი  
ის ძირეული საგანი, რომელიც, სიტყვით გამოთქმული თუ უსიტყ-  
ვოთ განცდილი, განსაკუთრებულ ფერს და კილოს აძლევს ყოვე-  
ლივეს, რაც კი დაუწერია ილიას ერის სვე-ბედის შესახებ. და აქ სა-  
კვირველი ის არის, რომ ეს აზრი არ შორდება ილიას გონების  
თვალს მაშინაც, როდესაც იგი გარეგნულად თაყვანსა სცემს და

ეამბორება იმ ძალას, რომელიც უნდა ჩაეთვალა უკეთურ და გამანადგურებელ ძალად. დღეს, როდესაც საშუალება გვეძლევა ილიას სულიერი განწყობილების გათვალისწინებისა მის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, ამის თქმა თამამად შეგვიძლია.

1861 წელს ჩვენს მწერალს დაურღვიეს სულის სიმშვიდე და მყუდროება მოხვევს ნარტივმა სიტყვებმა. მას შემდეგ დაეძებს ჩვენი მწერალი „ქართველს“ და „საქართველოს“. იგი ეროვნულ შეგნების და სიმწიფის ნატვრაშია. და რა კარგად ისახება ჩვენი მწერლის სულის კვეთება იმ წერილში, რომელიც მან დასტამბა 1876 წელს გაზ. „დროებაში“. „სად არის ქართველი და ქართველობა? გვეკითხება ჩვენი ავტორი. აჩქარებული კაცი... ადვილად გვიპასუხებს და გვეტყვის: ბრმანი ყოფილხართო. ეს ჩვენი დედა-ქალაქი და ეს შავი ზღვიდამ კასპიის ზღვამდე გუნდგუნდათ მორიგებული მისი შვილი — სოფლები, ქართველები არ არიან? ქალაქი იქნება დედა იყოს, სოფლებიც იქნება მისი შვილები იყვნენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დედის ძუძუ დიდხანია გაშრა და დედის ძუძუს შვილი აღარა სწოვს“. ექვს გარეშეა, რომ „დედის ძუძუს გაშრობა“ აქ იმ მნიშვნელობით არის ნახმარი, რომ საქართველოს მოესპო პოლიტიკური თვითარსებობა და ქართველნი „დედის ძუძუს ვეღარ სწოვენ“, პოლიტიკურად დამოუკიდებლად თავს ვეღარ გრძნობენ. ჭავჭავაძე სწორედ იმ გვარ „ქართველის“ ძებნაშია, რომელსაც აქვს ცხოველი გრძნობა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა. ჩვენი ავტორის აზრით, არაფერი ფასი და ღირებულობა არა აქვს ჩვენს ეხლანდელ ქართველების განთვითეულ და განკერძოებულ მოქმედებას და შრომაგარჯას. ერს უნდა ჰქონდეს შემაკავშირებელი რამ, ისეთი, რაც ყველასათვის სანუკარი და სასურველია. „თქვენ მე მიჩვენეთ, გვეუბნება ავტორი, ის ადგილი, სადაც თვითეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ აქ არის მეთქი, ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითეულს ჩვენგანს ჰქუა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაშინ მეც ვიტყვი, ქართველი არის მეთქი“. (იქვე) ჭავჭავაძე „შეკრებულობითი, დიდებული და ერთიან აზრის“ ძებნაშია, მას სწყურია ქართველი ამ აზრით გამსჭვალუ-



ლი, მას უნდა, რომ „თვითეულს ჩვენგანს ჰქუა, გონება, ფიქრი, გრძნობა და სურვილი“ ამ შემაკავშირებელ აზრისაკენ, ერის თავისუფლობის აღიარებისაკენ მიისწრაფოდეს. ამ გვარ ქართველს აღიარებს იგი ქართველად, სხვანი კი არ აინტერესებენ.

ამას სწერდა ილია 1876 წელს. ერთი წლის შემდეგ რუს-ოსმალეთის ომი მოხდა. როდესაც ამ ხანას იხსენიებენ ხოლმე ჩვენში „ფრთხილად და ენის კენჭით“ ჩამოადგდებენ ხოლმე ლაპარაკს რაღაც ბუნდოვან იმედებზედაც, რითიც ვითამ გატაცებული იყო იმ დროინდელი ჩვენი მოწინავე თაობა. აქ გარკვეულობას და სინათლეს არავითარი ადგილი არა აქვს. ხელში არ გვიჭირავს არავითარი მასალა იმის გასაშუქებლად, თუ რა ხასიათისა იყვნენ ეს იმედები და რაგვარი გარემოება ასხამდა მათ ფრთებს. ილიას ნაწერებში ეპოულობთ მხოლოდ ერთ ადგილს, რომელიც იპყრობს ყურადღებას თავის დაფარულ აზრით და ბუნდოვანობით. საქმე ის არის, რომ ილიამ 1877 წ. „ივერიაში“ დაიწყო ბეჭდვა თავის წერილებისა „ცხოვრება და კანონი“. იმ წელს ოთხი წერილი დაიწერა. გაგრძელება-კი მეხუთე თავიდან დაგვიანდა. რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ილიამ ეურნალ „ივერიაში“ განაგრძო ამ წერილების ბეჭდვა, მეხუთე წერილის დასაწყისში, სრულიად მოულოდნელად, ეპოულობთ შემდეგ სტრიქონებს: „ეხლა, როცა ზარბაზნის ჰეჰა-ჰეხილის ხმა მიწყდა, როცა მშვიდობიანობამ და სხვადასხვა ფათერაკის მოლოდინი გააქრო, როცა სხვა სიომ დაუბერა ჩვენს გარშემო, როცა... როცა... ერთი სიტყვით, — ეხლა შესაძლოდ გაგვიხდება შრომის განგრძობა იმოდენად, რომ ჩვენი ნაღველი, თუ სხვა გზით არა, უნალველოთ მაინც გამოვფინოთ. ძნელია ნაღველის უნალველოდ თქმა, მაგრამ ზოგან ცარიელი, უფერული თქმაც ნეტარებაა“. დააკვირდით კარგათ ამ სიტყვებს. თურმე ომიანობის დროს „სხვადასხვა ფათერაკის მოლოდინი“ ყოფილა. გულიც რაღაც დანალვლიანებული იყო. ეს ნაღველი ეხლაც დარჩა, მაგრამ ამ ნაღველის გამომყლავნება არ უნდა. ნუგეშად ის გვქონდეს, რომ „ცარიელი უფერული თქმაც ნეტარებაა“. რას ნიშნავს ეს ფათერაკის მოლოდინი? რას ნიშნავს ეს დაუმთავრებელი აზრი — როცა... როცა... და ბოლოს, ასე ყველა ამბების თანამგზავრი ნაღველი? როცა ვუფიქრდები ამ სიტყვებს და ვიგონებ იმას, რომ ამ ხანებში შესაძლებელი იყო ინგლისის დესანტი მოეხდინა კავკასიაში და ამ საქციელით

სრულიად შეეცვალა ისტორიულ გარემოებათა მიმდინარეობა და თვით საქართველოს სვე-ბედიც, ამ ორ მოვლენას ერთმანეთს რომ ვუკავშირებ, „გაფრთხილებით და ენის კენჭით“ მინდა ვთქვა, რომ ილია ჭავჭავაძეს ამ ხანაში გაუმწვავდა ის გულის ტკივილი და იარა, რომელიც აეშალა მოხვევსთან საუბრის დროიდან.

მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ილია ჭავჭავაძე რეალისტია. შესაძლებლობის და ფათერაკის გზაზედ სიარული მის ბუნებას არ ეგუება. მართალია, „გულის ტკივილი“. მოსვენებას არ აძლევდა, მაგრამ გულის ზრახვა ერთია, გონების განსჯა მეორე. გონების განსჯა კი ისტორიულ სინამდვილეს მუდამ თვალწინ უყენებდა. და ეს ისტორიული სინამდვილე საქართველოს რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრების ფარგალში ჩაყენება იყო. რაც გინდ ნატურის და ოცნების პატრონი ყოფილიყოს ადამიანი, ამ გარემოებას ვერ გაექცეოდა. და საჭირო იყო ან ფაქტის აღიარება, შეწყნარება და მოქმედება ამ ფაქტის მიხედვით, ან კიდევ მის წინააღმდეგ აშკარა გალაშქრება და ბრძოლა. ილია ჭავჭავაძე პირველ გზას დაადგა. და თავის სიცოცხლის მსვლელობაში ცდილობდა არ გადასულიყო ამ გზიდან.

რუსეთის სახელმწიფოსა და საქართველოს შუა საჭირო იყო განსაზღვრა გონიერი ურთიერთობისა. საჭირო იყო გამონახვა იმ გვარ პირობებისა, რომ საქართველოს, რუსეთის ერთგულ შეილს, მის დახმარებით და შეწევნით, შესძლებოდა თავის ეროვნულ ვინაობის შენახვა და განვითარება. რუსეთის თვითმპყრობელობამ მიიღო საქართველო თავის მფარველობის ქვეშ. და აი დღესაც სწორედ ამ მფარველ თვითმპყრობელობისაგან უნდა ჰქონოდა საქართველოს იმედი. ილია ჭავჭავაძის პრაქტიკულ პოლიტიკის ფორმულა ამ მოსაზრების წყაროდამ წარმოსდგა. მართალია, ამ ფორმულის აღიარებისათვის საჭირო იყო ერთგვარი იდეალიზაცია სინამდვილისა. რეალისტმა ილიამ არ დაიხია ამ იდეალიზაციის წინაშე და, რადგან სხვა არავითარი ძალა არ ეგულებოდა, რომელსაც შესძლებოდა ქართულ ეროვნების დაცვა და განვითარება, რუსეთის უმაღლესი მთავრობა უნდოდა დაესახა ამგვარ ძალად. ამ ნიადაგზედ, როგორც ვიცით, ჭავჭავაძე მარტო არ იდგა. თავად-აზნაურული პოლიტიკური აზროვნება სწორედ ამ შინაარსისა იყო. მაგრამ აქვე უნდა ვსთქვათ, რომ მიუხედავად დიდ მსგავსების ამ ორი აზრისა, მათ შორის ღრმა

განსხვავებაც იყო. ეს განსხვავება, რომელსაც ბევრნი არ ხედავენ, თანდათან აშკარად გამოაშკარავდება ჩვენთვის.

ამგვარად, ქავჭავაძის, ასე ვთქვათ პოლიტიკურ-ეროვნული სულიერი მიდრეკილება ორ სხვა და სხვა ნაკადულისაგან შესდგება. ამ ორსავე ნაკადულს ჰქონდა თავისი ადგილი იმ დიდ და ღრმა აუზში, რომელსაც ადამიანის გული ჰქვია. და ამიტომ ნუ გავკვირდებით იმის გამო, როდესაც ილიას ნაწერებში ეპოვებთ ბევრ რამე იმისთანას, რაც თითქოს არ ეგუება მის ძირითად ნატვრას და სურვილს.

რუს-ოსმალეთის ომის დროს იგი გატაცებით აღევენებს თვალს პოლიტიკურ ამბებს. იგი თითქოს თანაუგრძნობს რუსეთის ჯარის გამარჯვებას, მას ზედმიწევნით აქვს შესწავლილი ბერლინის კონგრესის ვითარება. და დიდ სიხარულს აცხადებს იმის გამო, რომ ოსმალის საქართველოს ნაწილი, მალე ისევ საქართველოს შეუერთდება. „არ გვაშინებს ჩვენ ის გარემოება, — ამბობს ილია, რომ ჩვენ ძმებს, ოსმალის საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევეუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმობთ და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თავის პატიოსანს და ღმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდნობს, თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს, ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა?!... (პოლემიკური წერილები).

ამ გვარად, როგორცა ვხედავთ, ილია ქავჭავაძე რუსეთის საშუალებით საქართველოს საზღვრების გასწორებაშია და აქეზებს თანამემამულეთ, ნუ დაიშურებთ სიცოცხლეს ოსმალის საქართველოს დაბრუნებისათვისო. ამ გვარსავე იარაღად იყენებს რუსეთს, როდესაც კი ქართულ-ეროვნულ საქმეს რაიმე ზიანს უყენებენ. იგი ყოველთვის მიჰმართავდა ხოლმე აველაციით უმაღლეს მთავრობას ბოროტ ძალთა დასათრგუნავად. ხასიათი იმ წერილებისა, რომელთაც ქართულ-ეროვნების მოსარჩლეობა აქვთ მიზნად, სწორედ ამგვარია. როდესაც კატკოვის ორგანომ „МОСКОВСКІЯ ВѢДОМОСТИ“-

ებმა შეურაცხვეს ქართველი დროშები (სცენაზე გამოიტანეს ეს დროშები, გოტფრუას ცირკს მიჰყიდეთო), შეურაცხოფილი ჩვენი მწერალი აგონებს ქვეყანას, რომ ქართველებს თავიანთი დროშა „ძლევამოსილობით ომიდან გამოუტანიათ და რუსეთისთვის ჩაუბარებიათ“. და აქ აშკარაა, რომ, როდესაც ავტორი რუსეთს იგონებს, იგი თითქოს აგონებს მას მის მოვალეობას და იმედიც აქვს, რომ ამ მოვალეობის დავიწყებისა და დათრგუნვის გამო შეწუხებულნი იქნებიან სადაც ჯერ არს, გაიგებენ რა საქმის ვითარებას. ამგვარივე ხასიათისაა წერილი, მიმართული კავკასიის სამოსწავლო ოლქის ბ. იანოვსკის წინააღმდეგ ეროვნულ სკოლის დასაცავად. იანოვსკიმ გაგანიზრახა რუსული ენის შემოღება სახალხო სკოლებში პირველი წლის მეორე ნახევრიდანვე. ქავკავაძემ ამის გამო მზრუნველს პოლიტიკანობა დასწამა და ის აზრიც გამოსთქვა, რომ ამგვარ პოლიტიკანობას უმალღესი მთავრობა არასდროს არ თანაუგრძნობს. სწორედ ეს ადგილი, რომელიც ამ საკითხს შეეხება, ქართულ დედანში ცენზორის მიერ ამოშლილია, მაგრამ, საბედნიეროდ, წერ. კ. გ. საზ. წიგნთ საცავში ინახება რუსული თარგმანი აღნიშნულ წერილისა, რომელშიაც დატულია მოკვეცილი ბოლო. აი ეს ადგილიც. В заключеніи, приведемъ Высочайшую волю Государя Императора, выраженную рескриптомъ 1864 года: «не позволяя ни себѣ, ни кому бы то ни было превращать разсадники наукъ для достиженія политическихъ целей, учебныя начальства должны имѣть въ виду одно лишь безкорыстное служеніе просвещенію».

(დასასრულ გავიხსენოთ ხელმწიფე იმპერატორის უმალღესი სურვილი, გამოსახული 1864 წლის რესკრიპტში: „ჩვენ ნებას არ მივცემთ არც ჩვენ თავს, არც ვისმე სხვას გადააქციოს მეცნიერების ტაძრები რაიმე პოლიტიკურ მიზნების მისაღწევ საშუალებათ, ამიტომ სამოსწავლო მართველობას უნდა ჰქონდეს ერთად-ერთი აზრი — განათლების პირუთვნელი სამსახური“).

ამ გვარ სიტყვების და რესკრიპტების იმედი დიდი ჰქონდა ჩვენს მწერალს, ხოლო ამასთან ავიწყლებოდა ის გარემოება, რომ ეს სიტყვები წარმოთქმული იყო სამოციან წლებში, იგი კი ეკამათებოდა იანოვსკის ოთხმოციან წლებში, როდესაც უკვე სავსებით დამყარდა რუსეთში სრული სოლიდარობა უმალღეს მთავრობისა და მის ხელქვეით ორგანოებს და მოხელეთა შორის. მაგრამ გარემოე-

ბის გამოცვლამ ვერ შეაჩეხა ჩვენი მწერლის აზროვნებაში, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილო რწმენა, რომ მთავრობის გული საქართველოსკენაა მიმართული და მოხელეების უსამართლობას ამ ქვეყნის წინაშე არასდროს არ შეიწყნარებს იგი. წაიკითხეთ წერილი „ვიცინოთ თუ ვიტყვი“ გორის საოსტატო სემინარიის შესახებ დაწერილი. ამ სემინარიაში თურმე, გამგის ბ. ნათიევის წყალობით, ქართულ ენას ჯეროვან ადგილს არ უთმობდნენ. გარდა ამისა ქართველებათ არა სთვლიდნენ გურულებს, მეგრელებს, ფშაველებს, სვანებს და ქართველ ტომების სხვა წარმომადგენლებს. ილიას ვერ შეუწყნარებია ეს გარემოება და ვერ გაუგია ის თუ, როგორ უნდა ასრულონ თავიანთი მოვალეობა მომავალმა მასწავლებლებმა, თუ კი მათ არ ეცოდინებათ ქართული ენაო. „აბა, ამბობს იგი წყრომით, ეს ამბები შეიძლება სხვაგან სადმე მოხდეს და ასე დაუსჯელად ჩაიაროს? მე XIX საუკუნეში ასე აშკარად სამასხაროდ საქმე გამხდარა სადმე? ესეთი სასაცილოდ აგდება მთავრობის კეთილ განკარგულებისა, მთავრობის დაწყობილებისა სადმე გაგონილა? გაგონილა, რომ ესეთი წვრილ-ფეხობა, როგორც ყ. ნათიევია და სემინარიის გამგეობა ესე ფუჭად ხდიდეს მთავრობის ჩვენდამი მზარუნველობას და გულმტკივნეულობას?...“.

ყველა კარგი, იკითხავს მკითხველი, რანაირად შესაძლებელია მორიგება ერთმანეთში აზრისა ორ საწინააღმდეგო ნაკადულისა. ჩვენ ხომ ვიცით, რა ღრმად ჰქონდა ჩანერგილი ილიას სევდა საქართველოს პოლიტიკურ დამოკიდებულების მოსპობის გამო და აი ეხლა კი იგივე ჰავეჭავაძე ეყრდნობა იმ ძალას, რომელმაც მოუსპო საქართველოს ეროვნული დამოკიდებულება. რა არის ეგ? განგებთვალეების ახვევა, თავის თავის მოტყუება, თუ ორგულობა და ფლიდობა? ამაზე ერთად-ერთი პასუხია. ეს იყო და არის მე XIX საუკუნის ქართველ საზოგადოების სატივიარი. ეს იყო ის აზრთა წინააღმდეგობა, რომელშიაც იმყოფებოდა იმ დროინდელი ჩვენი საზოგადოება. ეს იყო ის სულიერი განწყობილება, რომელსაც ტრაგიკული აუცილებლობის ელფერი ჰქონდა იმ გვარ მწერალთა აზროვნებაში, როგორც იყო ილია ჰავეჭავაძე. ჩვენ ვერც დავმალავთ ამ წინააღმდეგობას, ვერც გავამართლებთ მას, რადგან თვით ცხოვრება და ცხოვრების მოვლენანი შესდგებიან ამ წინააღმდეგობიდან და ილია ჰავეჭავაძე, როგორც ცხოვრების შვილი, არამც თუ არ

ასცდა ამგვარ აზრის მიდრეკილებას, არამედ უფრო გააღრმავა იგი თავის ძლიერ და მკერამეტყველ კალმით.

ჩვენ ვიცით, რომ ამ ხასიათის პოლიტიკური მრწამსი შემუშავებული იყო ჩვენში თავად-აზნაურულ ინტელიგენციის მიერ, განსაკუთრებით წარსულ ნამესნიკების ხანაში, ვორონცოვის, ბარიათინსკის და დიდი მთავრის მიხეილის დროს. ჩვენ ვიცით, რომ მესამოციანების აზროვნებამ თანდათან შეითვისა ამ ხასიათის პოლიტიკური მრწამსი, ილია აქ თითქოს ფეხდაფეხ მისდევს თავად-აზნაურობას, მაგრამ რომ უფრო საფუძვლიანად გავსინჯოთ საგანი, აღმოჩნდება ძირითადი განსხვავება ილიას სულის კვეთებასა და თავად-აზნაურულ აზროვნებასა შორის. დიდი ხანი არ არის ვას შემდეგ, რაც ეხლანდელმა ერთ-ერთმა გავლენიანმა მეთაურმა თავად-აზნაურულ პოლიტიკისამ საჯაროდ განაცხადა, შემდეგი დებულება: „მტკიცედ უნდა ვიცოდეთ, რომ ქართული ნაციონალური ინტერესები არც წარსულში და არც აწმყოში არ განსხვავდებოდნენ და არ განსხვავდებიან არაფერში არც სახელმწიფოს მიზნებისაგან და არც რუსის ხალხის ნაციონალურ ინტერესებისაგან“ („სახალხო გაზეთი“ № 563). „სახალხო გაზეთის“ მეთაური წერილის აზრით, ამ სიტყვებს ხელს მოაწერდნენ მე-XIX საუკუნის ყველა ქართველი მოღვაწენი და მათ შორის ილია ჭავჭავაძეც. მაგრამ შემცდარი აზრია. ჭავჭავაძე ერთგულებას უტყობდა რუსეთის იმპერატორებს და სწამდა ამ იმპერატორების კეთილი განზრახვანი საქართველოს მიმართ, ხოლო არსად და არასდროს არ უთქვამს, ვითამც ქართული ნაციონალური ინტერესები არ განსხვავდებიან რუსეთის სახელმწიფოს მიზნებისაგან და რუსის ხალხის ნაციონალურ ინტერესებისაგან. 1902 წელს, ამ სტრიქონების დამწერთან საუბრობის დროს, ილიამ გამოსთქვა შემდეგი აზრი: ჩვენს ერთგულებას რუსეთის თვითმპყრობელთადმი ის ღრმა პოლიტიკური აზრი უდევს სარჩულად, რომ საქართველომ ამ თვითმპყრობელებთან დასდო ხელშეკრულება წარსულში, შეკრულობა, რომელშიაც ჩვენი ეროვნული ვინაობის დაწერილი პუნქტებია ჩამოთვლილი და თუ ჩვენ ჩვენს მოვალეობას ტანტისადმი ვუღალატებთ, ამითი წაგვეერთმევა საშუალება და უფლება მოვსთხოვოთ რამე იმ მფარველ ძალას, რომელმაც შეგვიხიზნა თავის ფრთეთა ქვეშ მე-XVIII საუკუნის ბოლოშიო. ამგვარი აზრის განწყობილებაში, რომელსაც რეალისტი-პოლიტიკოსი ილია

ალიარებდა, ბევრი რომანტიულ-უტოპიური ელემენტია. თქვენ შეგიძლიათ უარპყოთ იგი, როგორც პრაქტიკულად გამოუსადეგარი, მაგრამ ამ სიტყვების მთქმელს ვერ დასწამებთ იმას, ვითამც მის თვალში სრული თანხმობა არსებობდეს რუსეთის სახელმწიფო ეროვნებისა და ქართველ ნაციონალურ ინტერესებთა შორის. „ცხოვრება და კანონ-ში“ მესამე წერილში შემდეგ საგულისხმო აზრს ეპოულობთ. „ყოველი სახელმწიფო, თუნდ გეარ-ტომობით ერთი და იგივე ხალხით იყო შემდგარი, მაინც, ადგილობრივი სხვა და სხვაობის გამო, ბევრს სხვა და სხვა თვისების მხარესა და მხარეს წარმოგიდგენს ყოველს მხარეს. ყოველს ნაწილს ერთისა და იმავე სახელმწიფოსას თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აქვს, თავის საკუთარი გაჭირვება ადგია, თავის საკუთარი მზრუნველობა და ფიქრი უძძიშებს გულს, თავის საკუთარი ნეტარება აფხიზლებს და იბირებს“. და ცოტა ქვევით ავტორი განაგრძობს: „სხვას, ტყუილია, ჩემთვის ისე გული არ შესტყვივა, როგორც მე თვითონ. სხვა ჩემ ავკარგიანობას ჩემსავით ვერ მოუვლის, ჩემს ჩივილს ჩემსავით ვერ იტყვის, რაც მე ვიცი ჩემი, სხვას თავის დღეში არ ეცოდინება“. ამ სიტყვების მოწმობა საკმარისია იმ აზრის გასაბათილებლად, ვითამც ილია ჭავჭავაძე და დღევანდელი თავად-აზნაურულ პოლიტიკის მესვეურნი ერთსა და იმავე ნიადაგზე მდგარიყვნენ. 1905 წელს ჭავჭავაძემ აღიარა საქართველოს ავტონომიის საკითხი, ხოლო „მესვეურებმა“ უარპყვეს იგი.

ასეა თუ ისე, ის ძირითადი წინააღმდეგობა, რომელზედაც გვექონდა ლაპარაკი და რომელსაც ასე მწვავედ განიცდიდა ჩვენი მწერალი თავის გულის სიღრმეში, ღირს საცნობი ფსიქოლოგიური მოვლენაა. როდესაც გარემოება გააბამს ადამიანს აზრთა და გრძნობათა ქსელში, ამ ქსელის გარღვევა ადვილი საქმე არ არის. თევზსავით ფართხალებს ადამიანი, გზა ხსნისა კი არ არის. ილია ჭავჭავაძის ფსიხიური ვითარება ამ მხრით მათ არის დიდი ინტერესის და ყურადღების ღირსი, რომ ილიამ, წინააღმდეგობაში მყოფმა, კიდევ ზედმეტად გაარღმავა ეს წინააღმდეგობა და მით თითქმის საბოლოოდ დაუკარგა ფასი და მნიშვნელობა ქართველ ინტელაგენციის პოლიტიკურ სიმწიფეს. ჩვენ ვიცით, რა მწარედ იყო დაკოდინი ილიას გული საქართველოს დამონების და დაბეჩავების გამო, ვიცით რა ძლიერი და ცხოველყოფელი იყო მისი წყურვილი სა-

ქართველოს განთავისუფლებისა. ეს იყო ერთი რიგი და ერთი წყობა სულიერის განწყობილებისა, რომელიც დაბინავებული იყო ჩვენი მწერლის გულში. მაგრამ ამასთან ისიც ვიცით, რომ ამავე გულში, დროთა მსვლელობაში, იზრდება და ვითარდება გრძნობა ერთგულებისა ტახტისადმი, იზრდება და ვითარდება შეგნება, რომ საქართველოს აწმყო და მომავალი ამ ტახტის ძლევამოსილობისა და წყალობისაგან არის დამოკიდებული. აი ამ ელემენტებისაგან შესდგებოდა აზრის წინააღმდეგობა. მართალია, შესაძლებელი იყო ამ წინააღმდეგობის შესუსტება და „ტახტის“ იდეალიზაციით და იმ აზრის აღიარებით, რომ სწორედ „ტახტია“ ის ძალა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნულ ვინაობას და მიანიჭებს მას ხვედრს და კუთვნილ თავისუფლებას. და ჩვენი ავტორი სწორედ ამ ნიადაგზე შესდგა და მით, გარეგნულად, თითქმის ჰარმონიულ-პოლიტიკურ ფორმულის აღმსარებლად შეიქმნა. ნამდვილად კი, ეს იყო მხოლოდ გარეგნული შერიგება და თანხმობა, რომელიც ნაცრად იქცა იმ დიდ ქართველის დროს, რომელმაც 1905 წელს დაჰბერა ჩვენს ქვეყანას. აქ ისეთის სიაშკარავით აღმოჩნდა სიყალბე ამ პოლიტიკურ სიბრძნისა, რომ მისი მიმალვა და არ ღანახვა შეუძლებელი გახდა. და სიდიადე ჰავეჰაჰისა სწორედ იმაში გამოისახება, რომ სიბერეში მოახერხა და გაჰბედა იმ ნატურის გამოოქმეა, რომელსაც სიცოცხლის განმავლობაში გულის სიღრმეში ინახავდა და მალავდა. მაგრამ ყოველივე ეს იმდენად საგულისხმოა, რომ საჭიროა საგნის გაშუქება ფაქტებისა და მწერლის საკუთარ სიტყვების საშუალებით.

აი ერთი ნიმუში, სადაც ილია თვით-მოქმედების ნიადაგზე დგას და ეროვნულ ვინაობის დაცვას ამ თვით-მოქმედების გაძლიერებაზე ამყარებს. „ჩვენებური დღევანდელი დღე, სწერს ილია ჟურნალ „ივერიაში“ 1891 წელს, სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა დალდებს... და თუ აქაც ბედის წერას არ გადავრჩებოდით, რომ „მამა-შვილობა“ არ გამართულიყო ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო და „მამებს და შვილებს“ შუა მიჯნად დადებული. ის „სხვა რამე“ იყო ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდან არ აგვცდენია, ყველასთვის ცხადზე ცხადია... მართალია ჩვენის „ვინაობის“



აღსადგენად მაგ ახალს გუნდს ბევრი არა უქნია რა („საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „დროება“, „ივერია“). მაგრამ ისიც დიდი საქმეა, რომ მაგ მიმართულებას მიაგნეს და ჩვენს ცხოვრებაში ცოტად თუ ბევრად ფეხი მოაკიდებინეს... რაც ვერ ჰქმნეს იმათ, იქმოდენ სხვანი, ოღონდა ამ მიმართულებამ თავი დაიჭიროს ჩვენს ცხოვრებაში, ღრმად გაიკეთოს ძირი და იმოქმედოს, ვიდრე საჭიროება მოითხოვს... ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, სანამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს შვილს. ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი, ერთად ძმურად იმოქმედოს“. როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძე იწვევს ქართველობას საქართველოს ვინაობის დასაცავად. ვის წინააღმდეგ? იკითხავს მკითხველი. აშკარაა იმ სასტიკ-პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ანადგურებდა ამ ვინაობას. მაშ თუ ჩვენი უპირველესი მტერი რეჟიმი და არა კერძო მოხელეთა მოქმედება და თუ ჩვენი მწერალი გვიწვევს ამ რეჟიმთან საბრძოლველად, რანაირად, რა ლოგიკურის საბუთებით შესაწყნარებელია აღსარება და გამომზევება იმგვარ სულიერის განწყობილებისა და პოლიტიკური მრწამსისა, რომელსაც ვპოულობთ ჩვენი მწერლის თუნდ იმ წერილში, რომელსაც აქვე მოვიყვანთ.

1888 წელს ჩვენში მობრძანდა ხელმწიფე იმპერატორი ალექსანდრე მესამე. ამის გამო ილია ჭავჭავაძე „ივერიის“ № 202-ში სწერს მეთაურ წერილს, რომელსაც მკითხველი კარგად უნდა ჩაუკვირდეს...

ჩვენს მწერლობაში არ მეგულება ასეთის ძლიერებით გამოსახული ერთგულების გრძნობანი. აქ თითქმის რელიგიურ აღფრთოვანებამდე აღწევს ავტორის პაფოსი და უფრო და უფრო რომ ვაკვირდები ამ წერილის მჭერმეტყველ სიტყვებს, ხელს ვიღებ და არ ძალმძის შევათანხმო და შევაგუო ამ ხასიათის სულიერი განწყობილება არა მარტო იმასთან, რაც „მგზავრის წერილებში“ და „დროებაში“ დაუბეჭდია, არამედ იმასთანაც რაც ზემოდ დაბეჭდილ წერილშიაც არის გამოსახული. ამგვარ ფსიხოლოგიურ ამოცანის გამოცნობა ჩვენი შავ-ბნელის წარსულის მოგონებით თუ შეიძლება. ვის წინაშე არ ვიხრიდით ქედსა? და ვის არ ვუვალობდით სიყვარუ-

ლის საგალობელსა? ასურელები, სპარსელები, არაბები, მონღოლები, ოსმალები — ყველა ამათ დაგვაჩვიეს ორგულობას, ცბიერებას, ორაზროვნობას. გული ორად გაიპო და ორივე ნაწილი გაპოზილი გულისა, სადაც სხვა და სხვა ჰანგი ისმოდა, სრულუფლებიან ბატონად შეიქმნა ჩვენის არსებისა. რა არის ილიას აზრთა წინააღმდეგობა, თუ არა ამგვარი საშინელი, მემკვიდრეობითი გადმოცემული სენის გამოცოცხლება ახალ ბატონების — რუსეთის ძლევამოსილების წინაშე?!. რომ ამ ნაკადულს აზრისას არავითარი შემაკავშირებელი ძაფები არა აქვთ ერთმანეთში, ამის საბუთს თვით ილია გვაძლევს, რომელიც საჩაროდ იმგვარ აზრებს აღიარებს, რომელთაც არასდროს არ შეიწყნარებდა ის თვითმპყრობელობითი რეჟიმი, რომლის მალმერთებლად გამოდის ჩვენი მწერალი. ერთ-ერთს სათავად-აზნაურო კრებაზედ 1905 წ. ილიან, სხვათა შორის. სთქვა: „თუ გვსურს ხალხის სახელით ვითხოვოთ რამე, უნდა გავიცნოთ ხალხი და მისი აზრი. იმას ვთხოვლობთ, რომ მოგვცენ საშუალება გავიცნოთ ხალხი, იმის აზრი და მოთხოვნილება“... („ცნობის ფურცელი“, 2 აპრილი 1905 წ.). აქ ნათლად სჩანს, რომ ილია ჰგულისხმობდა წარმომადგენლობით სისტემას, რომლის დამყარების წყალობით ხალხის აზრი და მიმართულება უნდა გაგვეგო. აქ ხალხის სუვერენიტეტის პრინციპია წამოყენებული, და მოდიოთ, და შეათანხმეთ ეგ პრინციპი აბსოლუტიზმის რეჟიმთან. იმავე ხანებში, სათავად-აზნაურო მეორე კრებაზედ, ჩამოვარდა ლაპარაკი გლეხთა მოძრაობის და ავტონომიის შესახებ. ილიას მიერ წარმოთქმული სიტყვები გაზეთ „ივერიამ“ ცოტა არ იყოს დაამახინჯა და ამის გამო 9 მარტს 1905 წელს ჩვენმა მწერალმა მიმართა აღნიშნულ გაზეთის რედაქციას ღია წერილით, რომელშიაც, სხვათა შორის, ვკითხვლობთ: „თქვენი გაზეთი იუწყება, ვითომ მე ბოლოს მეთქვას — ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია მოვითხოვოთ, რომ კანონები, რომელნიც ეხლა პეტერბურგში იწერება (რა თქმა უნდა ჩვენის ქვეყნისათვის) აქვე ადგილობრივ იწერებოდესო. სასურველია, რასაკვირველია, რომ ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე ჩვენში იწერებოდეს, მაგრამ მარტო ამით არა გვეშველება რა. მე ვსთქვი და კიდევ ყველგან ვიტყვი: ჩვენის ქვეყნისთვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს ჩვენის ქვეყნის მიერ არ ჩეულ წარმომადგენელთა კრებუ-

ლის აგან“. აი ეს ხაზგასმული სიტყვები დაუმატეთ და ჩემი აზრი სავსებით გამოთქმული იქნება“. (კურსივი ავტორისა).

ჩვენს წინ იშლება არა ჩვეულებრივი სულიერი მოძრაობის სურათი. დიდბუნებოვანმა კაცმა სიბერის ჟამს გაიმარჯვა და თავი დააღწია იმ საზარელ ბორკილებს, რომლებითაც შეპყრობილი იყო სიცოცხლის განმავლობაში. 1861 წელს ილიას გულში ჩაესო მოხვევის სიტყვები: „ჩვენი თავი ჩვენდავე გვეყუდნისო“. და აი ეხლა 1905 წელს, თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ილიამაც საჯაროდ თქვა ის, რაც მოხვევებ უთხრა მის მოღვაწეობის დასაწყისში. თუ ჩვენს თავს წარსულში ვუვლიდით, მაშ, დეე, მომავალშიაც ჩვენვე მოვუაროთ ჩვენს თავსო. მაშინ მოხვევებს სიტყვების გამო ილიას „ჩაურბინა რალაცა უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე და იქ გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა“. და მაშინ, ამ გულის ტკივილით აღშფოთებული, ჩვენი ავტორი იძახდა: როდემდის დამრჩეს ეგ გულის ტკივილი, როდემდის? ხოლო საყვარელმა მიწა-წყალმა ამაზე პასუხი მის არ გასცა. ეხლა მან თვითონ მონახა ეგ პასუხი და სიბერის დროს მიაყუჩა, პატარა ხნით მაინც, სევდა და მწუხარება, რომელიც ღრღნიდა მის გულს. ვიმეორებ, ეს იყო გამარჯვება დიდბუნებოვან ადამიანისა და ამ გამარჯვებისათვის მადლიერნი გვინდა დავივიწყოთ ყოველივე ის, რაც ვსთქვით ზემოთ და რაც ასე გვაშფოთებდა და გზა-კვალს გვაკარგვინებდა. ილიას გული და გონება დასერილ-დაღარული იყო წინააღმდეგობით, ხოლო ამავე გულში და ამავე გონებაში გამთელების და განკურნების ძალაც იმალებოდა.

##### 5. ეროვნული ნილილიზმის წინააღმდეგ.

...ილიას ხანგრძლივ სიცოცხლის მანძილზე ბევრი ცვლილება და საჩინო ამბავი მომხდარა ჩვენს ქვეყანაში. მის თვალწინ და მის თანამონაწილეობით აღორძინდა ჩვენი ეროვნული კულტურა, რომელიც სხვა და სხვა გარემოებათა ზეგავლენით ხან თითქოს გაიფურჩნებოდა ხოლმე, ხან მისჭკნებოდა და მისუსტდებოდა ხოლმე. ილია ჭავჭავაძე გულისტკივილით ადევნებდა თვალს ცვალებად ბედს ქართულ ახალ კულტურისას და ყოველთვის სცდილობდა გამოენახა და გამოეძებნა ძირითადი საფუძველნი, რომელნიც აფერხებდნენ ამ კულტურის წინსვლას. იმ დროის შესახებ, როდესაც ჩვენი ძვე-

ლი თაობა გამოვიდა სამოქმედოდ, ერთს თავის წერილში ილია ამბობს: „ვინც თვალხილული იყო და ყურთა სმენა ჰქონდა, ყველამ შეიგნო, თუ რა იყო მიზეზი ჩვენის დაქვეითებისა, რა იყო ხელ-ჩასაქიდებელი და საზრუნველი. ასე თუ ისე საზოგადოებამ ცოტათი მაინც იგრძნო, რამდენად საჭიროა საკუთარის ვითარების გამორკვევა და შეგნება. ამის ნაყოფი იყო, ისიც, რომ ჩვენმა მწერლობამ ხელი მიპყო ძველის ვითარებისა და მწერლობის შესწავლასა. საზოგადოების ყურადღება და აზრი მიიპყრო იმანაც, რაიცა იმ დრომდე მივიწყებული და უკუგდებული იყო. და აი მაშინდელმა თაობამ ხელი ჩასქიდა ამ მივიწყებულსა და საზოგადოებას მისდამი სიყვარული გაუღვიძა... ეს საქმე მოიქმედა იმ ძველმა თაობამ და ეს არის უმთავრესი იმისი სამსახური. მას აქეთ, როგორც ვსთქვით, დღითიდღე იზრდება, თუმცა წყნარის ნაბიჯით, ის საძირკველი მწერლობისა და აი სად არის იმის მიზეზი, რომ ჩვენ თავს დავსტრიალებთ ჩვენს ღარიბს, ახლად ფეხადგმულს ლიტერატურას“ („ივერია“, 1888 წ., № 104). დიახ, თავს კი დასტრიალებდა ჩვენს ლიტერატურას ილია, მაგრამ ოთხმოციანებში და ოთხმოცდაათიანებში ჩვენს ცხოვრებაში გაჩნდა იმგვარი მოვლენა, რომელიც აშკარად აფერხებდა და ყოველ ჩვენს ეროვნულ საქმეს. წამოიზარდა ახალი თაობა და ამ თაობას, ერთის მხრივ, თითქოს ძველ თაობასთან გაუწყდა კავშირი, მეორე მხრივ, საკუთარის გზით მსვლელობის უნარიც დაეხშო. საზოგადოებას რაღაც გაურკვეველობა დაეტყო და თითქოს დაიკარგა საწყაო მოვლენათა დაფასებისათვის. აღნიშნავს რა ამ გარემოებას ილია ქავეკავაძე, იგი ამბობს: „არც მწერლობასა, არც საზოგადოებასა არ აღმოუჩენია ნამდვილი გზა, რომლითაც უნდა მსვლელობდეს აზრი და გონება. არ დაუდგენია ნამდვილი აზრი ჩვენი წარსულ და აწმყოს ვითარების შესახებ და სამართლიანად ვერ დაგვიფასებია, ვერ გამოგვიკვლევია ჩვენი საკუთარი ყოფა-ცხოვრება. ჭერ-ჭერობით ვერ შევთანხმებულვართ და ვერ აღმოგვიჩენია ის ცენტრალური წერტილი, სადაც ვადასკვნილია ცხოვრების სხვა და სხვა მიმდინარეობა“ („ივერია“ 1888 წ. № 5). ერთგვარი გულგრილობა აღმოჩნდა საზოგადოებაში. ეროვნულმა ნიჰილიზმმა იჩინა თავი. და ეს მოხდა იმიტომ, რომ ნაწილი ჩვენის ინტელიგენციისა, რომელიც ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში რუსეთის სარევიოლუციო ბრძოლაში გართული, მოსწყდა მშობლიურ ნიადაგს და ქართულ ცხოვ-

რების მიმდინარეობის გარეგან მეთვალყურედ გახდა. ნაწილი საზოგადოებისა აჩქარებულის ნაბიჯით ივიწყებდა თავის სამშობლოს ისტორიას და წარსულს. „არ ვიცი თუ სხვა როგორ ფიქრობს, სწერდა ილია, და ჩვენ კი ისე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“ („ივერია“ 1888 წ. № 17). „და თუ ამ სენმა საზოგადოებაში ფეხი მოიკიდა, ერის ბედი გადაწყვეტილია. ამისთანა ერს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არა აქვს. ამიტომ, რომ „რა იყო, ის დავიწყებული აქვს, და მაშასადამე, რა არის არც ის იცის. არ იცის, რა გაიმავროს, რისთვის გაიწიროს თავი, რას გამოესარჩლოს და რას არა. ფეხქვეშითდან გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა, იგი ტინი თავის ვინაობისა, რომელსაც ისტორია შეადუღებს ხოლმე მამა-პაპათა ნალეაწ-ნამოქმედარისაგან საშვილიშვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამაგრებლად“ („ივერია“ 1888 წ. № 237).

აი სწორედ მსგავსი ამგვარის მოვლენისა შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში ოთხმოციან წლებში. ამ მოვლენის გაგებისა და გარკვევისათვის ფრიად საყურადღებოდ მიგვაჩნია ერთი წერილი პროფ. ცაგარელისა, დაბეჭდილი შარშანდელ „სახალხო გაზეთში“. „გაზეთ „თემის“ № 29 მოთავსებული იყო, გვეუბნება პროფესორი, მოლაპარაკება ჩემთან სხვა და სხვა საგანზედ. სხვათა შორის მკითხეს, — რა აზრისა ვარ ჩვენს ახლანდელ მდგომარეობაზედ. ვატყობ რასმე წინსვლას და უკეთესობას ეხლანდელ ცხოვრებაში და აზროვნებაში, მე ვუპასუხე: ზოგიერთი ისეთი მოვლენაა ეხლა, რომელიც ადრე არ იყო მეთქი — როგორც ქართულ სიძველეთა შეკრება, მათი ღირსეულად დაფასება და ჩვენი წარსულის შესწავლა. მაგალითად მოვიყვანე ჩემი სტუდენტობის დროიდან ძველი ქართული წიგნების გაყიდვის საქმე... აი მოკლედ საქმე როგორ იყო. 1867—68 წლებში მე სტუდენტების ხაზინადრად ვიყავი და ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი ჩემი თანაშემწე იყო. რაც სტუდენტობის შემოსავალ-გასავალს შეეხებოდა მე და ნ. ყიფიანმა დაახლოვებით ვიცოდით ესა, მაშასადამე ქართული წიგნების გაყიდვის საქმეც, რადგან ეს ფული კასაში უნდა შემოსულიყო და კასის სახელით დახარჯულიყო იმაზე, რაზედაც სტუდენტების კრება გადასწყვეტდა. კარგა ხნის მოლაპარაკების შემდეგ სტუდენტობამ ამ ძველ წიგნების გაყიდვის საქმე ხმის უმეტესობით გადასწყვიტა (უნდა ვსთქვა, რომ

ეს ძველი წიგნები და ხელით-ნაწერები სტუდენტების ხელში ერთ ბატონიშვილისაგან გადმოვიდა — ა. ჯ.) შემდეგ შევიკრიბენით მოსალაპარაკებლად, თუ რა ფასად უნდა გავყიდი ეს წიგნები. კრებაში განაცხადეს, რომ ბრიტანიის ბიბლიის საზოგადოება იმდენ ფასს არ იძლევა, რამდენსაც ჩვენ ვთხოვთ (მგონია 400 მან.) მაშინ წამოდგა ნ. ყიფიანი და რიხით სიტყვა: არამც თუ 400 მ. ან 200 მანეთად უნდა დაეთმოთ, არამედ მუქთადაც უნდა გადავცეთ ამ საზოგადოებას, ან პირდაპირ ნევაში გადავყაროთ ეს ძველი ნაგავი, რადგანაც იგი ჩვენის ახალგაზრდობის განვითარებას შეაფერხებსო. კრების უმეტესობას კი სურდა გაეყიდა ეს წიგნები და ამ ფულით შეეძინა იმ დროის ახალი წიგნები: დარვინისა, ბოკლისა, მოლეშოტისა, ბიუხნერისა და სხვანი... ამ დროს წამოდგა მომცრო ტანის გამხდარი და უფერული ყმაწვილი, იმის წინად ციხიდან გამოშვებული — ეს იყო ვარლამ ჩერქეზიშვილი, და დაახლოებით ესა სიტყვა: ბატონებო! ეს წიგნები არ მინახავს, არც წამიკითხავს და ალბად ვერასოდეს ვერ წავიკითხავ, მაგრამ მათი გასყიდვის წინააღმდეგი კი ვარ. საამისოდ არც ზნეობრივი და არც იურიდიული უფლება არა გვაქვს. ეს წიგნები საერთოდ ქართველ სტუდენტობას აჩუქეს გამოსაყენებლად. მათი გამყიდველი კი შემომწირველის სურვილს არღვევს. ამას გარდა ეს წიგნები მთელი ჩვენი ერის კუთვნილებაა და ჩვენ, სტუდენტობას, მისი წართმევის უფლება არა გვაქვს. აი, მაგალითად, ჩეხებმა ამ ორმოცდაათი წლის წინად ერთი ძველი სახარება იპოვნეს, რომელიც მთელს ეროვნულს საგანძურს საფუძვლად დაედო. შესაძლოა ამ ძველმა წიგნებმაც ასეთივე სამსახური გაუწიონ ჩვენს ერსა და კულტურას. სტუდენტთა ბიბლიოთეკისათვის-კი ახალ წიგნების რამდენიმე ცალის შეძენა ამ ძველი წიგნების გაუყიდავადაც შეიძლება... კარგა ხანმა გაიარა და 1879 წ. ქუთაისში ვიყავი. იქ ერთხელ ბესარიონ ლოლობერიძემ სადილი გაგვიმართა და, სხვათა შორის, ნიკო ყიფიანიც მოწვეული იყო. შევხვდით ერთმანეთს, როგორც ძველი ამხანაგები და მეგობრები. სადილზე ყველას თანადასწრებით ნიკოს ვუთხარი, რომ დიდათ მასიამოვნა იმისმა წერილებმა ქართულ გაზეთებში შახ-აბაზის დროს სპარსეთში გადასახლებულ ქართველებზე, რომელთაც სამშობლო ენაც შეუნახავთ და ზოგიც ქართული-ქრისტიანული ადათი-ჩვეულება, აგრეთვე სხვა სიძველენიც. და ვკითხე, ნიკო, გახსოვს

სტუდენტობის დროს ძველი ქართული წიგნები ნევაში უნდა გადაგვეყარა-მეთქი. როგორ არ მახსოვსო, მიპასუხა, წარმოიდგინე, როდესაც ქართულ სიძველეზე მაშინდელ ჩემს აზრს გავიხსენებ, სირცხვილით ვწითლდებო. რასაკვირველია დიდის ზნეობრივის კმაყოფილებით მოვისმინე ეს სიტყვები. დარწმუნებული ვიყავი, რომ დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის შვილი ბოლოსა და ბოლოს არ უმტყუნებდა თავის მამის რწმენასა და მცნებას“... („სახალხო გაზეთი“ 1911 წ. № 368).

პროფ. ცაგარლის ნაამბობს რომ დაეაკვირდეთ, ბევრი რამ გახდება ჩვენთვის გასაგები. რუსეთის დიდ ცენტრებში მიდიოდნენ ჩვენი ახალგაზრდანი. ისენი ჭერ არ იყვნენ არც ეროვნულ კულტურულ ტრადიციებში აღზრდილნი, არც გაწვრთნილნი პოლიტიკურ-ეროვნულად. შორდებოდნენ უფერულ და წყვილიად მოფენილ ცხოვრებას და იქ, განათლების ცენტრებში ეწაფებოდნენ ახალ, უცნობს და მომხიბვლავ სიცოცხლეს. მესამოციანელების მიერ დაწყებული მუშაობის ნაყოფი ფართო საზოგადოებისათვის ჭერ კიდევ გარკვეულად არა სჩანდა და ჩვენებური ახალგაზრდა, ახალ პირობებში მოყოლებული, ხშირად სწყვეტდა კავშირს სამშობლოსთან. მით უმეტესად, თუ აქ, ახალ პირობებში ჰპოვებდა რაიმე საგმირო და დიდ საქმეს. ამგვარ საქმედ იყო იმ ხანებში ნაროდნიკული მოძრაობა, რომელმაც ჩაითრია ერთი ნაწილი ჩვენის ახალგაზრდობისა. ამის შესახებ ჩვენს „მესამოციანელებში“ უფრო ვრცლად გვქონდა ლაპარაკი და აქ უნდა ვსთქვათ მხოლოდ ის, რომ ზოგიერთ ჩვენს ახალგაზრდა ინტელიგენტს, შემდეგში სამშობლოში დაბრუნებულს, თითქოს დაეკარგა საზოგადოების ცხოვრების მიუდგომლად დაფასებისათვის. აქ მოხდა ერთგვარი ფსიხიური გარდაქმნა ადამიანისა, რომელმაც თავისი ახალგაზრდობა და გრძნობიერი ხანა სიცოცხლისა უცხო პირობებში გაატარა. და ამ უცხო პირობებმა ულმობელად მიაკრეს მას თავისი დალი. ჩვენ არ გვშურს, რომ ჩვენებურმა ახალგაზრდამ წრფელის გულით კარგს საქმეს, თუნდაც რუსეთისას, თავისი ძალღონე შეაღიოს, ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ გარდაქმნილი ფსიხიკა ჩვენი ახალგაზრდობის ერთის ნაწილისა ვერ შეეგუა ჩვენს ცხოვრებას, ვერ გაიგო მისი ჭირ-ვარამი და განზედ მაყურებლად დარჩა. და როდესაც ადამიანი თავის საკუთარ სამშობლოში მესამე პირის ადგილს იჭერს, ამ ადამიანისაგან ნულარ მოვლით მიუდგო-

მელ და სამართლიან მსჯელობას, რადგან თუ ადამიანი ემოციონალურად ქართველი არ არის, იგი ვერასდროს ვერ გაიგებს ქართველის სიხარულს და მწუხარებას, ქართველის აღფრთოვანებას და სასოწარკვეთილებას. არა, არა გეშურს, ვითხოვთ მხოლოდ სამართლიანობას და ამ სამართლიანობას არ ვხედავთ იმ ინტელიგენტთა ნაწარმოებში, რომელნიც მესამე პირთა სახით მსჯელობდნენ ჩვენი ცხოვრების შესახებ. ტიპური წარმომადგენელი ამ მიმართულებისა არის ავტორი «Письма о Грузии»-სა — ნ.დი. ნ-დს წრფელის განზრახვით კრიტიკული წერილების დაწერა უნდოდა ჩვენი ისტორიის და ლიტერატურის შესახებ, ხოლო მისდა უნებლიეთ, მან განოაქვეყნა ნაწარმოები ეროვნულ ნიპილიზმით შეუმცნობლად გამსჭვალული. და საყურადღებო გარემოება ის არის, რომ იმ ხანებში მართლაც უკვე მზადდებოდა ნიადაგი ქართულ ისტორიის კრიტიკულ და ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებისა, ხოლო ეს მოძრაობა მოხდა არა იმ გზით და იმ რეცეპტით, რომელსაც ჰქადაგებდა «Письма о Грузии»-ს ავტორი. ჩვენ ამის შესახებ ჰქვემოდ გვექნება ლაპარაკი. აქ კი უნდა ვსთქვათ, რომ ილია ჭავჭავაძე, რომლის გულში, როგორც მგრძნობიარე ბარომეტრში ჰაერის ცვლილება, ისე ისახებოდა ყოველგვარი მოძრაობა და მოქმედება მიმართული ეროვნულ ცოცხალ ორგანიზმის სიცოცხლის გასარკვევად, დასაცავად თუ დასამცირებლად, — ილია ჭავჭავაძემ იმ თავითვე სამართლიანი დიაგნოზი გამოთქვა და აღნიშნულ თხზულებაში ეროვნულ-ნიპილისტურ აზროვნების კვალი აღმოაჩინა. მან დასწერა ცნობილი „ი ისტორია“, სადაც შეეხო ნ-დის ისტორიულ შეხედულებას და მის ისტორიულ კონცეპციას. ამის შესახებაც ჰქვემოდ გვექნება ლაპარაკი და შემთხვევა გვექნება თვით ილიას ისტორიულ მსოფლ-მხედველობის გაცნობისა. ახლა კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ილია, საუბედუროდ არ შეეხო ყველა იმ საკითხებს, რომელსაც ახვდებით «Письма о Грузии»-აში. ამ წერილების ავტორი არჩევს „ვეფხისტყაოსანს“ და სციდილობს მიუდგომლად დააფასოს ეს ნაწარმოები, რომლის ღირსება, მისის აზრით, სრულიად დაუმსახურებლად გააზვიადეს ქართველებმა. საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველებს «Письма о Грузии»-ს ავტორის შეხედულება ამ საგანზედ, რათა უფრო ცხად ვყოთ ის აზრი, რომ საკმარისი არ არის საკაცობრიო იდეალებით გამსჭვალვა და კოსმოპოლიტური დროშის



აფრიალება ეროვნულ შემოქმედების განმარტებისათვის, ეროვნულ გენიას დაფასებისათვის.

ჩვენ არ შევეხებით აქ „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის თუ არა ორიგინალობის საკითხს. ვიდრე აღმოჩენილი არ იქნება ან სპარსული დედანი, ან ქართული თარგმანი სპარსული ამბისა, ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით, ვიდრე დამტკიცებული არ იქნება რომ რუსთველის სიტყვები — ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანევი... ვპოვე და ლექსად გარდაეთქვი და სხვა — რუსთველის კალამს არ ეკუთვნის, არამედ სხვისი ჩაკერებული და ჩამატებულია — ვიდრე ყოველივე ეს შესრულებული არ იქნება, უნაყოფო იქნება თავის მტერევა ამ საკითხის გამო. ამიტომ ჩვენ არ შევალთ იმის განხილვაში, თუ რა ფასისაა ბ. ნ. დ. მსჯელობა ამ საკითხში. გადავშალოთ პოემა და ვნახოთ, რა არ მოსწონს ამ ნაწერებში ჩვენს კრიტიკოსს. ბ. ნ. დ. იმ აზრისაა, რომ მე XII საუკუნის ქართველი საზოგადოება ფრიად განუვითარებელი უნდა ყოფილიყო. მას ისიც კი არ ესმოდა, თუ რა არის სიყვარული. ეს ასე რომ არ ყოფილიყო განა შოთა რუსთაველს დასჭირდებოდა სიყვარულის მცნების განმარტება და იმის თქმა, რომ „მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი, მიჯნურობა სხვა რამეა, არც სიძვისა დასადარი. იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვჯი“... და სხვა. ამ სიტყვებიდან აშკარად სჩანს, ამბობს კრიტიკოსი. „რომ გმირული წმინდა სიყვარული იმდენად არ ესმოდა იმ დროინდელ საზოგადოებას, რომ პოეტმა არამც თუ ვალად იღვა დაწვრილებით იმის განმარტება, თუ რა არის სიყვარული არამედ ამისათვის სიტყვაც კი ისესხა სპარსულიდამო“. (სიტყვა „მიჯნური“ „Съверный Вѣстник“, 1889 г., № 9, გვ. 55).

რაც შეეხება თვით თხზულებას, „იგი მეტად გულუბრყვილოა, აქა-იქ ბუნდოვანია, ნაძალადევი მსჯელობით (мудрствование) აქრიალებული და ეს მსჯელობა იმდენადვე გულუბრყვილოა ფილოსოფიურად, გულუბრყვილოა იგი ფსიხოლოგიურად“ (იქვე, № 10, გვ. 37). პოემის გმირები კი ავთანდილი და ტარიელი, ჩვენის კრიტიკოსის აზრით, „ტიპიური სწორხაზიანი გმირებია სიყვარულის კულტისა, ამდენად სწორხაზიანები, რომ მათ თითქოს არა აქვთ ზნეობრივი და საზოგადოებრივი მემკვიდრეობით მიღებული ტრადიციები. პოეტს საყვარელი ქალი უბძანებს, ასე თუ ისე მოიქე-

ციო, ისინიც შეურყევლად ასრულებენ ამ ბრძანებას, მათ გულში არ იზადება ნასახიცი ვალდებულობის გრძნობისა წინაშე სახელმწიფოსა, საზოგადოებისა, თუ კერძო პირისა“ (იქვე, გვ. 47). „რუსთაველი პოეტი შემომქმედი არ არის, განაგრძობს ჩვენი კრიტიკოსო, არამედ უფრო პროპაგანდისტი ახალის კულტისა (ქალისადმი სიყვარულისა). ამიტომ არის იგი ასეთი დოგმატიური. ასეთი ვიწრო სწორხაზიანი, ასეთი არა მგრძნობი ფსიხოლოგიურის ჰემმარიტებისა. და მისი მომქმედნი პირნი მკვდარნი და უსიცოცხლონი არიან, მიუხედავად იმისა, რომ სისხლს და ცრემლებს უხვად ღვრიან“ (იქვე, გვ. 48). ჩვენი კრიტიკოსი იმითაც არის აღშფოთებული, რომ ნესტან-დარეჯანის გულში ვერ პოვებს ვალდებულების გრძნობას საზოგადოების მიმართ. „ადამიანიო, ამბობს იგი, რა წრესაც გინდ ეკუთვნოდეს, სცხოვრობს და იწურთენება საზოგადოების მიერ დამყარებულ კანონების ატმოსფეროში“ (იქვე, გვ. 51). და ნესტან დარეჯანი და ტარიელი კი ამ კანონებს არ ექვემდებარებიან და არა სჩანს, რომ ანის გამო მათ სულიერ არსებაში რაიმე ბრძოლა ხდებოდესო. რაც შეეხება პოემის დაბოლოებას, რომელიც ათის წლის წვალებისა და განშორების შემდეგ, ნესტან-დარეჯანის და ტარიელის შეუღლებით თავდება, ბ. კრიტიკოსს ფსიხოლოგიურად შეუძლებლად მიაჩნია ამ გვარი დასკვნა. მაგრამ „პოეტმა ფსიხოლოგიური სიყალბე იხმარა იმ განზრახვით, რომ არ დაეშინებინა და მოემხრო თავისკენ საზოგადოება, რომლის წრეში იგი ახალი კულტის პროპაგანტისად გამოდიოდაო“. (იქვე, გვ. 52). თავი და თავი ის არისო, რომ საზოგადოებრივი იდეალები იმ დროინდელ საქართველოში დაბალ ღირებებისა იყვნენ, ამიტომაც არის, რომ რუსთაველის გმირები მართოდენ სიყვარულის კულტს ეძლევიან, ეძლევიან განუკითხველათ, როგორც მონები ავტომატები, რის გამოც მათ სიყვარულსაც ეცლება იდეალური ელფერი და იგი იქცევა უმსგავს პირუტყვეულ მცნებათ, რომელიც არავითარ ზნეობრივ ნორმას ანგარიშს არ უწევს. ხოლო ამ გმირების გოდება-წუწუნი არა მართო არ ბადავს თანაგრძნობას, არამედ სიცილს და ზიზღსაც იწვევს იმ მკითხველის გულში, რომელსაც არ დაჰკარგვია უნარი წაკითხვის გაგებისაო“ (გვ. 55).

ამგვარი აზრისაა „Письма о Грузии“-ს ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. თავის აზრის გამოთქმა ამ პოემის შესახებ მას

საჭიროდ მიაჩნდა, რათა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღო იმ თაყვანისცემისათვის, რომლითაც ეპყრობა ქართველი ინტელიგენცია შოთა რუსთაველს. ეს ინტელიგენცია. მისი აზრით, შებოჭილია პატრიოტული ცრუმორწმუნეობით და, ამ გრძნობებით გამსჭვალული, ადარებს რუსთაველს შექსპირს, დანტეს და სხვა გენოებს. რა-იც ყოველგვარ მართებულობას მოკლებულიაო. ამ გვარად თითქოს მიუდგომელ და სამართლიანის კრიტიკით მას სწადდა გამოფხიზლება პატრიოტულ ბურანში მყოფ ქართველ ინტელიგენციისა. თუ რა ხასიათისაა ეგ მიუდგომლობა და რა ფასისაა მისი კრიტიკული ალ-ლო, ამის ნიმუშები ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ. ჩვენ არ ვკითხუ-ლობთ კრიტიკულ განხილვას ამ ნიმუშებისას. მათი საექვო ღირსება იმდენად აშკარაა, რომ აქ სიტყვის გაგრძელება მეტია. ინტერეს მოკ-ლებული არ იქნება, მხოლოდ ის, თუ აქვე მოვიყვანეთ ზოგიერთი მოსაზრება ამავე საგნის შესახებ აკადემიკოს მარრისა, იმ ადამიანი-სა, რომელსაც გადამტერებული ჰყავდა დიდი ნაწილი ქართველ ინ-ტელიგენციისა ქართულ პატრიოტულ ისტორიოგრაფიაში ზეცნიე-რულ ნაკადის შეტანის განზრახვისათვის.

მარრის აზრით გმირული კულტის ელემენტები წარმართულ სპარსეთ-არაბეთიდან მომდინარეობენ, მაგრამ საგულისხმო ის არ-ის, რომ „მე XII საუკუნეში საქართველოში უკვე არსებობდნენ ის პირობები საგმირო კულტის განვითარებისათვის ლიტერატურაში. მომავალი გადასწვეტს იმ საკითხს, გარეშე გავლენის დამოუკიდე-ბლად აღმოცენდა ქართულ ნიადაგზე ქალთა კულტი, თუ იგი შე-მოტანილი იყო ეგზოტიურ: ყვავილივით სპარსულ ლიტერატურის ზედგავლენით“... (Текст и Разыскания, книга XII, Культура женщины и рыцарства в поэме, §9). და თუმცა მომავლი-სათვის გადაუდგია მარრს საბოლოო გადაწყვეტა ამ საკითხის, მაგ-რამ დღეს-დღეობით საჭიროდ მიაჩნია მაინც შემდეგის თქმა: „სა-ქართველოში არის და ძველ დროშიაც უნდა ყოფილიყვნენ ხალხუ-რი სიმღერები სიყვარულის შესახებ. და ბუნებრივია საკითხი, ამ სიმღერებს ხომ არ ჰქონიათ გავლენა ქალთა კულტის ლიტერატუ-რულ განვითარებაზე ქართულ განათლებულ საზოგადოებაში. ადვი-ლად შესაძლებელია, რომ სანამ ქართველთა გემოვნება უხვ საზრ-დოს დატკობისას და თავისუფალ განვითარებისას ჰპოებდა სპარ-სულ სალიტერატურო ფორმებში, იგი გემოვნება ქართულ ფეოდა-

ლურ ცხოვრების რომანტიულ ნიადაგზე აღმოცენებული შეიქრა მშობლიურ მწერლობაში და შეიტანა შიგ შინაარსი თუ არა, ფორმა მიანიც ხალხურ სააშოკო სიმღერებისაო“. (იქვე, § 11). რაც შეეხება იმ გმირულ მოტივებს, რომელნიც მოსჩანან „ვეფხის ტყაოსანში“, პატივცემულ პროფესორს ჰგონია, რომ აქ მხედველობაში მისაღებია ქრისტიანულ მეუღაბნობების ზედგავლენა. „ფეოდალურ ცხოვრების წესთან ერთად, რომელმაც შექმნა საქართველოში განსაკუთრებული გრძნობიერება იდეალურ სიყვარულისადმი და ქალთა კულტისადმი, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ იმ ხანებში მეუღაბნობა ფრიად გავრცელებული მოვლენა იყო საქართველოში. ეს იყო დაყუდება წმინდანების უღაბნოში და მათი „გაველურება“ ღმერთისადმი განუყოფელ და ყოვლად ძლიერ სიყვარულის... საეკლესიო წმინდანების მასწავლებლების და მსახურთა გვერდით წარმოიშენენ გმირობის წმინდანნი „მიჯნურნი“ ანუ „მიჯნუნნი“, უკეთურობით შეპყრობილნი, წინასწარმეტყველნი და პოეტნი სიყვარულისა. აქ ვხედავთ იმავე უარყოფას სოფლისას და განდგომას უღაბნოში, იგივე ზორციელებასთან ბრძოლა, იგივე მოსიყვარულე ურთიერთობა ნადირებთან, ხოლო ნაცვლად ამისა, რომ ყოველი მისწრაფება ამგვარი განდგომილისა ღმერთისაკენ ყოფილიყო მიმართული და მის განდიდებისაკენ, აქ გვაქვს საქმე საყვარელ ქალის კულტთან, ღვთაებრივად მშვენიერ ქალისა, მისი ზოტბა და ვაჟკაცობით და გმირობით აღსავსე სამსახური მისდამი. უნდა ვიფიქროთ, რომ ღმერთის კულტისაგან გარდასვლას გამშვენიერებულ ქალის კულტამდე, თავისი ისტორია უნდა ჰქონოდა ქართულ ნიადაგზე... ქართველებს უნდა განეცადათ ზნეობრივი გარდაქმნა წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ხასიათის სულიერ გახსნილობის დაუხმარებელი მარტოოდენ ლიტერატურის ზეგავლენით ქართველ საზოგადოებას არ შეეძლო წარმოეშვა თაყვანისცემლობა ქალისადმი, მით უმეტესად, რომ იგი საზოგადოება საქრისტიანო ეკლესიის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. საჭირო იყო ფსიხოლოგიური სიმწიფე. დიდი გზა უნდა გაეელოთ ქართველებს, სანამ თამარის დროინდელ ქალის კულტამდე მივიდოდნენ და აღიარებდნენ თავისუფალ სიყვარულს ქალისადმი, როგორც იმგვარ მოვლენისადმი, რომელსაც იგივე ფასი აქვს, რაც ძველებური კულტი ღმერთისადმი... (იქვე, §11). ნ. მარჩის აზრით სიყვარულის მცნება პირველ ხანებ-

ში სამარცხვინო მცნებად ითვლებოდა, ხოლო ის ხანა, როდესაც მან უკვე აღიღებდნენ, საზოგადოება უკვე განვითარებული უნდა ყოფილიყო. უბრძოლველად ყოველივე ეს არ მოხდებოდა. მებრძოლნი იქნებოდნენ და ამ ახალი აზრისათვის შესწირავდნენ თავიანთ თავს და მით გაასპეტაკებდნენ მიწიერ სიყვარულის მიმზიდველობას და ქალის ზნეობრივ სიმალლეს მკვიდრ ნიადაგს დაუღებდნენ.

აი, ამ აზრებით თუ ვიხელმძღვანელებთ, სრულიად ბუნებრივი და გასაგები გახდება ყოველივე ის, რასაც ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანში“ და ჩვენ „Письма о Грузии“-ს ავტორისავეთ აღარ ვუსაყვედურებთ თინათინს, ნესტან-დარეჯანს, აეთანდილს და ტარიელს საზოგადოებრივ ინსტიქტებს მოკლებული ხართო, გავიწყდებათ ვალდებულება სახელმწიფოსადმი და განუკითხველად უსაზღვროდ ექლევით სიყვარულის გრძნობასო. და რაკი ამას არ ვუსაყვედურებთ ჩვენ სასტიკ კრიტიკოსისავეთ აღარ დავინახავთ ფსიხოლოგიურ სიყალბეს შოთას შემოქმედებისას და აღარ მოვინდომებთ, ვითამდა მიუდგომლობის და მეცნიერულ ჭეშმარიტების გულისათვის, დამპირებას დიდის პოეტისა, ქართულ ძველ კულტურის საუკეთესო დამამშვენებელისა. ასეთია ნაყოფი ამ ყალბ მსჯელობისა, რომელსაც გაწყვეტილი აქვს კავშირი ეროვნულ კულტურის წყაროსთან. ლოლიკა მშრალი და უსიცოცხლო იარაღია, თუ რგი დაშორებულია მაცოცხლებელ და გამანაყოფიერებელ გრძნობას ეროვნულ შემოქმედებისას. კაცს აქ ცოდნა არ შევლის და რომ ეს ასეა ამას ჩვენ უფრო გარკვევით დავინახავთ, გავარჩევინებთ-რა ილია ჭავჭავაძეს „Письма о Грузии“-ს ისტორიულ მსოფლ-მხედველობას. ხოლო აქ ჩვენს წინ გადაიშლება არა მარტო სიბრუნდე გრძნობისა, არამედ ნაკლულევანება და სისუსტე ცოდნისაც.

ჩვენი კრიტიკოსი ქართველ ინტელიგენციას არ სწყალობს. კარჩაკეტილიაო, ვიწრო აზროვნებისაა. იმის მაგიერ, რომ წარსული შეისწავლოს, ამ წარსულის წინაშე თავყანისმცემლობასო. არც ერთი ყურადღების ღირსი შრომა არა აქვთ ისტორიის შესასწავლად. რაც დაუწერიათ უბრალო მასალათაც არ გამოდგება. რუსულ და სხვა ენებზედ ძალიან ცოტაა ამ ხასიათის მასალა. ამიტომ მკითხველი ნუ დაგვემდურებაო, რომ ვაძლევთ მხოლოდ იმას, რაც სხვისაგან მივიღეთო. („Съв. Вѣстник“, 1889 № 2). ამ კილოთი იწყობს თავის ისტორიის მოთხრობას ჩვენი ისტორიკოსი. ქართველებს

შეეძლოთ მისთვის ეპასუხნათ: მართალი ბრძანებაა, ჩვენ უვარგის-ნი და არაფერში გამოსაყენებელი არა ვართ, მაგრამ, ბატონო კრიტიკოსო, იქნებ ეს მოხდა იმიტომ, რომ თქვენისთანა ნიჭიერი აღარ მოგვეყარა: თქვენი ძალ-ღონე აქ რომ დაგეხარჯათ, დღეს იქნება საფუძვლიანი შრომებიც გვექონოდა და არც ისე დაბნელებული იქნებოდა ჩვენი გონება. ილია მოერიდა ამ თავდაბლობის გზას, ამის ღრსად არ ჩასთვალა კრიტიკოსი და მისი აზრების შიგნეულობის გასინჯვისათვის დასწერა თავისი საყურადღებო „აი ისტორია“.

თავდაპირველად გამოაშქარავდა, რომ „Письма о Грузин“-ს ავტორი დაინტერესებული იყო შემდეგის ისტორიულის საკითხით: „საქართველოს ერი მართლა დაბერდა, დაიცალა თავის ღონისაგან, თუ ჯერაც დღეს აქამომდე არ დაუწყვია სრული, ინტენსიური ცხოვრება და შეუწახავს თავისი ძალღონე მერმისისათვის. თუ ჩვენ-მა წერილებმა ამ ძირულს და თავ-და-თავს საკითხს საკმაოდ ცხადი პასუხი მისცა ჩვენ ჩვენს განზრახულს საგანს შესრულებულად ჩავსთვლით“ (Съверный Вѣстник“, № 3, გვ. 57, 1888 წ.). „აშქარაა, ამბობს ამის გამო ილია, ავტორს ცოტად თუ ბევრად, უწვალებია უკვე... და ბევრისაგან დამტყუნებული აზრი დრეპერისა იმის თაობაზედ, რომ ერსაც, როგორც თვითეულს ცალკე ადამიანს, თავისი ასაკები აქვს: ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა, ვაჟკაცობა და ბოლოს სიბერე, რომელსაც სიკვდილი მოსდევს აუცილებლად... ჩვენ ავტორსაც ეს აზრი უნდა ჰქონდეს, როცა თავის თავს ჰკითხავს, — დაბერდა საქართველოს ერი, თუ არაო... ან რა აზრი აქვს ერის სიბერეს? რას გვიქვიან ერის სიბერე?... თუ ბევრი მაგალითია ისტორიაში, რომ ერი სრულიად აღგვილია დედა-მიწის ზურგიდამ, სიბერეს კი არ აბრალებენ ეხლანდელი მეცნიერნი, არამედ შინაურ საქმეთა მოუწყობლობას, ურიგობას და გარეშე მიზეზებს, მაგალითად, მტერთან ძლევისა, აკლებასა და აოხრებასა“... ამის შესახებ ბევრი რამ დაწერილა და ილიას უკვირს „რომ ავტორს, ვითარცა კაცს ისე თი ჭეჭა-ქუხილით მოუბარს „о свободномъ и широко-любомъ потоку свѣта и знанія, о связи с могучимъ, глубокимъ родникомъ общечеловеческой мысли“ (ავტორის სიტყვებია), ზურგი შეუქცევია იმ потоку-სათვის და იმ родникъ-ისათვისაც და, არამც თუ რაშიმე გამოუყენებია, ყურიც არ უთხოვებია“... სიბერე ერისა, ილიას ფიქრით, უქმი სიტყვაა, ამიტომ მეტიც არის კაცმა ეს უქმი საგანი იძიოს.

მაგრამ ეს მეორე საკითხი რაღა არისო... „დაიცალა ქართველი ერი ღონისაგან (?), თუ დღეს აქამომდე არ დაუწყვია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავის ძალღონე მერმისისთვის“. „დღეს აქამომდე გვეგონა, ამბობს ილია, ხსნა ერისა სწორედ მაგ ინტენსიურ ცხოვრებაშია და, თურმე ნუ იტყვით, დასარჩომი ფონიკი სწორედ ეგ ინტენსიური ცხოვრება ყოფილა; ღონისაგან არ დაცლა, ღონის შერჩენა ხომ ბედნიერებაა და, მაშასადამე, ბედნიერი ისა ყოფილა, ვინც ინტენსიურ ცხოვრების მაცდურებას არ აპყობდა, მისგან არ გაბრიყვებულა და ღონე შეუნახავს მერმისისათვის... გაგონილა ასეთი სასაცილობა: გაგონილა ასეთი მოთხრობა და გაბიაბურება ისტორიისა! ჰოი, ПОТОК-ო СВѢТА И ЗНАНИЯ, ჰოი, РОДИНИК-ო ОСНОВАТЕЛЬНО-ЧЕСКОЙ МЫСЛИ! რაზე უ გაცუდენე ძალნი თქვენნი მომჯაღოებელნი!“.

ილია უღმობელი პოლემისტია. თუ ჩააფრინდა ვისმეს, ხელიდამ ადვილად ვერავინ გამოუძვრება. და თუ ამასთან საგანი პოლემიკისა ისეთია, რომ ამა თუ იმ სახით კავშირი აქვს ეროვნულ საკითხთან, ილიას სტილი და სიტყვა მკაცრ და სასტიკ ელფერისა ხდება. „აი ისტორიის“ პოლემიკური კილო ამ ხასიათისაა.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ „Письма о Грузии“-ს ავტორი კიცხავს ქართველ ინტელიგენციას, კარი ჩაუკეტნია და საკაცობრიო იდეალებისათვის ზურგი შეუქცევიაო. თუ ეს ასეა, ავტორი, ილიას აზრით, თანახმად მისის თეორიისა „არ უნდა უწყობოდეს ჩვენებურ ინტელიგენციას იმისთვის, თუ თავისი დედა-აზრი, თავისი მოძღვრება ღონის შენახვაზედ მართლა სწამს. ავტორს წყრომის მაგიერ უნდა გახარებოდა, რომ ჩვენებური ინტელიგენცია მისის რეცეპტით ირჩება ამ შემთხვევაში. ღონეს ინახავს მერმისისათვის და ამიტომაც თავი შეუკეტნია, რომ კაცობრიობის „ინტენსიურმა აზრიანობამ“ ღონე არ შემოახარჯინოს“. ამ ხასიათის რეპლიკებით იგერიებს ილია ახლად მოვლინებულის ისტორიკოსის ამაყობას. რაც შეეხება თვით ისტორიას, რომელსაც გვაწვდის „Письма о Грузии“-ს ავტორი, იგი, როგორც ვიცით თვით ავტორის სიტყვებიდან, ფრიად მკირე და უმნიშვნელო მასალებზეა დამყარებული და ამის გამო ილია ამბობს: სჩივის მასალა და წყარო არა მქონდარაო, სჩანს არაფერი მიუღია და ნურას უკაცრავად თუ არაფერს გაძლევთო. ჩვენ კი ასე გვგონია, რომ თუ ჩვენი ისტორიის დასაწერად არაფერი არ მიუღია, რადგანაც ამისათვის თითქმის არც მასალა ჰქონია,

არც წყარო, არც უნდა ხელი მიეყო ისტორიის წერისათვის. ლოლიკაც საქმისა ამას ითხოვს, რადგანაც „არა რისაგან არ იქმნების არარაიცა“. მაგრამ ჩვენი ავტორი არ დრკება და მაინც სწერს ისტორიას. და დასაწყისშივე დიდ უცოდინარობას იჩენს ქართველთა ტომის პრეისტორიულ ხანის შესახებ. მას მხოლოდ ისა სცოდნია, რომ მოსე წინასწარმეტყველი მეცამეტე საუკუნეში ქრისტეს წინ იხსენიებდა მოსიკებს და ტუბალებს. სხვა რამ მცნება მის ისტორიაში არ მოიპოვება. ასე რომ, იგი იწყებს ქართველთა ისტორიას იმ დროიდან, როდესაც ქართველთა ტომები ირანს შეეყრებიან და მის ზეგავლენას განიცდიან. რაც შეეხება ასურეთს და მის კავშირს ქართველთა ტომების ისტორიასთან, ავტორმა არამც თუ არა იცისრა, გადაჭრითაც ამბობს, რომ ქართველი ტომი არასდროს არავითარ დამოკიდებულებაში ასურ-ბაბილონთან არა ყოფილა. ასე რომ ქვეყნადაც დიდი მასალა ეძლეოდა ხელში ამ ხასიათის ისტორიის გასაბათილებლად. მაგრამ თავის კრიტიკაში ილია ყოველთვის არა სდგას ქემშარიტების ნიადაგზედ, თუმცა ინტუიციით მისი აზრი დასტრიალებდა იმ ჰიპოტეზას, რომელსაც მეცნიერება დღეს აღიარებს ქართველთა პრეისტორიულ ხანის ბინადრობის შესახებ. ქვეყნადაც მეტად გატაცებულია რაულსონის, ტალბუტის, ლენორმანის და სეისის ჰიპოტეზებით, რომელნიც ვანთან ნაპოვნი ლურსმულ ნაწერების წყალობით იმ აზრს ადგენენ, რომ ქართველების უძველესი ბინადრობა არშენია ყოფილა, ე. ი. ვანის ტბისა და არარატის შთის მიდამო ადგილები. ქვემოთ, როდესაც გვექნება საუბარი ენის შესახებ, ვიტყვით, რომ დღეს მეცნიერება ცოტა არ იყოს ეჭვის თვლით უყურებს ამ ხასიათის კატეგორიულ მტკიცებას და რომ ქვეყნადაც არ იყო მართალი თავის გადაჭრილ პასუხში. ხოლო ის კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენს მწერალს კარგად გაცნობილი ჰქონდა ასურულ წარწერების შინაარსი და ამ ცოდნის წყალობით იგი ვარაუდით აღიარებდა იმას, რაც დღეს მიუცილებელ ქემშარიტებად არის აღიარებული. „მე XII საუკუნეს, ამბობს ილია, თუგლათ-პალასარი I იხსენიებს „მუსკაებს“, იგივე. მოსხებია, აგრეთვე ასურ-ნაზირ-აბალი მე-IX საუკუნეში, თუგლათ-აბალასარი II — „თუბალებს“ და ბოლოს სინაქერიბი და ასურ-ბანაბალი — „ქალდუ“, რომელიც ვინ იცის იქნება ჩვენი „ქართლიც“ გამოდგეს. თუმცა ამას ჩვენ მარტო ჩვენ ვარაუდობთ და დიდი სიფრთხილითაც ვახსენებთ“. რო-



გორც ვხედავთ, ჭავჭავაძემ ისტორიული ალლო გამოიჩინა და სთქვა ის, რაც დღეს საცილობელი აღარ არის. ქალღეა და კაბადოკია მართლაც მიჩნეულია ქართველთა უძველეს სამშობლოდ და სწორედ აქედან იწყება ჩვენი ხალხის ისტორია, რომელსაც ირანის შეხვედრამდე თავისი ღირსება და მნიშვნელობა ჰქონდა. „Письма о Грузии“-ს ავტორისათვის ყოველივე ეს უცნობი ხილი იყო. და ამ უცოდინარობის გამო ავტორი ამტკიცებდა, რომ მსოფლიო ისტორია ქართველ ტომებს არ იხსენიებდა იმ ხანებში. არ იხსენიებდა ალბად იმიტომ, რომ ქართველნი ტომნი უმნიშვნელონი და ჩასათვლელნი არ ყოფილანო. მაგრამ არც ისტორიულ ხანაში ყოფილან მაინც და მაინც დიდი ყურადღების ღირსნი ჩვენი ისტორიკოსის მიერ ათვალწუნებულნი ქართველნი. ფარნავაზია თუ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თუ თამარი — ყველა ამათ შესახებ შურს მართლის თქმა. ჰო, იყვენო, მაგრამო და სხვა. ეს „მაგრამ“ ყოველთვის თან სდევს უღმობელ კრიტიკოსის დახასიათებას საქართველოს ისტორიულ პირებისა. ასე, მაგალითად, დავით აღმაშენებლის შესახებ ამბობს, ვითამც წერა-კითხვა ძლივს ძლივობით სიბერის დროს შეესწავლოს. და ილია აღმწოთებულია ამ გვარის უსამართლო მოსახრებით. „კაცი, ამბობს იგი, რომელიც წიგნს თვალიდან არ იშორებდა მაშინაც, როცა საომრად და სანადიროდ დადიოდა და ამის გამო კინალამ საშინელ განსაცდელსაც არ შეემთხვია თბილისის პირას, როცა არაბებს ჩაუსაფრდა, კაცი რომელმაც სომეხთა სამღვდელონი გააკვირვა თავისის ცოდნითა და მწიგნობრობითა, კაცი, რომელმაც ღირს შესანიშნავი ფსალმუნები დასწერა და რომელიც ავტორისავე სიტყვით ქართველ ყმაწვილობას გზავნიდა სამეცნიეროდ ათონს, ეს კაცი სიბერემდე უვიცი იქნებოდა წერა-კითხვისა?“ თამარი? თამარი განთქმული იყო, მაგრამ მისი ხანა უფრო ზნეობრივ გახრწნილების ხანად ჩათვლებო. ამის დასამტკიცებლად „Письма о Грузии“-ს ავტორს ის მოჰყავს, რომ სამხრეთისაკენ უთავბოლოდ იწვედა და უმიზნოდ ომს აუტეხდა ხოლმე მეზობლებსო და აგრეთვე ის, რომ აუარებელ სრა-სასახლეებს და ტაძრებს აშენებდა და რომ ამაში დიდი ფული იხარჯებოდაო. ამის შესახებ ილიას „ისტორია“-ში ვკითხულობთ: „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ზვედრია მართო ჩინებულ კაცებისა. და ჰუმბარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ ამ დროების ქერქში

უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების "შვილნიცა". თამარი სიბრძნეს იჩენდა, რომ სამხრეთის საზღვრების გამაგრებას სცდილობდა, ქართველებს ამ მხრივ გამაგრება რომ მოესწროთ, ქართველების ბედი სხვანაირად დატრიალდებოდა, სამართლიანად ჰტიჟრობს ილია. მაგრამ ილია არ აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ თამარის დროს მხედრობაში მართლაც არსებობდა მილიტარისტული და პრეტორიანული განწყობილება და რომ მართლაც ზოგიერთ შემთხვევაში ამ მილიტარისტულ განწყობილების წყალობით აუტეხდნენ ხოლმე ბრძოლას მეზობლებს. რაც შეეხება ტაძრების გამრაელების საქმეს ილია ამბობს: „ჩვენ რა თქმა უნდა ჩვენს ხუროთმოძღვრებას საქვეყნო მნიშვნელობას არ ვაძლევთ, მხოლოდ ვამბობთ, რომ ერს შეხვდება ხოლმე დრო, როცა მონასტრებისა და ტაძრების შენებით წყურვილს სულისას იკლავს ხოლმე. ეს საპატიო წყურვილია, იმიტომ რომ სათავე წარმატებისა ეს წყურვილია და სხვა არარა“.

მორიგ საკითხთა შორის „Письма о Грузин“-ს ავტორი შეეხო ქართული ენის ისტორიას და საზოგადოთ ენათ მეცნიერებას. აქაც, როგორც სხვა საკითხთა დარგში, იგი საკმაო უცოდინარობას იჩენს და ემხრობა იმ ჰიპოტეზას, ვითამც „ქართული ენა“ თუმცა თვალსაჩინოთ განირჩევა არიულ, სემიტურ და თურანულ ენებისაგან, მაგრამ ზოგიერთ მუხლში ნათესავობაც აქვს ამ ენებთანო. (ქმ 2, გვ. 58—59). ავტორის აზრით განირჩევა იმითი, რომ არიულს ენებს — ორასოიანი ფესვი აქვთ, სემიტურს — სამასოიანი, ქართულს კი — ორასოიანიც, სამასოიანიც და ერთასოიანიცო. ჰავ-ჰავაძე არღვევს ამ დებულებას. „ყველა ამ ენებშია ერთასოიანი ფესვი, ორასოიანიც, სამასოიანიც, ოთხიანიც და მეტიანიცო“. არიული, სემიტური და ქართული ენები ფესვის ასოთა რიცხვით არ განირჩევიან ერთ ერთმანეთისაგანო. რაც შეეხება ქართულ ენის ადგილს სხვა ენათა შორის, ილია ემხრობა გატტერიასის აზრს, რომელიც ამტკიცებდა, „რომ მომეტებული ნაწილი ქართულ სახელ არსებითისა და ყველა იმის ფესვთა ეკუთვნის განსაკუთრებულ გვარსა, რომელსაც ჩვენ „ქართულ გვარს“ ვუწოდებთო“.

უნდა ვსთქვათ, რომ ენათ მეცნიერება ამ აზრზედ არ დამდგარა. ამ საკითხს ეხლა თავისი ისტორიაც აქვს. საყურადღებო ის არის, რომ ევროპიელი მეცნიერნი, უცოდინარნი ქართულ ენისა,

მსჯელობენ ამ მათთვის უცოდინარ ენის შესახებ. ამ მხრივ აკადემიკოსს მარის დიდი უპირატესობა აქვს სხვებთან შედარებით. ხოლო ბ. მარის აზრით ქართული ენა სემიურ ჯგუფის მონათესავე ენაა. ქართული თავის ენა კილოკავებითურთ, სუზის ენა, ვანის ლურსმულ წარწერების ენა და თავდაპირველ სომხური ენა, მარის აზრით, უუძველეს დროს ერთ ვრცელს ენათა ჯგუფს შეადგენდნენ. (პროფ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველ ერის ისტორია, გვ. 18). ამ პიპოტეზის გამარჯვებას უქადიან ენათ მეცნიერებაში, თუმცა აქაც, ზოგიერთი საგანი საბოლოოდ დამტკიცებული არ უნდა იყოს. ვანის წარწერების ენის შესახებ, მაგალითად, რომელიც ლენორმანმა ქართულს შეადარა, ჯერ ხნობით გადაჭრით არ ითქმისრა. პროფ. ჯავახიშვილის ისტორიაში ვკითხულობთ: „თავდაპირველად ძველ ქართულ მწერლობის ენისა და ყველა ქართულ ენა კილოკავების მიხედვითა და სემიურ ჯგუფის ენათა შედარების საშუალებით ქართულ ენის უძველესი სახე უნდა აღდგენილ იქნეს, და თუ ამის შემდეგ ვანის წარწერების ენას მკვლევარი ქართულს შეადარებს, მხოლოდ მაშინ შესაძლებელია გამოკვლევამ ნაყოფიერი შედეგი მოიტანოს“. (იქვე, გვ. 58—59).

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ „Письма о Грузии“-ს ავტორს. ქართული ენა განუვითარებელი ენა არისო, ეხლანდელი ქართული ცოტად არის განსხვავებული ძველ ქართულისაგან. დღესაც გვესმის ძველი მწერლების ენაო. ამასთან კრიტიკოსი იმ აზრისაა, რომ ქართველებს ქრისტიანობამდე ხმოვანი ან-ბანი არ უნდა ჰქონოდათ, რადგანაო ეს წინააღმდეგი იქნებოდა ხალხთა განვითარების კანონებისა და აი რატომაო: „ქართული მხედრული ან-ბანი ხმოვანი ან-ბანია, უძველესი ძველი ხმოვან ანბანისა-კი (სიღონთან ნაპოვნი მეფე აბმანცორის საფლავის ქვის წარწერა) მეორე საუკუნის 7 წ. ხანას ეკუთვნის, მაშასადამე ქრისტეს წინ მესამე საუკუნეში ქართველებს არ უნდა სცოდნოდათ ხმოვანი ანბანის წერა-კითხვაო“. (№ 3, გვ. 49).

ენის განუვითარებლობის შესახებ ილია უპასუხებს: „ვგონებ, თვალსაჩინოდ და სწრაფად იცვლებოდეს ჯერ არ დადუღებული, არ დასრულებული, არ დამთავრებული ენა, როგორც ყველაფერი, რაც კი ორგანებურ ზრდას ექვემდებარებაო. ბავშვი უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე დავაჟაკებული ადამიანი. ხოლო იგი ენები, რო-

მელთაც უკვე მიუღწევიათ იქამდე, რომ თავისი ლიტერატურა აქვთ, თავისი მწერლობა, უფრო ძლიერ უნდა ეურჩებოდნენ ცვლილებას, ესე იგი ახალის რისამე შემოღებას, რადგანაც ლიტერატურა, მწიგნობრობა, ანუ როგორც ტელიორი ამბობს, სკოლის მასწავლებელი და სტამბა ძლიერ ინახავენ სიტყვებს და ერთხელ და ერთხელ დადგენილ ფორმებს. ველური ენა უფრო უღონო უნდა იყოს ამ შემთხვევაში. იგი უფრო ადვილად მოძრავია... ამიტომ ავტორის სიტყვები, რომ თუ ქართულს ენას სრული და სწრაფი წარმატება ჰქონებოდა, ახალს განსაკუთრებულს რასმე თვისებას შეიძენდაო, არას გზით კეუაში მოსასვლელი არ არის და უგულო ნაქუქია“.

რაც შეეხება ხმოვან ანბანის საკითხს, ილია ავონებს გულმავიწყ ავტორს, რომ იგი ანბანი ჯერ კიდევ ეგვიპტელებს ჰქონდათ, ამთგან გადავიდა ფინიკიაში და ფინიკიელებმა მთელს ქვეყანას მოჰფინესო. მაშ „ჰეროდოტე, თუკიდიდი, სოფოკლი, პინდარი და სხვანი რომელ ანბანით სწერდნენ, ალბათ იეროგლიფებით, იდეოგრაფებით და ლურსმულითაო! შეიძლება ქართველებს არ ჰქონდათ მე-III საუკუნეში ხმოვანი ანბანი, ხოლო ამის დასამტკიცებლად რაიმე სხვა საბუთია საჭირო და არა რაღაც „მსოფლიო განვითარების კანონიო“.

მოგეხსენებათ, მეცნიერმა უსლარმა სთქვა, ქართული ანბანისთანა სრული და სავსე ანბანი არავის აქვს ქვეყნიერებაზედაო. ეს ქება, ილიას სიტყვით, ჩვენს ავტორს თითქოს გულში ეკლად სცემია. უსლარის აზრი ადასტურებს ჩემს ნათქვამს ქართულ ენის განვითარებლობის შესახებ: „მეტის სიჩქარით და სისრულით რომ განვითარებულიყო იგი ენა, ამბობს კრიტიკოსი, მაშინ მსგავსად სხვა ენებისა, უსათუოდ ახალი თვისებანი გაჩნდებოდნენ, მაგალითად, სრული ხმოვანი ასოებიო (№ 3, გვ. 50). ილია უპასუხებს: „რატომ რთულ ხმოვანი ასოები არ გვაქვსო, გაგონილა! თუ ენას არ ეჭირვება, რად უნდა ტყუილ უბრალოდ ის რაღაც რთულხმოვანებია!“ სხვა ენის სიტყვების დასაწერად და გამოსათქმელად თუ? თუ ესეა, ეს რა თავში საცემია ქართულის ენისათვის, რომელსაც იმდენი და ისეთი ხმოვანი ასოები აქვს ანბანში, რამდენიც და როგორიც საჭიროა მისთვის. თუნდ ესეც არ იყოს, რა საბუთია ენის წარმატებისა და განვითარებისა რთული ხმოვანება. ან რა არის ეგ რთული ხმოვანები? ამისთანა ტერმინი ჩვენ არსად შეგვხვედრია. მეცნიერებაში

ზმარობენ ამისთვის სულ სხვა ტერმინს, სახელდობრ, ორკეცო, ორმარცვლოვანი ხმოვანიო (двусложная), თუ ორკეცი, ორმარცვლოვანი ხმოვანი ნიშანია წარმატებულობისა და განვითარებულობისა, მაშ ესტონური ენა ძალიან განვითარებული და წარმატებული უნდა იყოს, რადგანაც ცხრა ხმოვან ასოთა შორის ბევრი ორკეცი ხმოვანიც აქვს. ამაზე უკეთეს მაგალითს წარმოადგენს პოტენტოტების ენა, რომელსაც თორმეტი ორკეცი ხმოვანი აქვს. მაშ ჩვენის ავტორის თეორიით, პოტენტოტების ენა დიდად წარმატებული და განვითარებული უნდა იყოს, რადგანაც ამოდენა ორკეც ხმოვანს ვერა ევროპიული ენა ვერ წარმოადგენს“... „გაგონილა? გაგონილა ასეთი ლაგამ წამოყრილი ლაპარაკი სამეცნიერო საგნებზე? ცხარობს ილია, აქ რა არის თუ არ ბალღური დაჟინება, რომ კრიტიკა მართო მაშინ არის კრიტიკა, როცა სწუნობს რასმე, თუნც საწუნარიც არ იყოს. ან რაზედ შეშურდა, რომ საწყალ ქართველებს ეს ერთი რამ მაინც უქქეს ევროპიელებმა, და ეს ერთად ერთი მაღლი შატლად რაზედ გადაგვიქცია. ასე იცის განგებ აკვიატებულმა აზრმა, უფიცობაზედ შემჯდარმა: გინდა თუ არა, სურს გადალაზოს ყოველივე ქართული და ამისათვის კარგსაც ცხვირში ძმრად გვადენს, მერე ისე, რომ ტყუილს ყველგან კუდი გარედგან რჩება. ესეც კია, ჩვენი მართალი და მოსაწონი ანბანი რომ ექო, რას ეტყოდა ავტორს ჩვენი აკადემია ბულვარისა, — ეგ რაღა „отрицание“ და კრიტიკაო, თუ კი ქება და მოწონება წამოგცდებოა“.

შორს წაგვიყვანს ყველა იმ საკითხების აღნუსხვა, რასაც კი შეხებია ილია თავის „აი ისტორიაში“ ბ. ნ-დ-თან პოლემიკის დროს, ზოლო სამთავროს სასაფლაოებს კი უნდა შევეხოთ ორიოდ სიტყვით. „Письма о Грузии“-ს ავტორი სამთავროს სასაფლაოებს იგონებს იმ განზრახვით, რომ აქ აღმოუჩენია კვალი ქართველების კაცის-მჭამითობისა. იქ ემყარება საეკვო მეცნიერის ბაიერნის გამოკვლევას. ამ ბაიერნს სამთავროს სასაფლაოებში ერთმანეთში არეული და გამოხარშული ძვლები უნახავს და აქედგან დაუდგენია, რომ მე-X საუკუნეში ქ. წ. ქართველები ანთროპოლოგები იყვნენო. „სამთავროს სასაფლაოების გათხრა, ამბობს ბ. ნ-დ-ნი, არა სწყვეტს ქართველთა ჩამომავლობის საკითხს, ზოლო გვიჩვენებს, რომ მე-X საუკუნეში ქ. წ. ქართველები ანთროპოლოგები იყვნენ და აღიარე-

ბდნენ ელემენტარ რელიგიასაო“. (№ 2, გვ. 64). „რომ სამთავროს სასაფლაოების ხანაში მართლაც არსებობდა კაცის-მჭამიობა, განაგრძობს იგი, ეს გარემოებაც ადასტურებს, რომ საფლავეში ნაპოვნი ძვლები, როგორც ადამიანისა, ისე პირუტყვისა, გამოფიტულნი იყვნენ და სიმსუქნე არა ჰქონდათ (лишены студени) ამ გარემოებამ აფიქრებინა ბაიერნს, რომ იმ ძვლებს ხარშავდნენო“. (იქვე, გვ. 61). ქართველების კაცის-მჭამიობა „ქართლის ცხოვრებითაც“ მტკიცდებო. იქ ვკითხულობთ: კორსანელთა ჰმართებთ კოდმანელთა ხუთი მკვდარიო.

ილია არ უარჰყოფდა იმ გარემოებას. რომ ქართველები სხვებსავე უფველეს დროს ანთროპოფაგები ყოფილიყვნენ. ხოლო უკვირს, რომ ამის დასამტკიცებლად ასეთი უცნაური საბუთი მოჰყავს „Писма о Грузин“-ს ავტორს. ილია გრაფ უვაროვს და ტიზენგაუზენს იმოწმებს და თანახმად უვაროვის შრომისა „Взгляд на Мухетскій могильникъ“, აღიარებს, „რომ ის საფლავეები საცა ბაიარნს რამდენიმე კაცის ძვლები ერთმანეთში არეული უნახავს, საოჯახო სამარხნი ყოფილან“.. რაც შეეხება გამოხარშული სიმსუქნეს, გამოფიტულ ძვლებს, ილია ოხუნჯობს: „ქართველებს იმ დროს ძვლები უხარშავთ და ბულიონი უკეთებიან, თორემ ის რაღაც „студень“-ი ძვლებში ჩამდგარი სინსუქნეა, რომელიც გამოხარშვით გამოიწვება ხოლმე, და მერე, როცა გაცივდება, შეთეთრდება და უილეს მსგავსათ დადგება, ეს არ შერჩენიათო ადამიანის ძვლებსაო, მამასადაძმე, ქართველებს ეს ძვლები უხარშავთ და აქედან ადვილი მისახვედრია, რომ ადამიანის ხორცის მჭამლები ყოფილანო. ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო, სწორედ ჩვენ ავტორსა და ბაიერნზე ითქმისო“. „ქართლის ცხოვრების“ მოწმობა, რომ კორსანელთა ჰმართებთ კოდმანელთა ხუთი მკვდარიო? „განა ახლა კი არ ამბობენ, მაგალითებრ, მთიულები, საცა სისხლის აღება ჭერ გადავარდნილი არ არის, რომ ჩვენი მკვდარი ამა დ ამ თემსა ჰმართებო. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ თემს მეორის კაცი მოუკლავს და ჭერ არ აუღიათ ამ სისხლის ფასიო“. ყველა ამასთან ჰავჭავაძეს ისიც დაემატა, რომ სამთავროს უძველეს საფლავეებში ნაპოვნი ნაშთების შესახებ მეცნიერება იმ აზრზეა დამდგარი, რომ ეს ნაშთები ქართველებს არ ეკუთვნიან. საქმე ის არის ქართველები ეგრედ წო-

დებულ ბრახიკეფალების შტოს ეკუთვნიან (თავ მოკლეებს). ხოლო სამთავროს სასაფლაოებში ნაპოვნ თავების გაზომვამ დაამტკიცა, რომ აქ დამარხულები დოლიხოცეფალები ანუ თავგრძელები იყვნენო. ეს, სხვათა შორის, ერთ-ერთი საბუთია იმ დებულებისა, რომ თავდაპირველნი მცხოვრებნი კავკასიისა ქართველები არ ყოფილან.

სიტყვა გაგვიგრძელდა და აქ შეეძგეთ. ილია მოგვევლინა აქ როგორც მდევნელი ცრუ მეცნიერულ აზრისა. მართალია დღევანდელი ისტორიოგრაფია გაფრთხილებით მოეკიდება ილიას ზოგიერთ კონცეპციას — ამის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, — მაგრამ, ეჭვი არ არის, ჩვენმა მწერალმა სამართლიანი ალლო აულო თავის მოპირდაპირეს და მის ნაწერებში იპოვა და ნახა გამოძახილი ქართველ საზოგადოებაში უკვე ფესვმოკიდებულ ეროვნულ ნილილიზმისა. და ჩვენის აზრით „აი ისტორიას“ სწორედ ამ მხრივ აქვს დიდი მნიშვნელობა. აქ ეროვნული შემოქმედება ომს უცხადებს ეროვნულ ნილილიზმს. მართალია იმ ხანებში ქართული ისტორიოგრაფია უკვე ორ შტოდ იყოფებოდა და მეცნიერული ნაკადი შეებრძოლა „პატრიოტულს“, მაგრამ „აი ისტორიის“ წარმოშობის ფსიხოლოგიური საფუძველი აქ არ არის. იგი სხვა წრეშია. „აი ისტორია“ პროტესტია გადაგვარებულ აზროვნების წინააღმდეგ, იგი ეროვნულ სიცოცხლის ძახილია. აქ ჰფეთქავს მხურვალე გული, რომელსაც ისრად ხვდება ნიღაბაფარებული უსამართლო მსჯავრი, — გული სადაც ასე ღრმად არის დამკვიდრებული სევდა და კაეშანი და საიდამაც გარეგნულად მკაცრი და მწარე დაცინვა-ღამოისმის. „აი ისტორია“ გაცილებით მეტად საინტერესოა, როგორც ძეგლი ერთგვარის ფსიხოლოგიურის განწყობილებისა, ვიდრე ისტორიული და ეთნოგრაფიული ნაწარმოები. „აი ისტორიიდან“ იწყება ისტორია ჩვენს ცხოვრებაში ორ ფსიხიურ ნაკადის ერთმანეთთან შებრძოლებისა. ეს არ არის ორი მსოფლმხედველობის შებრძოლების ისტორია, არამედ ორთ სხვადასხვა ფსიხიური მგრძნობიერებისა, გადაგვარებულისა და ეროვნულისა. და რომელი ფსიხიური განწყობილებაც სძლევს ამ ბრძოლაში, ბურთი და მოედანიც იმის ხელში იქნება. ამ ხიფათ ბრძოლის დასაწყისს გრძნობდა ილია და მისი მწუხარება ამ მოვლენის გამო ასე აშკარად გამოიყურება „აი ისტორიის“ ფურცლებიდან...

ს ა რ ჩ ი მ ე ი

1. მ ა ნ ა ნ ა კ ა კ ა ბ ა ძ ე — ქართული რომანტიზმის საფუძვლები აღორძინების პერიოდის მწერლობაში	3
2. ა კ ა კ ი კ ე ნ ქ ო შ ვ ი ლ ი — ალექსანდრე ჰაევჰავადის მთარგმნელობითი მოღვაწეობიდან	38
3. მ ა ყ ვ ა ლ ა კ უ ქ უ ხ ი ძ ე — გრიგოლ ორბელიანის ერთი ლექსის გამო	59
4. ლ ე ი ლ ა ს უ ლ ხ ა ნ ი შ ვ ი ლ ი — ეპითეტი ვაჟა-ფშაველას ლირიკაში	67
5. დ ა ნ ი ე ლ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი — ვაჟა-ფშაველას „კაი ყმები“ — ახალი საქართველოს ბურჟნი	76
6. შ ო თ ა ვ ა შ ა ყ მ ა ძ ე — სოციალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ასახვა XIX საუკუნის 90-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში	92
7. შ ა ლ ვ ა გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი — ივანე გომართელის ლიტერატურული მოღვაწეობა გაზეთ „კვალში“	122
8. გ ო რ გ ი ა ბ ა შ ი ძ ე — ნაშრომი ილია ჰაევჰავადის პუბლიცისტიკის შესახებ	137

ОЧЕРКИ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ  
XIX ВЕКА  
(На грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ—397



გამომცემლობის რედაქტორი ე. კ ო დ უ ა  
ტექნედაქტორი ნ. ო კ უ ჯ ა ე ა  
კორექტორი ც. დ ე ვ დ ა რ ი ა ნ ი

გადაეცა წარმოებას 21.4.1978; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.11.1978;  
ქალაქის ზომა 60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქალაქი № 1; ნაბეჭდი თაბახა 12;  
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9.64;

უე 01210; ტირაჟი 1500; შეკვეთა № 1426;  
ფასი 1 მან. 05 კაბ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19